

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

სოფიო კახიძე

ფიტონიმებით მოტივირებული იდიომების კვლევა

ფრანგულ და ქართულ ენებში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა - ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი ნატალია სურგულაძე

ბათუმი-2020

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო კახიძე _____

(ხელმოწერა)

(თარიღი)

სარჩევი

შესავალი	გვ. 4
თავი I. ფრაზეოლოგიის განვითარების კვლევა	
1.1. ფრაზეოლოგია, როგორც ცალკეული ლინგვისტური დისციპლინა, მისი შესწავლის ობიექტი და დარგი	გვ. 8
1.2. ფრაზეოლოგიის განვითარების ეტაპები	გვ. 11
1.3. ფრაზეოლოგიის კვლევა ქართულ ენათმეცნიერებაში	გვ. 24
1.4. ფრაზეოლოგიზმების ფუნქციური დანიშნულებანი ენაში და მათი კლასიფიკაციები	გვ. 28
1.5. ფრაზეოლოგიის ეროვნული ხასიათი.....	გვ. 36
თავი II. ფიტონიმებით შედგენილი იდიომების კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში	
2.1. ფიტონიმების რაობა და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია.....	გვ. 40
2.2. ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები ფრანგულ ენაში.....	გვ. 45
2.3. ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები ქართულ ენაში.....	გვ. 59
თავი III. კონოტაციით მსგავსი და განსხვავებული იდიომები ფრანგულ და ქართულ ენებში	
3.1. ერთგვაროვანი შინაარსის მქონე იდიომები ორივე ენაში.....	გვ. 69
3.2. არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომები ორივე ენაში.....	გვ. 109
3.3. ერთნაირი შინაარსის მქონე ფიტონიმური იდიომების ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი და განსხვავებული ფორმები ორივე ენაში	გვ. 124
დასკვნა	გვ. 138
გამოყენებული ლიტერატურა	გვ. 143
გამოყენებული ინტერნეტ წყაროები	გვ. 150
შემოკლებათა განმარტებანი	გვ. 151
დანართები	გვ. 152

შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში, ამა თუ იმ ენის ცოდნა გარდა მისი ამოუწურავი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული კონსტრუქციების ფლობისა, უნებურად მისი კულტურის გაცნობასა და გათავისებასაც მოიცავს. უცხოური ენა სავსეა ისეთი კულტურული მომენტების აღმნიშვნელი რეალიებით, რომელთა გაგება და თარგმნა მშობლიურ ენაზე მათი ცოდნის გარეშე შეუძლებელია, განსაკუთრებით კი მეორე ენაში შესატყვისის არქონის შემთხვევაში. ასეთი „უცხო ხილის“ განმარტებით, მთარგმნელი მნიშვნელოვნად ეხმარება ადრესატს სხვა კულტურის ფენომენის შემეცნებასა და გაგებაში. ამ მხრივ კი, განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების უკიდუგანო სამყარო.

თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობს ისაუბროს იდიომებით, რითაც ერთი მხრივ, ძველის გახსენებით ხელს უწყობს ისტორიის უკვდავყოფას, მეორე მხრივ კი, ახლის დამატებით-ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. ჟამთა სვლის პარალელურად, ენით შემონახული, თაობიდან თაობაზე გადაცემული, კულტურული თავისებურებებით გაჟღენთილი და უნიკალურობით გამორჩეული ხატოვანი თქმები, კონკრეტული ენის ფასდაუდებელი განძია, მისი სიცოცხლისუნარიანობის საწინდარია, რადგანაც სანამ ჩვენ-ადამიანები, ნებსით თუ უნებლიეთ, მათ ვიყენებთ ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ენა და ერის კულტურა არსებობას განაგრძობს, მისი „გული“ რითმულად ფეთქავს. მაშასადამე, ენა ცოცხლობს.

გასული საუკუნის მიჯნაზე გაბატონებულმა ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ, წინა პლანზე წამოსწია და ყურადღების ცენტრში განათავსა ადამიანი, მის ირგვლივ არსებული საგნობრივი და ვირტუალური სამყარო, მისი დამოკიდებულება ამ სამყაროს მიმართ. ენა კულტურის ერთგვარ კოდად გადაიქცა. „როგორც კ. ლევი-სტროსი აღნიშნავს, ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიცაა, მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილიც და კულტურის არსებობის პირობაც. უფრო მეტიც, ენა-კულტურის არსებობის სპეციფიკური გზაა, კულტურული კოდების ფორმირების ფაქტორი“ (Маслова, 2001: 22). ამის ნათელი გამოხატულება კულტურულ ძეგლებში-მითებში, ლეგენდებში, იგავ-არაკებში, ტრადიციებში, რიტუალებში,

ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომებში შემონახული ამა თუ იმ ერის განვითარების ეტაპები, ეთნოსის სიბრძნე, სიმდიდრე და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებაა. სწორედ, ენის საშუალებით გადაეცემა თაობიდან თაობას მათში თავმოყრილი, ჩამალული ეროვნული ინდივიდუალურობა და ერის მენტალიტეტით გამსჭვალული ღრმა ნააზრევი. ყოველივე ზემოთქმული კი, *ინფორმაციის ფასდაუდებელ განძსა და კვლევის ამოუწურავ მასალას წარმოადგენს.*

„ფიტონიმია, როგორც ერთ-ერთი ფრაგმენტი სამყაროს ენობრივი სურათისა, მოიცავს ეთნოკულტურულ ინფორმაციას მცენარეულ რეალიათა ხალხური გაგების შესახებ“ (Фаткулина,... 2016: 93) და არა მხოლოდ ხალხურისა. „ფიტონიმები უდიდესი კონოტაციური მუხტის მატარებლებია და ფლობენ საკმაოდ დიდ მეტაფორულ პოტენციალს“ (Фатюшина, 2013: 421). ისინი „[...] როგორც ჩვეულებრივ-კოგნიტური ნომინაციის პროდუქტი, ასახავენ ერის მენტალიტეტის თავისებურებებს მცენარეთა სამყაროსთან მიმართებაში“ (Петракова, 2015: 152).

„ფიტომორფიზმების გამოყენების ეროვნული სპეციფიკა განპირობებულია როგორც ეროვნულ-კულტურული ტრადიციებით, ასევე ჩვენი პლანეტის მცენარეთა ნაირსახეობითა და გეოგრაფიული მდებარეობის ნაირგვარობით“ (Кхонг, 2018: 81). გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს კონკრეტული ტერიტორიისთვის დამახასიათებელ ფიტონიმთა კონკრეტულ სახეობებს. ამიტომ რთულდება და ხშირად ვერც ხერხდება ფიტონიმური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირება. *სწორედ ეს* განაპირობებს ფიტონიმური იდიომების შესწავლის აუცილებლობის საკითხს. „ფიტონიმები, როგორც სემანტიკური ლექსიკის ერთ-ერთი სახეობა, მოიცავს რა მცენარეთა გარკვეულ მახასიათებლებს, ასახავს ადამიანთა სულიერ სამყაროს. მათი ლინგვოკულტურულ ასპექტში შესწავლა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ ერის მრავალგვარი ენობრივი მოვლენების შესახებ, ასევე შესაძლებელს ხდის თვალყური მივადევნოთ, იმას თუ როგორ იჭრება არაენობრივი სინამდვილე ენაში. ფიტონიმთა ტექსტში ფუნქციონირების განსაკუთრებულობა, წარმოადგენს სამყაროს ეროვნულ სურათს, რომელიც ისახება ენობრივ ერთეულთა სემანტიკაში სიტყვების მნიშვნელობათა და ასოციაციათა გავლით განსაკუთრებულ კულტურულ-

სპეციფიკურ მნიშვნელობებში“ (Ли, 2015: 14). **სწორედ ეს გახლავთ ნაშრომის აქტუალურობა.**

ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ორი განსხვავებული კულტურის ფრაზეოფიტონიმები, მოვახდინოთ მათი კონცეპტუალური კლასიფიკაცია და ვნახოთ რამდენად ერთგვაროვანი თუ არაერთგვაროვანია მათი შინაარსი და ლექსიკური შემადგენლობა.

შესაბამისად ჩვენ მიერ დასახული **ამოცანებია:**

- გამოვყოთ ფრაზეოლოგია, როგორც ცალკეული ლინგვისტური დისციპლინა, მისი შესწავლის ობიექტი და დარგი;
- მიმოვიხილოთ ფრაზეოლოგიის განვითარების ეტაპები და პროცესები ფრანგულ, რუსულ და ქართულ ლინგვისტიკაში; ასევე ფრაზეოლოგიზმების ფუნქციური დანიშნულებანი ენაში და მათი კლასიფიკაციები და ხაზგასმით აღვნიშნოთ ფრაზეოლოგიის ეროვნული ხასიათი;
- გადმოვცეთ ფიტონიმების რაობა და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია;
- ფრანგულ და ქართულ ენებში სხვადასხვა წყაროდან მოვიძიოთ ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები მათი ეტიმოლოგიითურთ;
- მოვახდინოთ ორივე ენაში ერთგვაროვანი შინაარსის მქონე, ასევე არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომების კონცეპტუალური კლასიფიკაცია, გამოვყოთ ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი და განსხვავებული ფიტონიმური იდიომები ორივე ენაში;

დასახული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, **ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდებია:** შეპირისპირებითი, დაკვირვების, აღწერის, ანალიზის, ლინგვოკულტუროლოგიური, თვისობრივი და პრაგმატიკული მეთოდები.

ნაშრომის **თეორიული ღირებულებაა** ის, რომ მასში შეჯერებულია ქართულ, ფრანგულ და რუსულ ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიის დარგში მომუშავე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მოსაზრებები იმავე დარგის, მისი შესასწავლი ობიექტის, ზოგადად ფრაზეოლოგიზმების, მისი სახეების შესახებ, ფიტონიმების რაობის, კლასიფიკაციის, ორ ენას შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავების თეორიული

საკითხები. აღნიშნული კვლევა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ლინგვოკულტუროლოგიის სფეროში, სპეცკურსებსა და საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისას. ხოლო თავისი განმარტებებითა და უმეტეს შემთხვევაში ეტიმოლოგიით წარმოდგენილი ფრანგული და ქართული ემპირიული მასალა-ფიტონიმური იდიომები, ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს, სტუდენტებსა თუ მოსწავლეებს მზა სახით მიეწოდებათ, რაც მათ გაუადვილებს იდიომებთან მუშაობასა და დიდ დახმარებასაც გაუწევს. სწორედ ეს გახლავთ ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება**.

დარგის შესახებ თავმოყრილი საკმაოდ მდიდარი თეორიული ინფორმაცია, წარმოდგენილი ლინგვისტიკაში ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი ასპექტის-ფიტონიმის რაობა და კლასიფიკაცია, ლექსიკონებიდან და ინტერნეტ წყაროებიდან მოპოვებული ემპირიული მასალა და მათი სტატისტიკური შეფასება, ნაშრომის **მეცნიერული სიახლეა**.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავსა და თერთმეტ ქვეთავს, დასკვნას, გამოყენებულ ლიტერატურასა და ინტერნეტ წყაროებს, შემოკლებათა განმარტებასა და დანართებს.

პირველ თავში შეჯერებულია ფრანგ, რუს და ქართველ ენათმეცნიერთა კვლევები ფრაზეოლოგიის დარგის, ობიექტისა და შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

მეორე თავი ეთმობა ფიტონიმების რაობისა და მათი კლასიფიკაციების ანალიზს, ასევე წარმოდგენილია მეცნარეთა კომპონენტებით შედგენილი ქართული და ფრანგული იდიომების ეტიმოლოგიური კვლევა.

მესამე თავში თავმოყრილია მდიდარი ემპირიული მასალა ორივე ენის ფიტონიმური იდიომების ფონდიდან, მოცემულია მათი კონცეპტუალური კლასიფიკაცია და დაჯგუფებები შინაარსობრივი და ლექსიკური ნიშნის მიხედვით.

ემპირიულ მასალად ინტერნეტ წყაროებიდან და სხვადასხვა ლექსიკონებიდან აღებულია ჯამურად ათას ორას ორმოცდაშვიდი (1,247) ფიტონიმების შემცველი იდიომი: სამას ორმოცდარვა (348) ქართული და რვაას ოთხმოცდაცხრამეტი (899) ფრანგული გამოთქმა.

თავი I. ფრაზეოლოგიის განვითარების კვლევა

1.1. ფრაზეოლოგია როგორც ცალკეული ლინგვისტური დისციპლინა, მისი შესწავლის ობიექტი და დარგი

ამა თუ იმ დარგის შესწავლისას, უმნიშვნელოვანესია ტერმინოლოგიის საკითხის გარკვევა, რადგანაც „[...] ტერმინოლოგიური ბუნდოვანება იგივეა მეცნიერებისათვის, რაც ნისლი ნაოსნობისათვის“ (ჰ. შუჰარდტი ციტირებულია თაყაიშვილის მიერ, 1961: 12). ფრაზეოლოგიასთან მიმართებაში კი, ტერმინთა განსაკუთრებულ სიმრავლეს ვაწყდებით. გამყრელიძისეული განმარტებით „ფრაზების აგება ენაში ხდება ლექსემათა და სიტყვათფორმათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგადი კანონზომიერებების-მათ შორის სემანტიკური წესების-მიხედვით; მაგრამ ზოგადი სემანტიკური წესებით ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა მასში შემავალ ლექსემათა მნიშვნელობებზე (მათ სალექსიკონო განმარტებებზე) არ დაიყვანება. ასეთი ფრაზების კომპონენტებს შორის მჭიდრო კავშირია, ამიტომ მათ *მყარ შესიტყვებებს* ანუ *ფრაზეოლოგიზმებს* (ფრაზემებს, ლექსიკალიზებულ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს) უწოდებენ-თავისუფალი შესიტყვებების საპირისპიროდ. მყარი შესიტყვებებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ისინი ლექსიკონებში უმეტესწილად სახელდების „მზა“ ერთეულების სახით არის შეტანილი“ (გამყრელიძე, ... 2008: 374).

„მყარ შესიტყვებათა ერთობლიობას ფრაზეოლოგია (ბერძ. *Phrasis* „გამონათქვამი“, *lógos* „სიტყვა“, „მოდვრება“) ეწოდება. ამავე ტერმინოლოგიით აღინიშნება ის დარგი, რომელიც ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობას შეისწავლის“ (გამყრელიძე, ... 2008: 375).

ფრაზეოლოგიზმის „[...] აღმნიშვნელად დღეს ერთმანეთის გვერდით იხმარება სხვადასხვა ტერმინი: ფრაზეოლოგიური ერთეული, ასევე ფრაზეოლოგიური-გამოთქმა, საქცევი, კლიშე, შტამპი, შენაზარდი (შეხორცება), მთლიანობა, შესიტყვება (ფართო და ვიწრო გაგებით); გარდა ამისა, მყარი გამოთქმა, დაუშლელი შესიტყვება, ლექსიკური ერთეული, სტერეოტიპული გამოთქმა; იდიომი-

მეტაფორული, სახოვანი, გაქვავებული და სხვა“ (თაყაიშვილი, 1961: 13). „[...] მყარ შესიტყვებათა სიმრავლე იყოფა შემდეგ არაერთგვაროვან ჯგუფებად: იდიომები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, სამეტყველო შტამპები, ფრაზეოსქემები და ე.წ. ფრთიანი გამოთქმები (ანდაზები, აფორიზმები და მისთ.)“ (გამყრელიძე, ... 2008: 376).

ა.გ. ნაზარიანის აზრით, „ლინგვისტურ ლიტერატურაში ფრაზეოლოგიური ერთეულის სინონიმად გამოიყენება იდიომი, იშვიათად იდიომატიზმი. თუმცა ფრაზეოლოგიის ობიექტის განსაზღვრისას ამ ტერმინების გამოყენება არაა მიზანშეწონილი, რადგანაც ისინი მრავალმნიშვნელოვანია და რაც მთავარია, გამოიყენებიან არა მხოლოდ მყარ შესიტყვებებთან-ფრაზეოლოგიზმებთან, არამედ სიტყვებთან და სხვადასხვა გრამატიკულ კონსტრუქციებთან მიმართებაშიც.

ფრაზეოლოგიის ობიექტის აღსანიშნავად, ფრანგულ ენაში, საკმაოდ გავრცელებული ტერმინია-*locution* (ლათ. *Locution*-„გამოთქმა, საქცევი“). თუმცა ნაზარიანის აზრით, არც ამ ტერმინის და არც მისი სინონიმების (*locution figée*, *expression idiomatique*, *gallicisme*, *idiotisme* და ა.შ.) გამოყენება ვერ იქნება წარმატებულად მიჩნეული, რადგან ისინი იხმარებიან ასევე არაფრაზეოლოგიური ხასიათის შესიტყვებებისა და საქცევების, ხანდახან სხვადასხვაგვარი გრამატიკული კონსტრუქციის აღსანიშნავადაც. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ „ფრაზეოლოგიურ ერთეულთან“ ყველაზე ახლოს დგას შარლ ბალის მიერ შემოთავაზებული გამოთქმა- „*locution phraséologique*“, უფრო ზუსტად „*unité phraséologique*“, ფრანგულ ლინგვისტურ ტერმინთა შორის ისინი ნაკლებად გამოიყენება“ (Назарян, 1987: 5).

მ.ი. მიხელსონთან ფრაზეოლოგია სამი გაგებითაა წარმოდგენილი: 1. *ზოგადი გაგებით-მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა მეტყველების შესახებ*; 2. *ვიწრო გაგებით- მწერლის ენის განმსაზღვრელი ხერხებისა და მეთოდების თავმოყრა*; 3. *ფართო გაგებით-ცალკეული ერის მეტყველების ხერხების, მეთოდებისა და კანონების თავმოყრა* (Михельсон, 1912: VII).

ფრაზეოლოგიის კვლევის საგანია *ფრაზეოლოგიური ერთეულის* (შემდგომში *ფე*) ბუნება, მათი ძირითადი მახასიათებლების, მეტყველებაში მათი ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებათა კვლევა. ფრაზეოლოგიის ამოცანაა როგორც

ფე-ს, ასევე ფე-სა და თავისუფალ შესიტყვებებს, ფე-სა და ანალიტიკურ სიტყვებს შორის სისტემური კავშირების შესწავლა. მაგ.: *être la fable du quartier-1. ყბადაღებული, სალაპარაკოდ გამხდარი*; *2. ყველას დასაცინი* (ფე); *mettre un disque (un livre, un cahier, une tasse...*-დისკის, წიგნის, რვეულის, ფინჯნის დადება)-თავისუფალი შესიტყვება; *avoir peur; prendre part* -შიში, მონაწილეობა-ანალიტიკური სიტყვა (Ломизова, 2004: 64).

ფრაზეოლოგიის როგორც მეცნიერული დისციპლინის განვითარებამ, სადავო გახადა მისი შესწავლის დარგიც. შეესწავლა ფრაზეოლოგიზმები ლინგვისტიკას თუ სხვა მეცნიერებას, ამისთვის ავტორები სხვადასხვა კრიტერიუმს მიმართავდნენ. იდიომებს მიიჩნევდნენ რა “[...]ინდივიდუალურ, მწერლის ენისთვის დამახასიათებელ მხატვრულ საშუალებად და გაიგივებული ჰქონდათ ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებთან: მეტაფორა, ეპითეტი, მხატვრული შედარება და სხვა“ (თაყაიშვილი, 1961: 126), ის ლიტერატურათმცოდნეობაში შეჰქონდათ.

ზოგიერთი ავტორი ითვალისწინებდა რა ფრაზეოლოგიზმების ექსპრესიულ-ემოციურ მომენტებს-მას სტილისტიკის შესწავლის საგნად აცხადებდა, ძირითად ნიშნად კი ფე-ს მნიშვნელობას, სტილისტურ შეფერილობასა და განსაკუთრებული გამოყენების ფუნქციას მიიჩნევდა.

მოგვიანებით, როცა ფრაზეოლოგიურ მასალას ლინგვისტური თვალსაზრისით შეხედეს, ის ლინგვისტიკის შესწავლის საგნად გამოაცხადეს. ზოგიერთნი, კერძოდ, ნ.მარის მიმდევრები მას მხოლოდ სინტაქსის პოზიციებიდან განიხილავდნენ. ა.შახმატოვს, ა. მეშჩანინოვს და სხვა ლინგვისტებს კი, ფრაზეოლოგიური ერთეულების ფორმა-შესიტყვება იზიდავდა, რომლის ყოველი კომპონენტი დამოუკიდებელი წევრი იყო და მას ცალკე კითხვა ესმოდა. ამიტომაც თვლიდნენ, რომ ის სინტაქსს უნდა შეესწავლა.

ზოგიერთმა მკვლევარმა ფრაზეოლოგიზმების სემანტიკას (გამოთქმის მნიშვნელობას) მიაქცია ყურადღება. „მართალია, იგი ფორმით შესიტყვება იყო, მაგრამ მნიშვნელობით სიტყვას უტოლდებოდა, მის ეკვივალენტად გამოდიოდა.

ამიტომ დადგა მისი ლექსიკოლოგიაში შეტანის საკითხი“ (ვ. ვ. ვინოგრადოვი ციტირებულია თაყაიშვილის მიერ, 1961: 127).

მაგრამ მყარ, სემანტიკურად მთლიან გამოთქმათა გვერდით არათავისუფალ შესიტყვებათა კიდევ რამდენიმე სახესხვაობის არსებობა, აიძულებდა ბ. ლარინს ეფიქრა „[...] მარტივ სიტყვასთან შედარებით ახლო მდგომი იდიომატური გამოთქმები უნდა გამოიყოს ლექსიკოლოგიიდან და მიეკუთვნოს ფრაზეოლოგიას. აქ პირველ რიგში დგება ფრაზეოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, შექმნის საკითხი. [...] როგორც ბ. ლარინი შენიშნავს, ასეთი დისციპლინის გამოყოფა უკვე აუცილებელია“ (თაყაიშვილი, 1961: 128).

მაშასადამე, „ფრაზეოლოგია-ენათმეცნიერების დარგია, რომელიც სწავლობს ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობას მის ამჟამინდელ მდგომარებასა (სინქრონიაში) და ისტორიულ განვითარებაში (დიაქრონიაში). ტერმინი ფრაზეოლოგია აღნიშნავს ასევე მოცემული ენის ფრაზეოლოგიზმების ერთობლიობას ანუ მის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობას“ (Ломизова, 2004: 64).

1.2. ფრაზეოლოგიის განვითარების ეტაპები

ფრაზეოლოგია, როგორც ცალკეული ლინგვისტური დისციპლინა XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და დაკავშირებულია ფრანგი წარმოშობის შვეიცარიელი ლინგვისტის შარლ ბალის (Charles Bally)¹ სახელთან. შეიძლება ითქვას, რომ ენათმეცნიერების ისტორიაში ის პირველი იყო, ვინც ფე-ები გაიაზრა როგორც ცალკეული მოვლენა, რითაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფრაზეოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას. მანვე მეცნიერულად დაასაბუთა მყარი გამონათქვამების სპეციალური შესწავლის აუცილებლობა და წარმოადგინა მსგავსი კვლევის ბრწყინვალე მაგალითი ნაშრომებში „Précis de stylistique“ (1905) და “Traité de stylistique française” (1909 ორტომეული), რომლებშიც მისი ფრაზეოლოგიური კონცეფციაა გადმოცემული.

¹ შარლ ბალი (1865-1947)- შვეიცარიელი ლინგვისტი, ფერდინანდ დე სოსიურის მოსწავლე.

ფრაზეოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შ. ბალის მიერ წამოჭრილ საკითხებს, რომელთა გაგება და გადაწყვეტის მეთოდები შესაძლებელია გარკვეული სახის წინააღმდეგობასაც იწვევს მკვლევრებში, თუმცა აშკარაა ისინი დღემდე აქტუალურია, დღესაც გახლავთ ბევრი ენათმეცნიერის კვლევის ამოუწურავი ობიექტი და დღემდე ელოდება გადაწყვეტის გზებს. ამის დასტურია ფრაზეოლოგიისა და იდიომების საკითხებისადმი მიძღვნილი *EUROPHRAS*-ის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები და ვირტუალურ სივრცეში არსებული უამრავი საიტი თუ სტატია.

ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებს შ. ბალი განიხილავდა, როგორც მყარ სიტყვათწყობას კომპონენტების სხვადასხვაგვარი შერწყმის ხარისხით და განასხვავებდა მათ შინაგან და გარეგან ნიშან-თვისებებს, თანაც ისე რომ პირველ რიგში მათ სტრუქტურულ თავისებურებებს აყენებდა, ხოლო მეორეში-სემანტიკურს. ეს უკანასკნელი მკაფიო ზღვარს ავლებდა ფრაზეოლოგიზმის ფორმალურ მახასიათებლებსა და იმ ნიშნებს შორის, „რომლებიც ფორმისა და აზრის შესაბამისობიდან გამომდინარეობს, ანუ იქედან თუ როგორ აღიქმებოდა მოცემული გამონათქვამი მოსაუბრის მიერ“ (Балли, 1961: 98). ფრაზეოლოგიზმის არსებით და ძირითად მახასიათებლად ბალი, მხოლოდ სემანტიკურ ნიშანს მიიჩნევდა და კიდევაც აცხადებდა, რომ გარეგანთან შედარებით, „ნამდვილი ღირებულება მხოლოდ შინაგან მახასიათებლებს გააჩნიათ“ და რომ „ეს მახასიათებლები უფრო მეტად ღირებულია“ (Балли, 1961: 98).

მაშასადამე, შ. ბალი ფრაზეოლოგიის ობიექტის არსს უპირველესად მის სემანტიკურ თავისებურებებში ხედავდა. შესაძლებელია ის ზედმეტად კატეგორიულიც კი იყო ფე-ს ნიშან-თვისებებზე გაკეთებულ დასკვნებში, რადგანაც მოგეხსენებათ სტრუქტურული მხარე ასევე მნიშვნელოვანია და ნამდვილად იმსახურებს შესწავლას. თუმცა საერთო ჯამში, როგორც შემდგომი კვლევები გვიჩვენებს, აღნიშნული საკითხების კვლევის მისეული საწყისები აბსოლუტურად მართებულია. შ. ბალიმ საკითხი სწორად დასვა, თუმცა გადაწყვეტილება ლოგიკურ დასკვნამდე ვერ მიიყვანა, რითაც აიხსნება ფრაზეოლოგიაზე მისი განსხვავებული შეხედულებები. ფრაზეოლოგიზმების ძირითად აზრობრივ თავისებად მან

მნიშვნელობის ერთიანობა წამოაყენა, რომელიც მისი აზრით, მთელი გამონათქვამის ერთი სიტყვით-*იდენტიფიკატორით* გამოხატვაში მდგომარეობს. ამრიგად, ბალისთან მყარი შესიტყვების ერთ მარტივ სიტყვასთან თანაფარდობა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ის ფრაზეოლოგიზმად ჩაითვალოს. ამით მეცნიერის პოზიციები საკმაოდ შესუსტდა, რადგან კვლევებმა პრაქტიკაში გვიჩვენა, რომ ფე-ს ერთი სიტყვა-იდენტიფიკატორით შეცვლა, უმეტეს შემთხვევაში არა თუ რთულია, შეუძლებელიცაა (Назарян, 1987: 6-7).

ფრაზეოლოგიის ობიექტის განსაზღვრის კრიტერიუმად *იდენტიფიკაციის მეთოდის* გამოყენების სისუსტეს თავად ბალიც ხედავდა. „ეს მეთოდი, წერდა შ. ბალი, არ არის სრულყოფილი, რადგან ის ვერ იძლევა საშუალებას ზუსტად განისაზღვროს გამოთქმის შედეგების ხარისხი“ (Балли, 1961: 100). მისი ნაკლია, ისიც რომ შეუძლებელია ფრაზეოლოგიის ობიექტის გამოყოფა არა მხოლოდ მყარი არაფრაზეოლოგიური სიტყვათშეერთებებისაგან, არამედ თავისუფალი შესიტყვებებისგანაც, რადგანაც ამ მეთოდის თანახმად ის ფე-ები რომელთაც არ გააჩნიათ თანასწორი ეკვივალენტები სიტყვა-იდენტიფიკატორის სახით, ამოღებული უნდა იყოს ფრაზეოლოგიიდან, მაშინ როცა ის არაფრაზეოლოგიური ერთეულები მხოლოდ იმიტომ რომ მათი შეცვლა ერთი სიტყვითაა შესაძლებელი, შეიძლება მასში ჩართული იყოს. მაგ.: ამ მეთოდის თანახმად გამონათქვამი-*avoir des doutes* (დაეჭვება, ეჭვის შეტანა) უნდა ჩაითვალოს ფრაზეოლოგიზმად, რადგან ის არის ზმნის-*douter* (დაეჭვება) ეკვივალენტი, ხოლო გამოთქმა-*pendre la crémaillère* (ლხინი ახალბინადრო-ბის აღსანიშნავად), რომელიც გვხვდება ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში, უნდა გამოირიცხოს ფრაზეოლოგიიდან, რადგან ვერ ხერხდება მისი მნიშვნელობის ერთი სიტყვით გადმოცემა.

მეცნიერთა აზრით, შ. ბალის დაშორება მის მიერ წამოყენებული ფე-ს სემანტიკური კრიტერიუმებით დიფერენციაციიდან, ნათლად ჩანს მათ კლასიფიკაციაშიც. ბალიმ გამოყო ფრაზეოლოგიზმების ორი ჯგუფი: *ფრაზეოლოგიური რიგები (séries phraséologiques)* და *ფრაზეოლოგიური ერთიანობები (unités phraséologiques)*, მაგრამ ისინი სემანტიკური თვალსაზრისით არაა ტოლფასი. სემანტიკური თვისება უფრო მეორე ჯგუფისთვისაა

დამახასიათებელი. რაც შეეხება ფრაზეოლოგიურ რიგებს, ისინი ჩვეულებრივი, ლექსიკურად მყარი კომპლექსებია, რომელთა კომპონენტებიც შეზღუდული შერთებით გამოირჩევიან. თავად შ. ბალი ფრაზეოლოგიურ სერიებს ახასიათებს როგორც შესიტყვებებს, რომელთა ელემენტებიც ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და რომლებიც იშლებიან მეტყველებაში გამოჩენისთანავე (Балли, 1961: 89).

დაბოლოს, ა.გ. ნაზარიანის აზრით, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმებით, შ. ბალის კვლევის მეთოდის მნიშვნელოვან ნაკლად შესაძლებელია ფე-ს ისტორიულ-სემანტიკური ბუნების სრული იგნორირება ჩაითვალოს. სინქრონიის ჩარჩოში მოქცეულმა, საკუთარი კვლევებისა და პრინციპების ერთგულმა ლინგვისტმა, ფრაზეოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის დროს, უგულებელყო ის დინამიკური პროცესები, რომლებიც მათ სემანტიკურ განვითარებას ახასიათებს და რომელთა შესწავლაც საშუალებას მისცემდა ფრაზეოლოგიზმის არსს ჩასწვდომოდა, ლოგიკურად, ბოლომდე ამოუხსნელიც აღარ დარჩებოდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამჟამად ბალისეული ფე-ს სემანტიკური ნიშნების უპირატესობის აღიარება სტრუქტურულზე, პრინციპული მნიშვნელობის მატარებელია, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ფრაზეოლოგიის თეორიული საფუძვლების შემდგომი კვლევებისთვის.

როგორც ნაზარიანი აღნიშნავს, წესით შ. ბალის ნაშრომს უდიდესი ინტერესი უნდა გამოეწვია ამ დისციპლინისადმი, ერთგვარი სტიმულიც კი უნდა ყოფილიყო თეორიული შესწავლის გაგრძელების თვალსაზრისით, მაგრამ სამწუხაროდ თითქმის XX საუკუნემდე ზემოხსენებული საკითხისადმი ფრანგულ ლინგვისტიკაში არ გამოჩენილა არანაირი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მაშინ როცა ფრანგული ენა მსგავსი კვლევისთვის უმდიდრეს მასალას ფლობს და საკმაოდ ფართო არჩევანსაც იძლევა.

ერთ-ერთი ცნობილი ფრანგული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის ავტორი მორის რა (Maurice Rat) სხვა ლექსიკონების ავტორების მსგავსად, ფე-ს განსაზღვრავს, როგორც გამოთქმას, ლაპარაკის მანერას (expression, façon de parler) (Rat, 1957: 6). ა.გ. ნაზარიანის აზრით, ფრაზეოლოგიის ობიექტის ასეთი ფართო გაგებით განმარტება, რა თქმა უნდა, ვერ ამოხსნიდა მის არსს, ისე როგორც ვერ გამიჯნავდა ფრაზეოლოგიურ მოვლენებს არაფრაზეოლოგიურისგან. ამიტომაც არაა გასაკვირი,

რომ ლექსიკონში წარმოდგენილია ისეთი გამონათქვამები, რომელთა ფრაზეოლოგიური ხასიათი სადავოა, ასევე გვხვდება მეტაფორული მნიშვნელობის ცალკეული სიტყვებიც (მაგ.: *bernique*-ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვი! *cheviller*-გამაგრება, მიმაგრება, *se chamailler*-კინკლაობა, *une poire*-მსხალი, სიფათი, სულელი, დოცლაპია, *une paille*-ჩალა, უმნიშვნელო რამ, *un micmac*-ბნელი საქმე, ინტრიგა და ა.შ.) (Назарян, 1987: 8), რაც ფე-ს გაგებას ეწინააღმდეგება.

ჟ. მარუზო „ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონში“ *locution*-ს ფართო გაგებით, როგორც გამონათქვამის სინონიმს ისე განსაზღვრავს, ხოლო ვიწრო გაგებით, როგორც რამდენიმე სიტყვის მთლიანობას, რომელიც ცნობილი სახის ლექსიკურ ერთეულს ქმნის (Марузо, 1960: 180). თუმცა ამ შემთხვევაშიც ტერმინი ძალიან ფართო გაგებითაა განმარტებული, რაც ნაკლებად გამოდგება ფრაზეოლოგიის ობიექტის განსასაზღვრად, მით უფრო რომ ამ უკანასკნელის გათანაბრება ლექსიკურ ერთეულთან სადავო საკითხია.

ფე-ს, როგორც ფრაზეოლოგიის ობიექტის, არსის შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს ვაწყდებით პიერ გიროსთან, რომელიც ფრაზეოლოგიზმს განმარტავს, როგორც „გამოთქმას, რომელიც რამდენიმე სიტყვისგან შედგება და ქმნის სინტაქსურ და ლექსიკურ ერთიანობას“ (Guiraud, 1962: 5). „ამასთან ფე-ს დამახასიათებელ ნიშან-თვისებად მიიჩნევს: ა) ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობას (*unité de forme et de sens*); ბ) გრამატიკული და ლექსიკური ნორმებიდან გადახვევას (*écart de la norme grammaticale ou lexicale*); გ) განსაკუთრებულ მეტაფორულ მნიშვნელობას (*valeurs métaphoriques particulières*)“ (Назарян, 1987: 9).

მიუხედავად იმისა, რომ გიროსეული განმარტება სხვებთან შედარებით უფრო სრულყოფილია, ის მაინც ვერ ხსნის ფე-ს არსს, რადგანაც მის მიერ გამოყოფილი თვისებები არც ზოგადად და არც ცალ-ცალკე ამ ერთეულს არ ახასიათებს.

გარკვეულწილად საინტერესოა პ. გიროს მიერ აღნიშნული მეორე თვისება „გრამატიკული და ლექსიკური ნორმებიდან გადახრა“. მასში ავტორი გულისხმობს მხოლოდ არქაიზმებსა და მარგინალურ კონსტრუქციებს. „თითქმის ყველა ფრაზეოლოგიზმს საფუძვლად უდევს არქაული ან მარგინალური სიტყვა ან

კონსტრუქცია“ (Guiraud, 1962: 6). ფე-ს გრამატიკულ-ლექსიკური ნორმებიდან გადახრის ასეთი განმარტება, ცხადია, ვერ შეძლებს ამ ერთეულის სპეციფიკის ახსნას, ამასთან იმის მტკიცება რომ „თითქმის ყველა ფრაზეოლოგიზმი არქაული და მარგინალური ხასიათისაა“- ესეც სადავო საკითხია.

ფრანგული ენის ფრაზეოლოგიის თეორიულ ბაზაში, ფრიად საინტერესოა ალენ რეის² შეხედულებები, რომლებიც გადმოცემულია მის კვლევებსა და მონოგრაფიაში: „Le lexique: images et modèles. Du dictionnaire à la lexicologie“ (1977). სწორედ მან მოფინა ნათელი ფრაზეოლოგიზმის რთულ ბუნებას და მათი შესწავლის სავარაუდო გზებს. რეის ფრაზეოლოგიური კონცეფციის საფუძველია ფე-ს ფორმირებასა და განვითარებაში სემანტიკური ფაქტორების წამყვანი როლის აღიარება. ფრაზეოლოგიის ობიექტის განსასაზღვრად უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს სემანტიკურ კრიტერიუმს, კერძოდ სემანტიკურ გადატანას (*transfert sémantique*), რითაც მის სემანტიკაში უკვე არსებულ დინამიკურ პროცესებზე მიუთითებს. განსაკუთრებით დასაფასებელია მის მიერ ფრაზეოლოგიზმის მამოძრავებელ ძალად „სემანტიკური დინამიზმის“ აღიარება.

აღსანიშნავია ასევე მისი თეზისი ფე-ს მნიშვნელობის არაპროგნოზირებადი ბუნების შესახებ. „ფრაზეოლოგიზმი, წერს ის, ესაა მთელი არამოტივირებული ლინგვისტური ნიშანი, „თვითნებური, თავისუფალი“ თავის კომპონენტებთან მიმართებაში და სრულიად არაპროგნოზირებადი“ (Rey, 1977: 191). მიუხედავად ერთგვარი კატეგორიულობისა, ფე-ს არსის გასაგებად აღნიშნულ თეზისს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ასევე ღირებულია რეის აზრი ფრაზეოლოგიზმების დიაქრონული ანალიზის აუცილებლობის შესახებ, რითაც შესაძლებელია იმ სემანტიკური ცვლილებების ახსნა, რომლებსაც ისინი განიცდიან განვითარების პროცესში, კერძოდ, მათი „კოდიფიკაციისა და დემოტივაციის, ასევე ხელახალი კოდიფიკაციისა და რემოტივაციის ტენდენციების“ (Rey, 1977: 195) გამოსავლენად.

² Alain Rey ფრანგი ენათმეცნიერი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ფრანგული ლექსიკოგრაფიისა და ფრაზეოლოგიის კვლევაში. ის საფრანგეთში გამოცემული ექვსტომეული ფრანგული განმარტებითი ლექსიკონის Petit Robert და ასევე ყველაზე სრული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის ერთ-ერთი თანაავტორია. გამომცემლობა Le Robert- რობერის მთავარი რედაქტორი.

რეის კონცეფცია გარკვეული სახის წინააღმდეგობებსაც იწვევს. ყველაზე სადავოა ფე-ებისადმი მისი ლექსიკოლოგიური მიდგომა. მას ფე-ები შეჰყავს ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, მიიჩნევს რა მათ ლექსიკის „უმაღლეს საზღვრებად“ (Rey, 1977: 188). თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, გამოდის რომ ფრაზეოლოგიაზე, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებაზე, საუბარიც ზედმეტია. გარდა ამისა, მართალია რეი აღიარებს ფრაზეოლოგიზმების შინაგანი ფორმის სპეციფიკას, თუმცაღა თავადვე ეწინააღმდეგება: ისინი „[...] წამოჭრიან იმავე სემანტიკურ პრობლემებს, რასაც მორფემული ფორმირებანი, განმარტებული როგორც ლექსემები“ (Rey, 1977: 189). ამგვარად, თანაბრდება ორი განსხვავებული ენობრივი ერთეულის სემანტიკური სტრუქტურა, რაც მართებულად ვერ ჩაითვლება.

საეჭვოა ასევე, ის რომ ფე-ს წამყვან ნიშნად რეის მიერ განსაზღვრულ „სემანტიკურ გადატანას“, არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული შინაარსი, ანუ თუ რომელ კონკრეტულ ფორმებში იჩენს თავს ზემოხსენებული ნიშანი არაა დაკონკრეტებული. სავარაუდოდ, მსგავსი გაურკვევლობის გამო მკვლევარი ფრაზეოლოგიზმების რიცხვს მიაკუთვნებს ისეთ სიტყვათა კომპლექსებს (მაგ.: მყარ შედარებითი კონსტრუქციებს), რომლებიც არაა ნახსენები ნიშნების მატარებელნი, თუმცა ამ კომპლექსების მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობას (Rey, 1977: 192).

აღსანიშნავია ალენ რეისა (Alain Rey) და სოფი შანტროს (Sophie Chantreau)³ მიერ შედგენილი „Le Robert. Dictionnaire des expressions et locutions (რობერი. ფრაზეოლოგიური გამონათქვამების ლექსიკონი)“, რომელშიც 10 000-ზე მეტი „გუშინდელი“ და „დღევანდელი“ ფრაზეოლოგიური გამოთქმაა გაერთიანებული (ვაწყდებით ანდაზურ თქმებსაც). ასევე გვხვდება უძველესი ტექსტებიდან აღებული მოძველებული და ხმარებიდან გასული თქმებიც. გამოთქმათა ანალიზის ქრონოლოგია შემდეგნაირია: მიმდინარე მნიშვნელობის განხილვა,

³ სოფი შანტრო-Petit Robert-პატარა რობერისა, Robert méthodologique-მეთოდოლოგიური რობერის, Robert Junior-რობერ ქუნიორისა და Le Robert dictionnaire d'expressions et locutions-ფრაზეოლოგიური გამონათქვამების ლექსიკონების ერთ-ერთი შემადგენელი და თანაავტორი. <https://www.lerobert.com/dictionnaires/francais/expressions-et-locutions/dictionnaire-des-expressions-et-locutions-grand-format-9782321006770.html> (მოძიებულია 06.01.18)

ქრონოლოგიურად დათარიღებული ისტორიული მომიხილვა, წარმოშობა, გამოყენება, მაგალითები ლიტერატურიდან.

ფრაზეოლოგია მეტად კომპლექსური და ამოუწურავი დარგია, რომელიც მსოფლიოში უამრავი მეცნიერის ინტერესის სფეროა და აქტიურ კვლევებსაც აწარმოებენ. ამის დასტურია 1999 წელს გერმანელი ლინგვისტების მიერ ფრაზეოლოგიის ევროპული საზოგადოების *EUROPHRAS*-ევროფრაზის დაარსება.

საინტერესოა თანამედროვე ფრანგული ფრაზეოლოგიის ესპანელი მკვლევრის ისაბელ გონზალეზ რეის (Isabel Gonzalez Rey) ნაშრომები, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ფრანგულ-ესპანური ფრაზეოლოგიის კვლევის კუთხით. საინტერესოა მისი ნაშრომები „La didactique du français idiomatique (ფრანგული ენის იდიომატური დიდაქტიკა)“ (2008წ) და „La phraséologie du français (ფრანგული ენის ფრაზეოლოგია)“, რომელიც 2015 წელს ხელმეორედ გამოვიდა. ნაშრომში „La Phraséodidactique en action: les expressions figées comme objet d’enseignement (ფრაზეოლოგიური დიდაქტიკა მოქმედებაში: მყარი გამოთქმები როგორც სწავლების მიზანი)“ მკვლევარი ფრაზეოლოგიზმების შემდეგ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას წარმოადგენს: „ყოველდღიური რუტინული (ან დიალოგური) ფორმულები: სამეტყველო აქტები-მისაღმებები: *au revoir; bonne journée; enchanté de faire votre connaissance etc;* წამოძახილები: *Bonne idée! C’est dommage! Tu parles! etc;* ხმაბაძვითი სიტყვები: *Ouf! Chut! Bof!;* ხატოვანი გამოთქმები: სომატიზმები: *donner un coup de main; faire la tête; en un clin d’oeil etc;* ზოომორფიზმები: *doux comme un agneau; faire l’autruche; rire comme une baleine etc ;* ქრომატიზმები: *broyer du noire; rire jaune; vert de peur; un cordon bleu etc;* „ნუმერაციული“ გამოთქმები: *chercher midi à quatorze heures; se mettre sur son trente et un etc;* საკვებთან დაკავშირებული გამოთქმები (სითხე): *jeter de l’huile sur le feu; mettre de l’eau dans son vin; être une soupe au lait etc;* (მაგარი საკვები): *faire son beurre* (სხვის ხარჯზე ცხოვრება); *tomber dans les pommes etc;* სხვადასხვა ნივთები: *tourner la page; fermer son parapluie etc;* შესიტყვებები: უარტიკლო: *prendre soin; avoir raison; tirer avantage etc;* არტიკლიანი: *faire un tour; poser une question; résoudre un problème etc;* ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმები: *dresser un bilan (commercial); porter plainte (juridique) etc;* პარემიები: ზმნის არ შემცველი-*Après la pluie, le beau temps; Tel père, tel*

filis etc; ზმნის შემცველი: *À chaque jour suffit ça peine; Aide-toi, le ciel t'aidera etc.*“
(González-Rey, 2010 : 7-8).

ასევე აღსანიშნავია ესპანელი ენათმეცნიერის ანტონიო პამიეს ბერტრანის (Antonio Pamiés Bertran)⁴ ფრანგული ფრაზეოლოგიისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი რუსულ, ფრანგულ, ესპანურ და ინგლისურ ენებზე, რომლებშიც განიხილავს იდიომების ლინგვოკულტურულ და ეთნიკურ ასპექტებს, იდიომატურობის, მოტივაციისა და ბუნდოვანების საკითხებს, უთარგმნელ და ფრაზეოლოგიურ რეალიებს და ა.შ.

სამწუხაროდ, იმ დროს ფრაზეოლოგიის თეორიული პრობლემები, მათ შორის შ.ბალის მიერ წამოჭრილი საკითხები, არ გახდა ფრანგი მეცნიერების ღრმა შესწავლის ობიექტი. ეს ამოცანა რუსმა ენათმეცნიერებმა დაისახეს და თანამედროვე ფრაზეოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილიც შეიტანეს.

ფრაზეოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერების დარგად გამოყოფის აუცილებლობის საკითხი რუსულ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში წამოიჭრა. მეცნიერთა ყურადღება განსაკუთრებული ექსპრესიულობითა და მხატვრულობით გამორჩეულმა ე.წ. მყარმა შესიტყვებებმა მიიქცია. ამრიგად, გამართლდა ე.დ. პოლივანოვის ვარაუდი, რომ „[...] მომავლის ლინგვისტურ ლიტერატურაში ის განკერძოებულ და მყარ პოზიციას დაიჭერს (მსგავსად ფონეტიკისა, მორფოლოგიისა და ა.შ.)“ (Поливанов, 1928: 61). თუმცა, ფრაზეოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი აკადემიკოს ვ.ვ. ვინოგრადოვს ეკუთვნის. მასვე მიუძღვის ლომის წილი ფრაზეოლოგიის კვლევის პრობლემატიკის გაფართოებასა და ამ დისციპლინის სხვადასხვა ასპექტების შესწავლაში, რამაც ერთგვარი ბიძგი მისცა კვლევის ახალ, საინტერესო მიმართულებას. ამის დასტურია საბჭოთა ლინგვისტიკაში იუ.იუ. ავალიანის, ვ.ლ. არხანგელსკის, ო.ს. ახმანოვის, მ.მ.ბაბკინას, ს.გ. გავრინის, ვ.პ. ჟუკოვის, ბ.ა. ლარინის, ვ. მ. მოკიენკოს, ს.ი. ოჟეგოვის, რ.ნ. პოპოვის, მ.ტ. ტაგიევას, ვ.ნ. თელიას, ნ.მ. შანსკის, ი.ა. მელჩუკის, ლ.ვ. შერბას, იუ.დ. აპრესიანისა და სხვათა საკმაოდ

⁴ <http://ugr.academia.edu/AntonioPamiésBertr%C3%A1n> (მოძიებულია 11.01.18)

ცნობილი ნაშრომები, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს ფრაზეოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, განვითარებაზე.

ა.გ. ნაზარიანის აზრით, ფრაზეოლოგიური მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ორი ენის (რუსული და უზბურდი ენების) მასალის შესწავლაში მდგომარეობდა. „ამ ლინგვისტური დისციპლინის აღმოცენება და განვითარება, ენათმეცნიერთა მიერ ორი სხვადასხვა ენის მასალის კვლევის შედეგია“ (Амосова, 1965: 3 ციტირებულია ნაზარიანის მიერ, 1987: 13). ამ მხრივ კი, განსაკუთრებულ წარმატებას გერმანისტიკამ და რომანისტიკამ მიაღწია. ფრანგულ ფრაზეოლოგიაში უნდა აღინიშნოს ვ.გ. გაკის, ნ.ნ. კირილოვის, ა.გ. ნაზარიანის, კ.დ.პრიხოდკოს, ი.ი. რეცკერის, გ.გ. სოკოლოვის, ი.ნ. ტიმესკოვას ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ფრანგული ფრაზეოლოგიის ცალკეულ ასპექტებს, ასევე საერთო თეორიული და ცალკეული პრობლემატიკის კვლევასა და შემუშავებას. თეორიული კვლევების პარალელურად, უდიდესი სამუშაოები ჩატარდა ფრაზეოლოგიური ლექსიკონებისა და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოების, ცნობარებისა და პრაქტიკუმების შესაქმნელად. იმ ეპოქის ყველაზე დიდი მიღწევა იყო შემდეგი ლექსიკონების გამოცემა: ა.ვ. კუნინის „ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (1955წ), ლ.ე. ბინოვიჩის „გერმანულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (1956 წ. 1975წ. ამავე ლექსიკონის მე-2 გამოცემა ნ.ნ. გრიშინის თანაავტორობით გამოვიდა) და ი.ი.რეცკერის რედაქციით „ფრანგულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (1963წ). ეს ნაშრომები თავისი უმდიდრესი ფრაზეოლოგიური მასალით, ილუსტრირებული მაგალითებით, მნიშვნელოვნად აჭარბებს საზღვარგარეთ ამავე დარგში არსებულ ყველა გამოცემას (Назарян, 1987: 12).

ფრაზეოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა ვ.ვ. ვინოგრადოვის შრომებით იწყება. ფერდინანდ დე სოსიურის მოსწავლეების „შვეიცარიული სკოლის“ წარმომადგენლების ალბერ სეშეას (Albert Sechahaye)⁵ და შარლ ბალის მოსაზრებები

⁵ ალბერ სეშე (1870-1946)-შვეიცარიელი ლინგვისტი, შვეიცარიული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა შესახებ, მან შემოქმედებითად გაიაზრა და განავითარა. ასევე განავრცო ფრაზეოლოგიის თეორიული ბაზისიც.

„კვლევის საგანი განსაზღვრავს კვლევის მეთოდს. [...] ფრაზეოლოგია-ენის ყველაზე მოძრავი და სწრაფად განახლებადი ნაწილია, რომელიც მუდმივ განვითარებაშია. ამ განვითარების დინამიკა იგრძნობა არა მხოლოდ დიაქრონიაში, ასევე სინქრონიაშიც. შესაბამისად, ფრაზეოლოგიის შესწავლისას მისი დინამიკური ბუნების შესაფერისი მეთოდები უნდა გამოიყენებოდეს“ (Назарян, 1987: 24).

„[...] ფრაზეოლოგიური ერთეულის დინამიკური ბუნებისთვის დამახასიათებელია აქტიური ლინგვისტური პროცესები, კერძოდ, სემანტიკური, რომელიც მისი ისტორიის ყველა ეტაპზე მიმდინარეობს, განსაზღვრავს რა ამ ერთეულების არსებობის, განვითარებისა და ფუნქციონირების პირობებს. ფრაზეოლოგიის თეორიული საფუძვლების შესასწავლად პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს ნახსენები პროცესების მიზეზებისა და კანონზომიერებების დადგენას, ეს მისი მნიშვნელოვანი ამოცანაა. თუმცა ამის მიღწევა მხოლოდ სინქრონული (სტატიკური) მეთოდით შეუძლებელია, ვინაიდან ის ენობრივი მოვლენების მხოლოდ აღწერას ითვალისწინებს და არა მათ ახსნას“ (Назарян, 1987: 24).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსული ფრაზეოლოგია ენობრივი მასალის სისტემურ ანალიზზე დაფუძნებულ კვლევის მეთოდებს ავითარებს. „ენის ლექსიკური შესწავლის თვალსაზრისით, ნ. ნ. ამოსოვა ფე-ს ორ ტიპს ასხვავებდა: ფრაზემასა და იდიომს, ხოლო სტრუქტურული თვალსაზრისით, შემოიღო ნაწილობრივ პრედიკატული ფრაზეოლოგიზმის ცნება, რომლებშიც პრედიკატული ერთეული მთავარ გრამატიკულ წევრზე-ანტეცედენტზეა (antécédent) დამოკიდებული, ხოლო სრული პრედიკატული სტრუქტურის მქონე შესიტყვებები, როგორებიცაა ანდაზები, მისი აზრით, ფრაზეოლოგიის კვლევის საგანს არ წარმოადგენენ“ (თაბუაშვილი, 2016: 20-21).

„ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია მნიშვნელობით, შემადგენლობითა და სტრუქტურით ფიქსირებული (იგივე მუდმივი) და კვლავწარმოებული მზა სახით

მოცემული ენობრივი ერთეულია, რომელიც სიტყვისთვის დამახასიათებელი ორი ან მეტი მახვილიანი კომპონენტისგან შედგება“ (Шанский, 1985: 20).

ფე-ს სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი შესწავლა მხოლოდ სინქრონულ ჭრილში, დიაქრონულ ნაწილს გვერდს მაინც ვერ ავუვლით რადგანაც „[...] თვალწინ მაინც გვექნება მისი გენეტიკური წყარო-თავისუფალი ან ლექსიკურად მყარი (არაფრაზეოლოგიური) სიტყვათშეერთება, რომლისგანაც სრული აბსტრაქტიზება შეუძლებელია. ეს სიტყვათშეერთება ფრაზეოლოგიზმისთვის მისი წარსული მდგომარეობაა, მისი ისტორიაა. ამიტომაცაა რომ ფე-ს ნებისმიერი კვლევა ფაქტობრივად ეფუძნება ამ ერთეულების თავის პროტოტიპთან ნებსით თუ უნებლიეთ შედარება-შეპირისპირებას, რის ფონზეც ის ამჟღავნებს თავის არსს. ყოველივე ეს კი განსაზღვრავს ფრაზეოლოგიური მოვლენებისადმი ისტორიული (ფართო გაგებით) მიდგომის გამოყენების აუცილებლობას“ (Назарян, 1987: 25).

სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ენათმეცნიერებს განსხვავებული აზრი გააჩნიათ. თვით შ. ბალი არათუ უარყოფდა ისტორიული მიდგომის გამოყენებას, არამედ თვლიდა რომ ის საზიანოც კი იქნებოდა ამ ლინგვისტური დისციპლინის შესასწავლად. თავად სინქრონული ლინგვისტიკის წარმომადგენელი, ფრაზეოლოგიას განიხილავდა მხოლოდ და მხოლოდ სტატისტიკურ მდგომარეობაში, მიიჩნევდა რა, რომ ღრმა ლინგვისტური ცოდნა ხელს შეუშლიდა ენის სიღრმეებში შეღწევას.

ფრაზეოლოგია საკმაოდ რთული და მრავალასპექტური დისციპლინაა, რომლის შესასწავლადაც მხოლოდ ერთი მეთოდი არ კმარა. ამასთან ამ მიზნისთვის გამოყენებული სხვადასხვა მეთოდის საფუძველი ისეთი პრინციპები უნდა იყოს „[...] რომლებიც გვთავაზობენ: ა) ფრაზეოლოგიური მოვლენებისადმი ისტორიულ მიდგომას; ბ) ფრაზეოლოგიის განვითარების დინამიკის გათვალისწინებას როგორც დიაქრონიაში, ასევე სინქრონიაში; გ) შესასწავლი ფრაზეოლოგიური მოვლენების ყოველმხრივ ანალიზს, ამ მოვლენათა მათ ურთიერთკავშირში, მრავალფეროვნებასა და წინააღმდეგობაში განხილვას; დ) საკვლევი ენის სპეციფიკის, განსაკუთრებით კი მისი ფრაზეოლოგიური სისტემის თავისებურებების გათვალისწინებას“ (Назарян, 1987: 26).

ფრაზეოლოგიური და იდიომატური გამოთქმების განხილვისას, საყურადღებოა ა.კუნინის თეორია. „ფრაზეოლოგია სამი ნაწილისგან შედგება: იდიომატიკა, იდიოფრაზეომატიკა (semi-idioms) და ფრაზეომატიკა. ეს დაყოფა ეფუძნება ფრაზეოლოგიზმების სხვადასხვა მნიშვნელობათა ტიპებს: უფრო გართულებულიდან ნაკლებად გართულებულამდე“ (Кунин, 1996: 14-15). მისი მეცნიერული დასკვნები „[...] გამომდინარეობს ფრაზეოლოგიის ფართო გაგებიდან, რომლის კვლევის ობიექტია გართულებული მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი მყარი შესიტყვება. ფრაზეოლოგიზმის ქვედა ზღვარი-ორფენიანი წარმონაქმნია. ამასთან ერთ-ერთი კომპონენტი შესაძლებელია იყოს დამხმარე სიტყვა. ზედა ზღვარი-რთული წინადადებაა. მხოლოდ ანდაზები შეიძლება იყოს რთული წინადადების სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიზმები. რთული წინადადების ზღვარს მიღმა დარჩენილი წარმონაქმნები ენობრივ ერთეულებს არ წარმოადგენენ, ამიტომაც ვერ იქნებიან ფრაზეოლოგიზმები. ეს მიჯნავს ფრაზეოლოგიზმებს ფოლკლორის მცირე ჟანრებისგან-გამოცანების, ლათაიებისა და მისთანებისაგან“ (Кунин, 1996: 14). „ავტორმა სამართლიანად აღნიშნა ფრაზეოლოგიური ერთეულების ანტროპოცენტრული ხასიათი და მეტაფორული წარმომავლობა“ (კუნინი, 1970 ციტირებულია თაბუაშვილის მიერ, 2016: 21).

საინტერესოა ს.გ. გავრინის თეორიაც, რომელიც ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური კვლევის შედეგია. მასთან ხაზგასმულია ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის ნომინაციური ასპექტისა და ფორმათა წარმოქმნის დინამიკის საკითხები. მეცნიერი ფრაზეოლოგიურ სისტემას ფუნქციურ-სემანტიკური სირთულის თვალსაზრისით განიხილავს და მასში აერთიანებს ყველა მყარ და პირობითად მყარ შესიტყვებას. მკვლევარი თვლის, რომ ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების მრავალფეროვნება (ფუნქციური ასპექტისა და გამოყენების მიხედვით), საშუალებას აძლევს იმსჯელოს მსგავს ერთეულთა ფრაზეოლოგიის უფრო რთულ, ნახევრად ფუნქციურ კლასში გადასვლის საკითხზე, რომელიც მეტყველების ლაკონიზაციას ემსახურება (Гаврин, 1974: 38).

1.3. ფრაზეოლოგიის კვლევა ქართულ ენათმეცნიერებაში

საქართველოში, XX საუკუნის შუა პერიოდიდან, კერძოდ 1941 წლიდან ჩნდება ფრაზეოლოგიისადმი, განსაკუთრებით იდიომატიკის საკითხებისადმი, მიძღვნილი კვლევები. ამ დარგში პირველ ნაშრომად ითვლება 1938წ. გამოქვეყნებული თ.სახოკიას ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი“. შემდეგი იყო 1941 წ. გამოცემული ა. ნეიმანის პრაქტიკული ხასიათის სტატია-„ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები“, რომელშიც ავტორი იკვლევს ნაწარმოებში მოყვანილი ქართული იდიომების რუსულ შესატყვისებს ან მათ ეკვივალენტებს. ასევე ცდილობს დაამტკიცოს, რომ იდიომი თავისი არსით წარმოადგენს ერთეულს, რომლის თარგმნაც შესაძლებელია სხვა ენაზე.

სადისერტაციო ნაშრომში „ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები“ (1955წ.) ქ. კანდელაკი ორი არამონათესავე ენის ფრაზეოლოგიური მასალის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ცდილობს დაადგინოს სემანტიკური ჯგუფები. ის გამოყოფს იდიომების ორ ტიპს: ხატოვან იდიომებსა და გაქვავებულ იდიომებს. ნაშრომში სიღრმისეულადაა განხილული ინგლისურ-ქართული მეტაფორული იდიომები და სახეზეა კვლევის შედეგად მიღებული დასკვნაც: ქართულ და ინლისურ ენებში ნაკლებადაა აბსოლუტურად იდენტური იდიომური გამოთქმები.

იდიომატიკა როგორც დარგი ვითარდება ცოტა მოგვიანებით. შეიძლება ითქვას, ის გარკვეულწილად კავშირშია 1954 წელს გამოსულ ა. ონიანის სადისერტაციო ნაშრომთან „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები“, რომელიც თეორიული საკითხებთან ერთად წარმოადგენს ქართულის მონათესავე ენის-სვანურის მონაცემთა ანალიზს და იკვლევს მათ წარმომავლობას.

მართალია, „ორივე შრომაში ჩანს იდიომის სპეციფიკის მართებული გაგება, მაგრამ უგულვებელყოფილია ფრაზეოლოგიზმების მეორე ჯგუფის-ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა-საკითხი“ (თაყაიშვილი, 1961: 8).

აღსანიშნავია ა. ფრანგიშვილის სტატია „გულ“ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით“ (1944წ.), რომელიც წარმოადგენს „გული“-ს სემანტიკური ველის მქონე იდიომური გამოთქმების ანალიზს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. კვლევა უფრო ფსიქოლინგვისტურ ჭრილში მიმდინარეობს.

1956 წელს ჩნდება გ. შალამბერიძის „ფრაზეოლოგიზმები ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში“. მასში წარმოდგენილი ფე-ები ენათმეცნიერული თვალსაზრისითაა განხილული.

ფაქტობრივად, ქართული ფრაზეოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა იწყება თ.სახოკიას უმდიდრესი სამტომეულით „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი „I ტ-1950წ., IIტ-1954წ., IIIტ-1955წ. ნაშრომი ლექსიკოგრაფიული ხასიათისაა, არ შეიცავს იდიომატიკასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს, თუმცა, მასში უხვადაა თავმოყრილი (ლიტერატურიდან, დიალექტებიდან და სასაუბრო ენიდან აღებული 7000 ერთეული) გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები და თქმანი, განმარტებული მნიშვნელობითა და ზოგ შემთხვევაში მოყვანილი ეტიმოლოგიით. ნაშრომი ქართული ფრაზეოლოგიის მკვლევართათვის ფასდაუდებელი განძია.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში, საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად, იკვეთება მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის რუსულიდან ქართულ ენაზე და პირიქით თარგმანის საჭიროება. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ.გამრეკელისა და ე. მგალობლიშვილის ავტორობით 1956წ. გამოცემული „რუსულ-ქართული იდიომატიკა“, რომელიც გვთავაზობს რუსულ კონტექსტში წარმოდგენილი იდიომური გამოთქმების ქართულ თარგმანს; ასევე იმავე წელს გამოქვეყნებული ლ.ლეჟავას თეზისები „ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლისათვის“. პრაქტიკული დანიშნულების მოხსენებაში ავტორი ეხება ფრაზეოლოგიის მიერ შესასწავლი მასალის კლასიფიკაციისა და დაჯგუფების პრინციპების საკითხებს. შემდეგი იყო 1958წ. გამოცემული აღ. კობახიძის სტატია „რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულად გადმოცემისა და სწავლების საკითხისათვის“, რომელშიც მკვლევარი მსჯელობს ფე-ების თარგმნის საკითხებზე. ასევე ცნობილია 1960წ. შედგენილი თ.შავიშვილის „ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული“, რომელშიც უძველესი მოარული, ჩვენს ენაში შემოსული და თარგმნილი

(მაგ.: აქილევსის ქუსლი, პროკრუსტეს სარეცელი) გამოთქმებია თავმოყრილი, აქვეა მათი წარმომავლობისა და მნიშვნელობის მცირე განმარტებაც.

საყურადღებოა ამავე პერიოდის საკმაოდ საფუძვლიანი კვლევები: ი.ვ. პეტროვას „ინგლისური იდიომები სასაუბრო ენაში რუსული და ქართული ეკვივალენტებით“ (1952წ), ნ. გამრეკელის „გერმანული იდიომები და ფრაზეოლოგიური ქცევები ქართული და რუსული შესატყვისებით“ (1953წ) და თ. მიქაძის „ფრანგული იდიომები და მათი ეკვივალენტები ქართულ და რუსულ ენაში“ (1956წ). „აღნიშნული ნაშრომები განიცდიან რუსული სამეცნიერო ლიტერატურის ზეგავლენას. ფაქტობრივად მათში წარმოდგენილ სამენოვან მასალას უფრო ლექსიკოგრაფიული ხასიათი ჰქონდა. მაშასადამე, ამ პერიოდში ქართული ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას უცხოენოვანი მასალის ათვისების პრაქტიკული დანიშნულება წარმოადგენდა“ (ლობჯანიძე, 2012: 15).

1961 წელს გამოქვეყნდა ა. თაყაიშვილის ნაშრომი „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“, რომელიც დღემდე მიიჩნევა ქართული ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კვლევად. მასში განხილულია იმ პერიოდისთვის არსებული სხვადასხვა მეცნიერის მიერ წარმოდგენილი თეორიები და მოცემულია ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და იდიომის სემანტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-სტილისტიკური ანალიზი.

მეტად დასაფასებელია 1950-1964 წლებში გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (რვატომეული), შეიძლება ითქვას ეს ფუნდამენტური ნაშრომია, რომელიც სიტყვებთან ერთად მოიცავს მყარ გამოთქმებსაც. ფრაზეოლოგია რომბითაა გამოყოფილი და განსხვავებული შრიფტითაა მოცემული. აღნიშნულ ლექსიკონში „მყარ გამოთქმებად მიჩნეულია: საყოველთაოდ გავრცელებული, მკაფიოდ გამოკვეთილი იდიომები, შედარებით მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, ტერმინები, მისალმებისა და წყევლა-ლოცვის ფორმულები, სპეციფიკური საყოფაცხოვრებო ხასიათის შესიტყვებანი, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები და სხვა. მოკლედ, ლექსიკონში გამოყოფილია ყველა შესიტყვება, რომელიც ასე თუ ისე განმარტებას მოითხოვს. უდავოა, რომ

განმარტებითი ლექსიკონისთვის გამოთქმათა შერჩევის ასეთი პრინციპი მიზანშეწონილია“ (თაყაიშვილი, 1961: 10-11).

ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით, ფრაზეოლოგიზმები ყოველთვის იყო ყურადღების ცენტრში. ისინი გვხვდებიან სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ და დ. ჩუბინიშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (1840 წ).

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გრძელდება ქართული ფრაზეოლოგიის კვლევა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. იმატა ამ დარგში ტიპოლოგიური კვლევების რიცხვმაც. ქართული ფრაზეოლოგიზმების მსგავსებასა და განსხვავებას უცხოურ ენებთან იკვლევენ ც. ბიბილეიშვილი, დ. ბახტაძე, ნ.სურგულაძე, ი. გოშხეთელიანი, ც. ახვლედიანი, მ. ჩხარტიშვილი, ნ. ჯანელიძე, ქ.ჯაში, ნ. ჯიქია, ე. ჟორჟოლიანი, ნ. ცეცხლაძე, ნ. სტამბოლიშვილი, ლ. თაბუაშვილი და სხვები.

საყურადღებოა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნ. სურგულაძის მრავალი სტატია და მონოგრაფია „ზოონიმთა და ანიმალურ სომატიზმთა შემცველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ქართულ ენებში“ (2009წ), რომელიც ეძღვნება ცხოველთა სამყაროს ამსახველ უმდიდრეს ფე-თა კვლევასა და მათი ფუნქციურ-სემანტიკური როლის შესწავლას ფრანგულ და ქართულ ენებში. აღნიშნულ ნაშრომს პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, ის ხელს შეუწყობს უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, ასევე დაეხმარება ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს ფე-ების სწავლებაში.

აღსანიშნავია, ქეთევან ჯაშის საკანდიდატო დისერტაცია „ ანდაზების სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურა ფრანგულ და ქართულ ენებში“ (1990წ), სადაც მეცნიერი ანდაზას კომუნიკაციური ტიპის ფრაზეოლოგიურ ერთეულად ასახელებს, რომელშიც მოცემულია ანდაზის მისეული განსაზღვრება. 2012 წელს ქალაქ ყუმში, ირანში, ჟურნალში: Le linguiste, დაიბეჭდა სტატია: „La logique des devinettes-structure, sens, texte“. საინტერესოა პარიზში 2018 წელს გამოცემული წიგნი: „La phraséologie contrastive“, რომელშიც დაბეჭდილია მისი სტატია: „L’aspect pragmatique de la phraséologie littéraire en français et en géorgien“, მასთან ერთად წიგნში მოცემულია

ც.ახვლედიანის და მ.მჭედლიშვილის, მ. სიორიძის და ლ. თაბუაშვილის სტატიები. საინტერესოა, ქ.ჯამის, ლ.თაბუაშვილის და ი.ტყემალაძის სტატია: „L'étude comparée des unités phraséologiques comportant le concept «vin» en géorgien et en français“, რომელიც 2018 წელს ქალაქ რემსში დაიბეჭდა.

საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორ ციური ახვლედიანის ნაშრომები და სტატიები რომანულ ენათა ფრაზეოლოგიაზე: „ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური სტრუქტურების კორელაცია“ (პროფესორ ქ. გაბუნასთან თანაავტორობით), „გასტრონომიული კომპონენტების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვისტური ანალიზი“ (ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მაგალითზე) და ა.შ.

პრაქტიკული დანიშნულებისაა ც. ბიბილეიშვილის, ლ. დარაშვილისა და რ. გაჩავას „ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (2010 წ.), რომელშიც უხვადაა თავმოყრილი ფრანგული იდიომების შესატყვისი ქართული ეკვივალენტები.

1.4. ფრაზეოლოგიზმების ფუნქციური დანიშნულებანი ენაში და მათი კლასიფიკაციები

მეცნიერებს ოდითგანვე გააზრებული ჰქონდათ ფრაზეოლოგიზმების განსაკუთრებული მნიშვნელობა. „ჯერ კიდევ XVI საუკუნეში წერდა ა. ესტიენი ფრაზეოლოგიზმის შესაძლებლობაზე-კომპაქტური ფორმით რთული და ვრცელი მოცულობის აზრის გადმოცემის თაობაზე, პ.ლ. ბოკლერი, XVIII საუკუნის სამტომეული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის ავტორი, აღნიშნავდა ფე-ს, როგორც ენობრივ საურთიერთობო საშუალებას“ (Назарян, 1987: 30). ამკარაა, რომ ენის რაციონალური და ლოგიკური ნაწილის გარდა, უნდა ვაღიაროთ მისი ემოციური და ექსპრესიული მხარეც. სწორედ ენით წარმოგვიდგენს პიროვნება საკუთარ თავსა და შეხედულებებს და ეს ქმედება ემოციისა და ექსპრესიის გარეშე წარმოუდგენელია, განსაკუთრებით როცა საქმეში ერთვება ხატოვანი თქმები. მაშასადამე ნათელია, რომ

„[...] ფრაზეოლოგიზმი არა „ენობრივი დანამატი“, არამედ გამოხატვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელსაც ვერც ერთი ენა ვერ აუვლის გვერდს. [...] ფრაზეოლოგია ენობრივი სისტემის განუყოფელი და ორგანული ნაწილია“ (Назарян, 1987: 31).

ფრაზეოლოგიის ფუნქციური დანიშნულების გასაგებად, საინტერესოა რატომ ჩნდებიან ეს ერთეულები ენაში და რა განასხვავებს მათ ლექსიკური სისტემისგან. მიუხედავად იმისა, რომ ენის ფრაზეოლოგიური სისტემაც ეყრდნობა ლექსიკურ და გრამატიკულ სისტემებს (ფრაზეოლოგიზმი მართლაც ყალიბდება სიტყვებისაგან და ექვემდებარება კონკრეტული ენის გრამატიკულ წესებს), მას განვითარების თავისი კანონზომიერებანი გააჩნია-რაც მისი სპეციფიკაა. ფე-ს მეტყველებაში რეალიზებას სხვა რამ განსაზღვრავს. „ფე-ს წარმოქნაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ექსტრალინგვისტური ფაქტორები და მათგან პირველია, მოსაუბრეთა მოთხოვნილება აზრის გადმოცემის ხატოვან-ექსპრესიულ საშუალებებზე. ფრაზეოლოგიური სისტემის განვითარებისა და გამდიდრების ტემპები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია „მოთხოვნილება“ ამ საშუალებებზე მოცემულ ისტორიულ პერიოდში. [...] გენეზისის პლანში ფრაზეოლოგია და ლექსიკა ენაში მათ განსხვავებულ ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით, არსებით განსხვავებებს ამჟღავნებენ. ლექსიკა უპირატესად ემსახურება ენის ინტელექტუალურ სფეროს, ფრაზეოლოგია კი-ემოციურს. აქედან გამომდინარე, სიტყვა წარმოიქმნება, პირველყოვლისა, მოცემული ცნების დასახელებისთვის (ნომინაციისთვის), ხოლო ფრაზეოლოგიზმი-მისი ხატოვან-ექსპრესიული დახასიათებისთვის. თუმცა წარმოადგენს რა ენის მრავალფუნქციურ ერთეულს, ფრაზეოლოგიზმებს (უფრო მეტად, მათ ნაწილს) გააჩნიათ თავისი სპეციფიკის მქონე ნომინაციური ფუნქციაც. და მაინც ფრაზეოლოგიზმის ძირითად ფუნქციას, რომელიც მათ *raison d'être-ცხოვრების აზრს* შეადგენს, წარმოადგენს ხატოვან-ექსპრესიული დახასიათების ფუნქცია“ (Назарян, 1987: 31-32).

სიტყვები წარმოადგენენ რა შემეცნების პროცესთან დაკავშირებულ, ნომინაციური ფუნქციის მქონე საშუალებებს, გამოხატავენ უფრო მდგრად და დღეგრძელ ცნებებს. ხოლო ფრაზეოლოგია კი, რომლის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, უფრო მეტად ექვემდებარება ცვლილებებს,

რადგანაც ენის კონკრეტული სფერო რომელსაც ის ემსახურება, უპირატესად მოსაუბრეთა გრძნობებთან და ემოციებთანაა დაკავშირებული. ფრაზეოლოგიზმები, როგორც ხატოვან-ექსპრესიული საშუალებები, უპირველესად გამოხატავენ მოცემული ცნებისადმი მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც უფრო ხშირად და სწრაფად იცვლება, ვიდრე თვით ეს ცნება; აქედანაა-ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობის უფრო დაჩქარებული და ინტენსიური განახლება ლექსიკურთან შედარებით (Назарян, 1987: 32-33).

ფრაზეოლოგიური სისტემის განვითარების თანამდევი პროცესია არა მარტო ახალი ერთეულების გაჩენა, არამედ მათი ნაწილის ხმარებიდან ამოღება ანუ „კვდომა“. დიაქრონული კვლევებიც ნათლად ადასტურებს, რომ ფრაზეოლოგია ამ მხრივაც განსხვავდება ლექსიკისაგან.

იქიდან გამომდინარე რომ სიტყვა წარმოიქმნება ახალი ცნების დასასახელებლად, ის ენაში იარსებებს თვით ამ ცნების მოძველებამდე ან გაქრობამდე. ანუ „კვდომის“ პროცესი უკავშირდება სიტყვის, როგორც ნომინაციურ ლინგვისტურ ფუნქციურ ბუნებას.

ფრაზეოლოგიზმის შემთხვევა კი-სრულიად განსხვავებულია. არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმების კვდომას, მათ მიერ აღნიშნული ცნებებისგან დამოუკიდებლად, ფრაზეოლოგიზმების საფუძვლად არსებული სახის, ხატის მოძველება იწვევს, ანუ კარგავს რა ფრაზეოლოგიზმი თავის აქტუალურობას, როგორც აზრის გამოხატვის ხატოვან-ექსპრესიული საშუალება ენის განვითარების მოცემულ ისტორიულ ეტაპზე, ფრაზეოლოგიზმი გადის ხმარებიდან (სურგულაძე, 2009: 7-8).

ა.გ. ნაზარიანის აზრით „ფრაზეოლოგიზმს გააჩნია მთელი რიგი თავისებურებებისა, რომლებიც განასხვავებენ მას როგორც სიტყვის, ისე თავისუფალი (ცვლადი) სიტყვიერი კომპლექსისაგან. ეს თავისებურებები ძირითადად შემდეგ ჩამონათვალამდე დაიყვანება: 1) ფე სიტყვისგან განსხვავებით წარმოადგენს ცალკე გაფორმებულ, რთულ ენობრივ წარმონაქმნს, რომელიც შედგება ორი ან მეტი კომპონენტისგან და რომელიც თავის შემადგენლობაში სულ მცირე ერთ,

დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვას შეიცავს; 2) ფე თავისუფალი სიტყვიერი კომპლექსისგან განსხვავებით, ხასიათდება ლექსიკური შემადგენლობის მდგრადობით (ფიქსირებულობით), თუმცა ამ მდგრადობის ხარისხი სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმებში შესაძლებელია ერთნაირი არ იყოს; 3) ფე-სთვის დამახასიათებელია გამოყენების მდგრადობა, თუმცა განსხვავებულ ერთეულთა ხმარების სიხშირე შესაძლებელია საგრძნობლად მერყეობდეს; 4) ფე თავისუფალი სიტყვიერი კომპლექსისგან განსხვავებით, მეტყველებაში არ იქმნება მოსაუბრის მიერ, არამედ გამოიყენება მზა სახით; 5) ფე-ს გააჩნია განსაკუთრებული სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ მისთვის, როგორც ენის ცალკე გაფორმებული ნაწილისთვის“ (Назарян, 1987: 36-37).

რა თქმა უნდა, ზემოხსენებული ნიშან-თვისებები ვერ იქნება საკმარისი და ამომწურავი ფრაზეოლოგიის კვლევის ობიექტის გამოსაყოფად. მათგანვე გამომდინარე, საკმაოდ ბევრ წინააღმდეგობასაც ვაწყდებით: მხოლოდ ფე-ს გაფორმება ვერ განაცალკევებს მას თავისუფალი და მდგრადი არაფრაზეოლოგიური შეთანხმებისგან; მხოლოდ სტრუქტურულ-გრამატიკული შემადგენლობის მდგრადობა არ კმარა ფრაზეოლოგიზმების გამოსაყოფად; გამოყენების მდგრადობის პუნქტიც სადავოა, ვინაიდან იგი დამახასიათებელია ენის ყველა ერთეულისთვის.

„ფრაზეოლოგიზაცია-ესაა სემანტიკური გარდაქმნის პროცესი, რომელიც განაპირობებს ენის ხარისხობრივად ახალი ერთეულების ჩამოყალიბებას“ (Назарян, 1987: 41).

შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, ვინოგრადოვით იწყება ფრაზეოლოგიის საფუძვლიანი კვლევა, მის შრომებში ჩამოყალიბდა ამ დარგის ძირითადი ამოცანები და კვლევის პრინციპები (თაბუაშვილი, 2016: 16). ბალისგან განსხვავებით, ვინოგრადოვის ფე-ების კლასიფიკაცია შემდეგ სამ ჯგუფს მოიცავს: ფრაზეოლოგიური შენაზარდები (Фразеологические сращения), ფრაზეოლოგიური მთლიანობა (Фразеологические единства) და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები (Фразеологические сочетания).

ვ.ვ. ვინოგრადოვის აზრით, უმთავრესია ის რომ გამოთქმა სემანტიკურად დაუშლელია. ფე-ები ენის ისეთი ერთეულებია, რომელთა მნიშვნელობა მათი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობებიდან არ გამომდინარეობს. ვ.ვ.ვინოგრადოვი შენაზარდს სემანტიკურ მთლიანობად, სიტყვის ტოლფარდად აღიარებს, რომელსაც შინაგანი ფორმა აქვს დაკარგული და მათ თანამედროვე ენის თვალსაზრისით ამორფული (უფორმო) ლექსიკური ნაწილების ქიმიურ ნაერთს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ვინოგრადოვს ეს მყარი გამოთქმები მიაჩნია იდიომებად (თაყაიშვილი, 1961: 16).

ავტორის აზრით, იდიომებთან (ფრაზეოლოგიურ შენაზარდებთან) ახლოს დგას ხატოვანი გამოთქმების მეორე დიდი ჯგუფი, რომლებსაც იგი ფრაზეოლოგიურ მთლიანობებს უწოდებს. „თუ მჭიდრო ფრაზეოლოგიურ ჯგუფში შენარჩუნებულია კომპონენტების გამოყოფის თუნდაც სუსტი ნიშნები, თუ გვაქვს თუნდაც ყრუ მინიშნება საერთო მნიშვნელობის მოტივაციაზე, ფრაზეოლოგიურ შენაზარდზე ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლება“ (მაგალითად: ქართ. კბილი დაასო, სახე ჩამოსტირის, ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია და სხვა). აქ ზოგადი მნიშვნელობა დაკავშირებულია კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობათა შეგრძნებასთან, მათს „პოტენციურ აზრთან“. როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფის ძირითადი მასისთვის დამახასიათებელია ხატოვანება. მათ ამოსავალშივე აქვთ „პოტენციური“ ხატოვანების უნარი“ (თაყაიშვილი, 1961: 16).

ვ.ვ. ვინოგრადოვის ზემოხსენებული კლასიფიკაცია ძირითადად სემანტიკურ პრინციპს ეყრდნობა ანუ წინა პლანზეა წამოწეული მნიშვნელობითი მხარე, მთელის მნიშვნელობის დამოკიდებულება კომპონენტების მნიშვნელობებთან, რაც ფრაზეოლოგიზმების შემთხვევაში მისაღებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომაც იყო რომ მკვლევართა უმრავლესობა ხშირად უცვლელად იმეორებდა ამგვარ დაყოფასა და იყენებდა სხვადასხვა ენების მიმართაც.

ვ.ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაციის სისწორეც გარკვეულ ეჭვს ბადებს. თანამედროვე ეპოქაში ნათელია ზემოხსენებული კლასიფიკაციის ნაკლი, რადგანაც წინამორბედის მსგავსად აქაც არ არსებობს ფრაზეოლოგიის განმსაზღვრელი ერთი

მთავარი პრინციპი. ბალის მსგავსად, ვინოგრადოვთანაც ფრაზეოლოგიის არსი გაურკვეველი დარჩა.

ა. კუნინი კომუნიკაციური ფუნქციიდან გამომდინარე, სტრუქტურულ სემანტიკურ პრინციპზე დაყრდნობით გამოყოფს ფრაზეოლოგიზმების ოთხ კლასს: 1.ნომინაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები; 2.ნომინაციურ-კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები; 3.ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც არც ნომინაციურია, არც კომუნიკაციური, ესაა შორისდებულისანი და უშორისდებულო ხასიათის მოდალური ფრაზეოლოგიური ერთეულები; 4.კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც წარმოდგენილია ანდაზებისა და ანდაზური თქმების სახით (Кунин, 1996: 199).

ნ.მ. შანსკი სტრუქტურულ (გრამატიკულ) კლასიფიკაციას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთან ეკვივალენტურობის თვალსაზრისით ახდენს და ფრაზეოლოგიზმებს შვიდ ძირითად ნაწილად ყოფს: ზმნური, სუბსტანციური, ზმნიზედური, ადიექტიური, შორისდებულისანი, მოდალური, კავშირიანი, რომელთაგან როგორც ავტორი აღნიშნავს, ყველაზე პროდუქტიული, სტრუქტურულად შედარებით ერთი ტიპის, პირველი სამი ჯგუფია (Шанский, 1985: 47).

ა.გ. ნაზარიანი თანამედროვე ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმებს სამ ძირითად სტრუქტურულ ტიპად ყოფს: 1. არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმები, მეტად მნიშვნელოვანი ფრანგული ფრაზეოლოგიური ფონდისთვის. ისინი თავის მხრივ შემდეგ ორ ქვეტიპად იყოფიან: ა) ერთწევრიანი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ერთი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვისა და ერთი ან რამდენიმე დამხმარე სიტყვისგან შედგებიან. მაგალითად: *à propos*-რადაცის თაობაზე, *en effet*-სინამდვილეში, *à la fois*-ერთბაშად, *rester court*-დაბნევა, *être à sec* (საუბ.)-უფულოდ ჯდომა; ბ) ფრაზემები ანუ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ორი ან მეტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვისგან და თავის მხრივ მაქვემდებარებელი და მაერთებელი ან მაერთებელ-მაქვემდებარებელი კავშირის კომპონენტებისგან შედგებიან; მაგ.: *nuit blanche*-უძილო ღამე, *se mettre en quatre* (საუბ.)-ვიღაცის გამო თავის არ დაზოგვა, *sain et sauf*-სად-სალამათი. 2. ნაწილობრივ პრედიკატული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გამოირჩევიან იმით, რომ გრამატიკულად წამყვან

მთავარ წევრს წინადადებაში დამოკიდებული წინადადების სახით შეესაბამება დამატება (პირდაპირი, ირიბი, გარემოებითი) ან განსაზღვრება. მაგ.: *Croire que les enfants naissent dans les choux*-მიამიტი, გულუბრყვილო ადამიანი; *vin qui fait danser les chèvres*-ძალიან მჟავე ღვინო. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებში პირველი წევრი შესაძლოა გამოხატული იყოს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ შესიტყვებითაც: *Fier comme un paon qui fait la roue*-ფარშევანგივით გაბღენძილი. თუმცა თანამედროვე ფრანგულ ენაში ამ ტიპის ფე-ების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. 3. პრედიკატული ფრაზეოლოგიზმები. რომლებიც პრედიკატულ სტრუქტურასთან ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენენ. იყოფიან ორ ქვეტიპად: ა) ჩაკეტილი სტრუქტურის პრედიკატული (შემასმენლიანი) ფე-ები, რომლებიც დასრულებულ აზრს გადმოსცემენ და სინტაქსურად გაფორმებული არიან როგორც მარტივი ან რთული წინადადებები. მაგ.: *Son compte est bon* (საუბ.)-წასულია მისი საქმე; დამსახურებულად მიიღო; *Comme on fait son lit, on se couche*-რასაც დასთეს, იმას მოიმკი. ბ) ღია სტრუქტურის პრედიკატული ფე-ები, რომლებიც დაუსრულებელ აზრს გადმოსცემენ და რომლებიც საჭიროებენ ცვლადი სიტყვებით განვრცობას. მაგ.: *Force lui est de...*-ის იძულებულია...; *ça va chercher dans...* - ფასი მალე მიაღწევს..., დაახლოებით ეღირება... (Назарян, 1987: 58-60).

კომუნიკაციური პლანიდან გამომდინარე, ფუნქციური თვალსაზრისით, ნაზარიანი, ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ორ დიდ ჯგუფს გამოყოფს: 1. არაკომუნიკაციურს, რომლებსაც არ გააჩნიათ სიტყვასთან მიმართებაში კომუნიკაციური (შეტყობინების) ფუნქცია. ამ ფე-ებს ხშირად აქვთ არაპრედიკატული სტრუქტურა. თავის მხრივ ის იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად: *ნომინაციური ფრაზეოლოგიზმები* (რომლებიც ასახელებენ ნივთებსა და ადამიანებს, მოვლენებს, ქმედებებს, მდგომარეობას, ხარისხს და ა.შ. ისინი ირიბი ნომინაციური ერთეულებია, რომლებიც მოცემულ საგანს ასახელებენ არაპირდაპირ), *დამხმარე ფრაზეოლოგიზმები* (წინადადებაში ასრულებენ დამხმარე ფუნქციას რთული თანდებულებისა და კავშირების სახით, შედეგად შეგვიძლია მათი დაყოფა თანდებულისა და მაკავშირებელ ფრაზეოლოგიზმებად), *შორისდებულისანი ფრაზეოლოგიზმები* (ენაში ასრულებენ ემოციურ ფუნქციას), *მოდალური ფრაზეოლოგიზმები* (მოსაუბრის მიერ

ნათქვამთან მისსავე სუბიექტურ დამოკიდებულებას ან შეტყობინების არსის შეფასებას გადმოსცემენ).

2. კომუნიკაციური, დამოუკიდებელი კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულებია. ისინი გვევლინებიან დამოუკიდებელი კომუნიკაციური ერთეულების სახით და წესისამებრ წინადადების⁶ ტოლფასია. მათ პრედიკატული სტრუქტურა გააჩნიათ. ეს უკანასკნელი შესაძლებელია დაიყოს კიდევ ორ ქვეჯგუფად: კომუნიკაციური არაანდაზური (გამოიყენება გარკვეული სიტუაციის ან მოვლენის დასახასიათებლად. ამ ფე-ების უმრავლესობას გააჩნია დახურული პრედიკატული სტრუქტურა) და კომუნიკაციური ანდაზური ფრაზეოლოგიზმები (დამრიგებლური ხასიათი აქვთ და ენაში დიდაქტიკურ ფუნქციას ატარებენ. მათ მიეკუთვნება ჩაკეტილი სტრუქტურის პრედიკატული შეთანხმებები ანუ ისინი სინტაქსურად ორგანიზებული წინადადებებია) (Назарян, 1987: 60-63).

მართალია, ზემოხსენებული თეორიებიდან გამომდინარე ზოგი მკვლევარი ანდაზებს ფრაზეოლოგიზმებს არ მიაკუთვნებს, ფაქტია რომ მათ ფე-ების მსგავსად, ყველაზე მეტად ახასიათებთ სპეციფიკური, სემანტიკური გარდაქმნის ფორმა. მაგ.: *C'est au fruit qu'on connaît l'arbre*-ზე ნაყოფით იცნობაო (თაბუაშვილი, 2016: 91).

„ფრანგული ფრაზეოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაზარიანი ასევე გვთავაზობს მათ სემანტიკურ კლასიფიკაციას, რომლის ყველაზე ობიექტური კრიტერიუმია კომპონენტების აზრობრივი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. ამ კრიტერიუმით გამოყოფილი ფე-ების ტიპები მოიცავენ: 1. *იდიომებს*, რომლებსაც ახასიათებთ კომპონენტების ორმხრივი აზრობრივი დამოკიდებულება, რაც გამოწვეულია მათი სრული სემანტიკური გარდაქმნით. მათ ერთიანი, გლობალური მნიშვნელობა აქვთ და ხასიათდებიან მოტივაციისა და კომპონენტების შედუღების განსხვავებული ხარისხით; 2. *უნივერსალურ ფრაზეოლოგიზმებს*, რომლებსაც ახასიათებთ კომპონენტების ცალმხრივი აზრობრივი დამოკიდებულება, მიზეზი მათი ნაწილობრივ სემანტიკური გარდაქმნაა. მათში სულ მცირე ერთი კომპონენტი

⁶ მსგავსს ფრაზეოლოგიზმებს ზოგიერთი მკვლევარი, როგორცაა ვ. ა. არხანგელსკი და ა. დ. რაიხშტეინი „მყარ ფრაზებს (устойчивые фразы)“ უწოდებს, ხოლო ი. ი. ჩერნიშევასა და ნ. მ. შანსკისთან ტერმინ „ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს (фразеологические выражения)“ ვხვდებით (ავტორის შენიშვნა-Назарян, 1987: 60)

მაინც ჩნდება თავისი უზუალური (პირდაპირი, გადატანილი, წარმოებული და ა.შ.) მნიშვნელობით. ამ ტიპის ფე-ებს შორის გამოიყოფიან მყარი კომპლექსები [...] სახელად „ფრაზეოლოგიური შესიტყვებები“ (Назарян, 1987: 64).

ა. თაყაიშვილის აზრით, „[...] სამართლიანია მოთხოვნა გაერთიანდეს მყარი შესიტყვებების ეს ორი ტიპი⁷ და მათ იდიომი⁸ ეწოდოს. ამაზე დაყრდნობით, მთელი ფრაზეოლოგია წარმოგვიდგება ორ ჯგუფად: ერთია-იდიომები, მეორე-ფრაზეოლოგიური შესიტყვებები“ (თაყაიშვილი, 1961: 20).

1.5. ფრაზეოლოგიის ეროვნული ხასიათი

„ფრაზეოლოგიზაცია, როგორც ლინგვისტური მოვლენა უნივერსალურია, ვინაიდან ის ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა მიუხედავად ამისა, თითოეულ ენაში მას გამოხატვის თავისი განსაკუთრებული ფორმები აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ ფრაზეოლოგიზმებს, როგორც ცალკე გაფორმებულ ენობრივ წარმონაქმნებს უფრო დაბალი დონის ერთეულებთან-ფონემასთან, მორფემასთან, სიტყვასთან-შედარებით უფრო რთული ლექსიკურ-გრამატიკული, განსაკუთრებით კი, შინაარსობრივი სტრუქტურა გააჩნიათ, რომლის წარმოქმნაშიც უფრო მეტად ექსტრალინგვისტური ფაქტორები მონაწილეობენ. ეს ფაქტორები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ფე-ების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, განაპირობებენ მათ ეროვნულ ხასიათს. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ფრაზეოლოგია ენათმეცნიერების დარგია, რომელშიც განსაკუთრებით ნათლადაა გამოხატული ენის ეროვნული თვითმყოფადობა“ (Назарян, 1987: 33-34).

ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ეროვნული ხასიათი ისტორიამ, საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა როგორც საკუთარმა მშობლიურმა, ასევე სხვა ენებიდან შემოჭრილმა მასალამ განაპირობა. ფრანგი და ქართველი ხალხის უძველეს,

⁷ საუბარია ვინოგრადოვისეული კლასიფიკაციის ორ ჯგუფზე: ფრაზეოლოგიური შენაზარდებისა და ფრაზეოლოგიური მთლიანობის გაერთიანებაზე.

⁸ ტერმინები „ფრაზეოლოგიზმი“ და „იდიომი“ თავიანთი შინაარსით ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან. ამასთან, ფრაზეოლოგიზმის ცნება უდრო ფართოა, ვიდრე იდიომისა. პირველი მოიცავს მეორეს (თაყაიშვილი, 1961: 20)

ამოუწურავ, უძვირფასეს სულიერი და გონებრივი მოღვაწეობის ნაყოფს სწორედაც რომ ეროვნული სულისკვეთება უდევს საფუძვლად. ის წითელ ზოლად გასდევს მთელ ფრაზეოლოგიურ სისტემას და ფე-თა სტრუქტურულ-გრამატიკულ, ლექსიკურ, სტილისტიკურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ თავისებურებებში გამოიხატება, თუმცა ყველაზე აშკარად მაინც სემანტიკურ ნაწილში წარმოჩნდება. ეს თვითმყოფადობა სხვადასხვა ენაში ფრაზათწარმოქმნის განსხვავებული ფორმების გამოყენებასა და გაგებაში გამოიხატება, რომლებიც მხოლოდ მოცემული ენისთვისაა დამახასიათებელი და კოდირებულია ახალი იდიომებისთვის გამზადებულ კონკრეტულ „ხატებში“. მართლაც ფრაზეოლოგია „ახდენს ამა თუ იმ ერის კულტურისა და ფსიქოლოგიის მთელი რთული კომპლექსის, მისი ხატოვანი აზროვნების განუმეორებელი ხერხის კონდენსირებას“ (Ройзензон, 1972: 13 ციტირებულია ნაზარიანის მიერ, 1987: 35).

მართალია ზოგიერთი ფე (ფრანგებთან ვხვდებით: *prendre des vessies pour des lanterns* (პრდ. მოგეჩვენოს შარდის ბუმტი ფარნად)-მწარედ მოტყუება, *L'habit ne fait pas le moine* (პრდ. მხოლოდ ტანსაცმელი არ აქცევს ბერ-მონაზვნად)-მგელი ცხვრის ტყავში ანუ გარეგნობით მსჯელობა შეუძლებელია) და მისი მნიშვნელობა გასაგები და თითქოს ნაცნობია კიდევ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეთათვის, თუმცა მათ საწყისში ჩადებული „ხატები“, მათი საფუძველი, სპეციფიკურია. მაშასადამე: „როგორც ჩანს ისინი გამოხატავენ მოცემული ენების მატარებელი ხალხების ეთნოფსიქოლოგიას. ამიტომაც განსხვავდებიან“ (Назарян, 1987: 35).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთქმული ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია და განაპირობებს იდიომების თარგმნისა და ეკვივალენტების მოძიების სირთულის საკითხს, რაც ხანდახან შეუძლებელიცაა. სწორედ ამიტომ, ფრაზეოლოგიის კვლევისას უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია შესასწავლი ენების სპეციფიკა.

ვ.ა. მასლოვას სიტყვებით „ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკაში ერის კულტურის განვითარების ხანგრძლივი პროცესია ასახული, ისინი აფიქსირებენ და თაობიდან თაობებს გადასცემენ კულტურულ ასპექტებსა და სტერეოტიპებს, ეტალონებსა და არქეტიპებს. [...] ეს არის მთელი ეროვნული ენის სული, რომელშიც

განუმეორებლად აისახება ერის სულიცა და თავისებურებაც“ (Маслова, 2001: 63). „ფ.ი.ბუსლაევის აზრით ფრაზეოლოგიზმები თავისებური მიკროსამყაროებია, რომლებიც „მოიცავენ ზნეობრივ კანონსაც და საღ აზრსაც, გამოხატულს ლაკონური ნათქვამის სახით, რომლებიც შთამომავლობას სახელმძღვანელოდ უანდერძა წინაპრებმა“ (Буслаев Ф.И ციტირებულია მასლოვას მიერ, 2001: 63).

„ვ.ნ. თელია წერს, რომ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობა ესაა „სარკე, რომელშიც ლინგვოკულტურული საზოგადოება მისი ეროვნული თვითშეგნების იდენტიფიცირებას ახდენს“, სამყაროს, სიტუაციის განსაკუთრებულ ხედვას ენის მატარებლებს სწორედ ფრაზეოლოგიზმები ახვევს თავს“ (Маслова, 2001: 64).

„ენას ახსოვს და ინახავს საიდუმლოებებს, მათში ჩამალულია უდიდესი აზრი“ (Касевич В.Б. ციტირებულია თელიას მიერ, 1996: 230). კონკრეტული ენის მატარებელი, ქვეცნობიერად მოცემული ენის კულტურის ერთგვარი „სკივრია“, რომელშიც ფაქიზადაა ჩალაგებული სულიერი თუ მატერიალური კულტურის ელემენტები, ტრადიცია, ერის მენტალიტეტი, გამოცდილება, სიბრძნე და დაგროვილი ცოდნა. თურმე, ადამიანი ენობრივი კომპეტენციის გარდა, კულტურულსაც გენეტიკურად ფლობს და მათ ადრეული ასაკიდან ეზიარება. ქვეცნობიერად მოცემული საგანძურის რეალიზება გარე სამყაროში ენით ხდება. ეს პროცესი ბუნებრივად მიმდინარეობს, რასაც თელიაც ეთანხმება „ენით „თავსმოხვეული“ კულტურულ-ეროვნული თვითშეგნება „დედის რძესთან ერთად“ შეიწოვება. სრულად ათვისების შემდეგ, ეს ინფორმაცია, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ენობრივი ერთეულებით აღდგება და იწარმოება, მათ შორის-კულტურულად მნიშვნელოვანიც, რომელიც შესაძლებელია გაჩნდა კულტურულ-ეროვნული კონოტაციის სახით წარმოდგენილი ფაქტების ანალიზისას, ენის მატარებლის მიერ მისი შინაარსის ამა თუ იმ სიღრმეებში წვდომისას“ (Телия, 1996: 232-233).

კულტურულ-ეროვნულობა განსაკუთრებით ახასიათებთ იდიომებს, ისინი ხომ ხატისა და მსოფლმხედველობის „ნაზავია“. ენაში კი „რჩება და მყარდება-ფრაზეოლოგიზმებად იქცევა სწორედ ის ხატოვანი გამონათქვამები, რომლებიც კულტურულ-ეროვნულ ეტალონებთან, სტერეოტიპებთან, მითოლოგიებთან და ა.შ.

ასოცირდება, რომლებიც მეტყველებაში გამოყენებისას ამა თუ იმ ლინგვოკულტურული საზოგადოების დამახასიათებელ მენტალიტეტს ქმნიან“ (Телия, 1996: 233).

სწორედ, იდიომების ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს ეროვნულ-კულტურული ფონის გავლენა და შედეგად ჩამოყალიბებული ეროვნული მენტალიტეტით გამსჭვალული ფრაზეოლოგიზმების ხასიათი.

ამრიგად, ამ თავში მოკლედ შევაჯერეთ ფრანგ, რუს და ქართველ ენათმეცნიერთა კვლევები ფრაზეოლოგიის დარგის, ობიექტისა და შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მომივიხილეთ ფრაზეოლოგიის განვითარების ეტაპები და წარმოვადგინეთ შემდეგ მკვლევართა შეხედულებათა და თეორიულ ნაშრომთა ანალიზი: *ფრანგულ ენათმეცნიერებაში* - მ. რა, ჟ. მარუზო, პ. გირო, ა. რეი, ს. შანტრო, ი. გონზალეზ რეი, ა.პამიეს ბერტრანი და ა.შ. *რუსულ ენათმეცნიერებაში* - ვ.ვ. ვინოგრადოვი, მ.მ. ბაბკინა, ს.გ. გავრინი, ვ.პ. ჟუკოვი, ბ.ა. ლარინი, ვ. მ. მოკიენკო, მ.ტ. ტაგიევა, ვ.ნ. თელია, ნ.მ.შანსკი, იუ. დ. აპრესიანი, ვ.გ. გაკი, ა.გ. ნაზარიანი, კ.დ. პრიხოდკო, ი.ი. რეცკერი, ი.ნ. ტიმესკოვა, ა.ვ. კუნინი, ე.ვ. პოლივანოვი, ნ.ნ. ამოსოვა და ა.შ. *ქართულ ენათმეცნიერებაში* - თ. სახოკია, ა. ნეიმანი, ქ. კანდელაკი, ა. ონიანი, ა. ფრანგიშვილი, გ. შალამბერიძე, ნ. გამრეკელი, ე. მაგლობლიშვილი, ლ. ლეჟავა, ალ. კობახიძე, თ.შავიშვილი, ა. თაყაიშვილი, ი. ლობჟანიძე, ქ. ჯაში, ნ. სურგულაძე, ც. ახვლედიანი, ც. ბიბილეიშვილი, ლ. დარაშვილი, რ. გაჩავა, ნ. სტამბოლიშვილი, ი. გომხეთელიანი და ა.შ. შედეგად, ამ დარგში არსებული კვლევები, ცხადყოფს მის, როგორც ენათმეცნიერების დამოუკიდებელ დისციპლინად ფუნქციონირების აუცილებლობას. წარმოვადგინეთ, ფრაზეოლოგიზმების ფუნქციური დანიშნულებანი ენაში და მათი კლასიფიკაციები სხვადასხვა მეცნიერთა თვალსაზრისით. აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმების ეროვნული სახიათი. იდიომების ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს ეროვნულ-კულტურული ფონის გავლენა და შედეგად ჩამოყალიბებული ეროვნული მენტალიტეტით გამსჭვალული ფრაზეოლოგიზმების ხასიათიც.

თავი II. ფიტონიმებით შედგენილი იდიომების კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში

2.1. ფიტონიმების რაობა და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია

ფიტონიმები ლინგვისტიკაში კვლევის ახალი სფეროა. მართალია ამჟამად ნაკლებად შესწავლილია, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ისინი ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქოლინგვისტიკის, ეთნობოტანიკის, ეთნოლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლის ობიექტი გახდა, შედეგად საკმაო რაოდენობის ნაყოფიერი ნაშრომებიც დაიწერა.

მცენარეთა სამყაროსთან ადამიანი საკმაოდ მჭიდრო კავშირში იყო და არის: მათ საკვებად, სამკურნალოდ, საყოფაცხოვრებო და ესთეტიკური დანიშნულებისამებრ იყენებს. ვერბალიზებულმა და მეტაფორულად გადააზრებულმა მცენარეთა სამყარომ თანამედროვეობასა და კულტურაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა: საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება ადამიანური ხასიათისა და მის ირგვლივ არსებული სამყაროს აღსაწერად, შესაბამისად ლექსიკონებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. „მცენარის სახელის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებას ადამიანისა და მასთან დაკავშირებულ საგანთა, მოვლენათა, ცნებათა ხატოვანი დახასიათების შექმნის მიზნით ფიტომორფიზმები ჰქვია“ (Сутормина, 2012: 311).

„ფიტომორფიზმი ასახავს სამყაროს აღქმის თავისებურებებს ეროვნული კულტურისა და ენობრივი პრიზმის ჭრილში. ეროვნული თავისებურება შესაძლებელია გამოვლინდეს ტიპურ ასოციაციებში, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ სახესთან, ანუ ის შეიძლება გამოვლინდეს ხატოვანი ფორმით ეროვნულ სპეციფიკაში“ (Сетаров, 2005: 94).

პიროვნებაზე მცენარეთა მახასიათებლებისა და დასახელების გადატანის შესაძლებლობა „[...] ერთი მხრივ, აიხსნება მცენარეთა შესახებ ადამიანის აზროვნებაში არსებული და აღიარებული წარმოდგენებით, მეორე მხრივ კი, ადამიანის უძველესი აზროვნების თავისებურებით, რომელიც ანთროპომორფიზმის-კენ იხრებოდა. ამდენად, ფიტომორფიზმი მჭიდრო კავშირშია სხვა, საწინააღმდეგო

მოვლენასთან ანთროპომორფიზმთან-ადამიანისთვის დამახასიათებელი ფსიქოლო- გიური თვისებების გადატანასთან ბუნების მოვლენებზე ან ცხოველებზე. ფიტომორფიზმი და ანთროპომორფიზმი-საკითხის ორი მხარეა: ადამიანის ფიტონიმით აღნიშვნისას, ჩვენ ვაფასებთ ამავე მცენარეს და მასვე მივაწერთ ადამიანის ამა თუ იმ ხასიათს“ (Сетаров, 2005: 93). რ.დ. სეტაროვის აზრით, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ერის წარმოდგენები მცენარეთა და ცხოველთა შესახებ ემთხვევა, რაც მყარი გამონათქვამების მნიშვნელობათა მსგავსებით აისხნება. „თუმცა ასოციაციებისა და კონოტაციების სისტემებსა, რომელსაც უკავშირდება მოცემული მცენარის შესახებ ადამიანების წარმოდგენა, და ფიტომორფიზმებს-მცენარის დასახელების მეტაფორულ გამოყენებას შორის, სრული მსგავსება არ არსებობს“ (Сетаров, 2005: 94).

ფიტომორფიზმების ეროვნულ სპეციფიკას განაპირობებს როგორც ეროვნულ- კულტურული ტრადიციები, ასევე დედამიწის სხვადასხვა ნაწილის მცენარეთა ნაირსახეობა და გეოგრაფიული მდებარეობა. ამიტომაც ყოველთვის ვერ ხერხდება ფიტონიმური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირება. *სწორედ ეს განაპირობებს ფიტონიმური იდიომების შესწავლის აუცილებლობის საკითხს.*

სხვადასხვა კრიტერიუმების არჩევის გამო, არ არსებობს ფიტონიმთა ლინგვისტური კლასიფიკაციის ერთგვარი სისტემა. ამას ართულებს ისიც, რომ ენაში პოლისემიის მოვლენის გამო, ტ.ვ. ცოის აზრით, სიტყვის, როგორც მცენარის მნიშვნელობა, მეორე ან მესამეა, ან რადგანაც ფიტონიმურ სიტყვას ახასიათებს აზრობრივი განვითარებისა და ახალი სემანტიკის შექმნის პრაქტიკა, მისი ფიტონიმური მნიშვნელობა მიჩქმალულია, რაც კვლევისას ნათლად წარმოჩნდა და რასაც სრულიად ვიზიარებთ. ტ.ვ. ცოი ფიტონიმების დიფერენციაციას ახდენს ლექსიკურ-სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით, თუმცა რა ნიშან-თვისებებს იყენებს საფუძვლად მცენარეებისა და ყვავილების დაყოფისას ბუნდოვანია: მცენარეები: მიხაკი, ნარგიზი, ორქიდეა, სალბი და ა.შ.; ხეები: ვაშლის, თელის, ჩინარის და ა.შ.; მარცვლეული: ხორბალი, ჭვავი, ქერი; ყვავილები: ასტრა, გეორგინი, ენძელა, ია , ვარდი, გვირილა და ა.შ.; ბოსტნეული: ბადრიჯანი, თაღამი, კომბოსტო, ჭარხალი და ა.შ.; ხილი: ფორთოხალი, საზამთრო, ბანანი, ნესვი, ატამი; ბუჩქები:

კოწახური (ბარბარისი), მაყვალი, ძახველი, ხურტკმელი; ბალახები: ისლი, მრავალპარღვა და ა.შ. (Циц, 1985: 220-222 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 91-92).

გამოიკვლია რა ფიტონიმების კონოტაციური (დამატებითი, თანმდევი) მნიშვნელო-ბა, ლ.ფ. პუცილევა, გვთავაზობს თემატურ და აქსიოლოგიურ კრიტერიუმებზე ორიენტირებულ კლასიფიკაციას.

თემატური ნიშნით შერჩეულ ფიტონიმებს, მკვლევარი ყოფს ორ ჯგუფად: პირველში წარმოდგენილია ფიტონიმები ანთროპომორფული კონოტაციური მნიშვნელობით, აქვეა ლექსემები, რომლებიც უშუალო კავშირში არაა ფიტონიმებთან (როგორებიცაა მცენარეთა და მათი ნაწილების დასახელება) ე. წ. „ხის ნარჩენები“ (ნახერხი, ნაფოტი, ნატეხი). პირველი ჯგუფი იყოფა ა და ბ ქვეჯგუფებად: *ქვეჯგუფი ა* წარმოდგენილია ფიტონიმებით, რომელთა კონოტაციური მნიშვნელობა უკავშირდება *გარეგნულ იერს, ასაკს, ფიზიკურ მდგომარეობას* და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: გარეგანი იერი (ლამაზი/უშნო); გარეგანი იერი ძირითადად პირდაპირ კავშირშია ასაკთან, ფიზიკურ მდგომარეობასთან. *სილამაზეს და ახალგაზრდობას* შემდეგი ფიტონიმები გადმოსცემენ: *კვირტი, ატამი, ვარდი, ია, ყვავილი, კენკრა*. ულამაზობა, გარდატეხის ასაკი, ულამაზო აღნაგობა გამოიხატება შემდეგი ფიტომორფიზმებით: *სოკო, ხარისფაშვა, ჭოტაკი⁹ და ა.შ.* სახის, თავის, პირის დასახასიათებლად მყარ გამოთქმებში იხმარება შემდეგი ფიტონიმები: *კარტოფილი, ატამი, ვარდი, ჩალა, ვაშლი, ოროვანდი; სიმალღე (მაღალი/დაბალი); აღნაგობა (გამხდარი, მსუქანი, მოუხერხებელი, სუსტი და ა.შ.); ფიზიკური მდგომარეობა (ძლიერი, ნორჩი, გაფურჩქნილი/სუსტი, ღონემიხდილი, ავადმყოფი)*; ფიტონიმები *კენკრა* და *კიტრი* გამოხატავენ *ახალგაზრდობას, სინორჩეს, ღონემიხდილს-ლიმონი, ბაბუაწვერას; ასაკი (ახალგაზრდობა, სიჭაბუკე/სიბერე)*. *სიჭაბუკეს* გამოხატავს ფიტონიმი *კვირტი*, *ახალგაზრდობას-ვარდი, ატამი, სიბერეს-კუნძი, სოკო* და *ა.შ.* როგორც ჩანს, ზემოხსენებული ნიშან-თვისებები მუდამ კვეთენ ერთმანეთს, ამიტომაც ლ.ფ. პუცილევა, მათ სხვადასხვა ქვეჯგუფში აერთიანებს.

⁹<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98> (მოძიებულია 26.05.18)

ქვეჯგუფი ბ წარმოდგენილია ფიტონიმებით, რომელთა კონოტაციური მნიშვნელობა უკავშირდება ადამიანის ხასიათსა და ქცევას. ამ ქვეჯგუფში ფიტომორფიზმებს შემდეგი დანიშნულება აქვთ: ადამიანის მორალურ-ეთიკური თვისებები: ნარგიზი (საკუთარ თავზე შეყვარებული), მუხა (ჯიუტი); სოციალურ-კომუნიკაციური თვისებები: ხის ნაჭერი, კუნძი, მუხა (უგრძნობი, გულგრილი); ეკალი, კაქტუსი, ჭინჭარი (გესლიანი, ჯიუტი); ინტელექტუალური თვისებები: მუხა, კორპი, ჯირკი (გონებაჩლუნგი, სულელი, ყეყეჩი), ოროვანდი (უბრალო, მოუსაზრებელი).

მეორე ჯგუფს ლ. ფ. პუცილევა მიაკუთვნებს ანთროპომორფული (ადამიანის მსგავსი) მნიშვნელობის არმქონე ფიტონიმებს. ხშირად ამ კონოტაციის რეალიზება მეორად ნომინაციებში, მეტაფორულად ვერბალიზებულ ყველაზე განსხვავებულ აბსტრაქტულ ცნებებში, მოვლენებში, ფენომენებში ხდება. ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: მცირედი ნაწილი-მარცვალი; საწყისი, წყარო-ფესვი, თესლი, ყლორტი; შედეგები-ხილის ნაყოფი; რაღაც საჩოთირო-მარწყვი; ახალგაზრდობა-(ნორჩი) ნაყარი.

აქსიოლოგიური ნიშნით შერჩეული ფიტონიმების კონოტაციურ მნიშვნელობას ავტორი ყოფს მელიორაციულ (გამაუმჯობესებელ), პეიორაციულ (დაცინვით, აგდებით) და ნეიტრალურ ნაწილებად.

პირველი ჯგუფის ა ქვეჯგუფში „გარეგნული იერი, ფიზიკური მდგომარეობა, ასაკი“ ჭარბობს მელიორაციული კონოტაციის მქონე ლექსემები (ვარდი, კვირტი, კენკრა, ალვის ხე), შედარებით მცირეა პეიორაციული კონოტაციის მატარებელი ლექსემები (სოკო, კომბოსტოს თავი, ნამძვი, თალგამი, შხამასოკო), ძალიან ცოტაა შეფასებით ნეიტრალური კონოტაციის მქონე ლექსემები, რადგანაც დახასიათება ხდება მხოლოდ ფერის მიხედვით (თეთრი, ღია ფერის თმები). ქვეჯგუფ ბ-ში „ადამიანის ხასიათი და ქცევა“ ყველა კონოტაცია პეიორაციულია (კაქტუსი, ნარგიზი, ხილი, ოროვანდი და ა.შ.).

ავტორის აზრით, მეორე ჯგუფის „არაანთროპომორფული კონოტაციური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა“ კლასიფიკაცია აქსიოლოგიური ნიშნით რთულია,

რაც დაკავშირებულია იმასთან რომ მეტაფორულად აბსტრაქტული ცნებებისა და მოვლენების შეფასებისას, ადამიანი უფრო შორდება მათ, გამოხატავს რა ნაკლებ ემოციას. თუმცა ზოგიერთ მეტაფორულ მახასიათებლებს საკმაოდ ნეიტრალური ბუნება აქვს (მარცვალი, ყლორტი, ფესვი, თესლი) (Пуцилева 2008 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 95-98).

მეცნიერული თვალსაზრისით ფიტონიმების კიდევ ერთი კლასიფიკაცია სულ ახლახანს გაჩნდა. ო.გ. რუბცოვა თავის დისერტაციაში „სამკურნალო მცენარეთა დასახელებები განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებში“ გვთავაზობს ფარმაკოფიტონიმური ლექსიკის კლასიფიკაციისთვის შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებას: 1. მედიცინაში გამოყენება (სისხლდენის შემაჩერებელი, სამკურნალო, მავნე, დაავადებული ორგანოს დასახელების მქონე, მედიცინაში უნივერსალური გამოყენების მქონე ფიტონიმები); 2. საყოფაცხოვრებო დანიშნულებისამებრ გამოყენება (მცენარეთა დასახელება, რომლებიც ცხადყოფენ მათ მეცხოველეობაში, ყოველდღიურ ცხოვრებასა და კულინარიაში გამოყენებას); 3. მცენარის გემო და სუნი; 4. მცენარის გარეგნული იერი (დასახელება, რომელიც ხაზს უსვამს რეალიის ღეროს აღნაგობას, ახასიათებს აღნაგობასა და დენოტატის ყვავილის შეფერილობას, ეკლიანობას, ფოთლების, ნაყოფის, თესლის აღნაგობას, ადასტურებს მცენარის ან მისი ნაწილების შესაძლებლობას გამოყოს სითხე); 5. მცენარის აღმოცენების ადგილი და პირობები (მცენარეთა დასახელებები, რომლებიც დისკომფორტს უქმნიან ადამიანებს, რომლებიც იზრდებიან სიმშრალეში, წყლიან გარემოში, ტოპონიმებთან (გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებებთან) დაკავშირებული); 6. მცენარის ყვავილობის დრო; 7. ფერის აღმნიშვნელი (აღნიშნავენ მუქი შეფერილობის დენოტატს, თეთრი ფერის რეალიას, ხაზს უსვამენ სიმკვეთრის დენოტატს (წითელი, ყვითელი), მოიცავენ ლურჯის სხვადასხვა ელფერს); 8. ფაუნასთან დაკავშირებული ლექსიკა; 9. ხალხური ცრურწმენა: ივან კუპალას¹⁰ დღესასწაულთან დაკავშირებული ფიტონიმური ლექსიკა; 10. რელიგიური წარმოდგენები; 11. ანთროპონიმები (ადამიანის საკუთარი სახელები) (Рубцова 2015 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 98-100).

¹⁰ ივან-კუპალა-აღმოსავლეთ სლავების უძველესი დღესასწაული, რომელიც ზაფხულის ბუნიაობას ემთხვეოდა (იგივე ივანობა). <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=100161> (მოძიებულია 14.03.20)

2.2. ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები ფრანგულ ენაში

ფიტონიმები, სემანტიკურად მრავალფეროვანი და მრავალმნიშვნელოვანი ლექსიკის ერთ-ერთი სახეობაა, რომლებიც მცენარეთა გარკვეულ მახასიათებლებს მოიცავენ. მცენარეთა კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიზმებში, რომლებიც ხატოვნად ახასიათებენ გარკვეულ საგანსა თუ ადამიანს, მკაფიოდაა ასახული კონკრეტული ენის მატარებლის შინაგანი სულიერი სამყარო. „სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის არსებობისა და ფორმირების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ენა. მოღვაწეობის პროცესში ობიექტური სამყაროს აღბეჭდვით, ადამიანი სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივ ფორმაში აღბეჭდილ ცოდნათა ერთობლიობა ქმნის [...] სამყაროს ენობრივ სურათს“ (Маслова, 2001: 49). სწორედ სამყაროს ენობრივი სურათი „აყალიბებს ადამიანის ურთიერთობას მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსთან, საკუთარ თავთან, რის შედეგადაც ადამიანი ასახელებს გარშემო არსებულ ნაცნობ სამყაროს. ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვოკულტურულ ასპექტში, ასახავს რა ერის კულტურასა და მსოფლიო კულტურას მთლიანობაში“ (Гончарова 2012 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 8).

ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ფონდი უმდიდრესია. მასში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მცენარეთა სამყაროს ელემენტების შემცველი იდიომები. მითოლოგიური, რელიგიური თუ სხვა წარმოშობისა, ისინი მჭიდრო კავშირშია ადამიანის გარემომცველ სამყაროსთან და მასში არსებულ ობიექტებთან, სულიერ და კულტურულ სამყაროსთან და ერთად სრულ ჰარმონიას ქმნიან. ე.მ. მარკოვა წერს: „მცენარეთა სახელდება ხდება მათი გარეგნული იერის, ხასიათის, სუნის, ფერის, აღმოცენების ადგილის, ყვავილობის დროის საფუძველზე. ზოგისა კი-იმ ცხოველების სახელთა მიხედვით, რომლებიც მათ ირგვლივ ცხოვრობენ ან მათი მეშვეობით იკვებებიან. ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მცენარეთა სახელდების მეტაფორულ და მეტონიმურ ხერხებს, რომლებიც გამოხატავენ მოლაპარაკის სუბიექტურ კავშირს დასასახელებელ ობიექტებთან“ (Маркова 2008 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 14). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ფრანგულ და

ქართულ ენებში ზოგიერთი მცენარის სახელი პირდაპირ გადმოტანილია ლათინურიდან ან ბერძნულიდან.

ვ.ბ. კოლოსოვას აზრით, „მცენარეთა სახელი ანთროპონიმებიდან მომდინარეობს. ის ნაშრომში განიხილავს მცენარის დასახელების გადატანის მოტივაციას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მცენარეთა სახელებს განეკუთვნებიან მითოლოგიური პერსონაჟი, კალენდარული დღესასწაული, რომელიც მცენარეთა ყვავილობის დროს ემთხვევა, ლეგენდები“ (Колосова 2008 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 14).

ხატოვანი თქმების შემადგენლობაში ჩაქსოვილი მცენარეთა დასახელებები ცალკეული ადამიანის შინაგან თუ გარეგან თვისებებს გადმოსცემენ. ფიტონიმური იდიომების შესწავლა, შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს სამყაროს ენობრივი სურათის შესაქმნელად საჭირო, მეტად მნიშვნელოვანი ის ენობრივი ელემენტები, რომლებშიც აისახება ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციები, შეფასებები, მისი მიმართება და ურთიერთკავშირი სამყაროსა და სხვა მოვლენებთან. „მცენარეთა სახელები ერის მსოფლმხედველობის შესახებ ინფორმაციის უმდიდრესი წყაროა, რაც ლინგვოკულტუროლოგიური შედარებისთვის აქტიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს“ (Кропотухина 2011 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 15).

„ფიტონიმები, როგორც სემანტიკური ლექსიკის ერთ-ერთ სახეობა, მოიცავს რა მცენარეთა გარკვეულ მახასიათებლებს, ასახავს ადამიანთა სულიერ სამყაროს. ლინგვოკულტურულ ასპექტში მათი შესწავლა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ ერის მრავალგვარი ენობრივი მოვლენების შესახებ, ასევე შესაძლებელს ხდის თვალყური მივადევნოთ, იმას თუ როგორ იჭრება არაენობრივი სინამდვილე ენაში. ფიტონიმთა ტექსტში ფუნქციონირების თავისებურება, წარმოადგენს სამყაროს ეროვნულ სურათს, რომელიც ასახვას პოულობს ენობრივ ერთეულთა სემანტიკაში იმ სიტყვების მნიშვნელობათა და ასოციაციათა საშუალებით, რომლებსაც განსაკუთრებული კულტურულ-სპეციფიკური მნიშვნელობები გააჩნია“ (Ли, 2015: 14).

ფიტონიმური ლექსიკა ოდითგანვე იწვევდა მკვლევართა ინტერესს, ლინგვისტებისათვის კი ის უფრო და უფრო საინტერესო ხდება. იქედან

გამომდინარე, რომ ბოტანიკური დასახელებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვა ტერმინთა სისტემებისაგან-თითქმის ყველა მცენარეს (იქნება ეს ბალახი, ყვავილი, სოკო და ა.შ.) გარდა სამეცნიერო დასახელებისა, ლიტერატურული და ხალხური დასახელებებიც მოეპოვებათ. ამიტომაც, თითოეული მცენარის სახელი, მეცნიერებაში ხშირად ცალკე განიხილებოდა. ამასთან „მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოტივაციურ-ნომინაციური ველები, რომლებიც ექსპრესიულად გამოხატავენ შესასწავლი ენების ეროვნულ-კულტურულ ან უნივერსალურ მახასიათებლებს: მცენარეთა სახელების რელიგიურ-მითოლოგიური წარმოშობა, მსგავსება საყოფაცხოვრებო ნივთებთან ან სხეულის ნაწილებთან (ადამიანის, ცხოველის და ა.შ.)“ (Ли, 2015: 14). ამასთან, „ნ.ი. პანასენკომ მცენარეთა სახელებზე დაკვირვებისას დაასკვნა, რომ კულტურულ კომპონენტთან დაკავშირებული ფიტონიმთა ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია“ (Панасенко, 2010: 151 ციტირებულია ლის მიერ, 2015: 14).

„მცენარეთა სამყარო-ადამიანის გარშემო არსებული რეალობის შემადგენელი განუყოფელი ნაწილია, რაც ენაში პოულობს ასახვას: მეცნიერთა აზრით, ფიტონიმები ლექსიკის ერთ-ერთი უძველესი პლასტია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა მოვლენათა ენობრივ კონცეპტუალიზაციაში“ (Комарова и др., 2004 ციტირებულია ფატკულინას მიერ, ... 2016: 93).

“[...] ფოლკლორიდან დაწყებული თანამედროვე ლიტერატურის ჩათვლით, რთულია იპოვო ისეთი ტექსტები, სადაც არ შეგხვდებათ ფიტონიმები-ხეების, ყვავილების, მცენარეების, კენკროვანთა და მათ შემადგენელთა (ფესვი, ფოთოლი და მისთ.) დასახელებები. [...] ფიტონიმები უდიდესი კონოტაციური მუხტის მატარებლებია და საკმაოდ დიდ მეტაფორულ პოტენციალს ფლობენ“ (Фатюшина, 2013: 421). ისინი „[...] როგორც ჩვეულებრივ-კოგნიტური (შემეცნებითი) ნომინაციის პროდუქტი, ის ასახავს ერის მენტალიტეტის თავისებურებებს მცენარეთა სამყაროსთან მიმართებაში“ (Петракова, 2015: 152).

ყოველი ენა სამყაროს აღქმის და მოწყობის მისეულ საშუალებებს, ანუ სამყაროს ენობრივ სურათებს ფლობს. ფიტონიმებით შედგენილი ენობრივი სურათები კი გარკვეული სიმბოლიკისა და ინფორმაციის წარმოჩენის საუკეთესო მიგნებაა.

კულტურა მთელი თავისი სიღრმითა და სიდიადით ფრაზეოლოგიზმებშია ჩაქსოვილი. მყარ გამონათქვამებში იმპლიციტურად მოცემული ეროვნული კულტურა, მიმართულია სუბიექტისადმი და ერთგვარი ინდივიდუალური შინაგანი უკიდევანო სამყაროს მენტალური აზროვნების უნიკალური ნაყოფია, რომელიც ენის საშუალებით ან კალმით ფურცელზე რეალიზდება მეტყველებაში. სწორედ ეს უნიკალურობა ანიჭებს მას კულტურულ ხასიათს.

ბევრი არგოტული წარმომავლობის ფრანგული გამონათქვამიც, მცენარეებს, ხილს თუ ბოსტნეულს უკავშირდება. ხან იუმორით, ხანაც კადნიერებით შეზავებული, ლაკონური, ფერადი და „მლაშე“ ფრაზები, საკმაოდ ვრცელ და ღრმა აზრს გადმოსცემენ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფიტონიმებით შედგენილი გამონათქვამების მნიშვნელობა ძირითადად ნეგატიურია. ისინი გამოხატავენ: წარმატება-წარუმატებლობას, გარეგნობას, იერს, მოჩვენებითობას, პირფერობას, დისკუსიას, მიამიტობას, უნებისყოფობას, სარგებლის პოვნას, გამორჩენას, რწმენას, იმედს, მომჭირნეობას, მძიმე მდგომარეობას, გასაჭირს, სიმდიდრეს, მოუთმენლობას, დაცინვას, უგუნურ საქციელს და ა.შ. გარდა ამისა, ახასიათებენ ადამიანს: სულელი, ბრიყვი, ყეყეჩი, თითქოს ჭკვიანი, შეშლილი, ამაყი, ტრაბახა, ცხვირაბზუებული, მომღიმარი, კმაყოფილი, წინდახედული, ბედნიერი, ლამაზი, უშნო, გულკეთილი, გულახდილი და ა.შ.

ყველა ენასა და კულტურაში ფიტონიმური ლექსიკა მჭიდრო კავშირშია ადამიანის ცხოვრებასთან, მეტიც, მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ პიროვნების ცნობიერებაში. ენა საუკუნეების განმავლობაში ცვლილებებს განიცდის, რაც თავისთავად აისახება მის ისტორიაში. იდიომების შემთხვევა ამ მხრივაც განსაკუთრებულია. ზოგჯერ იდიომის მნიშვნელობა სრულიად გაურკვეველი და მიუწვდომელია, თუ მის ეტიმოლოგიას არ გადავხედავთ. ყოველ გამონათქვამს თავისი ისტორია აქვს, რომლის შესწავლაც საშუალებას გვაძლევს მივაკვლიოთ მისი მნიშვნელობის წარმოშობის მიზეზსა და პირველწყაროს, ღრმად ჩავწვდეთ მცენარის ისტორიულ ღირებულებასა და სიმბოლურ დატვირთვას, რაც მოცემული ენის კულტურასთან კიდევ უფრო გვაახლოებს და გვიადვილებს მათ გაგებას. ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი მიუხედავად იმისა რომ მატერიალური კულტურის სფეროდანაა

აღებული, სრულიად ვერ გვეხმარება მნიშვნელობის გაგებაში. ასეთია მაგალითად კონცეპტები: *une carotte*-სტაფილო, *un pissenlit*-ბაბუაწვერა, *une poire*-მსხალი, *une pomme*-ვაშლი, *un haricot*-ლობიო, *une fraise*-მარწყვი, *une prune*-ქლიავი, *un oignon*-ხახვი, *un épinard*-ისპანახი, *un citron*-ლიმონი, *un chou*-კომბოსტო, *une pêche*-ატამი, *une tomate*-პომიდორი და ა.შ.

*Les carottes sont cuites*¹¹-(პრდ. სტაფილოები შემწვარია) საქმე დასრულებულია, საქმეს წერტილი დაესვა, მორჩა და გათავდა. გამონათქვამი XVII საუკუნით თარიღდება. იმ დროს და შემდგომშიც დიდი ხნის განმავლობაში ბოსტნეული ღარიბების საკვებ პროდუქტად მოიაზრებოდა. მოგვიანებით გამონათქვამი *ne vivre que de carottes-ძუნწად ცხოვრებას* ნიშნავდა. სტაფილოსთან დაკავშირებული ეს დამაკნინებელი მნიშვნელობა XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩა, თუმცა დამატებით გაუცნობიერებლად *être mourant-მომაკვდავის* უარყოფითი კონოტაციაც შეიძინა;

*Manger les pissenlits par la racine*¹²-(პრდ. ბაბუაწვერების ძირებით ჭამა) ფრაზეოლოგია აღნიშნავს გარდაცვალებას და დაკრძალვას, ანუ ადამიანის ისეთ მდგომარეობას, რომელსაც ჭამა არ ძალუძს. თუმცა, XIX საუკუნეში ამ გამონათქვამის წარმოშობის პერიოდში, სავარაუდოდ, მიწის ქვეშ მყოფს, მაინც ჰქონდა წვდომა გარკვეული მცენარის ფესვებთან. მაგრამ ისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც ბაბუაწვერა? ალბათ იმიტომ, რომ ახლად დაბარულ მიწაზე ყველაზე სწრაფად სწორედ ეს მცენარე აღმოცენდება, სასაფლაოზეც ყაყაჩოებსა და იასამნებზე უფრო ადრე იზრდება; ბაბუაწვერას შესახებ, მეტად საინტერესო ფაქტს წავაწყდით გიორგი კენჭოშვილის ლექსიკონში „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“, სადაც ეს „მწარე ბალახი“ მწუხარების ტრადიციულ ქრისტიანულ სიმბოლოდ (ქრისტეს ვნებების სიმბოლოდ (კათოლიკურ რელიგიაში) მოიხსენიება. ამ ლამაზი მცენარის ხილვა შესაძლებელია შუა საუკუნეების ფლამანდიელი და გერმანელი მხატვრების ფერწერულ ტილოებზე, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ასახავენ. ბაბუაწვერა, მაცხოვრის ვნებებთან კავშირში მყოფ სხვა სიუჟეტებშიც ფიგურირებს¹³.

¹¹ <http://www.expressio.fr/expressions/les-carottes-sont-cuites.php> (მოძიებულია 11.05.18)

¹² <http://www.expressio.fr/expressions/manger-les-pissenlits-par-la-racine.php> (მოძიებულია 11.05.18)

¹³ <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e> (მოძიებულია 04.11.19)

*Couper la poire en deux*¹⁴-(პრდ. მსხლის ორად გაჭრა) რაღაცის თანაბრად, ძმურად გაყოფა; კომპრომისზე წასვლა. მისი მნიშვნელობა მარტივად გასაგებია, მაგრამ რატომ მსხალი და არა სხვა რამ (როგორც მაგალითად ქართულშია თხილი: ერთი თხილის გული, ცხრა ძმამ გაიყო)? გამონათქვამი ლიტერატურაში სავარაუდოდ 1880 წლიდან გვხვდება, კერძოდ, 1882 წელს ფელიქს გალიპოსა (Félix Galipaux) და ლუსიენ კრესონუას (Lucien Cressonnois) მიერ დადგმულ სკეტჩში სათაურით „*La poire en deux*“, სადაც ორი პერსონაჟი-მონოლოგის წარმომთქმელი და მთხრობელი-დაობს ლექსად დაწერილი ტექსტის გადმოცემის საკითხზე. საბოლოოდ, სცენაზე მყოფნი ამ ფრაზეოლოგიზმით ასრულებენ კამათს (იყოფენ ტექსტს: თითოეულმა უნდა წარმოთქვას ოთხი სტროფი), თუმცა ერთმანეთს შორდებიან თავიანთი წილი სიტყვების უთქმელად.

*Se fendre la poire*¹⁵-(პრდ. მსხლის გაპობა) ხარხარი, გულწრფელი სიცილი. გამონათქვამი სათავეს იღებს 1832 წლიდან, როდესაც შარლ ფილიპონმა (Charles Philipon¹⁶) დახატა ლუი ფილიპის (Louis Philippe¹⁷) კარიკატურა მსხლის თავის გამოსახულებით. მას შემდეგ, მსხალმა „სახის“ არგოტული მნიშვნელობა მიიღო, რომელსაც ღიმილი აპობს.

*Poire d'angoisse*¹⁸-(პრდ. მახრჩობელა მსხალი) ალიკაპი, ჩვარი, საშინელი, მტანჯველი მდგომარეობა. გადმოცემის თანახმად, შუა საუკუნეებში საპყრობილეებში წამების პრაქტიკა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ღრიალის ჩასახშობად, მსხვერპლს პირს უვსებდნენ ჩვრებით. ამჟამადაც თქმა გამოიყენება შედარებით ნაკლებად საშინელი სიტუაციის გადმოსაცემად.

*Entre la poire et le fromage*¹⁹-(პრდ. მსხალსა და ყველს შორის) სადილის ბოლოს, ტკბილეულის წინ, ორ სიტუაციას, მოვლენას შორის თავისუფალ დროს. რადგან

¹⁴ <http://www.expressio.fr/expressions/couper-la-poire-en-deux.php> (მომიებულია 11.05.18)

¹⁵ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/19455/se-fendre-la-poire/> (მომიებულია 18.05.18)

¹⁶ შარლ ფილიპონი (Charles Philipon) (1806-1862)-XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, მხატვარი და ლითოგრაფი. https://fr.wikipedia.org/wiki/Charles_Philipon (მომიებულია 18.05.18)

¹⁷ ლუი ფილიპ ორლეანელი-საფრანგეთის მეფე 1830-1848 წწ.

¹⁸ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/6627/avaler-des-poires-d-angoisse/> (მომიებულია 18.05.18)

¹⁹ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/4526/entre-la-poire-et-le-fromage/> (მომიებულია 18.05.18)

სადილის დასასრული ყველაზე მშვიდი, უშფოთველი და მყუდრო მომენტია, ამიტომაც XVII საუკუნით დათარიღებული გამონათქვამის მნიშვნელობა გახლდათ *სადილის დასასრულისკენ*. სწორედ აქედან წარმოიშვა იდიომის ამჟამინდელი მნიშვნელობა-*ორ სიტუაციას, მომენტს შორის*.

*Tomber dans les pommes*²⁰-(პრდ. ვაშლებში დაცემა) გულის წასვლა, *გონების დაკარგვა*. გამონათქვამის გაჩენის თარიღი დადასტურებულია 1889 წელს, მაგრამ ნამდვილი წარმოშობა უცნობია. თუმცა ყველაზე მიახლოებითი ვარაუდის მიხედვით, დაინერგა ჟორჟ სანდის მიერ მადამ დიუპენტან მიწერილ წერილში დაღლილობის აღსანიშნავად გამოყენებული ფრაზით *être dans les pommes cuites*, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდებოდა გამონათქვამს *être cuit*-(პრდ. იყო მოხარშული) *დამარცხება, ხათაბალაში ჩავარდნა*.

*Ma pomme*²¹-(პრდ. ჩემი ვაშლი) მე. ეს არგოტული გამონათქვამი 1924 წლით თარიღდება და პოპულარული გახადა მორის შევალიეს (Maurice Chevalier) სიმღერამ. მრგვალი ფორმის ხილი მართლაც წააგავს თავს და შესაბამისად გამონათქვამიც ნიშნავს ადამიანს, სიტყვის ფართო გაგებით-ადამიანს მთლიანად.

*Pomme de discorde*²²-(პრდ. და ხტვ.) განხეთქილების ვაშლი. ეს ფრთიანი გამოთქმა დავის, კამათის მიზეზს ან ობიექტს აღნიშნავს. გამოთქმა სათავეს იღებს ბერძნული მითოლოგიიდან. განხეთქილების ქალღმერთმა-ერისმა, რომლის გარდა ყველა ღმერთი იყო მოპატიჟებული თესალიის მეფე პელევსისა და ზღვათა ღვთაება თეტისის ქორწილში, შურისძიება მოინდომა. დაუპატიჟებელი სტუმარი შუა ქორწილში გამოცხადდა და სანადიმო სუფრაზე გააგორა ოქროს ვაშლი (ჰესპერიდების ბალიდან) წარწერით-„უმშვენიერეს“. ატეხილ დავაში ყველაზე მეტად ჰერა, ათენა და აფროდიტე ბოზოქრობდნენ. კამათში ჩარეულმა ზევსმა დავის გადაწყვეტა მწყემს პარისს მიანდო (ტროას მეფის, პრიამოსის ძე, რომელიც სამეფო კარიდან შორს, მწყემსის სახლში იზრდებოდა). ქალღმერთები მის გადმობირებას დაპირებებით შეეცადნენ: ათენა მას სიბრძნესა და წარმატებას შეჰპირდა, ჰერა-

²⁰ <http://www.expressio.fr/expressions/tomber-dans-les-pommes.php> (მოძიებულია 11.05.18)

²¹ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/6521/ma-pomme/> (მოძიებულია 18.08.18)

²² <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/84/la-pomme-de-discorde/> (მოძიებულია 18.05.18)

სიმდიდრეს, მაგრამ მიუხედავად ამისა მან აფროდიტე აირჩია, რომელიც მას სპარტაში მცხოვრები მეფე მენელაოსის მეუღლეს, ულამაზეს ელენეს შეჰპირდა. ის იტაცებს ახალგარდა ქალს, რაც ტროას ომის დაწყების მიზეზი ხდება. ღვთაების მიერ გაგორებულმა ვაშლმა უამრავი უთანხმოება გამოიწვია. დავის საგნის აღსანიშნავად დღესაც ამ გამოთქმას ვიყენებთ.

*Croquer la pomme*²³-(პრდ. ვაშლის ჩაკბეჩა) ცდუნებას აყოლას ნიშნავს. ეს ბიბლიური გამონათქვამი ლათინურიდან მცდარი თარგმანის შედეგია. გველის მიერ შეცდენილი ადამი და ევა, აკრძალული ხილის მირთმევის გამო უფალმა სამოთხიდან გამოაძევა. მაგრამ, აქ საუბარია ხილზე და არა კონკრეტულად ვაშლზე. ეს გამონათქვამი დღემდე ამ ფორმითაა გავრცელებული.

*Avoir la pêche*²⁴-(პრდ. ატმის ქონა) ენერგიით სავსე, ფორმაში ყოფნა. იდიომის წარმოშობა ბუნდოვანია. ზოგიერთნი თვლიან, რომ ის ჩინური კულტურიდან მომდინარეობს, სადაც *ატამი* უკვდავებისა და ჯანმრთელობის სიმბოლოა. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ გამონათქვამი კრივის (სპორტ. ბოქსის) სამყაროში გაჩნდა, სადაც *avoir de la pêche* ნიშნავს „სიძლიერეს (ბევრი ძალის ქონას)“.

*C'est la fin des haricots*²⁵-(პრდ. ეს ლობიოების დასასრულია) ამით ყველაფერი დამთავრდა, მთლიანი კრახია. გასულ საუკუნეში, როცა ინტერნატებში სხვა საკვები აღარ ჰქონდათ, მოსწავლეებს ლობიოს აჭმევდნენ. სინამდვილეში, ლობიო მოიაზრებოდა მდაბიოთა საკვებ პროდუქტად. თუმცა, როცა საზრდოდ ისიც აღარ იყო, მაშინ ყველაფრის დასასრული დგებოდა. გამონათქვამიც აქედან იღებს სათავეს და ხშირად შემდეგი აზრის გამოსახატად ირონიული გაგებით იყენებენ *c'est la fin du monde*-ეს *სამყაროს დასასრულია*.

*Mi-figue, mi-raisin*²⁶-(პრდ. ნახევრად ლეღვი, ნახევრად ყურძენი) სასიამოვნოსა და უსიამოვნოს შორის; არც წყალია, არც ღვინო; არც ძმარია, არც წყალი. XV საუკუნის ბოლოს ამ უკანასკნელით ახასიათებდნენ ადამიანს ან ნივთს, რომელიც ერთდროულად კარგიც იყო და ცუდიც. ამ ორი ხილის დაახლოება სულაც არაა

²³ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/13946/croquer-la-pomme/> (მოძიებულია 18.05.18)

²⁴ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/13997/avoir-la-peche/> (მოძიებულია 12.08.17)

²⁵ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/831/c-est-la-fin-des-haricots/> (მოძიებულია 12.08.17)

²⁶ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/98/mi-figue--mi-raisin/> (მოძიებულია 12.08.17)

უწყინარი. სინამდვილეში ლელვს ყოველთვის უარყოფითი კონოტაცია ჰქონდა. მეტიც, მათ მხოლოდ მარხვაში მიირთმევდნენ. ყურძენი უფრო ძვირფასი იყო. ასევე ამბობენ, რომ კორინთელი ვაჭრები, რომლებსაც ვენეციაში გასაყიდად შეჰქონდათ ქიშმიში, მასში ლელვს ურევდნენ, რაც მყიდველში ორაზროვნებას იწვევდა. აქედან მოყოლებული, გამონათქვამი *ორაზროვნებას, ორჭოფობას* აღნიშნავს.

*Aux petits oignons*²⁷-(პრდ. პატარა ხახვებით) ირონ. 1. უხეშად, მკვეთრად; 2. გულმოდგინედ, მონდომებით; 3. გაჩარხულია, კარგად მიდის (საქმე). კულინარიის სფეროდან აღმოცენებულ გამონათქვამში, არაფერია განსაკუთრებული. როდესაც კერძს მონდომებით ამზადებენ, მისი შეკმაზვა ახალი ხახვით (ადრეულად შემოსული ბოსტნეულით) ხდება, საიდანაც ეს ფრაზა იღებს სათავეს-*préparer un plat aux petits oignons* (კერძის ახალი ხახვებით მომზადება). გამონათქვამმა შემდგომში ფართო გავრცელება ჰპოვა და უკვე ყველა შემთხვევისთვის გამოიყენება.

*Occupe-toi de tes oignons*²⁸ (*S'occuper de ses oignons*)-(პრდ. შენს ხახვებს მიხედე) შენს საქმეს მიხედე, სხვის საქმეში ნუ ერევი. გამონათქვამი თარიღდება XX საუკუნით. ტერმინს *oignon-ხახვი* არგოს ენაზე ორი მნიშვნელობა აქვს „ფეხები“ და „უკანალი“. თავდაპირველად ის ქალთა დამოუკიდებლობის ნიშანი, მათი ერთგვარი შემოსავლის წყარო იყო, რომლებიც პატარა მიწის ნაკვეთს ფლობდნენ, რათა ხახვი მოეყვანათ და გაეყიდათ.

*En rang d'oignon*²⁹-(პრდ. ხახვის რიგით) თანმიმდევრობით, ერთ ზოლზე, სწორ ხაზზე ჩამწკრივებული, გარკვეული მახასიათებლების მიხედვით ადამიანთა ან ნივთთა რანგი, წოდება. გამონათქვამი XVI საუკუნეში ჩნდება, იმ დროს როდესაც 1576 და 1588 წლებში გამართულ ბლუას გენერალური შტატების³⁰ (à Blois, au cours des États Généraux) სპეციალური კრების მსვლელობისას, ცერემონიის ხელმძღვანელს

²⁷ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/6624/aux-petits-oignons/>. (მოძიებულია 12.08.17)

²⁸ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/6706/occupe-toi-de-tes-oignons/>. (მოძიებულია 13.05.18)

²⁹ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/112/en-rang-d-oignon/>. (მოძიებულია 13.05.18)

³⁰ საფრანგეთის მეფის ანრი III მიერ ბლუაში მოწვეული სპეციალური კრება https://fr.wikipedia.org/wiki/%C3%89tats_g%C3%A9n%C3%A9raux_de_1588-1589 (მოძიებულია 17.09.17)

ონიონის ბარონს, არტუს დე ლა ფონტენ-სოლაროს³¹, პროტოკოლური წესების მიხედვით, უფლება ჰქონდა ადგილები გამოეყო დეპუტატებისა და დიდგვაროვნებისთვის მათი სოციალური რანგის მიხედვით. აქედან გამომდინარეობს გამონათქვამის-*rangé en rang d'Ognon* (ონიონის რიგით დაწყობა) იუმორისტული მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი მისთვის მინიჭებულ უფლებებს ახორციელებდა დაწყებული ანრი II³²-დან მრავალი მეფის მმართველობისას. ბარონის სახელის *Ognon* დეფორმაციის შედეგად დამკვიდრდა ფორმა *oignon*. იდიომის *rangé en rang d'oignon* (პრდ. ხახვის რიგით ჩალაგებული) მნიშვნელობა შეადარეს ბოსტანში ხახვების ერთ ზოლში განლაგებას. 1611 წელს გამონათქვამს ჰქონდა „კრებაზე ადგილის დაუპატიჟებლად დაჭერის“ მნიშვნელობა. მხოლოდ 1654 წელს მიიღო ამჟამინდელი მნიშვნელობა. ზოგიერთი თვლის, რომ ეს სემანტიკა განმტკიცებულია შეკრული ხახვების კონასთან მსგავსებით.

*Ramène ta fraise*³³! *Ramener sa fraise*-(პრდ. მისი მარწყვის მოყვანა) უადგილო ადგილას თავის გამოჩენა; საუბ. სახე. *Elle ramène sa fraise*-ასე ამბობენ ადამიანზე რომელიც დისკუსიაში ერევა მიუხედავად იმისა, რომ საუბრის თემა მას არ ეხება და არც მის აზრს კითხულობენ. აქ *la fraise*-*მარწყვი* „თავის“ მნიშვნელობით იხმარება. სინამდვილეში ის არგოტულ ლექსიკონზე მიუთითებს და ნიშნავს *le visage*-*სახეს*. რეალურად იდიომი *ramener sa fraise* მხოლოდ *მიახლოებას* ნიშნავს, რამაც ამასთანავე წარმოქმნა გამოთქმა *la ramener-მოყვანა*. რაც შეეხება ზმნას *ramener-მოყვანა*, შესაძლოა ის მომდინარეობს უფრო ძველი სიტყვისგან *ramoner-საკვამლე მიღების წმენდა* და *ronchonner-ბუზღუნნი*, რაც უბრალოდ *râler-ხროტინს*, *ხრიალს საუბ.* *გაბრაზებას*, *გაჯავრებას ნიშნავს*.

*Rouge comme une tomate*³⁴-(პრდ. პომიდორივით წითელი) ჭარხალივით წითელი. 1960 წლით დათარიღებული ფრაზეოლოგიზმი პირდაპირ კავშირშია წითელ ფერთან, ზოგჯერ ძლიერი ემოციის განცდისას წითლად შეფერილ ლოყის ფერთან.

³¹ Artus de la Fontaine Solaro, *baron* d'Ognon, petit village de l'Oise (60810) par ailleurs seigneur de Vaumoise https://fr.wiktionary.org/wiki/en_rang_d%E2%80%99Oignon (მოძიებულია 17.09.17)

³² ანრი II დე ვალუა-საფრანგეთის მეფე 1547-1559 წლებში.

³³ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/637/ramener-sa-fraise/>. (მოძიებულია 12.08.17)

³⁴ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/330/etre-rouge-comme-une-tomate/>. (მოძიებულია 12.08.17)

მოტივაცია აშკარაა. ქართულ კულტურაში ბოსტნეული-ჭარხალი თავისი მკვეთრი სიწითლის გამო უფრო გამოყენებულია, შესაბამისად შესატყვისიც ამ ფიტონიმიტაა ნათარგმნი.

*Avoir de l'oseille*³⁵-(პრდ. მჟაუნას ქონა) ფული აქვს, მდიდარია. გამონათქვამი არგოტული წარმოშობისაა, რომელშიც ბოსტნეული *l'oseille*-მჟაუნა ფულად იყო ქცეული. სხვაგვარი ინტერპრეტაციით, იდიომი XIX საუკუნეში გაჩნდა და შესაძლებელია ძვლის უჩვეულო დეფორმაციის შედეგად გარდაქმნილი ფულის მონეტა იყო.

*La faire à l'oseille*³⁶-(პრდ. მჟაუნასავით მომზადება) ვიღაცის მოტყუება დაცინვით, თვალის ახვევით, გამასხარავება. XIX საუკუნის შუა ხანების ფრანგული სასაუბრო ენის გამონათქვამია. მაგრამ საკითხავია რა კავშირია მჟაუნასა და გამონათქვამის მნიშვნელობას შორის? ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მჟაუნა მოხეტიალე მსახიობს უწოდეს, რომელიც ერთ-ერთი პარიზული დუქნის (რომელშიც ბულვარის თეატრის მსახიობები მიერთმევდნენ) ხშირი სტუმარი გახლდათ. გადმოცემის თანახმად, მამა ვინე (Le père Vinet), იმ დროის მომღერალი, ზემოხსენებულ დუქანში სადილობდა და მანვე დაწერა სიმღერა *Vous ne me la faites à l'oseille-დაცინვით ნუ მომატყუებთ*. სინამდვილეში, ფრაზის წარმოქმნას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტი-თურმე დუქნის მფლობელი თავის სტუმრებს *მჟაუნას* სოუსში ჩაწყობილი კვერცხის კერძით უმასპინძლებოდა, რომელშიც მისი რაოდენობა აშკარად აღემატებოდა კვერცხის რაოდენობას. ერთხელ, ისეც მომხდარა რომ ომლეტი საერთოდ უკვერცხოდ მიურთმევია. მართალია, ეს განმარტება არასოდეს გადაუმოწმებიათ და აშკარა მტკიცებასაც არ შეიცავს, მაგრამ, შესაძლებელია რაღაც მიმართება ყოფილიყო კერძის მომზადების პირდაპირ მნიშვნელობასა (მჟაუნას ომლეტსა) და იმ კერძს შორის, რომელიც არგოს ენაზე გადატანითი მნიშვნელობით ფარსს, ხუმრობას, ოინს, გამასხარავებას ნიშნავს.

³⁵ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/2107-avoir-de-loseille.html> . (მოძიებულია 30.07. 17)

³⁶ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-l/3301-la-faire-a-l-oseille.html?highlight=WyJvc2VpbGxIII0=> (მოძიებულია 16.05.18)

*L'arbre qui cache la forêt*³⁷, *C'est l'arbre qui cache la forêt*³⁸-(პრდ. ეს ხეა, რაც ფარავს ტყეს) მთელის დანახვის ხელისშემშლელი დეტალი; დეტალი ფარავს მთლიანობას; ტყის ამსახველი ულამაზესი მეტაფორა, სავარაუდოდ XX საუკუნეში გაჩნდა. გადატანითი მნიშვნელობით გამონათქვამი-მეტაფორა გვახსენებს, რომ ცხოვრებაში ხანდახან რაღაც დეტალი ისე იქცევა ჩვენს ყურადღებას, რომ ხელს გვიშლის უფრო ვრცელის, უფრო გლობალურის დანახვაში (ეს დეტალი შესაძლებელია ვინმეს მიერ, ვინც დაინტერესებულია რომ არ მოხდეს მეტის შემჩნევა, მიზანმიმართულადაც იყოს წინასწარ განთავსებული).

*C'est au fruit que l'on reconnaît l'arbre*³⁹-(პრდ. ხტვ.) ხე ნაყოფით იცნობაო. ადამიანი თავისი ქმედებებით იცნობა, კეთილია თუ ბოროტი; ბოლო გამოაჩენს საქმესაო; XIII საუკუნით დათარიღებული გამონათქვამი ბიბლიიდანაა, კერძოდ, იესოს სიტყვებიდან „43. არ არსებობს კარგი ხე, რომელმაც ცუდი ნაყოფი გამოიღოს; არც ცუდი ხე, რომელმაც კარგი ნაყოფი გამოიღოს. 44. ვინაიდან ყოველი ხე თავისი ნაყოფით შეიცნობა: ეკალზე ხომ ვერ მოკრეფენ ლელვს და არც მაცვლის ბუჩქებზე იკრიფება ყურძენი. 45. კეთილი კაცი თავისი გულის კეთილი საუნჯიდან სიკეთეს გამოიღებს, ბოროტი კაცი კი ბოროტისგან ბოროტს გამოიღებს. ვინაიდან გულის სავსებისაგან მეტყველებს მისი პირი“⁴⁰ და რადგანაც ადამიანის ქმედებებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ კეთილია ის თუ ბოროტი, გამონათქვამის სემანტიკაც აშკარაა.

*Arbre de soie*⁴¹-(პრდ. აბრეშუმის ხე) ალბიცია (მცენარის სახეობა მიმოზისებრთა ოჯახიდან), რომელიც ქრისტეშობიდან IV საუკუნეში პირველად კონსტანტინოპოლში აღწერეს. გარდა ამისა, ის კონსტანტინოპოლის მიმოზის სახელსაც ატარებს, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა და ცნობილი იყო თავისი დეკორატიული მშვენიერების გამო.

³⁷ <http://www.expressio.fr/expressions/l-arbre-qui-cache-la-foret.php> , (მოძიებულია 25.07.17).

³⁸ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-c/1854-cest-larbre-qui-cache-la-foret.html> (მოძიებულია 04.02.19)

³⁹ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/393/c-est-au-fruit-que-l-on-reconnait-l-arbre/> (მოძიებულია 16.05.18)

⁴⁰ <http://www.orthodoxy.ge/tserili/kiknadze/luka.html> (მოძიებულია 16.05.18)

⁴¹ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/15063/arbre-de-soie/> (მოძიებულია 16.05.18)

*Il a les pieds en bouquet de violettes*⁴²-(პრდ. ფეხები იების თაიგულში აქვს) გამონათქვამი გამოიყენება კარგად დასვენებული, განტვირთული, უშფოთველი ადამიანის დასახასიათებლად და წარმოიშვა XX საუკუნის მე-2 ნახევარში. ლოგიკური შედარებაა: კმაყოფილი ადამიანი ყვავილის თაიგულივით ხარობს. თაიგულში მოთავსებული ტერფებიც განცდილი რელაქსაციისას „იფურჩქნება როგორც ყვავილების კომპოზიცია“. ფრანგულ კულტურაში ფიტონიმი *ია* XIX საუკუნის საფრანგეთის ისტორიასთან ასოცირდება, კერძოდ, „*ბონაპარტისტულ იებთან*“. სემიოტიკური ნიშანი *ია*, ბონაპარტისტული იმპერიის *ყვავების სიმბოლო* იყო. 1815 წელს ჟან დომინიკ ეტიენ კანიუს⁴³ (Jean Dominique Étienne Canu) მიერ შექმნილ სურათზე დაკვირვებისას შეიძლება ამოვიცნოთ შენიღბული ნაპოლეონ I, მისი მეუღლე მარი-ლუიზა და მისი ვაჟი ფრანსუა შარლ ჟოზეფი (იხილეთ დანართი 2).

*Pour des prunes*⁴⁴-(პრდ. ქლიავებისთვის) არაფრისთვის, ხელცარიელი. უკვე დიდი ხანია *ქლიავი* მხოლოდ და მხოლოდ ხილის სახეობაა. მაგრამ XIII საუკუნიდან დაწყებული *une prune-ქლიავი* შესაძლებელია ნიშნავდა: 1.თავის წარმოდგენას; 2.იღბლიანობას ან უიღბლობას შემთხვევისამებრ; 3.ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულ რაღაცას. როგორც ჩანს, სწორედ, ამ უკანასკნელიდან გამომდინარეა XVI საუკუნის დასაწყისში ჩვენამდე მოღწეული გამონათქვამის მნიშვნელობაც. მაგრამ რატომ ქლიავი და არა სხვა ხილი? აქ უნდა გავიხსენოთ ისტორია, კერძოდ, XII საუკუნის პირველი ჯვაროსნული ომები. 1150 წელს ჯვაროსნებმა მეორე ბრძოლაში დამარცხებისას, დამასკოდან ქლიავის ძირები წამოიღეს, რომელთა ნაყოფიც ადგილზევე დაუგემოვნებიათ. ლეგენდის მიხედვით, როდესაც მათ მეფეს ექსპედიციის ანგარიში წარუდგინეს, გაბრაზებულ მეფეს დაუწერია *Ne me dites pas que vous êtes allés là-bas uniquement pour des prunes!*-არ მითხრათ, რომ მხოლოდ ქლიავებისთვის ბრძანდებოდით იქ, იგულისხმება *pour rien-ამაოდ, ფუჭად*. შემდგომში ქვეყანაში „ქლიავის“ ეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მეფის გარემოცვამ გაავრცელა.

⁴² <http://www.expressions-francaises.fr/expressions-i/860-il-a-les-pieds-en-bouquet-de-violettes.html>

(მოძიებულია 17.09.17)

⁴³ <http://lesapn.forumactif.fr/t3200-caporal-violette> (მოძიებულია 17.09.17)

⁴⁴ <http://www.expressio.fr/expressions/pour-des-prunes.php> (მოძიებულია 17.09.17)

*Mettre du beurre dans les épinards*⁴⁵-(პრდ. ისპანახში კარაქის ჩადება) წელში გამართვა, ფეხზე დადგომა, სულის მოთქმა. კარაქი ხშირად ასოცირდება სიმდიდრესთან. სავარაუდოდ, ის იყო მდიდართა საკვები, რომელიც გაჭირვების ჟამს შემონახული იყო მათთვის ან შავი ბაზრის ჩემპიონებისთვის. გამოთქმის მეტაფორული მნიშვნელობა გასაგებია: კარაქის გარეშე ისპანახი დიეტური საჭმელია და ნაკლებად გემრიელიცაა. გემოს გაუმჯობესების მიზნით (გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება ცხოვრებისეული პირობები), ისპანახიან კერძს კარაქის საკმაოდ დიდ დოზას უმატებდნენ. სინამდვილეში, კარაქი გაადვილებისა და გამარტივების სიმბოლოა, ხოლო ისპანახს დელიკატური სიტუაციისა და უსიამოვნებათა კონოტაცია აქვს⁴⁶.

*Faire chou blanc*⁴⁷-(პრდ. თეთრი კომბოსტოს გაკეთება) სრული წარუმატებლობის, მარცხის განცდა. ეს გამოთქმა შესაძლებელია მომდინარეობს ბერიდან (Berry ძველი რეჟიმის საფრანგეთის ისტორიული პროვინცია), სადაც ბერიშონის დიალექტზე სიტყვა *un coup-დარტყმა* წარმოითქმებოდა როგორც *choup*. XVI საუკუნეში მოდაში იყო ე.წ. კეგლის თამაში, სადაც *un c[h]oup blanc* ნიშნავდა *უშედეგო, ფუჭ დარტყმას*. მეორე მნიშვნელობა, შესაძლებელია მოდიოდეს *თეთრი კვამლისგან*, რომელიც ოდესღაც იარაღის გასროლისას წარმოიქმნებოდა, თუნდაც ის უშედეგო ყოფილიყო.

*Faire ses choux gras de*⁴⁸-(პრდ. კომბოსტოების ცხიმით მომზადება) საქმიდან სარგებლის ნახვა. შორეულ წარსულში, როცა ბოსტნეული ღარიბების ძირითადი საკვები იყო (ხორცი მდიდრებისთვის განკუთვნილად ითვლებოდა, ხოლო ცომეული და ბრინჯი ჯერ კიდევ ან არ არსებობდა ან არ იცნობდნენ), მათ შორის კომბოსტო ყველაზე გამოყენებული, გამძლე, ადვილად მოსაყვან და იაფ პროდუქტად მიიჩნეოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის ადრე სუფრაზე უფრო ხშირად გვხვდებოდა, ვიდრე დღეს. გასათვალისწინებელია, რომ მოხარშულ კომბოსტოს ადამიანის დანაყრებალა შეუძლია, ის არც ნერწყვის მომგვრელია და შესაბამისად, არც მადის აღმძვრელი. კერძი რომ გემრიელი გამხდარიყო, ხარშვისას მას ცხოველურ

⁴⁵ <http://www.expressio.fr/expressions/mettre-du-beurre-dans-les-epinards.php> (მოძიებულია 16.05.18)

⁴⁶ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/222/mettre-du-beurre-dans-les-epinards/> (მოძიებულია 16.05.18)

⁴⁷ <http://www.expressio.fr/expressions/faire-chou-blanc.php> (მოძიებულია 18.05.18)

⁴⁸ <http://www.expressio.fr/expressions/faire-ses-choux-gras-de-quelque-chose.php> (მოძიებულია 18.05.18)

ცხიმს უმატებდნენ (როგორცაა ღორის ქონი). აქედანაა XV საუკუნით დათარიღებული გამონათქვამის პირველი მნიშვნელობა: *გემრიელი ცხიმიანი კომბოსტოთი გამასპინძლება*. თუმცა, XVII საუკუნიდან გამოთქმამ *სარგებლის მიღების* მნიშვნელობა შეიძინა. რატომ? რადგანაც კომბოსტოს საჭმელი უკვე ცხიმია, გადატანითი მნიშვნელობით გამოთქმა გავრცელდა ადამიანზე, ვინც ამ კარგი საჭმელებიდან სარგებელს იღებს. დღეს გამოთქმას ხშირად დამაკნინებელი კონოტაცია აქვს, მოგება გაიგივებულია რადაცის ხარჯზე მიღებულ სარგებელთან.

*Être dans les choux*⁴⁹-(პრდ. კომბოსტოებში ყოფნა) გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა, მძიმე სიტუაციაში აღმოჩენა. როგორ შეიძლება დაუკავშირო ერთმანეთს ეს არაჩვეულებრივი ბოსტნეული და მარცხი ან მძიმე სიტუაცია? თუმცა პასუხი მარტივია: უბრალო პარონიმის გამო კომბოსტოები *les choux* და ზმნა *é-chou-er-მარცხი* მსგავსად ისმის. გამოთქმის ეს მნიშვნელობა XIX საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

*Ménager la chèvre et le chou*⁵⁰-(პრდ. გაუფრთხილდე თხასა და კომბოსტოს) არც მწვადი დაწვა და არც შამფურიო. XIII საუკუნით დათარიღებული გამონათქვამი, საპირისპირო ინტერესთა მართვას ნიშნავს. კომბოსტოს წინ მდგარი თხა, დიდი ცდუნების წინაშეა. თუ არის სურვილი რომ ორივე მხარე ხელშეუხებელი და უვნებელი დარჩეს, საჭიროა ერთმანეთისადმი მზრუნველობის გამოჩენა, ფხიზლად ყოფნა და დელიკატურობა.

2.3. ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები ქართულ ენაში

ქართული ენის იდიომთა ბაზაც საკმაო რაოდენობის ფასდაუდებელი ფიტონიმური გამოთქმებით გამოირჩევა. მათი არსებობა ერის მდიდარი გამოცდილების, ცოდნისა და კულტურის ხილული დასტურია. მენტალიტეტითა და

⁴⁹ <http://www.expressio.fr/expressions/etre-dans-les-choux.php> (მოძიებულია 19.05.18)

⁵⁰ <http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/6542/menager-la-chevre-et-le-chou/> (მოძიებულია 19.05.18)

ყოფითი ცხოვრებით ქართველი კაცი ოდითგანვე მჭიდრო კავშირში იყო და არის მცენარეებთან და ბუნებასთან, რაც ენაში შესაბამისი კონცეპტებითაა გადმოცემული.

აი, ინა დავადე იმათ ჭკუას!-(პრდ. ინის საღებავი დავადე იმათ ჭკუაზე!) უმოძრაოდ გამიჩერებია მათი ჭკუა, მათთვის ჭკუისა და მიხვედრილობის უნარი წამირთმევია, უჭკუოდ დამიტოვებია. ინა ერთგვარი საღებავი მცენარეა, რომელსაც თმის, წვერისა და ფრჩხილების წითლად შესაღებად იყენებენ. ინის დადების შემდეგ ერთხანს უმოძრაოდ უნდა იყოს ის, ვისაც თმის ან ფრჩხილის შეღებვა სურს. ამდენად, ინის დადება ხატოვნად გულისხმობს გაჩერებას, უმოძრაოდ ყოფნას, მოქმედების უნარის წართმევას (სახოკია, 1950: 66).

ასკილის ყვავილობა-(პრდ. როცა ასკილი დაიყვავილებს) ჭირნახულის შემოღვევის დროს, გაჭირვება. ასკილი სხვა მცენარეებზე გვიან ჰყვავის (აპრილში), მაშინ როცა წინა წლის ჭირნახული სოფლად გამოლეულია და ახლის შემოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. ვისაც სულადი არ ყოფნიდა და მაინც იკვებნიდა მაქვსო, იმას ეტყოდნენ: ასკილის ყვავილობას (ან *ასკილი რომ თავს დაიქნევს*) ვნახავთ შენს ქონასაო!... კახეთში ასკილის ყვავილობას იცოდნენ ასკილობა, ანუ ლოცვა ბელლიდან თავგების გასაძეველად. მოხარშავდნენ ფლავს, ზედ ასკილის ყვავილს დადებდნენ, ხელში პატარას დააჭერინებდნენ და ტყისკენ გააქცევდნენ. ბიჭს ეს ფლავი უკანმოუხედავად უნდა წაეღო და ტყეში დაეტოვებინა. მათ სჯეროდათ, რომ ამ რიტუალის ჩატარებით, ბელელი სადაც ჭირნახული ინახებოდა, გათავისუფლდებოდა მღრღნელებისაგან (სახოკია, 1950: 18).

ახალი ხილია-(პრდ. მეზღებობის ნაყოფი, ახლად შემოსული საჭმელად) უცნობი, მაგრამ სასურველი, ბევრის მქადებელი, ახლად დაწყებული. ზამთრის შემდეგ ახლად შემოსული ხილი დიახაც რომ სანატრელია. სოფლად თუ ქალაქში ყველა სიამოვნებით მოელის მის გამოჩენას. გარკვეული დროის შემდეგ ახალ ხილს პირვანდელი ფასი აღარ აქვს ხოლმე. ხატოვნად ეს ადამიანზეც ითქმის (სახოკია, 1950: 23).

ბალბა არ მომიხარშო-ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი მჭრელი იარაღით. „რას მემუქრები, ბალბა არ მომიხარშო!“. მცენარეს ბალბას (Malva

rotundifolia), მოხარშულს ჭრილობის მოსარჩენად იყენებენ ქართლ-კახეთში; გამოთქმა საკუთრივ ნიშნავს: ვერ დამჭრი იარაღით, რომ საჭირო იქნეს ჩემთვის ჭრილობაზე მოხარშული ბალბის დადება, ისიც შენის იარაღით! (სახოკია, 1950: 26-27).

ბალბასებრ ფესვის გადგმა-მაგრად დამკვიდრება სადმე, მტკიცედ მომაგრება ფეხებისა, მყარი საძირკვლების ჩაყრა. ბალბა, იგივე მოლოქა (იმერ. და გურ.), ბოდერია (მეგრ.) ბალახოვანი მცენარეა. საუკეთესო საჭმელია მხალად გაზაფხულზე. ფესვის გადგმა იცის მიწაში ღრმად და მაგრად. საკმაოდ რთული ამოსაღებია მიწიდან. სავარაუდოდ, ბალბის ეს თვისება საფუძვლად დაედო თქმას ვისზედმე ან რაზედმე, როცა სადმე ან საქმეში მაგრად ჩადგებიან: ბალბასებ გაიდგა ფესვებო. ასევე რთულია მისი დაძვრა ადგილიდან, ვინც სადმე ერთხელ მყარად დამკვიდრდება (სახოკია, 1979: 44).

თავზე ბალბა დავადე-გაბრაზებული დავამშვიდე, დავაწყნარე, მოვარბილე. მოხარშული მხალი ბალბა ხალხურ მედიცინაში ჭრილობაზე დასადებად, ტკივილის დასაყუჩებლად და მოსარჩენად იხმარება. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ გაბრაზებული ადამიანი ისევე გამწარებული, როგორც დაჭრილი. ეს სიმწარე კი თურმე თავში გროვდება. ბალბაც, ყოველგვარი სიმწარის დამაყუჩებელი საშუალება, სწორედ თავზე უნდა დავადოთ გაბრაზებულს დასამშვიდებლად (სახოკია, 1950: 140).

განა ბალახსა ვძოვთ-საქონელივით მოუხერხებელი და შეუგნებელი ნუ გგონივართ! (სახოკია, 1950: 47). ბალახს ოთხფეხი საქონელი სძოვს ხოლმე და როცა ნაკლები ჭკუისა და გონების ადამიანის დახასიათება სურთ, ვიღაცას ბალახიჭამია საქონელს ადარებენ. ეს თქმა წყრომისა და უკმაყოფილების გამომხატველია.

განიორწყლება-(პრდ. ცოტა ნივრისა და ბლომად წყლისაგან შეზავება შეჭამანდისა) მოსპობა, უნიათობა, გაჩანაგება, უყუათობა. ნიორწყალი ქართლ-კახეთში ცოტა დანაყილი ნივრის, მარილისა და ბევრი წყლისგან დამზადებული შეჭამანდი ყოფილა. აქედანაა თქმა *განიორწყლებული* (სახოკია, 1950: 49).

გიჟანა ხომ არ გიჭამია!?-ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე? გიჟანა იგივე ძალღყურძენა (ლათ. Belladonna) შხამიანი მცენარეა; ზომიერ-წამალია, მოჭარბებული-საწამლავი. მისი ჭამა კაცს თითქოს აგიჟებსო (სახოკია, 1950: 64).

დაგრჩა ხვიტი-(პრდ. ხელში შეგრჩა კომბოსტოს ურგები ძირი) ცარიელზე დარჩი, პირჩალაგამოვლებული დაგტოვეს. ეს თქმა ისმის დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურია-სამეგრელოში. ხვიტი ეწოდება კომბოსტოს ძირს, რომელიც საჭმელად გამოუსადეგარია. მისი ქონება თუ უქონლობა პატრონისათვის ერთნაირი ფასისაა (სახოკია, 1950: 83).

მწვანე კიტრით თავი მოაქვს-(პრდ. ახალშემოსულ კიტრით თავს იწონებს) უსაფუძვლო ტრაბახი, ბაქი-ბუქი, თავის განდიდება, ცუდმედიდობა. ლიტერატურაში დარჩენილია მეფე თეიმურაზ II-ის ლექსი⁵¹ „ხილთა ქება“, სადაც ჩამოთვლილია ყველანაირი ხილის ღირსება და ნაკლი, მათ შორის კიტრიცაა. ავტორი თვით კიტრს ალაპარაკებს. მას ძალიან უნდა თავი იქოს, მაგრამ მისი ნაკლოვანება ღირსებას გაცილებით სჭარბობს. ამიტომ ხილად მაინც არ ჩაითვლება. აი თვითონ ლექსიც: „კიტრმა სთქვა: რაღა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა: მუჟვე და ტკბილი არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა!...გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, მერე თავი ვარ სენისა; ვინც რომ ჩემითა გაძლების, ციებაც შეეყრებისა“... დასასრულს, ხალხური გამოცანა სრულიად აუფასურებს კიტრს: „თავი მოაქვს მწვანეთა (სიმწვანით), მუცელსა ჰგვრემს მწარეთა“. ამრიგად, ამ თქმას ხატოვნად ისეთ ადამიანზე იტყვიან, ვისაც საქებარი არაფერი აქვს და მაინც თავს იწონებს, ბაქი-ბუქობს, ტრაბახობს (სახოკია, 1954: 52-53).

დამრჩა ნიორის ნაქურჩალი-(პრდ. შემრჩა ნიორის უგულო გარსი) ყველაფერი წამერთვა. ნიორი შედგება 6-10 და ზოგჯერ მეტის კბილისაგან, რომელთაც გარს აკრავთ რამდენიმე კეცად გარსი ანუ ნაქურჩალი. როგორც სახოკია წერს, ნიორი შემოდგომაზე (ნოემბერში) ითესება. ამ დროს ჭურჭელში დაუთესავად დარჩენილი ნიორი თებერვალ-მარტში გაღვივდება და ამოსვლას იწყებს. რაკი ფესვების გასაკეთებლად და მათი საშუალებით ფოთლებისათვის საზრდოს მისაწოდებლად

⁵¹https://wikisource.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90 (მოძიებულია 22.05.18)

მიწა არ ექნება, ერთგვარი სოკოს (*Agaricus aliaceus*) გავლენით გაღვივების შემდგომი განვითარება შეჩერდება და ნივრის კბილებში არსებული საზრდო ნივთიერება „დაფმატდება“ ანუ მოშავო-მონაცრისფრო ფხვნილად იქცევა, ხოლო ნაქურჩალი ხელუხლებელი რჩება. ამაზეა ხალხის მიერ ლექსად გამოთქმული სამეურნეო დაკვირვება: ნიორს უთქვამს: გიორგობისთვეში ჩამასწარი, თიბათვეში-ამოგასწარიო ანუ გიორგობისთვეში დამთესე, თიბათვეში მიწიდან ამომიღე, თორემ (იგულისხმება) ახლად დავიწყებ ზრდას და ჩემი ძირი საჭმელად არ გამოგადგებაო. ხალხის ძველი რწმენით, ნივრის საბოლოო გამოფშუტვა გაზაფხულის პირველ ქუხილს ემთხვევა, ხოლო მიწის ზემოთ დარჩენილ ნიორს ქუხილის ემინია. სწორედ პირველივე დაქუხებისას ნიორიც ჩაიფუკება-„გაიპარებაო“. მოსწრებული ტერმინი „გაპარვა“ სწორედ რომ ზედგამოჭრილია ნივრის ღვივის ფხვნილად გადაქცევაზე-დაფშუტვაზე. ეს პროცესი ადამიანის თვალისთვის უხილავად მიმდინარეობს. ნაქურჩალის ფორმა უცვლელია და თუ ნივრის ძირი ხელში არ აიღეთ, თითები არ მოუჭირეთ, შიგ გულიც ასევე უცვლელი გგონიათ. ნივრის „გაპარვის“ მიმსგავსებით, როცა ვინმე მოულოდნელად, შეუმჩნევლად საიდანმე გაიპარება, გაუჩინარდება და თავისი სიმარჯვით ყველას გააკვირვებს, იტყვიან: *რა ნიორივით გაიპარაო!...* ასე რომ თქმა *დამრჩა ნიორის ნაქურჩალიო* ნიშნავს *მოულოდნელად ცარიელზე დარჩენას, ხელიდან გამოცლას რისამე ისე, რომ პატრონს აზრადაც არ მოსვლოდეს* (სახოკია, 1950: 87).

ხახვისებრთა ოჯახის წარმომადგენელს-ნიორს როგორც საკვებს, ისე სამკურნალო საშუალებას უძველესი დროიდან იცნობს ადამიანი. თურმე ის „[...] შედიოდა ხეოფსის პირამიდის მშენებელი მონების კვების რაციონში. ძვ. წ. 1550 წლის პაპირუსებში მოცემულია 22 სახის წამლის რეცეპტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ნიორი“ (იოსებძე, 2015: 112). ნოღაიდელთან კი, ნიორი ცრურწმენას უკავშირდება და ის მოხსენიებულია როგორც ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალება. აჭარელი ხალხის რწმენით, ოდესღაც მას ერთ-ერთ ატრიბუტად იყენებდნენ აკვანზე გასაკეთებლად ჩვილის დასაცავად (ნოღაიდელი, 1935: 9-10).

დანივრული ხაშლამა-ვერ მოგართვეს კარგი რამ, ვერ ეღირსები სიკეთეს. ხაშლამა ხორცის ან თევზის ცივად ამოღებული მოხარშული ნაჭერია. დანივრული ანუ ნივრით შეკმაზული ხაშლამა სანუკვარ საჭმელად ითვლებოდა (სახოკია, 1950: 90).

დაფნის გვირგვინი-(პრდ. დაფნის ფოთლებისა და ტოტებისგან გაკეთებული გვირგვინი) სამხედრო ან პოეტური დიდება, სახელი, თავის გამოჩენა. ძველი ბერძნები გმირებს (ვინც მტერთან ბრძოლაში ისახელებდა თავს) და განსაკუთრებით-გამოჩენილ პოეტებს დაფნის ფოთლების გვირგვინს დაადგამდნენ. მითოლოგიის თანახმად, აპოლონს შეუყვარდა გულქვა ნიმფა დაფნე. ერთხელ მას თვალი მოჰკრა და საჩქაროდ უკან გამოუდგა. ნიმფამ რომ დაინახა, საცაა დამეწევაო, იუპიტერს შველა სთხოვა, იმანაც ნიმფა დაფნის ხედ აქცია. მას შემდეგ დაფნა აპოლონის საყვარელ ხედ იქცა და თვით ხეს ნიმფას სახელი-დაფნე, ანუ ჩვეულებრივად დაფნა დაერქვა (სახოკია, 1950: 92).

ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი, იგივე *ვერ მიართვეს ბადრიჯანი*⁵²-(პრდ. ვერ მიიღე ჩემგან დანივრული ბადრიჯნის მწნილი) ცარიელზე დაგსვი, ვერას გამომრჩი, თავი არ მოგატყუებინე, დამარცხდი, გააწბილეს, მიზანს არ მიაღწევინეს. ქართულ კულინარიაში, ბადრიჯნის მწნილი და ისიც დანივრული, სანუკვარ საჭმელად ითვლებოდა. ეს თქმა ნიშნის მოგებითია, ე.ი. გულით გინდოდა ჩემთვის რამე დაგეშავებინა, რამე წაგერთმია, მაგრამ უკაცრავად, ცარიელზე დაგსვით (სახოკია, 1950: 127).

ვინც არა-ქინძარა-(პრდ. ვინც არა ჰქნას რაიმე, იმას ქინძარა ხვდესო) ვინც არ გააკეთოს რაიმე, იმას შერცხვენა ერგოს, სახელგატეხილი იარებოდეს, უარაფროდ დარჩესო. ქინძარა (ლათ. Bifora radians) გარეული ქინძია, საჭმელად უვარგისი, უღირს ბალახად ითვლება. მას ლაპარაკში მცირედი დანაშაულისთვის არგუნებენ კაცს, უფრო კი ხუმრობაში ჩასატარებელი შემთხვევის დროს. ამ შემთხვევაში ფიტონიმი ფრაზის პირველი ნახევრის რითმისთვისაა ნახმარი (სახოკია, 1950: 128).

თავზე კაკლის მტვრევა-არაფრად მიჩნევა, აბუჩად აგდება, დაჩაგვრა, დამცირება. კაკლის მტვრევა ვისამე თავზე გამოხატავს არა ვაჟკაცის მიერ ფიზიკურ

⁵² <http://idioms.iliauni.edu.ge/> (მოძიებულია 22.05.18)

შეურაცხყოფას, არა სწორის მიერ საბრძოლველად სწორის გამოწვევას, ბრძოლის ყოველი წესის დაცვით, არამედ მომრევის მიერ მორეულის აბუჩად აგდებას, მის კაცად ჩაუგდებლობას, ბრძოლის ღირსად უცნობელობას (სახოკია, 1950: 141).

კაი ბიჭი ხარ მწიფე ტყემლის ძირას-მზამზარეულზე ყველა ყოჩაღია. ხეს დარხევაც არ უნდა, მწიფე ტყემალი ისე ცვივა ძირს და ხის ქვეშ მყოფს ჭამის მეტი ხელის განძრევაც არ ჭირდება-მწიფე ტყემალი პირდაპირ პირში უცვივა. ასე მიმართავენ ზარმაცს და თან ტრაბახას, ვინც იძახის: მე ვარ ბიჭი, რა გინდა ხელიდან არ გამომივიდესო!.. ის კი არა, ძირს დაცვენილი მწიფე ტყემლის უშრომლად ჭამის შნოთულა აქვს, მეტი არაფერი!.. (სახოკია, 1950: 186).

ტყემალზე ზის-(პრდ. ტყემლის საჭმელად ტყემლის ხეზეა ასული) უვიცია, ქვეყნიერების არა გაეგება რა, ტყუილი და მართალი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია. ტყემალს მოგეხსენებათ სხვა ხილთა შორის უკანასკნელი ადგილი უჭირავს, ანუ ხილად არც კი მიიჩნევდნენ. მარტო მისგან კბილების მოჭრა რად ღირს!.. ადამიანი ხილს დანატრებული უნდა ყოფილიყო, რომ ტყემლით მოენდომებინა პირის გასველება. მიიჩნევდნენ რომ გვერდით სხვა ხილის არსებობისას, როცა ადამიანი ხეზე ასული ტყემალს გაახლებოდათ, ასეთ კაცს გონიერებაზე ხელი აღებული უნდა ჰქონოდა; დიახაც რომ ბრიყვად ჩასაგდებიც იქნება და ტყუილად დაიკვებებს-ქვეყნიერებისა რამე გამეგებო. ასეთს პირდაპირ უბოდიშოდ პირში მიახლიან: შენ, ჩემო ძმაო, ტყემალზედა ზიხარ! აბა საიდან გეცოდინება, რა ხდება ქვეყანაზე ან შენს გარშემო!.. ან კიდევ, როცა ვისმე დაუმსახურებლად მიაკრავენ უვიცობის იარლიყს, ის ხატოვნად მიუგებს თავის გამმასხარავებელს და ძვირადმხსენებელს: შე კაი კაცო, რას მემართლები, ტყემალზე ხო არა ვზივარო! (სახოკია, 1954: 167).

ლეღვია-(პრდ. ლეღვის მსგავსი) ზლაზნია, უწადინო, უშნო, დონდლო, გაუბედავი. ლეღვია კახური სიტყვაა. უწოდებენ უშნოს, ზლაზნვით და უგვანოდ მოარულს, საქმის კეთებაში უგერგილოს და უფოლადოს. ლეღვის მწიფე ნაყოფი სხვა, მაგარ კურკიან ხილთან შედარებით მეტად რბილია, ხელში ჭერის დროს ყოველგვარ ფორმას ღებულობს იმისდა მიხედვით, თუ რანაირ მდებარეობაშია. თვით ლეღვის ხე, ხეებს შორის უკანასკნელ, უვარგის ხედ ითვლება, არ ვარგა მასალად: თუ ნედლია-მდგნეობა აკლია, ათასგვარად იგრიხება და იმტვრევა. ხოლო თუ ხმელია-

შემადაც უხმარია-ბურბუშელასებრ აპრილდება და სხვა საწვავი შემის სიმბურვალესაც ვერ მოსთხოვთ. აქედანვეა *მოლეღვა*, რაც ნიშნავს სირბილით, მოდუნებით ლელვისათვის მიზაძვას; *მოლეღვილი კაცი*-ლელვს დამსგავსებული, ანუ მოდუნებული (სახოკია, 1950: 227).

ჩალად მიჩნევა-(პრდ. ჩალის ფასად მიჩნევა) არაფრად მიჩნევა, გაუფასურება, ყოველგვარი ღირსების აცილება. ჩალა-მარცვლოვანი მცენარის ღეროა, მარცვლებგამოცლილი, მეტად დაბალი ფასისაა და ამა თუ იმ საგნის უფასურობის, სიმდარის, უღირსების გამომხატველია (სახოკია, 1955: 81).

ყურებზე ხახვი არ დამაჭრა-(პრდ. დაჭრილი ხახვი არ დამაყარო ყურებზე!) ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე, ყმად ვერ გამიხდი. ჩვენი წინაპრები ამ თქმით გულმოსულ და მათზე კბილებალესილ მოპირდაპირეს მიმართავდნენ, როცა ეს უკანასკნელი ემუქრებოდა და დაჩაგვრას უპირებდა. მაგრამ რა შუაშია ამასთან *ხახვი, ისიც ყურზე დაჭრილი ან სახელდობრ რატომ ყურზე* და არა სხეულის სხვა ნაწილზე ან კიდევ რა დანიშნულებითაა დაჭრილი?! ძველად, ტყვეებს მონობის ნიშნად, ყურებს სჭრიდნენ, ხოლო წამოსული სისხლის შესაჩერებლად, დეზინფექციისა და ნასრევის შესახორცებლად ჭრილობაზე ხახვს წმინდად დააჭრიდნენ. აღნიშნული გამოთქმა სწორედ ამ გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხახვის ეთეროვანი წვენიც ეს თვისება ჭრილობის საწამლებლად საქართველოს მთიელთა შორისაც ცნობილია. ასე რომ თქმა „ყურებზე ხახვის დაჭრა“ გადატანით *მონად გახდომას* ნიშნავს. ხოლო თუ ვინმეს ვეტყვით-*ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო*, ვგულისხმობთ უკაცრავად, არ დამიმორჩილოთ, არ მომერიოთ, ყმა არ გამხადოთო! ამ ჩვეულებისგან უნდა იყოს დარჩენილი ჩვენში ატირებული ბავშვის შესაშინებლად მუქარით ნათქვამი: *ყურებს დაგაჭრისო და ყურმოჭრილი ყმა* (სახოკია, 1955: 43-44).

ხახვივით შემრჩა-(პრდ. ხახვს უკან არავინ მართმევს) იოლად გადავრჩი პასუხისგებას. მოგეხსენებათ სამზარეულოში ხახვი ძალიან ხშირად გამოყენებული ბოსტნეულია და ნიორთან ერთად პირველი ადგილი უჭირავს კერძის შესანელებლად. ხელმოკლე გლეხი ხშირად ცარიელა ხახვსაც მიირთმევდა პურთან შესატანებლად და ამით იოლას გამოდიოდა. კახეთში როცა მეზობელს ხახვს

ასესხებდნენ, უკან არც მოითხოვდნენ და არც გამართმევდნენ მოსესხეს, რადგან არსებული ცრუმორწმუნეობის თანახმად, გაცემული ხაზვის, სიმწარის ამ სიმბოლოს, დაბრუნებასთან ერთად შესაძლოა მსესხებლის სახლში სიმწარე, მწუხარება, დარდ-ნალველი, ცრემლთა ღვრა შემოსულიყო. ამიტომ ხაზვის მოსესხეს თამამად შეეძლო ეთქვა-ხაზვივით შემრჩაო და როცა რამ უდიერობისთვის პასუხს ვერავინ მოსთხოვდა, კვებით, თავმომწონედ იტყოდა ხოლმე: (ესა და ეს საქმე) ხაზვივით შემრჩაო! ამ თქმის მეორენაირი ახსნაც არსებობს. ხაზვი ძველად მეტად იაფი გახლდათ-ფუთი სამ შაურად ფასობდა. მისი მითვისება მაინცდამაინც არც ვაჟკაცობად ითვლებოდა და აღარც დანაშაულად, არც პატრონის ქონებრივი უფლების დარღვევად და ამიტომ ხაზვის პატრონის მხრიდან საყვედური არ იყო მოსალოდნელი და თუ იქნებოდა, ადვილი გასაძლები, ეგრე ვთქვათ, მისაფუჩჩებელი, ხუმრობითი იქნებოდა. ეს თქმა ისმის იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში) და იდიომის *ნაპოვნ დანასებ შემრჩა* სინონიმია (სახოკია, 1955: 193-194).

პანტასავით ჩამოსვლა-(პრდ. პანტის მსგავსად ცვენა) მრავლად, ისე როგორც დარხეული პანტის ხიდან ცვივა ხოლმე. *პანტა*, ანუ *გარეული მსხალი* საშინლად ბევრს ნაყოფს ისხამს. როცა მომწიფებულ ხეს დაარხევენ, თითქოს წვიმა მოდისო, ისე ცვივა ნაყოფი ძირს. პანტასავით ცვენა ხატოვნად რისამე სიმრავლის გამომხატველია, რომელიც ეფინება ზევიდან ქვევით, დედამიწის პირზე (სახოკია, 1954: 84).

ჭინჭარს არ მოგიხარშავ-(პრდ. შენთვის ჭინჭრის მოსახარშავადაც კი არ შევიწუხებ თავს) შენი გულისთვის თითსაც არ შევხრი, შენთვის სულ მცირედადაც კი არ გავირჯები. მხალეულს შორის ჭინჭარი ყველაზე სწრაფი და იოლი მოსამზადებელია. მდულარე წყალში მცენარე ეგრევე ჩაიფუკება, მალევე იხარშება, ასე რომ სულ ცოტა შრომა სჭირდება მის მომზადებას. ჭინჭარს არ მოგიხარშავო ვეტყვით ისეთს, ვისაც ყურადღებისა და მინიმალური ზრუნვის ღირსად არ ვთვლით და ვისაც, რაც არ უნდა უჭირდეს, ჩვენი დახმარებისა და შველის იმედი არ უნდა ჰქონდეს (სახოკია, 1955: 182).

ოსპის შეჭამანდისათვის მიცემა (რისამე)-იაფად, თითქმის მუქთად მიცემა რაიმე ღირებულებისა; უჭკუობა, სიბრიყვე, უანგარიშობა. [...] თანახმად „დაბადებისა“, მამამთავარ აბრაამის შვილს, ისაკს, ორი შვილი ჰყავდა-ესავი და იაკობი. პირმშო იყო ესავი, რომელზედაც მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა უნდა გადმოსულიყო. ერთხელ ესავი ნადირობიდან დაღლილი და დამშეული დაბრუნდა. იაკობი ამ დროს ოსპის შეჭამანდს ხარშავდა. ესავმა ჭამა სთხოვა. იაკობი დათანხმდა იმ პირობით, თუ ის პირმშოებას დაუთმობდა. ესავს ბარემ ემძიმებოდა პირმშოებაზე ხელის ადება, მაგრამ შიმშილს გაძლომა არჩია და ოსპის შეჭამანდისათვის პირმშოებას შეელია. აქედან წარმოიშვა თქმულება: „ოსპის შეჭამანდისათვის“, ე.ი. სულ უბრალო რამისთვის ძვირფას რისამე დათმობა (სახოკია, 1979: 480).

ამრიგად, მოძიებული ემპირიული მასალიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ: ფიტონიმები ლინგვისტიკაში კვლევის ახალი სფეროა, რომელიც ამჟამად ნაკლებად შესწავლილია; ფიტონიმები უდავოდ ლექსიკის ერთ-ერთი უძველესი პლასტია, ის მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის ფრაზეოლოგიაში; ფიტომორფიზმების ეროვნულ სპეციფიკას განაპირობებს როგორც ეროვნულ-კულტურული ტრადიციები, ასევე დედამიწის სხვადასხვა ნაწილის მცენარეთა ნაირსახეობა და გეოგრაფიული მდებარეობა; ფიტონიმური იდიომების შესწავლა, შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს სამყაროს ენობრივი სურათის შესაქმნელად საჭირო, ის მნიშვნელოვანი ენობრივი ელემენტები, რომლებშიც აისახება ადამიანის შინაგანი სამყარო: ემოციები, შეფასებები, ურთიერთკავშირი სამყაროსა და სხვა მოვლენებთან. დაბოლოს, გამონათქვამების ისტორიის შესწავლა, შესაძლებლობას გვაძლევს მივაკვლიოთ მისი მნიშვნელობის წარმოშობის მიზეზს, ღრმად ჩავწვდეთ მცენარის ისტორიულ ღირებულებასა და სიმბოლურ დატვირთვას, რაც მოცემული ენის კულტურასთან კიდევ უფრო გვაახლოვებს და გვიადვილებს მათ გაგებას.

თავი III. კონოტაციით მსგავსი და განსხვავებული იდიომები ფრანგულ და ქართულ ენებში

3.1. ერთგვაროვანი შინაარსის მქონე იდიომები ორივე ენაში.

გლობალიზაციის ეპოქაში კულტურათაშორის დიალოგსა და კომუნიკაციას, განსაკუთრებული ადგილი და როლი მიენიჭა. იმისთვის რომ სწორი კომუნიკაცია შედგეს და თავიდან იქნეს აცილებული ის კულტურული უხერხულობანი, რაც განსხვავებული ოჯახის ენების მატარებელთა შორის ურთიერთობას მოჰყვება, აუცილებელია კულტურული რეალიებისა და მომენტების გაცნობა/გათავისება. კულტურა ამა თუ იმ ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, სიბრძნის, ცოდნის, ქცევის, ცხოვრებისეული მაგალითების, ყოველდღიურობის, კულტურული და სულიერი ცხოვრების, ისტორიის, გარემო პირობების ერთობლიობაა, რომლის აკუმულაციაც ენაში ხდება. ის ათასწლეულების განმავლობაში გადაეცემა თაობიდან თაობას და ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას. ამ დროს ენა ასრულებს ერთგვარი ამოუწურავი მეხსიერების მქონე „კაფსულის“ როლს, რომელიც ადამიანებს ასაზრდოებს ამგვარი ფასდაუდებელი ცოდნით.

ფიტონიმები, სემანტიკურად მრავალფეროვანი ლექსიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და მცენარეთა მახასიათებლების კრებულია. საგნისა თუ ადამიანის შეფასებისას გამოყენებულ მცენარეთა კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიზმებში, ნათლად ჩანს კონკრეტული ენის მატარებლის შინაგანი, სულიერი სამყარო. „ამასთანავე მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იდიომების მოტივაციურ-ნომინაციური ველები, რომლებიც ექსპრესიულად ასახავენ შესასწავლი ენების უნივერსალურ ან ეროვნულ-კულტურულ თავისებურებებს: ფიტონიმების რელიგიურ-მითოლოგიურ წარმომავლობას, სხეულის ნაწილებთან (ადამიანის, ცხოველის და ა.შ.) ან საყოფაცხოვრებო ელემენტებთან მსგავსებას“ (Кхоиґ, 2018: 80).

ენა სამყაროს აღქმის გარკვეულ საშუალებებს-სამყაროს ენობრივ სურათებს ასახავს. ფიტონიმებით შედგენილი ენობრივი სურათები კი-გარკვეული სიმბოლიკისა და ინფორმაციის წარმოჩენის ბრწყინვალე შესაძლებლობაა. კულტურა მთელი სიდიადითა და უნიკალურობით ფრაზეოლოგიზმებშია თავმოყრილი.

სუბიექტის ან ობიექტის მიმართ გამოყენებული მყარი გამონათქვამები, კონკრეტული ეროვნული კულტურის იმპლიციტური აზრის მატარებელია. ისინი, ინდივიდის შინაგანი სამყაროდან გამომდინარე, რთული მენტალური პროცესის-აზროვნების შედეგია, რაც საბოლოოდ ერთ ცხადდება, „ენა ადამიანს სპეციფიკურად შეიცნობს“ (Вольф, 2002: 150). უნიკალურობაა სწორედ ის, რაც მას კულტურულ ელფერს სძენს.

ორი განსხვავებული ენის ფიტონიმური იდიომების კვლევა, ძალიან საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მათი შედარება-შეპირისპირებისას ყველაზე ნათლად წარმოჩნდება მათ შორის არსებული კულტურული, ეთნიკური და მენტალური განსხვავებანი. იდიომები ანდაზების მსგავსად „[...] მათი სტრუქტურითა და სტილით, ენობრივი ფორმით წარმოდგენილი მორალური და უტილიტარული (გამოყენებითი) ნორმების გამომხატველი სიმბოლური ერთეულებია. იმავე კულტურის შიგნით, ან განსხვავებულ კულტურებში გადმოცემული ეს ნორმები, შესაძლებელია ემთხვეოდნენ ერთმანეთს ან განსხვავდებოდნენ ინდივიდის ნებისმიერი ქცევის შეფასებებით“ (Surguladze, 2013: 253).

ამ თავში ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია მოვახდინოთ *სემანტიკურად ანუ შინაარსობრივად მსგავსი* ფიტონიმების შემცველი ფრანგული და ქართული იდიომების *კონცეპტუალური კლასიფიკაცია*. ძირითადად, მ.ვ. პიმენოვასა და ო.ნ.კონდრატევის მიერ შემოთავაზებულ კონცეპტთა (ცნებათა) კლასიფიკაციის მოდელს ვეყრდნობით (Пименова,...2011: 96-100), რომელშიც შედის: *შეფასებითი, სოციალური, ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველი, განზომილებითი კონცეპტების ჯგუფები*. თუმცა, ემპირიული მასალის სიუხვიდან გამომდინარე, დავამატეთ ახალი კონცეპტუალური ჯგუფებიც: *წყევლისა და დალოცვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ფიზიკური მდგომარეობის, ფიზიოლოგიური საჭიროების, ტრადიციისა და კულტურის, გარდაცვალების, სიკვდილის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფები*. საჭიროდ მივიჩნიეთ, *პერცეპციულ (გრძნობათა ორგანოებით აღქმა) და საგნობრივ კონცეპტთა ჯგუფების* ცალკე გამოყოფაც (ზემოხსენებულ ავტორებთან ისინი კოსმოსურ კონცეპტთა ჯგუფის ნაწილია).

შეფასებითი კონცეპტების ჯგუფი:

უფასური, არაფერი, ღირებულებას მოკლებული ნივთი საგანი თუ სხვა რამ, ფრანგულ ენაში გადმოცემულია ისეთი ფიტონიმებით, როგორებიცაა მიწის თხილი, ბანანი, კომბოსტო, მარცვალი, ბალი, ფინიკი, ცერცვი, ჩალის ღერო, კაკალი: *Ne pas valoir une cacahuète*⁵³-(პრდ. მიწის თხილადაც არ ღირს) ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული, უმნიშვნელო რამ; *Feuille de chou*-(პრდ. კომბოსტოს ფოთოლი) უმნიშვნელო, უინტერესო, იაფფასიანი ნაწერი, გაზეთი (ქადეიშვილი,... 1998: 430); *Ne pas peser un grain*-(პრდ. მარცვლის წონისაც არაა) საუბ. 1.მარდია, დაუზარელია, ცქვიტია; 2. უმნიშვნელო, არად მისაჩნევი, ბეწვისოდენა (ბიბილეიშვილი,... 2010: 258); *Gagner des dattes*⁵⁴-(პრდ. ფინიკების მოგება) ხალხ. არაფერი (არაფრის მიღება); *Ne pas donner (ან ne pas laisser tomber) un fétu pour qch*-(პრდ. რაღაცაში ჩალის ღეროს არ მიცემა (ან ვერ გაგდებინება) გრომ-კაპიკსაც არ მისცემს, არაფრად აგდებს (ბიბილეიშვილი, ... 2010: 225); ქართულ ენაში მწვანილებს-პრასსა და ნიახურს ხატოვანი თვალსაზრისით დიდი ღირებულება არ გააჩნიათ, ამიტომ, მსგავსი იდიომების მნიშვნელობაც ადვილად მისახვედრია: *პრასი-ნიახურია-არაფერია*, უმნიშვნელოა, სალაპარაკოდ არ ღირს (სახოკია, 1954: 100); *ბოლოკი და ხბოს თავი-არაფერი* (სახოკია, 1950: 35); *ტყემლის ჩირად მიჩნევა*-(პრდ. ტყემლის ჩირის ღირსებისა) უფასური, ძალზე მდარე, სულ უბრალო (სახოკია, 1954: 168); *დამპალი კიტრის ფასი*-უღირალი, სრულიად უვარგისი, სრულიად უფასური (სახოკია, 1950: 86); გარეული მსხლის (პანტის) ჩირი, საქართველოში მდარე გამხმარ ხილად ითვლება, ამიტომაც ბუნებრივია მასთან შეადარო ცუდი, დაბალი ხარისხის რაიმე: *პანტის ჩირი* - მდარე, ყოველსავე ფასს მოკლებული (სახოკია, 1954: 84-85).

ფრანგულ ენობრივ სივრცეში *ჩიჩაკით* შედგენილი იდიომით გადმოცემული კონცეპტები-*ფასი*, *ღირებულება*, მიუთითებს *სიძვირეზე*. თანაც, ამ კონცეპტის გამომხატველი მხოლოდ ერთი ფიტონიმური იდიომი მოვიძიეთ. მაგალითად: *Cela est cher comme poivre*⁵⁵-(პრდ. ეს წიწაკასავით ძვირია) *ცეცხლის ფასი აქვს*, ძალზე

⁵³ <https://dictionnaire.reverso.net/francais-synonymes/ne+pas+valoir+une+cacahu%C3%A8te> (მოძიებულია 10.11.18)

⁵⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/22537/gagner_des_dattes (მოძიებულია 16.01.19)

⁵⁵ <https://www.littre.org/definition/poivre> (მოძიებულია 22.12.18)

მვირია. ქართულში კი პირიქით, ფიტონიმებით გადმოცემული ზემოხსენებული კონცეპტები ძალიან დაბალ ფასს, თითქმის მუქთად გაცემას გამოხატავს, რაც ვფიქრობთ, საქართველოში ამ ბოსტნეულის თუ მცენარის სიუხვემ განაპირობა: ნივრის ფასად-მეტად იაფად, თითქმის მუქთად (სახოკია, 1954: 72); ბზის ფასად⁵⁶-ჩალის ფასად, ძალიან იაფად; კიტრის ფასი-მეტად მცირე ფასი, უფასურობის სადარი (სახოკია, 1950: 212); კიტრად ღირს (კიტრის ფასად იყიდება)⁵⁷-ძალიან იაფია, არაფრად ღირს; ჩალის ფასად გაყიდვა-იაფად გაყიდვა (ცეცხლაძე, 2018: 80).

შეფასება: Belle plante-(პრდ. ლამაზი მცენარე) ლამაზი გოგონა, ქალი, ლამაზმანი (Rey,... 2015: 731); *Ce qu'elle est chou!*-(პრდ. როგორი კომბოსტოა!) რა ლამაზია! (ქადეიშვილი,... 1998: 430); *Quelle bonne poire*-(პრდ. რა კარგი მსხალია) მდაბ. რა კარგი სიფათი აქვს (ბიბილეიშვილი,... 2010: 428). ქართველები შეფასების პროცესში, საკმაოდ მოხერხებულად იყენებენ ფიტონიმებს. მაგალითად: ჩადის გემო აქვს-(პრდ. ერთგვარი მცენარის ფოთლის გემო აქვს) ვითომ არ ვარგა! ჩადი-მცენარეა, რომლის ფოთოლს დაწურვისას ნავში უფენენ ყურძენს. ამ თქმაში სიტყვათა თამაშია: ჩადი-მცენარე და ჩადი-ზმნა ჩასვლა, ანუ ჩადის (ღვინო) მუცელშიო. ამ ფრაზას ღვინის სმის დროს ირონიულად იყენებენ: ღვინის სმა უნდათ, მაგრამ ვითომ იწუნებენო (სახოკია, 1955: 80); კოკობი ვარდო⁵⁸-გაუშლელი ვარდი (მიმართვა ახალგაზრდა ქალისადმი); *საქერე კბილი ჯერ არ ამოსვლია*⁵⁹-საუბ. ჯერ არ მომწიფებულა, ჯერ არ დავაჟკაცებულა.

ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი კონცეპტების ჯგუფი:

*აღნაგობა: C'est un sac de pommes de terre*⁶⁰-(პრდ. ეს კარტოფილის ტომარაა) მსუქანი, უშნო, ულაზათო მოყვანილობის ქალი; *Un beau brin d'homme*⁶¹-(პრდ. კაცის ლამაზი ყლორტი) მაღალი, ძლიერი, ტანადი კაცი; *Mince comme une pelure d'oignon*⁶²-(პრდ. ხახვის გარსივით თხელი) ძალიან მსუბუქი, ძალიან თხელი; *C'est une asperge*

⁵⁶ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

⁵⁷ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 24.01.19)

⁵⁸ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

⁵⁹ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 29.01.19)

⁶⁰ https://idioms.fr.ru.academic.ru/7794/c'est_un_sac_de_pommes_de_terre (მოძიებულია 14.01.19)

⁶¹ https://idioms.fr.ru.academic.ru/44891/un_beau_brin_d'homme (მოძიებულია 10.02.19)

⁶² <https://translate.academic.ru/oignon/fr/ru/> (მოძიებულია 17.01.19)

(*montée*)⁶³-(პრდ. ეს გაზრდილი სატაცურია) სწრაფად გაზრდილი, გამაღლებული და გამხდარი მოზარდი; მდაბ. აყლაყუდა, ახმახი; *Être taillé dans un batôn de sucette*-(პრდ. გათლილი ჯოხზე გაკეთებულ საწუწნ კანფეტში) საუბ. აშოლტილი, ტანკენარი (ბიბილეიშვილი,... 2010: 48); *ხოლო ქართულში ვხვდებით: ლერწამტანობა-ტანადობა, ტანწერწეტობა* (სახოკია, 1950: 226). ქართველი ხალხის აზრით, ქალის სიმშვენიერის ერთ-ერთი მაჩვენებელთაგანია მისი ტანწერწეტობა ანუ ლერწამტანობა. გავრცელებული აზრით, ქალს ტანი უნდა ჰქონდეს ლერწმის მსგავსი, წვრილი, მოხდენილი; *წყავის მუგუზალიაო*-(აჭარულში) მეტისმეტად შავგრემან ქალზე იტყვიან (ცეცხლაძე, 2018: 74); *ჩაოს თხმელა*-(აჭარულში) ადამიანი, რომელსაც სიმაღლე აქვს, მაგრამ უუნაროა, სუსტია ისევე როგორც ჩაოში, უმზეურ ადგილას ამოსული ხე (ცეცხლაძე, 2018: 74); *ცარიელი ჩხირები*⁶⁴-იტყვიან მეტისმეტად გამხდარ ადამიანზე.

ლოთი, ნასვამი, მთვრალი ფრანგულში გადმოიცემა ბოსტნეულთან, ხილთან და ხესთან ასოციაციებით: *Avoir sa prune*-(პრდ. საკუთარი ქლიავის ქონა) საუბ. გამოთრობა, გამობრუჟვა, გამოტყვრომა (ბიბილეიშვილი,... 2010: 442); *Avoir son bout de bois*-(პრდ. მისი ხის ნაჭრის ქონა) მოძვ. მთვრალი (Rey,... 2015:110); *Avoir l'air poivre*-(პრდ. წიწაკის იერის ქონა) უგონოდ მთვრალი (ქადეიშვილი,... 2000: 128); *Avoir une pistache*⁶⁵-(პრდ. ფსტის ქონა) მთვრალი, გაღეშილი, გამობრუჟული. ქართულ ენაში აღნიშნული კონცეპტის გამომხატველი ბოსტნეულის შემცველი მხოლოდ ერთი იდიომი მოვიძიეთ, რომელიც აშკარად წინაპართა საყოფაცხოვრებო სფეროდანაა დამკვიდრებული: *ხაპია*-(პრდ. ხაპით ღვინის ამომღები) ღვინის ძალიან მსმელი, ლოთი (სახოკია, 1955: 191).

მედიცინა, ჯანმრთელობა. მაგალითად: *Elle écrase ses tomates*⁶⁶-(პრდ. თავის პომიდვრებს ჰყლეტს) ხალხ. მედ. მენსტრუაცია აქვს; *Avoir la gueule de bois*⁶⁷-(პრდ. ხის პირის ქონა) საუბ. ბევრი დაღვევის შედეგად გაჩენილი პირის სიმშრალე, ნამთვრალევი; *Grain d'orge*-(პრდ. ქერის მარცვალი) ჯიბლიბო (ქადეიშვილი,... 1999:

⁶³ <http://www.cnrtl.fr/definition/asperge> (მომიებულია 28.11.18)

⁶⁴ <http://ena.ge/explanatory-online> (მომიებულია 28.01.19)

⁶⁵ <http://www.cnrtl.fr/definition/pistache> (მომიებულია 28.11.18)

⁶⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/14971/elle_%C3%A9crase_ses_tomates (მომიებულია 17.01.19)

⁶⁷ <http://www.cnrtl.fr/definition/bois> (მომიებულია 04.12.18)

392); *Il est léger de deux grains*⁶⁸-(პრდ. ორი მარცვლით მსუბუქია) მოძვ. (ხუმრობით) კასტრირებულია, საჭურისია; *Être jaune comme un citron ou comme un coing*⁶⁹-(პრდ. ლიმონით ან კომშივით გაყვითლებული) ჩაყვითლებული, ავადმყოფური ფერი; *Avoir avalé un pépin*⁷⁰-(პრდ. კურკის, თესლის გადაყლაპვა) ხალხ. ფეხმძიმედაა. ქართულში კი, ამ სფეროსთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი ფიტონიმური იდიომი მოვიძიეთ-*ჭინჭრის ციება*⁷¹-ალერგიული ხასიათის მწვავე დაავადება. ავადმყოფს ტანზე წითლად გამოაყრის ხოლმე (ჭინჭრით დასუსხულივით) და ექავება;

სხეულის ნაწილები: Pomme d'Adam-(პრდ. ადამის ვაშლი) ანატ. ხვანჩი, ყანყრატო (ქადეიშვილი,... 2000: 133); *Grain de beauté*-(პრდ. სილამაზის მარცვალი) ხალი (ქადეიშვილი,... 1999: 392). სომატურ ნაწილში, ქართულშიც, ფიტონიმები საკმაოდ მცირეა: *თვალის კაკალი ადამიანის, ცხოველის...*⁷²-თვალის ბურთისებრი სხეული; იგივეა, რაც თვალი; *გვერდის წნელო*⁷³-იგივე ნეკნი; *კაკალ გულში*⁷⁴-საუბ. შიგ შუა გულში.

პერცეპციულ (გრძნობათა ორგანოებით აღქმა) კონცეპტთა ჯგუფი:

სიფრთხილე, შორსმჭვრეტელობა, წინათგრძნობა ფრანგულ კულტურაში პირდაპირ კავშირშია ფიტონიმებთან ხე, სალათი, ბალახი, მარცვალი, მსხალი, ხის ქერქი, თივა, ხახვი, ყურძენი და ხორბალი: *Jouer la carotte*⁷⁵-(პრდ. სტაფილოს თამაში) საუბ. ფრთხილად, რისკის გაუწევლად თამაში; *Avoir (à envoyer, mettre dessus) toutes les herbes de la Saint-Jean*-(პრდ. წმინდა ჟანის ყველა ბალახის ქონა (ან გაგზავნა, ზემოდან დადება) 1. ყველაფერი გააკეთა, *ყველა ღონე იხმარა, ყველა გზას მიმართა*; 2. გაითვალისწინა, შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა; ყველა წესი დაიცვა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 269); *C'est pas nos oignons*-(პრდ. ეს ჩვენი ხახვები არაა) ჩვენი

⁶⁸ <https://www.littre.org/definition/grain> (მოძიებულია 12.12.18)

⁶⁹ <http://www.linternaute.fr/lexpression/langue-francaise/18278/etre-jaune-comme-un-citron-ou-comme-un-coing/> (მოძიებულია 13.01.19)

⁷⁰ <http://www.cnrtl.fr/definition/p%C3%A9pin> (მოძიებულია 27.11.18)

⁷¹ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 27.01.19)

⁷² <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 23.01.19)

⁷³ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 30.01.19)

⁷⁴ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 23.01.19)

⁷⁵ <http://www.cnrtl.fr/definition/carotte> (მოძიებულია 20.11.18)

საქმე არ არის, ჩვენ არ გვეხება (ქადეიშვილი, ... 1999: 951); *Il a du foin aux cornes*-(პრდ. რქებში თივა აქვს) შემაწუხებელი და ძლიერი ადამიანი, რომელთანაც სახიფათოა საქმის დაჭერა, მისგან თავის შორს დაჭერა უკეთესია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო; *Voir venir le grain*⁷⁶-(პრდ. მარცვლის მოსვლის ყურება) უბედურების, საშიშროების წინასწარ განჭვრეტა, წინათგრძნობა; *Les raisins sont trop verts*-(პრდ. ყურძნები ძალიან მწვანეა) რაღაც არც ისე კარგია (Rey,... 2015: 789); *C'est du blé en grenier*-(პრდ. ეს სხვენში ხორბალია) უტყუარი საქმეა (ქადეიშვილი,... 1998: 289). ხოლო ქართულ ენაში ზემოხსენებული კონცეპტების გამომხატველი შემდეგი ფიტონიმიანი იდიომები მოვიძიეთ: *უყარე კაკალი*⁷⁷- რამდენიც გინდა ეცადე, ვეღარას გააწყობ, გვიანდა იქნება; *დიდი ხნის პურს ვერა სჭამს!*-დიდხანს ვერ გაძლებს, დიდხანს ვერ იცოცხლებს (სახოკია, 1950: 102). ქართველეთა წარმოდგენაში პურის ჭამა სიცოცხლის სინონიმია, ამიტომ მათი წარმოდგენით, ლოგიკურია, თუ ადამიანი პურს ვერ შეჭამს, ე.ი. დიდხანსაც ვერ იცოცხლებს; *ქვეყანა ჩალად არ უჩანს*⁷⁸-რაღაცის იმედი აქვს; *მეყოლე ვარდივით*-ჟარგ. ეუბნებიან თანამოსაუბრეს, როდესაც მესამე პირს ავ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ან უქადიან. გულისხმობენ: შენ კარგად იყავი (ვარდივით მეყოლე), იმას კი ყოფა ეტირებაო (ეს არაა ნათქვამი, მაგრამ იგულისხმება) (ბრეგაძე, 2013: 91).

გაფრთხილება, რჩევა-დარიგება: Ce n'est pas une paille!-(პრდ. ეს ჩალა არაა!) ეს არც ისე უმნიშვნელოა; არც ისე ადვილია (ბიბილეიშვილი,... 2010: 388). ქართული კი გამოირჩევა მათი სიმრავლით: *ნიახური ხომ არა ხარ, მეორედ მოხვიდე*-ნიახური ქოლგოსანთა ოჯახის ერთ, ორ და მრავალწლოვანი მცენარეა, სწორედ ამ თვისებასთან არის დაკავშირებული ეს გამოთქმა (ცეცხლაძე, 2018: 76); *მერე მიდი და უყარე კაკალი*⁷⁹-ვერაფერს ვეღარ იზამ, მერე, რაც გინდა, ის უყავი, ის გააკეთე; *შენს ქერქში იყავ!*-რაც გაქვს, ამას დასჯერდი, ბევრს ნუ ნდომულობ. განდიდება დაიშალე, ნუ ჰკადნიერდები, მოკრძალებული იყავ (სახოკია, 1955: 69); *თავზე წნელი*

⁷⁶ https://idioms.fr.ru.academic.ru/46105/voir_venir_le_grain (მოძიებულია 12.01.19)

⁷⁷ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

⁷⁸ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 22.05.2018)

⁷⁹ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

მოუჭირეთ!-იტყვიან, როცა ადამიანი ლოგიკურად ვერ აზროვნებს (ცეცხლაძე, 2018: 198);

სოციალური კონცეპტების ჯგუფი:

ა) საქმის, მოქმედების გამომხატველი კონცეპტები:

მოქმედება: *Se manier, se dégrouiller la tomate*⁸⁰-(პრდ. პომიდვრის მართვა, განძრევა) ხალხ. ან არგ. აჩქარება; *Porter bien son bois*-(პრდ. ხე-ტყის კარგად ტარება) საუბ. მსუბუქი, თანაბარი ნაბიჯით სიარული (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *Marcher sur des noix*-(პრდ. კაკლებზე სიარული) საუბ. ძლივს დადის (ბიბლიეიშვილი,... 2010: 367); *Appuyer sur le champignon*-(პრდ. სოკოზე დაჭერა) საუბ. აჩქარება (მანქანის), სიჩქარის მომატება (Rey,... 2015: 159); ხოლო ქართულში ფიტონიმი ხე დომინირებს: *მიხისფეხება*-(პრდ. ხის ფეხით მისვლა) თრევით მისვლა, წვალებით, დიდის გაჭირვებით ფეხების გადადგმა (სახოკია, 1954: 31); *მთელი დღე ჯოხის ცხენზედა ვზივარ*-მოუცლელი ვარ, პურის ჭამის დროც კი არ მაქვს (სახოკია, 1979: 399). როგორც სათამაშო ცხენზე მოჯირითე, თამაშში გართულ ბავშვებს ავიწყდებათ ჭამა, ასევე ხატოვნად იტყვიან გადარბენაზე მყოფ ადამიანზე.

ფიტონიმები ჯოხი, ლერწამი, ბალი ფრანგი ხალხის მენტალიტეტით ასოციაციურად უკავშირდება *გაპარვას, გაქცევას*. მაგალითად: *Déménager à la cloche de bois*-(პრდ. ერთი ბინიდან მეორეში ბარგის გადაზიდვა ხის ზარივით) ბინიდან ქირის გადაუხდელად გაპარვა (ქადეიშვილი, ... 1998: 451); *Mettre les bouts de bois*-(პრდ. ხის ნაჭრების დადება) გაპარვა, გაქცევა (Rey, ... 2015: 110). *Les bouts de bois*-მეტაფორულად „ფეხებს“ ნიშნავს; *Jouer des cannes*⁸¹-(პრდ. ლერწმების თამაში) გაქცევა, გაპარვა; ქართულში კი ამ კონცეპტის გამომხატველად ნიორი მოგვევლინა. როცა ვინმე საიდანმე შეუმჩნევლად გაიპარება, თვალს მოეფარება და თავისი სიმარჯვით ყველას გააკვირვებს, ქართველები იტყვიან: *რა ნიორივით გაიპარაო!* (სახოკია, 1950: 87).

⁸⁰ <http://www.cnrtl.fr/definition/tomate> (მოძიებულია 29.11.18)

⁸¹ https://idioms_fr_ru.academic.ru/25854/jouer_des_cannes (მოძიებულია 09.01.19)

ამა თუ იმ ადგილზე დამკვიდრება, მყარად მიმაგრება, ფეხის მოკიდება და ამ კონცეპტების გამომხატველი იდიომები, თითქმის ემთხვევა ერთმანეთს ორივე ენაში. მაგალითად: *Prendre racine*-(პრდ. ფესვის გადგმა) ბოტ. მყარად დამაგრება, ფესვების გადგმა და განვითარების დაწყება; გადატანით იტყვიან ფეხზე მდგომ, უძრავ ადამიანზე (Rey,... 2015: 788); *Aller planter ses choux*⁸²-(პრდ. კომბოსტოების დასარგავად წასვლა) სოფლად დამკვიდრება, გადასახლება. ქართულში ამ ცნებებს ძირითადად ფიტონიმი-*ბალახის ფესვი* გადმოსცემს, რომელმაც ბუნების წიაღში არსებულ პირობებში განვითარებისთვის, ჯერ ფესვი უნდა გაიდგას. ასეთებია: *ბორჯგადგმული*-მაგარი, საფუძვლიანი, ფეხებმოკიდებული (სახოკია, 1950: 36). *ბორჯი* მცენარის ძირის, ფესვის სახელია; *ბალბასებრ ფესვის გადგმა*-მაგრად დამკვიდრება სადმე, მტკიცედ მომაგრება ფეხებისა, მყარი საძირკვლების ჩაყრა (სახოკია, 1979: 44).

*უსაქმურობა, სიზარმაცე: Ramasser le crottin des chevaux de bois*⁸³-(პრდ. ხის ცხენების ნეხვის შეგროვება) საუბ. უსაქმურობა; *Fricasser les écuelles de bois*⁸⁴-(პრდ. ხის ჯამების განიავება) საუბ. ქონების ნარჩენებით არსებობა; *Aller et venir comme pois en pot*⁸⁵-(პრდ. ქოთანში ბარდასავით გორვა) ბევრი მისვლა-მოსვლა; ტყუილად ყიალი; *Avoir les pieds en cosses de melon*-(პრდ. ნესვის პარკში ფეხების ქონა) არგ. სიზარმაცე, მუშაობისგან თავის დაპყრენა (Caradec, 2005: 135). ქართულში კი - *რა ენაზე ინა დაგიდვიაო*-იტყვიან როდესაც ადამიანს ლაპარაკი ეზარება (ცეცხლაძე, 2018: 76); *ჩალისოდენაც ვერა მიუმატა*-ვერაფერი მიუმატა (ცეცხლაძე, 2018: 80); *ჩხირს არ გადააბრუნებს*-ზარმაცია, ადვილ საქმესაც არ აკეთებს, არაფერს აკეთებს (სახოკია, 1955: 100). იმავე მნიშვნელობისაა გამოთქმა *ჩხირის გვერდად ქცევა* (სახოკია, 1955: 100); *ჩხირკედელაობა*-ნამდვილი საქმის არკეთება. უსაქმურობის საქმიანად ჩათვლაა. ჩხირკედელაობა ჩხირების კედელში შერჭობის მცდელობაა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ მოჩხირკედელავე კაცი უსაქმურობის გამო

⁸² <http://www.cnrtl.fr/definition/chou> (მოძიებულია 27.11.18)

⁸³ https://idioms_fr_ru.academic.ru/37550/ramasser_le_crottin_des_chevaux_de_bois (მოძიებულია 30.12.18)

⁸⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/22375/fricasser_les_%C3%A9cuelles_de_bois (მოძიებულია 30.12.18)

⁸⁵ https://books.google.ge/books?id=2ks_AAAAcAAJ&pg=PA449&dq=Aller+et+venir+comme+pois+en+pot&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjx2efN6b_VAhXIiRoKHRzeCWSQ6AEIJDAA#v=onepage&q=Aller%20et%20venir%20comme%20pois%20en%20pot&f=false, (მოძიებულია 31.07.17)

მაინც განაგრძობს ამ ქმედებას, რითაც ამტკიცებს კიდევაც თავის უსაქმურობასა და მოცილილობას (სახოკია, 1955: 100);

დროის დაკარგვა, გაფლანგვა. მაგალითად: *Battre l'eau avec un bâton*⁸⁶-(პრდ. ჯობით წყლის ნაყვა) გადატ. წყლის ნაყვა, ამაო მცდელობა, დროის ტყუილად დაკარგვა; *S'attacher aux branches*-(პრდ. ტოტებზე მიმაგრება) საუბ. წვრილმანებზე შეჩერება (ქადეიშვილი,... 1998: 196); *Trouver visage de bois*-(პრდ. ხის სახის ნახვა) სახლში არავინ დახვდა, კარი გამოკეტილი დახვდა (ბიბილეიშვილი,... 2010: 544). სამხრულ კილოებში გავრცელებულია გამოთქმა: *ხეს და მიწას ედება*-როცა ადამიანი ბევრი რამის კეთებას იწყებს, მაგრამ არაფერი გამოსდის (ცეცხლაძე, 2018: 72), ანუ დროს ტყუილად კარგავს.

თავიდან მოშორება, გაგდება: *Envoyer aux (ან sur les) fraises*⁸⁷-(პრდ. მარწყვებში (ან -ზე) გაგზავნა) ხალხ. ჯანდაბაში გაგზავნა; *Envoyer qqn planter ses choux*⁸⁸-(პრდ. ვინმეს გაგზავნა კომბოსტოების დასარგავად) გათავისუფლება, სამსახურიდან გაგდება, გაშვება ან გამგზავრება, საუბ. გაცილება; *Flanquer sa canne à qn*⁸⁹-(პრდ. ვინმესთვის ლერწმის მოქნევა) სახლიდან გაგდება, გარეთ გაგდება; *Secouer le cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმის შენჯღრევა) ასაკოვანი, არაპროდუქტიული, შრომისუუნარო ხალხის თავიდან მოშორება (Rey,... 2015: 208); *Signer la feuille de route à qn*-(პრდ. ვინმესთვის საგზაო ფოტოლზე ხელის მოწერა) კარზე მიუთითა; დაითხოვა; გააგდო, გაათავისუფლა (ბიბილეიშვილი,... 2010: 227). ქართულში კი - *ხახვივით შემრჩა*-იოლად გადავრჩი პასუხისგებას (სახოკია, 1955: 193-194); *ხახვივით შერჩება*⁹⁰-პასუხს არ აგებინებენ, პასუხს არ მოსთხოვენ.

გაფუჭება, განადგურება: *Casser du bois*-(პრდ. ხის გატეხვა) ავიაციის ჟარგონის ენაზე თვითმფრინავის ავარიული დაშვებისას მისი დაზიანება (Rey,... 2015: 87); *Le ver est dans le fruit*⁹¹-(პრდ. ჭიაყელა ხილშია) ვითარება, საქმე საფუძვლიანად უარესდება, ფუჭდება. ქართველები იტყვიან - *განიორწყლება* (სახოკია, 1950: 49),

⁸⁶ <https://www.littre.org/definition/b%C3%A2ton> (მოძიებულია 24.12.18)

⁸⁷ https://idioms.fr.ru.academic.ru/16467/envoyer_aux_fraises (მოძიებულია 17.01.19)

⁸⁸ <http://www.cnrtl.fr/definition/chou> (მოძიებულია 27.11.18)

⁸⁹ https://idioms.fr.ru.academic.ru/21984/flanquer_sa_canne_%C3%A0_qn (მოძიებულია 09.01.19)

⁹⁰ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 26.01.19)

⁹¹ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/17583/le-ver-est-dans-le-fruit/> (მოძიებულია 11.01.19)

ნიორწყალი-მოსპობა, უნიათობა, გაჩანაგება, უყუათობა (სახოკია, 1954: 72); კვირტის გაუზრდელობა-მეურნეობის მოსპობა, რაიმე მცენარეულობის მოყვანაზე ხელის აღება, გაუზრდელობა, რაც პატარაა, კვირტის ოდენაა (სახოკია, 1950: 209); მონარეკლება-მიწიდან ამოთხრა ყველაფრისა, შიგ ჩაუტოვებლობა, ძირიან-ფესვიანად მოგლეჯა, მოსპობა, გაქრობა; დაქანცვა, დაღალვა (სახოკია, 1954: 37-38). გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობა-სათესი ადგილის ნარისა და ეკლისაგან ძირფესვიანად გასუფთავებაა, რათა ნათესს თავისუფალი ადგილი ჰქონდეს. ხატოვნად იგულისხმება ვინმეს ან რაიმეს ძირფესვიანად განადგურება, გაპარტახება.

ლაპარაკი: *Sauter de branche en branche*-(პრდ. ტოტიდან ტოტზე ხტომა) მიედ-მოედება (ბიბლიეიშვილი,... 2010: 71); *Fleur de l'éloquence*-(პრდ. მჭევრმეტყველების ყვავილები) მჭევრმეტყველების მარგალიტები (ბიბლიეიშვილი,... 2010: 233); *Hacher de la paille*⁹²-(პრდ. ჩალის ცეხვა) საუბ. 1. უხეშად ლაპარაკი; 2. გერმანული აქცენტით ლაპარაკი; *Conter (à) débiter, dire, faire) des fagots*-(პრდ. ფიჩხის კონების მოყოლა (ან თხრობა, თქმა, კეთება) სისულელეების ჩმახვა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 217); ქართველები ამ კონცეპტს საკმაოდ ბევრ ფიტონიმს უკავშირებენ. მაგალითად: *ცერცვივით წაყრის*⁹³-სხაპასხუპით იტყვის; *ენა ფოთლად ექვა*-ბევრი, ამასთან, ამო, უშედეგო ლაპარაკი (ცეცხლაძე, 2018: 79); *ხიდან ყვავს ჩამოაგდებს, ისეთი ენა აქვს*-მეტად მოქარგული ლაპარაკი იცის, ვის არ შეაცდენს მაგისი ენა, ყველას მოატყუებს, მეტად ეშმაკია (სახოკია, 1955: 217-218); ... არა, *ნიახური*-წარმოთქვამენ აგდებული ინტონაციით, როცა უნდათ თანამოსაუბრეს აგრძნობინონ სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო (ბრეგაძე, 2013: 104);

შეცვლა: *Changer son bâton d'épaule*-(პრდ. მისი მხრის ჯოხის შეცვლა) საუბ. აზრის შეცვლა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 48); *Tirer une carotte de longueur à qn*-საუბ. *სიტყვის ბანზე აგდება*, საუბრის სხვა კალაპოტში გადაგდება (ბიბლიეიშვილი,... 2010: 82);

⁹² https://idioms_fr.ru.academic.ru/23546/hacher_de_la_paille (მოძიებულია 14.01.19)

⁹³ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 24.01.19)

*Tourner la truie au foin*⁹⁴-(პრდ. ნეზვი ღორის მობრუნება თივისკენ) მოძვ. საუბრის თემის შეცვლა, სხვა თემაზე გადასვლა. ქართულშია -*ქერქს იძრობს*⁹⁵-სახეს იცვლის.

დაცვა, თავდაცვა: *Attraper la fève (ან le haricot, l'oignon)*-(პრდ. ცერცვის (ან ლობიოს, ხახვის) დაჭერა) მკერდით გადაფარება (ბიბლიეიშვილი,... 2010: 227); *Montrer de quel bois on se chauffe*-შენი შესაძლებლობის ჩვენება (თავდაცვის მიზნით), *სეირის ჩვენება (ვუჩვენებ სეირს!)*, *თავბედი აწყველინა* (Rey,... 2015: 87). ქართულში კი - *არც ჩვენ გვიძოვია ბალახი*-არც ჩვენ ვართ უმეცრები, დასაბრეყებლები, თქვენი დასაცინი არ გახლავართ (სახოკია, 1950: 17); *ბზე ხომ არ მიჭამია!* -ზვის მჭამელი პირუტყვი ხომ არა ვარ, შეუსმენელი, გაუგებარი, არაფრის მნახველი ხომ არა გგონივარ (სახოკია, 1979: 55); *ტყის შეკვრა*-(პრდ. ტყის შეერთება, მისი შესასვლელი კარის დაკეტვა) აკრძალვა ტყეში ხის მოჭრისა, შიგ არავის შეშვება რამე მასალის გამოსატანად (სახოკია, 1954: 168).

ბ) *სოციალური მდგომარეობისა და სტატუსის გამომხატველი კონცეპტები:*

სიძნელე, დაბრკოლება, გაჭირვება: Ne savoir plus de quel bois faire flèche-(პრდ. არ ცოდნა იმისა თუ რომელი ხისგან გააკეთო ისარი) არანაირი საარსებო წყაროს არ ქონა (Rey,... 2015: 87); *Mettre des bâtons dans les roues*-(პრდ. ბორბლებში ჯოხების ჩადება) საქმის შეფერხება, ხელის შეშლა, დაბრკოლების შექმნა (ქადეიშვილი,... 1998: 262); *Les buissons de la route*-(პრდ. გზის ბუჩქები) ცხოვრებისეული უსიამოვნებები (ბიბლიეიშვილი,... 2010: 71); *La carotte ou le bâton*⁹⁶-(პრდ. ან სტაფილო ან ჯოხი) ან გასამრჯელო ან სასჯელი, აირჩიე ამ ერთი ან მეორე, ან სიცოცხლე ან სიკვდილი; *Être sur les roses*-(პრდ. ვარდებზე ყოფნა) მოძვ. უსიამოვნო, რთულ მდგომარეობაში ყოფნა (Rey,... 2015: 810); *Avoir un pépin*-(პრდ. კურკის ქონა) გართულების, სიძნელეების ქონა (ქადეიშვილი,... 2000: 63); *Être dans une salade*⁹⁷-(პრდ. სალათაში ყოფნა) ხათაბალაში გაბმა, რთულ მდგომარეობაში აღმოჩენა; *Affaire épineux*-(პრდ. ეკლიანი საქმე)

⁹⁴ https://idioms_fr.ru.academic.ru/44023/tourner_la_truie_au_foin (მოძიებულია 16.01.19)

⁹⁵ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 30.01.19)

⁹⁶ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-l/3173-la-carotte-ou-le-baton.html?highlight=WYjYXJvdHRlII0> (მოძიებულია 20.11.18)

⁹⁷ https://idioms_fr.ru.academic.ru/17634/%C3%AAtre_dans_une_salade (მოძიებულია 10.01.19)

საჩოთირო საქმე (ქადეიშვილი,... 1999: 107); *Chaud patate*⁹⁸-(პრდ. ცხელი კარტოფილი) მწელი, რთული რამ. ქართველი ხალხი ამ კონცეპტებს ფიტონიმ ასკილს უკავშირებენ. *ასკილის ყვავილობა*-ჭირნახულის შემოღების დროს, გაჭირვება (სახოკია, 1950: 18). იგივე მნიშვნელობა აქვს *ფშატის ყვავილობას*⁹⁹ (სახოკია, 1954: 209) და *ასკილი რომ თავს დაიქნევს* (სახოკია, 1950: 18); *ეკალ-ბარდში გახლართვა*-გამოუვალ, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნა, ბადეში გაბმა (ონიანი, 1966: 60); *ხახვის ფურცელი*¹⁰⁰-ცრემლიანი გზა; *ვერ წაიკვირტა*¹⁰¹-საშველი არ დაადგა; წელში ვერ გაიმართა; *ცხრა ჩხირი გამიხდა*-(რამე საქმე) მეტად გამიჭირდა ან სულაც ვერ შევძელი რისამე გაკეთება (სახოკია, 1979: 828-829). ეს თქმა სათავეს იღებს ერთ-ერთი ყველაზე რთული ქართული საბავშვო თამაშისაგან, რომელსაც „ცხრა ჩხირი“ ჰქვია;

ყველაფრის დაკარგვა, ძარცვა: Être volé comme dans une (la) forêt (de Bondy)-(პრდ. (ბონდის) ტყეში გაძარცვულივით ყოფნა) სრულებით გაძარცვული, გატყავებული (Rey,... 2015: 432). იმავე მნიშვნელობისაა გამოთქმა-*Être volé comme dans un bois, comme au coin d'un bois* (პრდ. გაძარცვული როგორც ტყეში, როგორც ტყის კუთხეში) (Rey,... 2015: 89); *Il est allé rôtir les marrons*¹⁰²-(პრდ. წაბლების შესაწვავად წავიდა) გადატ. იტყვიან იმაზე ვისაც ფული აღარ აქვს, ყველაფერი წააგო, გადის თამაშიდან; ხოლო ქართულად ვიტყვით - *დამრჩა ნიორის ნაქურჩალი*-მოულოდნელად ცარიელზე დარჩენა, ხელიდან გამოცლა რისამე ისე, რომ პატრონს აზრადაც არ მოსვლოდეს (სახოკია, 1950: 87).

ფიტონიმები ხახვი, ბოლოკი, ჯოხი, ყვავილი, ხორბალი, სტაფილო, თივა ფრანგულ კულტურაში უკავშირდება კონცეპტებს-*ღარიბი, გაჭირვებული: Se nourrir d'un oignon*¹⁰³-(პრდ. ხახვით კვება) გასაჭირში, სიღარიბეში ყოფნა, მწირად კვება; *Être fleur*-(პრდ. იყო ყვავილი) არგ. უფულოდ, უკაპიკოდ დარჩენილი (Caradec, 2005: 94);

⁹⁸ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/19400/chaud-patate/> (მოძიებულია 14.01.19)

⁹⁹ ფშატი დაბალი ტანის ხეა, ვიწრო მოვერცხლისფრო ფოთლებით, პატარა, ყვითელი, სურნელოვანი ყვავილებით. აქვს კურკიანი ნაყოფი. <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 04.02.19)

¹⁰⁰ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 26.01.19)

¹⁰¹ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 28.01.19)

¹⁰² <https://www.littre.org/definition/marron> (მოძიებულია 05.12.18)

¹⁰³ <https://www.lingvolive.com/ru-ru/translate/fr-ru/se%20nourrir%20d'un%20oignon> (მოძიებულია 25.12.2018)

Fauché comme les blés-(პრდ. ხორბალივით მოცელილი) უფულო, ძალიან ღარიბი (Rey,... 2015: 83); *Manger son blé en vert*-(პრდ. სიმწვანეში შესული ხორბლის ჭამა) მოძვ. ფულის, ქონების წინასწარ შემოხარჯვა (ქადეიშვილი,... 1998: 289); *Ne vivre que de carottes*¹⁰⁴-(პრდ. მხოლოდ სტაფილოებზე ცხოვრება) ხმელ პურზეა, ხელმომჭირნედ ცხოვრობს, ნახევრად მშიერია; *Coucher, être sur la paille*-(პრდ. ჩალაზე ყოფნა, წოლა) სიდუხჭირეში ცხოვრება; გაჭირვებაში ყოფნა (ქადეიშვილი,...2000: 7). ქართულ კულტურაში კი ამ კონცეპტების როლს ფიტონიმები ლობიო, პური, ღერი და ჩხირი ასრულებენ: *ცარიელ ლობიოზე გადაივლის*¹⁰⁵-მხოლოდ ლობიო ექნება საჭმელად; *პურის კუტი ენატრება*-ძალზე გაჭირვებულია, ნახევრად მშიერია (სახოკია, 1954: 102); *ცარიელ პურზე ზის (ცარიელ პურზე იჯდა, გადადის)*¹⁰⁶-სიღარიბის გამო ცარიელი პურით საზრდოობს.

*საქმიანობა (პროფესია): Mangeur de prunes*¹⁰⁷-(პრდ. ქლიავეების მჭამელი) არგ. თერძი, მკერავი; *Abatteur de noix*¹⁰⁸-(პრდ. კაკლის მტეხველი) საუბ. მათხოვარი; *Haricots verts*-(პრდ. მწვანე ლობიოები) არგ. ა) გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები; ბ) ქურდები (ქადეიშვილი,... 1999: 440); *Mangeur de pommes*¹⁰⁹-(პრდ. ვაშლების მჭამელი) ესე ეძახიან ნორმანდიელებს; *C'est un melon*-(პრდ. ეს ნესვია) არგ. 1. (რასისტული, დამამცირებელი) არაბი; 2. სენ-სირის სპეციალური სამხედრო სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტი (Caradec, 2005: 135); *Moteur à avoine (ან à crottin)*¹¹⁰-(პრდ. შვრიის (ან ნეხვის) ძრავა) ხუმრ. ცხენი. ხოლო ქართულში - *ტყის ძმა*¹¹¹-საყაჩაღოდ გასული, ტყეში გავარდნილი, ყაჩაღი.

*საზოგადოება: Bois d'ébène*¹¹²-(პრდ. აბანოზის ტყე) ისტ. "შავი საქონელი" (შავკანიან, ზანგ მონებზეა საუბარი, რომლებიც გადაჰყავდათ აფრიკიდან ამერიკაში); *Fine*

¹⁰⁴ <http://www.cnrtl.fr/definition/carotte> (მოძიებულია 05.01.19)

¹⁰⁵ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 24.01.19)

¹⁰⁶ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 25.01.19)

¹⁰⁷ https://www.gastronomiac.com/argot_de_bouche/prune/ (მოძიებულია 04.12.18)

¹⁰⁸ https://idioms_fr.ru.academic.ru/1024/abatteur_de_noix (მოძიებულია 10.01.19)

¹⁰⁹ https://idioms_fr.ru.academic.ru/29098/mangeur_de_pommes (მოძიებულია 07.01.19)

¹¹⁰ https://idioms_fr.ru.academic.ru/31257/moteur_%C3%A0_avoine (მოძიებულია 15.01.19)

¹¹¹ <http://idioms.iliauni.edu.ge/> (მოძიებულია 20.02.20)

¹¹² https://idioms_fr.ru.academic.ru/6278/bois_d'%C3%A9b%C3%A8ne (მოძიებულია 17.01.19)

*fleur*¹¹³-(პრდ. წვრილი ყვავილი) ჯგუფის ან ადამიანთა გარკვეული კატეგორიის ყველაზე გამორჩეული ნაწილი, რჩეული საზოგადოება; *Gros(se) légume, une légume*¹¹⁴-(პრდ. დიდი ბოსტნეული) დიდი ვინმე, ბობოლა; *Graine de crapule*-(პრდ. არამზადის თესლი) ნაძირლები, ვიგინდარები (ბიბლიეიშვილი,... 2010: 258); *Homme de paille*-(პრდ. ჩალის კაცი) შემცვლელი პირი, წარმომადგენელი (ქადეიშვილი,... 2000: 7); ქართულში კი მხოლოდ ორი ფიტონიმური იდიომი მოვიძიეთ-*ფურჩქა აზნაური*-უყუათო, უქონელი, უშნო, მსუბუქი ჭკუის, ყულია აზნაური (სახოკია, 1979: 668); *ჯონჯოლი*-ჟარგ. ბობოლა, დიდი ვინმე (დაცინვით). *ჯონჯოლი* (ჯონჯოლის ხის ყვავილებისაგან დამზადებული მწნილი) საუკეთესო მწნილად ითვლება (ბრეგაძე, 2013: 173).

*სიმდიდრე, ფული, უზრუნველი ცხოვრება: Avoir de l'oseille*¹¹⁵-ფული აქვს, მდიდარია; *Aller aux épinards*¹¹⁶-(პრდ. ისპანახებში წასვლა) ხალხ. უზრუნველი ცხოვრება; არგ. თავის რჩენა პროსტიტუციის გზით (Caradec, 2005: 86); *Avoir du blé en poche*¹¹⁷-(პრდ. ჯიბეში ხორბლის ქონა) არგ. ფულის ქონა. შეიძლება ვთქვათ *სქელი ჯიბე აქვს*; *En avoir noix*-(პრდ. კაკალივით ქონა) მდაბ. ბევრი სამკაულის, ძვირფასეულობის ქონა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 367); *Il a bien mis de la paille dans ses souliers*-(პრდ. ფეხსაცმელებში ჩალა კარგად ჩაუგია) ამბობენ დაბალი ფენიდან მოსულ ადამიანზე, რომელმაც დიდძალი ქონება იშოვა (Rey,... 2015: 426); *Faire ses foins*¹¹⁸-(პრდ. მისი თივების გაკეთება) გადატ. დიდი სარგებლის მიღება, სარფის ნახვა; *C'est une belle épine tirée du talon*-საუბ. სულის მოთქმა, დიდი შვება, გულიდან ლოდის მოშორება (ბიბლიეიშვილი,... 2010: 205). ქართულში კი - *ქვაცა აქვს და კაკალიც*¹¹⁹-ყველაფერი აქვს, არაფერი აკლია; *ბზესავით არის (ბზესავით აქვს)*¹²⁰-თავზე საყრელად აქვს, ბევრი რამ აქვს; ლაზურში დასტურდება თქმა *მხალივით ჭამს*-არ მომჭირნეობს (ცეცხლაძე, 2018: 187); ქართულ კულტურაში ძველად

¹¹³ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-f/2132-fine-fleur.html> (მოძიებულია 09.01.19)

¹¹⁴ <http://www.cnrtl.fr/definition/1%C3%A9gume> (მოძიებულია 09.01.19)

¹¹⁵ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/2107-avoir-de-loseille.html?highlight=WyJvc2VpbGxIII0=> (მოძიებულია 29.12.18)

¹¹⁶ <http://www.cnrtl.fr/definition/%C3%A9pinard> (მოძიებულია 06.01.19)

¹¹⁷ <http://www.cnrtl.fr/definition/bl%C3%A9> (მოძიებულია 25.11.18)

¹¹⁸ <https://www.littre.org/definition/foin> (მოძიებულია 28.11.18)

¹¹⁹ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

¹²⁰ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

ადამიანის შეძლებასა და სიმდიდრეს მის ეზოში დარჩენილი ნაფოტის სიჭარბე გამოხატავდა. შედეგად შემოგვრჩა იდიომი-დიდი ნაფოტი მიცვივა სახლში-შეძლებული, მდიდარი ვარ (სახოკია, 1950: 102); ლიმონი-ჟარგ. მილიონი. ერთი სიტყვის მეორე, მსგავსი ჟღერადობის სიტყვით ჩანაცვლება კონსპირაციის მიზნით (ბრეგაძე, 2013: 86).

გ) ინტერპერსონალური ურთიერთობის მაჩვენებელი კონცეპტები:

დამოკიდებულება, მოპყრობა, გაფრთხილება. მაგალითად: *Comme la prunelle de l'oeil (ან de son oeil, de ses yeux; იხმარება ზმნებთან aimer, chérir, conserver, soigner და ა.შ.)*-(პრდ. თვალის კვრინჩხივით, გუგასავით (ან მისი თვალის, თვალების; ...სიყვარული, დაფასება, მოვლა, გაფრთხილება) თვალისჩინვით (ბიბილეიშვილი,... 2010: 442); *Se prendre le chou*¹²¹-(პრდ. კომპოსტოს ტვირთვა) ზრუნვა, შეწუხება; *Apporter des oranges à quelqu'un*-(პრდ. ვინმესთვის ფორთოხლების მიტანა) ვინმეს მონახულება ციხეში ან საავადმყოფოში (Rey,... 2015: 658). ქართულში კი - *ია-ვარდს დაუფენს*¹²²-ტკბილად, ალერსით მოეპყრობა, თავს შემოევლება.

კავშირი, ურთიერთობა: *Noix confite*-(პრდ. დაშაქრული კაკალი) საუბ. სასიყვარულო თამაშები (ბიბილეიშვილი,... 2010: 367); *Aller cueillir la noisette*-(პრდ. თხილის საკრეფად წასვლა) (შეყვარებულების) ტყეში განმარტობა (ბიბილეიშვილი, ... 2010: 367); *Se sucer la pomme*-(პრდ. ვაშლის წოვა) ხალხ. კოცნა-პროშტნა (ქადეიშვილი,... 2000: 133); *Se sucer la poire*-(პრდ. მსხლის წოვა) საუბ. კოცნა-პროშტნა (Rey,... 2015: 747); *Se lécher le citron*-(პრდ. ლიმონის ლოკვა) არგ. კოცნა (Caradec, 2005: 54); *Jouer de la prunelle*-საუბ. თვალის ჩაკვრა, თვალების ჟუჟუნი (ქადეიშვილი,... 2000: 209); *Voir (regarder) la feuille à l'envers*-(პრდ. ფოთლის უკუღმა დანახვა (ყურება) სიყვარულით ტკბობა, სიყვარულობანა ბუნების წიაღში, ტყეში (Rey,... 2015: 410). აჭარულ დიალექტში გვხვდება გამოთქმა - *ბალის ხიდზე განარები (გავლილი)*, რომელიც შორეულ ნათესავს ნიშნავს. აქ ერთგვარი ირონიაცაა, რადგან ბლის ხიდზე ყველა დადის ნათესავიც, უცხოც, ახლობელიც და შორეულიც (ცეცხლაძე, 2018: 74); *პური ერთად გაგვიტეხია*-პური ერთად გვიჭამია; ერთად გვიცხოვრია, ერთმანეთის

¹²¹ <https://leflpourlescurieux.fr/les-fruits-et-les-legumes-expressions-imagees-b1/> (მოძიებულია 27.11.18)

¹²² <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 26.01.19)

მახლობელნი, მეგობარნი ვართ (სახოკია, 1954: 101-102). ძველი ტრადიციის მიხედვით ქართულ სუფრაზე პური ხელით ტყდებოდა, ეს ქმედება კი ჭამის დაწყების მანიშნებელი და მეგობრობის, კარგი ურთიერთობის სიმბოლოც იყო. თქმის სემანტიკა სავსებით ლოგიკურია, რადგანაც არასასიამოვნო სუბიექტთან ერთად, ადამიანი ერთ სუფრას არ მიუჯდება და პურს არ შეჭამს; *უიმისოდ პურსაც კი არ სჭამდა*-ძალიან უყვარდა, დიდი მეგობარი იყო (სახოკია, 1979: 625); *გულის ვარდი*¹²³-სატრფო, სათაყვანებელი არსება, საყვარელი;

კავშირის გაწყვეტა: Rompre la paille (le fétu)-(პრდ. ჩალის (ჩალის ღეროს) გაწყვეტა) მოძვ. თანხმობის ანუღირება; მეგობრული კავშირის გაწყვეტა. XVI საუკუნის ბოლოს გაჩენილი გამონათქვამი ძველი ფრანგული იურიდიული სფეროს ტრადიციიდანაა, რომლის თანახმადაც მყიდველი ან კონტრაქტზე ხელის მომწერი, დასტურად მატერიალური სახით ჩალის ღეროს იღებდა. სწორედ პირობის დარღვევის სიმბოლოა ჩალის ღერის გაწყვეტა (Rey,... 2015: 668). ეს ფენომენი ქართულ კულტურაში უფრო აქტუალური ყოფილა: *ჩვენში ჩალა გაწყვეტილია*-ჩალის სისუსტის კავშირი, რომელიც შეიძლება კიდევ არსებობდა ჩვენში, უკვე აღარ არის, ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს. ძველად ჩვეულება ყოფილა, როცა ორი ვინმე ერთმანეთს შემოსწყრებოდა, ჩალას გაწყვეტდნენ და ამით ეტყოდნენ ერთერთს: ჩვენს შორის ყველაფერი მორჩა, ერთმანეთთან არაფერი გვაერთებსო, ჭირსა თუ ლხინში მე-ჩემთვის, შენ-შენთვისო (სახოკია, 1955: 96); *ჩვენს შორის ჯობი გატყდა*-ჩვენს შორის ურთიერთობა შეწყდა, მეგობრობა მოისპო, ერთმანეთის მოკეთენი აღარ ვართ, ერთმანეთის მტრებად გადავიქცეთ (სახოკია, 1955: 95-96), იმავე მნიშვნელობისაა თქმა-*ჩვენს შორის ჩხირი გატყდა* (სახოკია, 1955: 95). *ჯობის შუაზე გადატყება* ძველად დაშორების სიმბოლო იყო. სახოკიას სიტყვებით, ქართლში, წაჩხუბებული ბავშვებიდან ერთ-ერთი აიღებდა ჩხირს, გატყებავდა და გატყებულ ნაწილს მეორეს გადაუგდებდა ამ სიტყვებით, რის შემდეგაც ერთად აღარ თამაშობდნენ, გაიბუტებოდნენ.

ცემა, დარტყმა: Donner à qqn une volée de bois vert-(პრდ. ვინმეს მწვანე ხით გალახვა) მიტყეპა, მიბეგვა (Rey,... 2015: 923); *Coller des marrons*-(პრდ. წაბლების

¹²³ <http://idioms.tsu.ge/?p=3572> (მოძიებულია 24.01.19)

მიწებება) საუბ. მიბეგვა, დაჟეჟვა (მუშტებით) (ბიბლიეიშვილი,... 2010: 330); *Payer des oranges*-(პრდ. ფორთოხლების გადახდა) ჟარგ. ხელჩართული ბრძოლა, მუშტი-კრივი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 381); *Avoine de cocher*-(პრდ. მეეტლის შვრია) მოძვ. ცხენისთვის გადაკრული მათრახი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 39); *Monter l'aubergine*-(პრდ. ბადრიჯნის ატანა) არგ. სახეში გაარტყმა (Caradec, 2005: 11). ქართულში კი - *ნიორწყალივით გახდის (ნიორწყლად აქცევს)*¹²⁴-ძალიან სცემს, ცხვირ-პირს დაუჩიქქავს; *ჯოხის აკიდება*-(პრდ. ჯოხის მიბმა ზურგზე) ჯოხის მოხვედრება, ცემა (სახოკია, 1955: 236); *ჯოხს ქვეშ გატარებული*¹²⁵-ჯოხით ნაცემი.

დაჩაგვრა: Tonner sur les choux-საუბ. სუსტის დაჩაგვრა, დაბალი ღობის ნახვა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 106); *Grêler sur le persil*¹²⁶-(პრდ. ოხრახუშზე დასეტყვა) 1.დაბალი ღობის პოვნა, სუსტების დაჩაგვრით საკუთარი ძლიერების ჩვენება; 2.დაწვრილმანება; *La paille et la poutre*-(პრდ. ჩალა და ძელი) (მრავალნაკლიანი ადამიანის მიერ სხვისი ნაკლის გაკრიტიკება) თავის თვალში ძელს (ან დირეს) ვერ ამჩნევს, სხვისაში ბეწვსა ხედავსო (Rey,... 2015: 668). ქართულში კი - *ეკლის გაყრა თვალეში*-დაბრმავება, დაჩაგვრა, დაზარალება, გაუბედურება, მოსპობა (ცეცხლაძე, 2018: 80); *თავზე კაკალს ამტვრევს (თავზე კაკალს დაამტვრევს)*¹²⁷-ძალიან უჯავრდება, რისხვას ატეხს თავზე; *ყველა ჯოხი იმაზე უნდა გატყდეს!*-ყველას დასაჩაგრავი და დაბალი ღობე ის არის, უბედურია, ყველამ ის უნდა შეიწიროს მსხვერპლად (სახოკია, 1979: 722).

*კონფლიქტი, არეულობა: Gelée de coing*¹²⁸-(პრდ. კომშის ჟელე) ხალხ. დიდი უსიამოვნება; *Faire un foin du diable*¹²⁹-(პრდ. ეშმაკის თივის გაკეთება) ხალხ. აყალმაყალის ატეხა; *Faire une salade de diverses choses*-(პრდ. სხვადასხვა ნივთებისგან სალათის გაკეთება) გაუგებრობის, ქაოსის გამოწვევა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 469). ქართულში კი - *ნიორწყალივით გადაესხა ყველას*-ყველა წააჩხუბა, გადაჰკიდა ერთმანეთს, მშვიდობიანობა დაარღვია (სახოკია, 1954: 72). ნიორი, ცნობილია

¹²⁴ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 09.11.18)

¹²⁵ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 28.01.19)

¹²⁶ https://idioms_fr.ru.academic.ru/23292/gr%C3%A0ler_sur_le_persil (მოძიებულია 13.01.19)

¹²⁷ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

¹²⁸ https://idioms_fr.ru.academic.ru/22809/gel%C3%A9_de_coing (მოძიებულია 15.01.19)

¹²⁹ <http://www.cnrtl.fr/definition/foin> (მოძიებულია 28.11.18)

როგორც მეტად მძაფრი სუნის ბოსტნეული, რომელიც უმრავლესობაში ერთგვარ ზიზღს იწვევს, სწორედ ეს არასასიამოვნო სუნი, გადატანით ჩხუბსა და უსიამოვნებას გამოხატავს; *ჩინჩხვრების ძებნა-მიზეზების ძებნა* ჩხუბისა და უსიამოვნების ასატეხად (სახოკია, 1955: 97). *ჩინჩხვარი, ჩხიმალი*-ხის წვრილის ტოტების ხმელი ფიჩხია. ჩხუბისა და უსიამოვნების ასატეხად, თანაც ისე რომ საბოლოოდ ჩხუბისთავი უდანაშაულო გამოჩნდეს, მას „ჩინჩხვრის“ მსგავსი წვრილმანი მიზეზები ესაჭიროება. იმავე მნიშვნელობისაა *თქმა-ჩინჩხვრის კრეფა* (სახოკია, 1955: 97) და *ჩხიმალის კრეფა* (სახოკია, 1955: 99).

*სასჯელი, დასჯა: Prendre une prune*¹³⁰-(პრდ. ქლიავის აღება) ჯარიმის აკიდება, ჯარიმის გადახდა; *Secouer comme un prunier/ Secouer les prunes*¹³¹-(პრდ. ქლიავის ხესავით შექანება/ქლიავის შენჯღრევა) მაგრად შენჯღრევა, შექანება; უხემად მოშორება, შეჩერება, მწვავე შენიშვნების მიცემა; *Retour de bâton*-(პრდ. ჯოხის დაბრუნება) გაუთვალისწინებელი რეაქცია საპირისპირო მნიშვნელობით, შოკი, სამაგიეროს გადახდა, სასჯელი (Rey,... 2015: 64). ქართულში კი სასჯელის ფენომენი ფიტონიმმა *ჯოხმა* გადმოსცა - *გაჯოხვა*-დასჯა, წამება, ტანჯვა, შეურაცხოვა, გალანძღვა (სახოკია, 1950: 57).

თავის ჭკუაზე ტარება, დამორჩილება. ფრანგულ ენაში შემდეგი იდიომები გვხვდება: *Tourner au bâton*-(პრდ. ჯოხისკენ შემობრუნება) ძალას დაემორჩილა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 48); *En faire des choux (et des raves)*-(პრდ. მისგან კომბოსტოების (და ფესვების) გაკეთება) თავნებობს; რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს, თავის ჭკუაზე დადის (ბიბლიეიშვილი,... 2010: 106). ასევე გვხვდება გამონათქვამი *Faites-en des choux, des raves*¹³²-გამოიყენეთ როგორც გენებოთ; *Presser l'orange (et jeter l'écorce)*-(პრდ. ფორთოხლის გამოწურვა (და კანის გადაგდება) ვინმეს უსირცხვილოდ გამოყენება, ექსპლუატაცია (ფრედერიკ II¹³³-ის მიერ ვოლტერის მისამართით ნათქვამი ცნობილი სიტყვების მიხედვით) (Rey,... 2015: 658). ქართულში კი - *ჯოხის*

¹³⁰ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-p/3409-prendre-une-prune.html?highlight=WyJwcnVuZSJd> (მომიებულია 29.12.18)

¹³¹ <http://www.expressio.fr/expressions/secouer-comme-un-prunier-secouer-les-prunes.php> (მომიებულია 29.12.18)

¹³² <https://www.littre.org/definition/chou> (მომიებულია 29.11.18)

¹³³ ფრიდრიხ II დიდი (1712-1786 წ.წ.)-პრუსიის მეფე.

მიყუდება (ვინმეზე ან რამეზე)-(პრდ. ჯოხის მიბჯენა) დაყრდნობა ვიზედმე ან რაზედმე, იმედი და მოლოდინი შველა-დახმარებისა, გაჭირვებისაგან ხსნისა ვისგანმე ან რისგანმე; [...] ამავე „ჯოხის მიყუდებას“ მეორენაირი მნიშვნელობაც აქვს, სახელდობრ: ვთქვათ რაიმე დაგიშავდათ, არ იცით ამ დაშავების ავტორის ვინაობა, ვინმეზე ეჭვი მიიტანეთ და თქვით: მავანს გამოუვიდა ხელიდან ესა და ესაო. აი ასეთ შემთხვევაში ზედგამოჭრილი იქნება თქმა: მავანმა მავანს ჯოხი მიაყუდაო. იგულისხმება: ჯოხი, როგორც იარაღი ფიზიკურად სიმწვავის განცდევინებისა, ყველაში აღძრავს რიდსა და კრძალვას. მაშასადამე, ვისაც ის „მიყუდება“, აიძულებს თითო მოაკაკინოს, თავისი დანაშაული აღიარებინოს (სახოკია, 1955: 236-238). ჯოხი ბრძანების გამომხატველი, დამორჩილების, ბატონობის, უფროსობის სიმბოლოცაა, ანუ თუ ბევრთაგან ერთ-ერთს, რაიმე დავალების გაკეთებას აიძულებთ, ის თავის დაძვრენას შემდეგი პასუხით შეეცდება: რაღა ჩემზე მოაყუდეთ ჯოხიო!? *ჯოხი*-(პრდ. მოგრძო ნაჭერი ხისა მრგვალი და საკმაოდ წვრილი, ხელში დასაჭერი სიარულის დროს) საცემი იარაღი, უფროსობის, სხვისი დასამორჩილებელი ნიშანი (სახოკია, 1955: 236).

აძაღება, იძულება: Sauter le bâton-(პრდ. ჯოხზე გადახტომა) აიძულებს გაეკეთებინა (რაღაც) (ბიბილეიშვილი,... 2010: 48). ეს კონცეპტები ქართველებთან უფრო აქტუალურია: *ვინც არა-ქინძარა*-ვინც არ გააკეთოს რაიმე, იმას შერცხვენა ერგოს, სახელგატეხილი იარებოდეს, უარაფროდ დარჩესო (სახოკია, 1950: 128); *ყვავს კაკალს გააგდებინებს, გამოსტაცებს*¹³⁴-გადატ. აიძულებს ვისმე გაიღოს თუნდაც მცირე რაიმე, გამოსტაცებს ვისმე მცირე რასმე; *მოკლას ხარი თივამო!*¹³⁵-იტყვიან მაშინ, როდესაც ვინმე ისეთ რამეს აძაღებს, რაც მასაც უნდა და უყვარს.

დ) *მორალურ-ეთიკური კონცეპტები:*

ფრანგულ საზოგადოებაში ფიტონიმები კურკა და ბარდა *დადანაშაულება, დაბრალებასთან* ასოცირდებიან: *Avoir des pépins*-(პრდ. კურკების ქონა) მდაბ. უსიამოვნებაში გახვევა (ბიბილეიშვილი,... 2010: 407); *Tomber sur un pépin*-(პრდ. კურკაზე დაცემა) მდაბ. შარში გახვევა (ბიბილეიშვილი,... 2010: 407); *Je ne lui ai pas*

¹³⁴ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 23.01.19)

¹³⁵ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 28.11.18)

*vendu de pois qui ne veulent pas cuire*¹³⁶-(პრდ. მისთვის არ მიმიყიდია ბარდა, რომელსაც არ სურს მოხარშვა) საუბ. არანაირი საფუძველი არ აქვს, რომ გამიბრაზდეს; საუბ. მე რა შუაში ვარ (ბიბილეიშვილი,... 2010: 428), ბრალში გახვევა. ხოლო ქართულში, ეს კონცეპტები ფიტონიმი ჯოხით გამოიხატება: *ჯოხი ჩემზე გატყდაო*-(პრდ. ჯოხი თავზე გადამამტვრიესო) სხვის მაგივრად მე მომხვდა ჯოხით, სხვისი დანაშაული მე დამაბრალდაო (სახოკია, 1955: 238); *ჯოხი სხვაზე გადატყდება*¹³⁷-ერთის დანაშაულისათვის მეორე აგებს პასუხს, მეორე დაისჯება.

ზრდილობის არქონა ფრანგებთან დაკავშირებულია ფიტონიმთან მარცვალი: *Mettre (fourrer, ajouter) son grain de sel*-(პრდ. მისი მარილის მარცვლის ჩადება (ჩატენვა, დამატება) საქმეში, საუბარში ცუდად ჩარევა, ჩაჩხირვა (Rey,... 2015: 473); *Mêler son grain de sel*-(პრდ. მისი მარილის მარცვლის შერევა) ჩარევა საუბარში (უდროო დროს) (ქადეიშვილი,... 1999: 392). ხოლო ქართულში ეს კონცეპტი მწვანილთან, ქერქსა და ჩხირთანაა დაკავშირებული: ლაზურში დასტურდება ფრაზეოლოგიზმი-*მწვანილივით ყველგან ერევა-სხვის* საქმეში ერევა, არამკითხე მოამბეა (ცეცხლაძე, 2018: 78); *თავის ქერქში აღარ არის (თავის ქერქში არ ეტევა (არ არის))*¹³⁸-თავისთვის არ ჩერდება; *წამოჩხირება*-გარევა რამე საქმეში, სადაც არ უნდა გაერიო, სადაც ღირსი არა ხარ გარევისა (სახოკია, 1979: 851).

*დაცინვა, აბუჩად აგდება: Recevoir des tomates*¹³⁹-(პრდ. პამიდვრების მიღება) მასხარად აგდებული, გამასხარავებული; *Jeter des pommes cuites à qn*-(პრდ. ვინმესთვის შემწვარი ვაშლების სროლა) ვინმეს გამასხარავება, აგდება, ლაყე კვერცხების დაშენა (ქადეიშვილი,... 2000: 133). ლაყე კვერცხის დაშენა, ასოცირდება გამასხარავებასთან, ეს კი-ქართული კულტურული ფენომენია; *Le reste en moutarde*¹⁴⁰-(პრდ. დანარჩენი მდოგვში) საუბ. ითქმება როცა ადამიანმა არ იცის სად წაიღო ფული, ვერც ასაბუთებს; ვინ იცის სად წავიდა. ეს კონცეპტი ქართულშიც მჭიდრო კავშირშია ფიტონიმებთან: *რა ბილია!*-დაცინვ. რა კარგია, რა ღირსებისაა! (სახოკია,

¹³⁶ https://idioms_fr.ru.academic.ru/25433/je_ne_lui_ai_pas_vendu_de_pois_qui_ne_veulent_pas_cuire

(მოძიებულია 09.01.19)

¹³⁷ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 28.01.19)

¹³⁸ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 29.01.19)

¹³⁹ <http://www.cnrtl.fr/definition/tomate> (მოძიებულია 29.11.18)

¹⁴⁰ <http://dictionnaire.sensagent.leparisien.fr/Moutarde/fr-fr/> (მოძიებულია 06.12.18)

1954: 113); *მოხარშული წაბლი არ გინდა?* (ბრეგაძე, 2013: 99), *მოხარშული წაბლი არ გიყვართ?*-ჟარგ. იტყვიან დამცინავი ტონით, როდესაც ვინმე არარეალურ სურვილს გამოთქვამს. გამოთქმა ოდნავ შეცლილი სახით გვხვდება ნოდარ დუმბაძესთან (ბრეგაძე, 2013: 99).

*მოტყუება, გაცურება, ხრიკი: Faire jambe de bois*¹⁴¹-(პრდ. ხის ფეხის გაკეთება) ხალხ. 1. მოტყუება, გაცურება, იმედის გაცრუება; 2. გადაუხდელად წასვლა; *Chèque en bois*-(პრდ. ხის ჩეკი) ხალხ. დაუფინანსებელი ჩეკი. მეტაფორაში ხე-უძრაობის, სიმაგრის სიმბოლოა (Rey,... 2015: 179); *Tirer une carotte à quelqu'un*¹⁴²-(პრდ. ვინმესთვის სტაფილოს გამოგლეჯა) საუბ. ეშმაკურად რაღაცის გამოძალვა; ვიღაცის მოტყუება, გაცურება (ვალად აღების დაპირებით); *Raconter des salades*¹⁴³-(პრდ. სალათების მოყოლა) ტყუილების, ზღაპრების მოყოლა; *Ce sont des noix*-(პრდ. ეს კაკლებია) საუბ. სისულელეა, ტყუილი, ფუჭი დაპირებებია (ბიბილეიშვილი,... 2010: 367); *Rendre pois pour fèves*-(პრდ. ცერცვის ნაცვლად ბარდის დაბრუნება) მიღებული რაოდენობის არ დაბრუნება, დაკლება (Rey,... 2015: 411); *Faire de l'oseille à qn*-(პრდ. ვიღაცისთვის მჟაუნას მომზადება) ოინის მოწყობა (ქადეიშვილი,... 1999: 971); *Peau de banane*-(პრდ. ბანანის ქერქი) მზაკვრული მეთოდი, რომლის მიზანია ვინმეს წაქცევა (Rey,... 2015: 55), არგ. ხრიკების მოწყობა (Caradec, 2005: 16). ქართულშიც ამ კონცეპტის გამომხატველი საკმაოდ ბევრი ფიტონიმური იდიომი: *პირში ჩაღას გამოავლებს*¹⁴⁴-გააწბილებს, მოლოდინს გაუცრუებს, მოატყუებს; *დაგრჩა ხვითი*-ცარიელზე დარჩი, პირჩალაგამოვლებული დაგტოვეს (სახოკია, 1950: 83); *წნელების გრება* - მიკიბ-მოკიბვა, ღობე-ყორეს მოდება, უკუღმართად მოქცევა, ტყუილების ლაპარაკი (სახოკია, 1955: 167). წნელი მოჭრილ-გასხეპილი წვრილი ტოტია, რომელსაც სხვადასხვა ნივთების დასაწნავად, მოსაღობად, ზოგჯერ წკებლადაც იყენებენ. დაწვნისას წნელის მიხვრა-მოხვრას ისეთ ადამიანს ადარებენ, რომელიც საუბრისას ღობე-ყორეს ედება, ტყუის. ამ სიტყვებით მას მიმართავენ, ვისაც ტყუილში ამხელენ

¹⁴¹ https://idioms_fr_ru.academic.ru/19825/faire_jambe_de_bois (მომიებულია 30.12.18)

¹⁴² https://idioms_fr_ru.academic.ru/43589/tirer_une_carotte_%C3%A0_qn (მომიებულია 05.01.19)

¹⁴³ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/6790/raconter-des-salades/> (მომიებულია 24.12.18)

¹⁴⁴ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 24.01.19)

და ასე ცდილობენ მის გამოსწორებას; *თბილი პური მეგონა*-რაიმე გასაკეთებელი საქმე იოლად ჩავაგდე, მძიმე არ მეგონა (სახოკია, 1979: 250).

*საყრდენი: Se tenir au gros de l'arbre*¹⁴⁵-(პრდ. ყველაზე მსხვილ ხეზე ჩაჭიდება) გადატ. საუბ. ყველაზე ძლიერ მხარეზე ჩაჭიდება, ყველაზე მყარ, უსაფრთხო, სანდო ვინმეზე დაყრდნობა; *Batôn de vieillesse*-(პრდ. სიბერის ჯოხი) საყრდენი, სიბერის იმედი (ქადეიშვილი,... 1998: 262); *S'appuyer sur un roseau*-(პრდ. ლერწამზე დაყრდნობა) არასაიმედო საყრდენის შერჩევა (ბიბილეიშვილი,... 2010: 463). ქართულად ამ ცნებას ფიტონიმი *ჯოხი* გამოხატავს: *ჯოხის მიყუდება (ვიზედმე ან რაზედმე)*-(პრდ. ჯოხის მიბჯენა) დაყრდნობა ვიზედმე ან რაზედმე, იმედი და მოლოდინი შველა-დახმარებისა, გაჭირვებისაგან ხსნისა (სახოკია, 1955: 236-238).

პატივის (არ) მიღება: Prendre un bâton-(პრდ. ჯოხის აღება) უცხვირპიროდ შეხვედრა (ბიბილეიშვილი,... 2010: 48); *Ni fleurs (ან sans fleurs) ni couronnes*-(პრდ. არც ყვავილები, არც გვირგვინები) ითქმის უბრალო, უპომპეზურო დასაფლავებაზე (Rey,... 2015: 423); *Ne pas en faire (ficher, მდაბ. fiche, უხეშ. foutre) une datte*¹⁴⁶, *ne pas en ficher (მდაბ. en fiche) une datte*-მდაბ. თითი არ გაანძრია, თითი თითზე არ დააკარა, არ გაინძრა, ფეხებზე დაიკიდა (ბიბილეიშვილი,... 2010: 154). ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციიდან გამომდინარე, ფიტონიმები აქაც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ: *ლობიო არ მოგვიხარშა*-პატივი არ გვცა, კარგად არ დაგვიხვდა, შესაფერად არ გაგვიმასპინძლდა (სახოკია, 1950: 229). ქართული სტუმართმოყვარეობის წესი მოითხოვს, რომ მასპინძელმა სტუმრისთვის („სტუმარი ღვთისაა“) არაფერი დაზოგოს, თუნდაც ლობიოთი (ყველაზე იაფი საკვებით) მაინც უნდა გაუმასპინძლდეს; *ჭინჭარს არ მოგიხარშავ*-შენთვის სულ მცირედაც კი არ გავირჯები (სახოკია, 1955: 182). *პურს აჭმევს*¹⁴⁷-სუფრას უშლის, უმასპინძლდება;

*სინანული, დანანება: Une paille dans un diamant*¹⁴⁸-(პრდ. ჩალა ბრილიანტში) ბრილიანტის თვალის ლაქა, წუნი; *Tout y va, la paille et le blé*-(პრდ. ყველაფერი იქ მიდის, ჩალა და ხორბალი) საუბ. რას არ მივცემდი, რომ.... (ბიბილეიშვილი,... 2010:

¹⁴⁵ <https://www.littre.org/definition/arbre> (მომიებულია 04.12.18)

¹⁴⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/32061/ne_pas_en_faire_une_datte (მომიებულია 15.01.19)

¹⁴⁷ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 25.01.19)

¹⁴⁸ https://idioms_fr_ru.academic.ru/45237/une_paille_dans_un_diamant (მომიებულია 14.01.19)

388). ქართულში კი - *ნეტავი პრასი მეჭამა და ეს (რამე) არ მექნაო*-სასირცხვილო, დასანანი საქციელი (სახოკია, 1954: 72). ბოსტნეული პრასი ცნობილია თავისი მწარე და უსიამოვნო სუნით. მოსაუბრე რომ სუნმა არ შეაწუხოს, უმეტესწილად ჭამას ერიდებიან; *პრასა მეჭამნა, მერჩივნა ამის ქმნას თუ თქმას*-პრასის ჭამა სჯობია ამის ქმნას თუ თქმას (სახოკია, 1954: 100). ასე ამბობენ სინანულით როცა საკუთარ თავს საყვედურობენ; *კაი ხალიჩაზე ვიწეე და ახლა ჩალაზედაც ველარ ვწეგარო*-ერთ დროს მდიდრად ვიყავ, კარგად ვცხოვრობდი და ახლა ყოველივე ხელიდან გამომეცალა, გავდარიბდი, პურის ყუა მენატრება (სახოკია, 1979: 304).

ფარისევლობა, პირფერობა: Faire sa violette-(პრდ. მისი იის გაკეთება) ჟარგ. თავის მოჩვენება მოკრძალებულად, თავდაჭერილად (ბიბლიეიშვილი,... 2010: 544); *Langue de bois*-(პრდ. ხის ენა) უხეში, გაქვავებული მეტყველება პოლიტიკური პროპაგანდიდან, რომელსაც რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს (კალკია პოლონურიდან) (Rey,... 2015: 534); *Osier de cour*-(პრდ. სამეფო კარის ტირიფი) საუბ. პირმოთნე კარისკაცი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 385); *La paille et le grain*-(პრდ. ჩალა და მარცვალი) რეალური ღირებულების, სასარგებლოს საწინააღმდეგო მეტნაკლებად მოჩვენებითი, ყალბი გარეგნობა. მაგალითად: *Il y a plus de paille que de grain*-სიკეთე უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი (Rey,... 2015: 668). ქართულში - *ლეღვის ფოთოლი*-ეშმაკის მიერ ცდუნებული ადამისა და ევას პირველი სამოსელია, რომელმაც ნიღბის, ყალბი საფარველის მნიშვნელობა მიიღო (ცეცხლაძე, 2018: 78). თქმა ბიბლიური წარმოშობისაა და როგორც ნ. ცეცხლაძე ამბობს, თანამედროვეობაში პოლიტიკოსთა მეტყველებაში ვაწყდებით; *ლილიფარაობა*-პირფერობა, პირმოთნეობა, ორგულობა (სახოკია, 1979: 359). ლილიფარას (იმავე მზესუმზირას) ყვავილებს მუდამ მზისკენ აქვთ შექცეული თავი (ყვავილედი), რათა მისგან სრულად მიიღონ ძალა. *ლილიფარაობა* ანუ *ლილიფარას მსგავსად მოქცევა*, ხატოვნად პირში ყურებას, პირმოთნეობის მცდელობას ნიშნავს; *ხახვით მოსრესა თვალებისა*-(პრდ. ხახვის წვენის მოხვედრა თვალებზე (ცრემლების მოსადენად) განგებ ჩვენება იმ გრძნობისა, რომელსაც ნადვილად არ განვიცდით. ძველად მიცვალებულის დატირების დროს, ზოგიერთი მოტირალი, რომელსაც არ

ეტირებოდა, ხახვს მოისვამდა თვალეზზე ცრემლის მოსაყვანად და საჩვენებლად. (სახოკია, 1955: 194);

კონცეპტი ქრთამი (უკანონო შემოსავალი): Tour de batôn (ან du batôn)-(პრდ. ჯოხის რიგი) ქრთამი, უკანონო შემოსავალი (Rey,... 2015: 64). ქართულში, ეს კონცეპტი ფიტონიმი ხახვითაა შედგენილი-*ხახვის დაღობა*-(ვისიმე) მომადლიერება, მოსყიდვა, გულის მოგება, მოქრთამვა (სახოკია, 1979: 905-906).

ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი:

ფიტონიმური იდიომების კვლევისას ორივე ენაში აღმოჩნდა *ადამიანის ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეების, სულიერი და ემოციური მდგომარეობის, გუნება-განწყობილების* გამომხატველი საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალა.

ა) *ემოციის გამომხატველი კონცეპტები:*

განრისხება, გაბრაზება, მოთმინებიდან გამოყვანა - ფრანგმა ხალხმა დაუკავშირა მდოგვს, ხეს, კომბოსტოს, ყვავილს, ქოქოსის ხეს, ხავსს, თივას, მჟაუნას, ბალახს. მდოგვი ერთადერთი მცენარეა, „[...] რომლის ზემოქმედებაც ადამიანში ერთდროულად რამდენიმე გრძნობას იწვევს-„გემოს შეგრძნებასთან ერთად მოქმედებს ტვინზე, გულზე და აძლიერებს მეხსიერებას“-ამბობდა ძველი ბერძენი მეცნიერი პითაგორა“ (იოსებიძე, 2015: 114). აი შედეგიც, რაც მხატვრულად გადმოსცა ფრანგმა ხალხმა: *Faire monter la moutarde au nez à qn*-(პრდ. ვინმესთვის მდოგვის ცხვირში აყვანა) ყელში ამოუყვანა, მოთმინება დააკარგვინა, გააბრაზა (ბიბილეიშვილი,...2010: 357); *Monter à l'arbre*-(პრდ. ხეზე ასვლა) საუბ. მოუთმენლობის გამოხატვა, თავშეუკავებლობა (ქაღვიშვილი,... 1998: 153), ასევე ხუმრობის, ტყუილის მხვერპლი (Rey,... 2015: 30); *Travailler du chou*-(პრდ. კომბოსტოს დამუშავება) საუბ. ლამის გაგიჟდეს (ბიბილეიშვილი,... 2010: 106); *Avoir mangé de l'oseille*-(პრდ. მჟაუნა ნაჭამი) მდაბ. გაღიზიანებულია, გაბოროტებულია (ბიბილეიშვილი,... 2010: 385); *Piler des oignons*¹⁴⁹-(პრდ. ხახვების დანაყვა) არგ. გამოლანძვით, გაჯავრებით ვინმეს ცრემლებამდე მიყვანა. ქართულ ენაში იმავე

¹⁴⁹ https://idioms_fr_ru.academic.ru/34937/piler_des_oignons (მოძიებულია 17.01.19)

კონცეპტებს ძირითადად ბალახები და მწარე გემოს მქონე ბოსტნეულები გადმოსცემენ, რომელთა მიღებაც რეალურად ადამიანს არაადეკვატურ არსებად აქცევს. ამასთან ზემო აჭარელთა რწმენით, მიწასა და ბალახებში მოთამაშე ბავშვს შეიძლება „უჟმური“ აჰყვეს, რასაც შეგროვილი სხვადასხვა ფოთლებისა და ბალახების ორთქლის ხრჩოლვით ან ნახარშში დაბანით შველიან (ნოღაიდელი, 1935: 10). ვფიქრობთ, ბალახების უარყოფითი კონოტაციაც ლოგიკურია: *ლენცოფა* (ლათ. *Hyosciamus niger*) ნარკოტიკული და შხამიანი მცენარეა, რომელიც წამლად იხმარება. *გიჟანა*, იგივე ძაღლყურძენა (ლათ. *Belladonna*) ასევე შხამიანი მცენარეა, რომლის ზომიერად მიღება წამალია, ხოლო ზედმეტი-საწამლავი. ისიც თითქოს ადამიანს აგიჟებს. უცნაური ქცევის ადამიანს ასე მიმართავენ ხოლმე *ლენცოფა ხომ არ გიჭამია?*-ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე? (სახოკია, 1950: 226), იმავე მნიშვნელობისაა-*გიჟანა ხომ არ გიჭამია!?* (სახოკია, 1950: 64); *რა ეკალმა უჩხვლიტა!*-რამ გაამწარა, რამ ააღელვა, რამ შეაშფოთა, რამ გააწიწმატა?! (სახოკია, 1954: 106); *გაწიწმატება*-(პრდ. წიწმატივით გახდომა) გაჯავრება, გაცხარება (სახოკია, 1950: 56); *აპილპილება*-ერთბაშად, უცბად გამწარება, გაცხარება, გულის მოყვანა, გაბრაზება (სახოკია, 1979: 24).

*თავის მობეზრება: Prendre racine en un lieu*¹⁵⁰-საუბ. დამკვიდრება. ასევე ძალიან ხშირი და მომაბეზრებელი, ხანგრძლივი ვიზიტები, *თავის შეწყენა; Courir, taper sur le haricot*-(პრდ. ლობიოზე სირბილი, დარტყმა) *თავის შეწყენა*, თავის მობეზრება (ქადეიშვილი,... 1999: 440); *Lâcher la grappe à quelqu'un*-საუბ. მდაბ. ვულგ. თავი გამანებე, შემეშვი, *გული ნუ გამიწყალე!* (ზიბილეიშვილი,... 2010: 259); ქართულში კი ამ კონცეპტის გამომხატველი ერთი ფიტონიმური იდიომი მოვიძიეთ - *მომწვანილება*-(პრდ. მწვანილის მობერება, მისი უვარგისობა სახმარად) მობეზრება, გულის აცრუება, დარდის გადავლა (დარდმა გადაუარა), დავიწყება მწუხარებისა (სახოკია, 1954: 37). როცა ადამიანს ვინმე ან რაიმე მოსწონს, მაგრამ მწვანილივით მობეზრდება, მიატოვებს. სახოკიას მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როცა ქვრივი კაცი მეორედ დაქორწინდება, ასე იტყვიან იმასაც ანუ მეორე ცოლსაც მოიმწვანილებსო.

¹⁵⁰ <https://www.littre.org/definition/racine> (მოძიებულია 29.11.18)

მიუხედავად უარყოფითი კონოტაციისა, ფრანგი საზოგადოების გაგებაში, ბევრ ფიტონიმს დადებითი მნიშვნელობაც შეუძენია. შესაბამისად, ლობიო, ზღმარტლი, ხე-ტყე, პრასი, ვაშლი, თაღგამი, მარცვალი, ქოქოსის პალმა, ჩალა, პალმის ფოთოლი, ცერცვი და ა.შ. წარმატება-გამარჯვების გამომხატველი კონცეპტებია: *Des nèfles!*- (პრდ. ზღმარტლები) ვერ მოგართვი! (ქადეიშვილი, ... 1999: 909); *Abattre bien du bois*¹⁵¹- (პრდ. ხე-ტყის კარგად ჩეხა) საუბ. დიდი შრომის გაწევა, მოკლე დროში საქმეზე თავის გართმევა; *C'est comme des pommes*- (პრდ. ვაშლებივითაა) ვერ მოგართვეს! (ბიბილეიშვილი-ლი, ... 2010: 430); *Avoir le poireau*- (პრდ. პრასის ქონა) სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებისათვის განმასხვავებელი ნიშნის მიღება (ქადეიშვილი, ... 2000: 126); *Décrocher le cocotier*- (პრდ. ქოქოსის პალმის ჩამოხსნა) საუბ. წარმატების მიღწევა (ქადეიშვილი, ... 1998: 458); *Emporter (lever, enlever) la paille*- (პრდ. ჩალის თან წალება (მოხსნა, იერიშით აღება) მოძვ. მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა, წარმატებით სარგებლობა; განსაკუთრებული თვისებების მქონე, გამოჩენილი, ცნობილი ადამიანი (Rey, ... 2015: 668); *Trouver la fève (au gâteau)*- (პრდ. ცერცვის პოვნა (ნამცხვარში) 1. მიაგნო (სასურველ რამეს); ბედმა გაუღიმა; 2. საქმის გახსნა (ბიბილეიშვილი, ... 2010: 227); *Rempoter la palme*- (პრდ. გამარჯვებისთვის პალმის რტოს მოპოვება) პირველობის მოპოვება (ბიბილეიშვილი, ... 2010: 390); ქართულ ენაში კი, შემდეგი სახის იდიომები გვაქვს: *დანივრული ხაშლამა*- ვერ მოგართვეს კარგი რამ, ვერ ეღირსები სიკეთეს (სახოკია, 1950: 90); *ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი*- ცარიელზე დაგსვი, ვერას გამომრჩი, თავი არ მოგატყუებინე, დამარცხდი (სახოკია, 1950: 127), მიზანს არ მიაღწევინეს. იმავე მნიშვნელობით გვხვდება *გამოთქმები-ვერ მიაართვეს ბადრიჯანი, ღორის თავი, ხაჭაპური*¹⁵², *გოჭის თავი* (სახოკია, 1950: 128); *ბალბა არ მომიხარშო*- ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი მჭრელი იარაღით რომ ჩემთვის საჭირო იყოს ჭრილობაზე მოხარშული ბალბის დადება, ისიც შენის ხელით! (სახოკია, 1950: 26-27); *ყურებზე ხახვი არ დამაჭრა*- ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე, ყმად ვერ გამიხდი (სახოკია, 1955: 43-44); *ყურებზე ხახვი არ დამათალო*¹⁵³-

¹⁵¹ <https://www.littre.org/definition/bois> (მოძიებულია 04.12.18)

¹⁵² <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 04.02.19)

¹⁵³ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 26.01.19)

იგივეა, რაც ყურებზე ხახვი არ დამაჭრა; *საპრასე არ მომიჯგენო!*-ვერას დამაკლებ, ბუზსაც ვერ ამიფრენ (სახოკია, 1954: 132). გურია-სამეგრელოში, ასევე იმერეთში, საპრასე პატარა ბოსტანია, სადაც პრასთან ერთად სხვა მწვანელებიც მოჰყავთ. თუმცა, პრასს უპირატესობას ანიჭებენ. ალბათ, ამიტომაც ეძახიან საპრასეს. მართალია პრასის გათელვით მფლობელს დიდი ზიანი არ მიადგება, თუმცა, ამით ის მოწინააღმდეგეს თავის სიძლიერეს აგრძნობინებს; *ულუფაში ქატო არ ამიროს-ვერაფერს დამაკლებს, ვერაფერს მიზამს მტერი, ყურზე ხახვს ვერ დამაჭრის* (სახოკია, 1954: 179).

წარუმატებლობა, მარცხი ფრანგულში გადმოცემულია სხვადასხვა ბოსტნეულითა და ხილით, რომელსაც ადამიანი იყენებს: *Fendre du bois avec un rasoir*-(პრდ. სამართებლით შეშის პობა) უვარგისი, გამოუსადეგარი საშუალებების გამოყენება; *Fruit sec*¹⁵⁴-(პრდ. გამხმარი ხილი) 1. გამოცდაზე ჩაჭრილი; 2. სკოლის უდიპლომო კურსდამთავრებული; 3. უნიჭო, უიღბლო, ბედუკუღმართი ადამიანი; *Tuer un âne à coups de figues (molles)*¹⁵⁵-(პრდ. მოკლა ვირი (რბილი) ლელვების დარტყმით) შეეჭიდო რაიმე ძალიან ხანგრძლივს ან შეუძლებელს; *Glisser sur peau de banane*-(პრდ. ბანანის ქერქზე მოსრიალება) უმნიშვნელო დაბრკოლებით გამოწვეული მარცხი (ქადეიშვილი,... 1998: 246); *Une guigne noire*-(პრდ. შავი ბალი) საშინელი მარცხი, უბედობა (ქადეიშვილი, ... 1999: 422); *Jouer comme une patate*¹⁵⁶-(პრდ. კარტოფილივით თამაში) ცუდად თამაში; ქართულში კი - *ჩალას ეჭიდებოდა*-გაჭირვების ჟამს სუსტ იარაღს ეჭიდებოდა (ცეცხლაძე, 2018: 80); *ხავსის ჭიდილი*-უიმედო, სუსტი იარაღის დაჭერა გაჭირვებისათვის თავის დასაღწევად (სახოკია, 1955: 190); *ხავსს ეჭიდება*¹⁵⁷-ნაკლებად სანდო რამეზე იმედის დამყარება.

ტკივილის, დარდის, ტანჯვის გამომხატველია ხავსი, ეკალი, მსხალი, ჟუნჟრუკი და სტაფილო: *Avaler des poires d'angoisse*¹⁵⁸-(პრდ. მახრჩობელა მსხლის გადაყლაპვა) მძიმე, მტანჯველ სიტუაციაში ყოფნა; *Se faire de la mousse*-(პრდ. ხავსის მოდება) საუბ.

¹⁵⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/22444/fruit_sec (მოძიებულია 11.01.19)

¹⁵⁵ <http://www.expressio.fr/expressions/tuer-un-ane-a-coups-de-figues-molles.php> (მოძიებულია 13.11.18)

¹⁵⁶ <http://www.cnrtl.fr/definition/patate> (მოძიებულია 25.12.18)

¹⁵⁷ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 30.01.19)

¹⁵⁸ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/6627/avalere-des-poire-d-angoisse/> (მოძიებულია 10.11.18)

მდაბ. თავის შეწუხება, ტყუილად ღელვა რალაცაზე (ქადეიშვილი, ... 1999: 888); *Se faire du mouron*-(პრდ. ჟუნჟრუკი გახდა) საზრუნავის, სადარდებლის გაჩენა, შფოთვა, წუხილი (ქადეიშვილი,... 1999: 887); *Avoir une épine au pied*-(პრდ. ფეხში ეკლის ქონა) საუბ. მოუსვენრადაა, შფოთავს, უხერხულობას გრძნობს (ბიბილეიშვილი,... 2010: 205); *Regretter les oignons d' Egypte*¹⁵⁹-(პრდ. ეგვიპტის ხახვებზე სინანული) დაკარგულ მდგომარეობაზე, ყოფაზე ტირილი, გოდება. ქართულში ეს კონცეპტები ძირითადად მცენარე-ეკლით გადმოიცემა, თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თურმე ეკალს, ძველი აჭარული ცრურწმენის მიხედვით, დადებითი მხარეც ჰქონია „ავი თვალის საწინააღმდეგოდ მელოგინის ტახტზე დარკალულ ეკალს ჩამოკიდებენ, ზოგან კი ასკილის ტოტს“ (ნოლაიდელი, 1935: 7). თუმცა, ქართულ კულტურაში ამ ფიტონიმით შედგენილი მხოლოდ უარყოფითი კონოტაციის მატარებელი იდიომები არსებობს: *ეკლად დასმა*-(პრდ. ეკლის მსგავსად ჩხვლეტა) სიმწარის, ტკივილის განცდა, მწუხარება, დარდ-ნაღველი, უზომო წყენა (სახოკია, 1950: 110); *ეკალზე ვზივარ* (*ეკალზე ვიჯექი*)-მეტად აღელვებული ვარ, ვწუხვარ უსიამოვნების მოლოდინში (სახოკია, 1950: 110); *გულში ეკლად ესობა*, *ეცემა-ემწარება*, აღელვებს, აწყენინებს, ცუდ გუნებაზე აყენებს, მწვავე შთაბეჭდილებას ტოვებს (სახოკია, 1950: 79); *ეცეხლის პურის ჭამა*-ტანჯვა, გამწარებული ცხოვრება (სახოკია, 1979: 804).

*ტკბობა: Une bonne petite vie aux pommes*¹⁶⁰-(პრდ. ერთი კარგი პატარა სიცოცხლე ვაშლებში) შესანიშნავი, მშვენიერი არსებობა; *Être couché sur des roses*-(პრდ. ვარდებზე წოლა) სიცოცხლით ტკბობა (Rey,... 2015: 810); *S'endormir sur ses lauriers*-(პრდ. მის დაფნებზე დაძინება) პირველი წარმატებით დაკმაყოფილება (ქადეიშვილი,... 1999: 700); *Bath aux pommes*-(პრდ. ჩინებული ვაშლებით) საუბ. შესანიშნავია, თითებს ჩაიკვნეტ (ქადეიშვილი,... 2000: 133); *Aux pommes*-(პრდ. ვაშლებით) მდაბ. შესანიშნავი, ჩინებული (Rey,... 2015: 750); *Aux oignons*-(პრდ. ხახვებით) ზუსტად, შესანიშნავად, ჩინებულად (Caradec, 2005: 149). ქართულში კი - *გულზე ვარდის გადაფენა*-(პრდ. ვარდით დაფარვა გულისა) უსაზღვროდ გახარება, ნეტარება, დაუსრულებელი სიხარული, სიამოვნება (სახოკია, 1950: 69); *ხახვება*-(პრდ. ხახვის გემოს განცდა)

¹⁵⁹ <https://www.littre.org/definition/oignon> (მოძიებულია 29.11.18)

¹⁶⁰ https://idioms_fr_ru.academic.ru/45179/une_bonne_petite_vie_aux_pommes (მოძიებულია 07.01.19)

სიამოვნება, კმაყოფილება, მოწონება, გახარება (სახოკია, 1955: 193). სახოკიას ინფორმაციით, ხახვი და პური უძველესი დროიდანვე ითვლებოდა საუკეთესო და მარგებელ საჭმელად. ჯერ კიდევ „დაბადებაში“ (XI, 5) მოცემული ინფორმაციის მიხედვით, მოსე წინასწარმეტყველის მიერ უდაბნოში, უნაყოფო ადგილზე წაყვანილი ებრაელი ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამდა შიშის გამო, დრტინავდა და მოსთქვამდა, რომ თურმე ეგვიპტეში ყველაფერი თავზე საყრელად ჰქონიათ-თევზი, ნესვი, ხახვი და სხვა. ასევე ყოფილა ისტორიული ცნობა, რომელშიც ნახსენებია რამდენი პური და ხახვი დახარჯულა ერთ-ერთი პირამიდის აშენებისას. ქართლ-კახეთში გლეხი კმაყოფილი იყო, თუ საჭმელად პურთან ერთად ხახვიც ჰქონია. ამიტომაც ხახვი, ხატოვნად კმაყოფილების, სიამოვნების მომნიჭებელ ბოსტნეულად გადაქცეულა. ხახვი, ხალხურ მედიცინაშიც ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით; *პიტნავება*-(პრდ. პიტნად მიჩნევა) მოწონება, სიამოვნება, რადმე ჩაგდება (სახოკია, 1954: 100). პიტნა სურნელოვანი ბალახია. საოცარი სუნისა და გემოს გამო ქართველთა სუფრაზე მას მწვანელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, კულინარიაშიც ფართოდ გამოიყენება; *ვარდის მკრეფობა*- მხიარულება, მოლხენა, უდარდებლობა, შვება (სახოკია, 1979: 197).

დიდი ხნის შემდეგ ადამიანის *გამოჩენას*, ფრანგი ეროვნების ადამიანი იდიომატურად შემდეგნაირად გამოხატავს. შედეგად კონცეპტი გამოჩენაც ტყესთან, ხილთანაა კავშირში: *Sortir du bois*-(პრდ. ტყიდან გამოსვლა) ჩრდილიდან გამოსვლა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *C'est du fruit nouveau de vous voir*¹⁶¹-(პრდ. თქვენი ნახვა ახალი ხილია) საუბ. ამბობენ დიდი ხნის უნახავ ადამიანზე. ხოლო ქართულ ენაში ეს ფენომენი ასე გამოიხატება-*ჩხირი კედელს!*-ძლივს დაიხსომეთ ეს ამბავი, აღნიშნეთ, არ დაგავიწყდეთ! რისამე დასახსომებლად, მაგალითად: ვინმე დიდი ხნის მიუსვლელი რომ მოვიდოდა სახლში, მაშინ ასეთი ფაქტის აღსანიშნავად წამოიძახებდნენ: *ჩხირი კედელსო და კედელში ჩხირს შეარჭობდნენ* (სახოკია, 1955: 100). იმავე სემანტიკის მატარებელია-*ნახშირი კედელს*¹⁶².

¹⁶¹ <https://www.littre.org/definition/fruit> (მოძიებულია 03.12.18)

¹⁶² <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 28.01.19)

შედეგი: *Giroflée à cinq feuilles*-(პრდ. ხუთფოთლიანი ლევკოიონი) საუბ. ლოყაზე დარჩენილი ალიყურის კვალი (ქადეიშვილი,... 1999: 370); *En herbe et en gerbe*-(პრდ. ჯეჯილად და ძნად) ოცნებაში და რეალურად; სასურველი და რეალური (ბიბილეიშვილი,... 2010: 269); *Rouge comme une pivoine*-(პრდ. იორდასალამივით წითელი) ყაყაჩოსავით წითელი (ქადეიშვილი,... 2000: 98); ქართულში კი - *ნაყოფს მოიტანს (შედეგს მოიტანს)*¹⁶³-ნაყოფს გამოიღებს, შედეგი ექნება; *თავზე ბაღბა დავადე-გაბრაზებული დავამშვიდე, დავაწყნარე, მოვარბილე* (სახოკია, 1950: 140); *თავის ქერქში ჩავარდება (თავის ქერქში ვერ ჩავარდება)*¹⁶⁴-დამშვიდდება, (ვერ) დაწყნარდება. ბრაზისა ან სირცხვილისგან, გაწითლებული ადამიანის სახეს, ქართველები ჭარხლის ფერს ადარებენ და ხატოვნად *წამოჭარხლებას, ჭარხალივით წითელს*, ან ამ ბოლო პერიოდში დამკვიდრებულ კალკირებულ ფრაზას *პომიდორივით წითელსაც* ამბობენ. *წამოჭარხლება-ბრაზისა ან სირცხვილისაგან წამოწითლება* სახისა (სახოკია, 1955: 150); *ეკალს აუშვებს*¹⁶⁵-რაიმე ზნეობრივი ან ფიზიკური უსიამოვნო განცდის გამო სახეს აილეწავს.

უშედეგო, ფუჭი: *Sans fruit*¹⁶⁶-(პრდ. ხილის გარეშე) ამაოდ, უნაყოფოდ, უშედეგოდ; *Comme un emplâtre (un cataplasme, un cautère) sur une jambe de bois*-(პრდ. როგორც სალბუნი (საფენი, კაუტერი (ცხელსაფენი) ხის ფეხზე) ყოველგვარი ეფექტურობის, მოქმედების გარეშე, უშედეგო (Rey,... 2015: 514) უაზრო ქმედება; *Ne pas se manger en salade*-(პრდ. სალათადაც არ გამოდგომა) მატერიალური სარგებლის ვერ მომტანი, ვერ შემცვლელი (Rey, ... 2015: 820); *Pour des haricots*-(პრდ. ლობიოებისთვის) არაფრისთვის, ხელცარიელი (Rey,... 2015: 492); *Compter pour des prunes*¹⁶⁷-(პრდ. ქლიავებად მიჩნევა) რაღაცის კაპიკებად ან მუქთად, ამაოდ გაკეთება. ქართულში კი - *კედელს ცერცვი შეაყარე*¹⁶⁸-ამაოდ ჩაივლის, უშედეგოდ დარჩება; *უნაყოფო ოცნება (ფუჭი, ცრუ ოცნება)*¹⁶⁹-რეალურ საფუძველს მოკლებული, განუხორციელებელი

¹⁶³ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 30.01.19)

¹⁶⁴ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 29.01.19)

¹⁶⁵ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 22.01.19)

¹⁶⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/39751/sans_fruit (მომიებულია 11.09.19)

¹⁶⁷ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-c/948-compter-pour-des-prunes.html?highlight=WyJwcnVuZSJD> (მომიებულია 29.12.18)

¹⁶⁸ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 24.01.19)

¹⁶⁹ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 30.01.19)

ოცნება; შიშველი ხელებით ნარის გლეჯა¹⁷⁰-უნაყოფოდ დიდი შრომის გაწევა, ძნელი საქმის კეთება; ხავსმოკიდებული-ძალზე დაძველებული, უხმარი, უსარგებლო, ზედმეტი, გამოფიტული (სახოკია, 1955: 190).

ბ) მენტალური კონცეპტები:

ფრანგულ სივრცეში ფიტონიმები საკმაოდ აქტუალურია კონცეპტების-უჭკუო, სულელი, დოყლაპია, ბრიყვი, უცნაურის გამოსახატად. მაგალითად: *Avoir l'air tomate*¹⁷¹-(პრდ. პომიდვრის იერის ქონა) სულელი, ყყეყი; (*Être*) *creux comme un radis*-(პრდ. (იყო) ბოლოკვიტ ფუყე) უმეცარი, გაუნათლებელი, უბირი (Rey,... 2015: 788); *Quelle banane!*¹⁷²-(პრდ. რა ბანანია!) როგორი ბრიყვია; *Pomme à eau*-(პრდ. წვნანანი ვაშლი) საუბ. ბრიყვი (ბიბილეიშვილი,... 2010: 429); *La reine des pommes*¹⁷³-(პრდ. ვაშლების დედოფალი) სულელი, რეგენი, შტერი, გამოთაყვანებული; *Bonne poire*-(პრდ. კარგი მსხალი) დოყლაპია (ბიბილეიშვილი,... 2010: 428); *Tête de chou*¹⁷⁴-(პრდ. კომბოსტოს თავი) საუბ. ბრიყვი, სულელი; *Ne rien avoir dans le chou*¹⁷⁵-(პრდ. კომბოსტოში არაფრის ქონა) ძალიან სულელი, ბრიყვი; *Avoir un pois chiche, un petit pois dans la tête*-(პრდ. თავში მუხუდოს, მწვანე ბარდის ქონა) პატარა ტვინი აქვს, იდიოტია (Rey, ... 2015: 747); *Graine de con*-(პრდ. სულელის თესლი) არგ. სულელი, უჭკუო (Caradec, 2005: 107); *Tête d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის თავი) საუბ. სულელი, ჩერჩეტი (ქადეიშვილი,... 1998: 173); *Être une courge*¹⁷⁶-(პრდ. იყო გოგრა) სულელი, ბრიყვი; *Il est passé par un champ de fèves en fleur*¹⁷⁷-(პრდ. აყვავილებული ცერცვის მინდორში გაიარა) გიჟია, შეშლილია, ჩერჩეტია. ქართულ ენაში შემდეგი ტიპის მაგალითები მოგვეპოვება: *აი, ინა დავადე იმათ ჭკუას!*-მათთვის ჭკუისა და მიხვედრილობის უნარი წამირთმევია, უჭკუოდ დამიტოვებია (სახოკია, 1950: 8); *გოგრა-ვითომ ჭკუიანი!* (სახოკია, 1950: 66); *ბაღზე ზის და ტყემალს ჭამს-ვერაფერს*

¹⁷⁰ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 22.12.18)

¹⁷¹ <http://www.cnrtl.fr/definition/tomate> (მოძიებულია 29.11.2018)

¹⁷² <https://www.icem-pedagogie-freinet.org/book/export/html/3209> (მოძიებულია 27.11.18)

¹⁷³ https://idioms_fr.ru.academic.ru/26789/la_reine_des_pommes (მოძიებულია 07.01.19)

¹⁷⁴ https://idioms_fr.ru.academic.ru/43314/t%C3%AAte_de_chou (მოძიებულია 08.01.19)

¹⁷⁵ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-n/2685-ne-rien-avoir-dans-le-chou.html> (მოძიებულია 08.01.19)

¹⁷⁶ <https://leflepourlescurieux.fr/les-fruits-et-les-legumes-expressions-imagees-b1/> (მოძიებულია 27.11.18)

¹⁷⁷ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-i/1532-il-est-passe-par-un-champ-de-feves-en-fleur.html> (მოძიებულია 16.01.19)

ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა, ჰგონია ყველაფერი კარგადაა (ცეცხლაძე, 2018: 73); *ტყემალზე ზის-უვიცია*, ქვეყნიერებისა არა გაეგება რა, ტყუილი და მართალი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია (სახოკია, 1954: 167). ლაზურშია გავრცელებული სინონიმური ფრაზეოლოგიზმი *წყავზე ზის-არაფერი* გაეგება, არაფერი იცის (რისამე შესახებ) (ცეცხლაძე, 2018: 73); *თავში ბზე უყრია*-(პრდ. თავში ბზე აქვს ჩაყრილი (ტვინის მაგივრად) ტვინი არა აქვს, უჭკუოა, სულელია, ბრიყვია, მიუხვედრელია (სახოკია, 1950: 156); *ქლიავი (შე, ქლიავო)*-ჟარგ. შტერი (შდრ. გამოქლიავდა და დაქლიავდა), დამამცირებელი შინაარსისაა (ბრეგაძე, 2013: 138);

ჭკვიანი, გონიერი. მაგალითად: *Grain de sel*-(პრდ. მარილის მარცვალი) მარილი (ანეკდოტის, სასაცილო ამბის), მახვილგონიერება, გონებამხვილობა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 258); *C'est de la graine de niais*-(პრდ. ეს სულელის მარცვლისაა) საუბ. სულელი უნდა იყო, რომ ეს დაიჯერო (ბიბლიეიშვილი,... 2010: 259); *En avoir dans le citron*¹⁷⁸- (პრდ. ლიმონში ქონა) საუბ. განათლებული, ნასწავლი, ჭკვიანი; კონცეპტი გონიერი არსება: *Roseau pensant*-(პრდ. ხტვ.) „მოაზროვნე ლერწამი“, ადამიანი („ლერწმის სახეობათა შორის ადამიანი ყველა სუსტი, სამაგიეროდ, „მოაზროვნე ლერწამი“-პასკალი) (ბიბლიეიშვილი,... 2010: 463), ასევე ადამიანი, რომელიც გამოირჩევა სამყაროში თავისი სისუსტითა და ფიქრიანი ხასიათით (Rey, ... 2015: 811). ფრაზეოლოგიის წარმოშობას ხშირად, შეცდომით უკავშირებენ პასკალის ამ ცნობილ ფორმულას; *Ce n'est pas aussi sûr que de l'oseille*-(პრდ. მჟაუნასავით საიმედო არაა) ეს მცდარია (ქადეიშვილი,... 1999: 971). ქართულად კი - *გოგრიანი*¹⁷⁹-ჭკვიანი;

ცრურწმენა: Toucher le bois-თვალი არ ეცეს! ხეზე დაკაკუნება, ხეზე ხელის წავლება ბოროტების განსადევნად (Rey,... 2015: 88); *Avoir la guigne*-(პრდ. ბლის ქონა) დანავსულია (ქადეიშვილი,... 1999: 422); *Flanquer la cerise*-(პრდ. ალუბლის ტყორცნა) საუბ. უბედურების მოტანა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 88); *Être tenu par la guigne*-(პრდ. დაკავებული ბლის მიერ) უიღბლოა, ბედუკუდმართია, მარცხიანია, ქვა აღმართში ეწევა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 264). ქართულში კი - *პური დაჯდა* - (პრდ. პურის

¹⁷⁸ <https://dictionnaire.reverso.net/francais-definition/%20avoir%20une%20t%C3%AAte%20de%20chou>

(მოძიებულია 27.11.18)

¹⁷⁹ <http://idioms.tsu.ge/?p=3044> (მოძიებულია 26.01.19)

ნატეხმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო) სტუმარი მოვა (სახოკია, 1954: 101); *ტყის დედოფალი*¹⁸⁰-ავი, ზღაპრული არსება, ულამაზესი ქალის სახით - ალი.

გ) ხასიათის გამომხატველი კონცეპტები:

ტრაბახი, თავის მოწონება, თავის გამოჩენა. მაგალითად: *Faire bien valoir ses choux*- (პრდ. საკუთარი კომბოსტოების კარგად გამოყენება) საუბ. თავის გამოჩენა, თავის წარმოჩენა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 106) (დადებითი კონოტაციით); *Avoir l'air d'avoir avaler sa canne*- (პრდ. ისეთი გამომეტყველების ქონა თითქოს ლერწამი გადაყლაპაო) საუბ. მედიდურობა, ყოყჩობა (ქადეიშვილი,... 1998: 365); *Nous ne nous chauffons pas du même bois*- (პრდ. ერთი და იგივე შეშით არ ვთბებით) ჩვენს შორის საერთო არაფერია (ქადეიშვილი,... 1998: 295); *Je te mangerais avec un grain de sel*¹⁸¹- (პრდ. ერთი მარილის მარცვალთან ერთად შეგჭამდი) ხალხ. მე უფრო ძლიერი ვარ, გაჯობებ, მოგიგებ ბრძოლაში. ქართულში კი - *თავი ლობიოსავით სარჩო ჰკონია*-მედიდურობას გადმოგვცემს (ცეცხლაძე, 2018: 78); *მწვანე კიტრით თავი მოაქვს*-უსაფუძვლო ტრაბახი, ბაქი-ბუქი, თავის განდიდება, ცუდმედიდობა (სახოკია, 1954: 52-53). ქართველები ასე იმათზე ამბობენ, ვისაც საქებარი არაფერი აქვს, თუმცა უტუხად განაგრძობს ტრაბახს: *რა თავი მოგაქვს ნიახურის ფოჩივითა?!*-თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს და მაინც თავს იწონებ! (სახოკია, 1954: 106). ნიახურის ფართო ფოთოლი სხვა მწვანის ფოთლებზე გაცილებით ლამაზია, თუმცა მაინც მწვანელია და სილამაზით სხვა მცენარეებს ვერც კი შეედრება. ამის ანალოგიით ხატოვნად ასეთივე ადამიანებზეც ვამბობთ; *წამოზრინჯული*-ჟარგ. გაბლენძით მჯდარი (ბრინჯი ხარშვისას მოცულობაში მატულობს, იბერება). შდრ. განმარტებით ლექსიკონში "გაიზრინჯება"-ჭამით გაიბერება (ბრეგაძე, 2013: 164).

მოუხერხებელი, ტლანქი, დამყოლი. მაგალითად: *Catholique à gros grains*¹⁸²- (პრდ. მსხვილმარცვლოვანი კათოლიკე) საუბ. მკაცრი წესების ნაკლებად დამცველი ადამიანი; *Gracieux comme un fagot d'épines*¹⁸³- (პრდ. ეკლების კონასავით მოწყალე) დათვივით მოუხეშავი, ტლანქი; *Poivre et sel*- (პრდ. წიწაკა და მარილი)

¹⁸⁰ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 08.02.19)

¹⁸¹ <https://www.littre.org/definition/grain> (მოძიებულია 12.12.18)

¹⁸² https://idioms_fr_ru.academic.ru/8631/catholique_%C3%A0_gros_grains (მოძიებულია 12.01.19)

¹⁸³ https://idioms_fr_ru.academic.ru/23091/gracieux_comme_un_fagot_d%C3%A9pines (მოძიებულია 17.01.19)

1. შექადარავებული; 2. არც ისეთი, არც ასეთი (ბიბლიეშივილი, ... 2010: 429). ქართულ ენაშიც ეს კონცეპტები საკმაოდ აქტუალურია. მაგალითად: *ლობიო*-(პრდ. ცერცოვანი ოჯახის მცენარე, რომელსაც მრავალი სახე აქვს, როგორც საქმელი, ისე დეკორაციული) ყველაფერში უშნო ადამიანი, უგერგილო, ყოველსავე უნარს მოკლებული, თავის ინიციატივით არაფრის გამკეთებელი (სახოკია, 1950: 228); *ლეღვია-ზლაზნია*, უწადინო, უშნო, დონდლო, უენერგიო, გაუბედავი. *მოლეღვილი კაცი*-ლეღვს დამსგავსებული, ანუ მოდუნებული (სახოკია, 1950: 227).

უმწიკვლო, *უზადო*: *C'est un panier de cerises*¹⁸⁴-(პრდ. ეს ალუბლების კალათაა) საუბ. ნაკლს ვერ უპოვი, წუნს ვერ დასდებ; *ბროლა კაკალია*-სუფთა, უმწიკვლო, უდანაშაულო, უზადო, ისეთი, ვისაც ხელიდან ხელში ატარებენ, ყველა ეფერება, ვისი ნახვაც ყველას ესამოვნება (სახოკია, 1950: 36).

ჯიუტი, *ურჩი*: *Se mettre dans le citron*¹⁸⁵-(პრდ. ლიმონში ჩადება) დაჩემება, აკვიატება; *N'écluser que du lait de coco*¹⁸⁶-(პრდ. მხოლოს ქოქოსის რძის დაღევა) არგ. თავშეუკავებელია; *Tête de bois*¹⁸⁷-(პრდ. ხის თავი) ჯიუტი ადამიანი; ქართულშიც ამ კონცეპტებს შემდეგი იდიომები გადმოსცემენ: *გახევება*-(პრდ. ხედ ქცევა, ხეს დამსგავსება) გაკერპება, გაუჯიათება, გაჯიუტება, გაჯიქება, გამოსულელება (სახოკია, 1950: 56); *კეტი კაცია*-ურჩი, მოუდრეკელი, გახევებული, ტლანქი, მოუხეშავი, ყინჩი (სახოკია, 1979: 328).

გულკეთილი, *გულუბრყვილო*: *Bonne pomme*-(პრდ. კარგი ვაშლი) საუბ. კეთილი, გულუბრყვილო, გულკეთილი, შემწყნარებელი (Rey, ... 2015: 749); *Une vraie pomme!*-(პრდ. ნამდვილი ვაშლი!) არგ. მიამიტი (Caradec, 2005: 169); *Quelle poire, ce type!*-(პრდ. რა მსხალია, ეს ტიპი!) რა მიამიტია ეს ტიპი! (ქადეიშვილი, ... 2000: 126). ქართულში კი, ბალახის სახელწოდება გადმოსცემს ამ კონცეპტს: *თევდორეს ბალახისა სცხია*-მეტად ტკბილი სიტყვა-პასუხის კაცია, გულკეთილი, მოალერსე, ყველას საყვარელი, სათნო, ყველას გულშემატკივარი. თევდორეს ბალახი მთის მცენარეა (სახოკია, 1950: 160).

¹⁸⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/7777/c'est_un_panier_de_cerises (მოძიებულია 12.01.19)

¹⁸⁵ https://idioms_fr_ru.academic.ru/40836/se_mettre_dans_le_citron (მოძიებულია 13.01.19)

¹⁸⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/31620/n%C3%A9cluser_que_du_lait_de_coco (მოძიებულია 13.01.19)

¹⁸⁷ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/19468/tete-de-bois/> (მოძიებულია 04.12.18)

არაფრად ჩაგდება: *S'en soucier comme un chien d'une botte de roses*-(პრდ. ვარდების კონაზე ძაღლივით ზრუნვა) არაფერი ენაღვლება (ქადეიშვილი,... 2000: 365); *Foin de ménagements*¹⁸⁸-(პრდ. სიფრთხილის თივა) ჯანდაბას ცერემონიები; ქართველებისთვის ტყემალი ხილთა შორის ღირსებით ყველაზე მდარეა, ამიტომაც ადამიანის მასთან შედარება თავისთავად მისი არ დაფასების სინონიმია. თუმცა ზემო აქარელთა ხვნა-თესვის კულტურაში, ტყემლის (ასევე წითელი ვაშლის) ხისაგან დამზადებულ ტაბიკს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია. კერძოდ, მხოლოდ მას შემდეგია მათი პირუტყვების დაცვა ავი თვალისაგან, ე.ი. უბედურებისაგან. ამ ცრურწმენის დამადასტურებელი თქმულებაც არსებობდა (ნოღაიდელი, 1935: 48): *ტყემლად არ შევეპუები*-ზედაც არ შევხედავ, სრულებით არ მოვერიდები, თავაზას არ შევუნახავ, ადამიანად არ ვაგდებ (სახოკია, 1954: 167-168); თუ მას ჭიაც გაუჩნდა, მთლად გაუფასურდება ადამიანთა თვალში: *ჭიან ტყემლადაც არ ვაგდებ*-სრულებით არაფრად მიმაჩნხარ, ჩემს თვალში არაფრის ფასი გაქვს (სახოკია, 1955: 180); ფიტონიმი ჩალა-მარცვლოვანი მცენარის ღეროა, რომელიც ძალიან ცოტას ფასობს, იაფია: *ჩალად უჩანს (ჩალად არ უჩანს)*¹⁸⁹-არაფრად მიაჩნია, არაფრად აგდებს; *ჩალაში მკერავს*-არაფრად აგდებს, უბრალო ვინმედ მთვლის, ყოველსავე ღირსებას მართმევს (სახოკია, 1955: 81); *ქინძზე მკიღია*-ჟარგ. არ მაინტერესებს, არ ვნაღვლობ, ჩემთვის სულერთია. იგივეა რაც ფეხებზე მკიღია (ბრეგაძე, 2013: 138).

ორჭოფობა, ეჭვიანობა: *Manger de l'avoine*¹⁹⁰-(პრდ. შვრიის ჭამა) კანად. მეტოქეზე ეჭვიანობა; *Sentir le fagot*-(პრდ. ფიჩხის კონის გრძნობა) 1. მკრეხელობს; 2. ეჭვი უჩნდება, ეჭვის ჭია ღრღნის (ბიბილეიშვილი,... 2010: 217); *Une poire molle*-(პრდ. რბილი მსხალი) საუბ. უნებისყოფო ადამიანი (ქადეიშვილი,... 2000: 126). ხოლო ქართველები ამ ფენომენს ასე გამოხატავენ: *რა ასკილივით თავს იქნევ!*-ტყუილსა თუ მართალზე თანხმობას აცხადებ, *ორჭოფობ* (სახოკია, 1954: 104). ასკილის ბუჩქი ერთთავად ირყევა მცირე ნიაგზეც კი; *ნასახლარის რყევა ნარივით*-მერყეობა, სიმტკიცის უქონლობა, ორგულობა (სახოკია, 1954: 63). თურმე ნასახლარზე ამოსული ნარი, ნოყიერი ნიადაგის გამო სწრაფად იზრდება. ნარი წვრილია და მცირე

¹⁸⁸ https://idioms_fr_ru.academic.ru/22061/foin_de_m%C3%A9nagements (მოძიებულია 16.01.19)

¹⁸⁹ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 24.01.19)

¹⁹⁰ https://idioms_fr_ru.academic.ru/29006/manger_de_l'avoine (მოძიებულია 15.01.19)

ნიაზეც აქეთ-იქით ქანაობს. სწორედ ამ თვისების გამო მცენარე შედარებულია ადვილად მერყევ, საკუთარი აზრის არ მქონე ადამიანთან; *ვერხვიფოთელა*-ცვალებადი შეხედულების, არამყარი ხასიათის ადამიანზე იტყვიან სამხრულ მეტყველებაში (ცეცხლაძე, 2018: 78).

*უგრძნობლობა, გულქვაობა: Rester comme une bûche*¹⁹¹-(პრდ. ნაპობივით დარჩენა) ინერტული, უგრძნობი, გაშეშებული. ქართველები ამ მხრივ უფრო მყარ ხასიათს იჩენენ: *გულის გახევება*¹⁹²-გულქვა, შეუბრალებელი გახდომა; *პურის წილ ქვის მიცემა*-ბოროტება, გულქვაობა, შეუბრალებლობა, უღმობლობა (სახოკია, 1954: 102); *გაფიჩხება*-(პრდ. ფიჩხს დამსგავსება, ხის გამხმარ შტოებად ქცევა) სიცივისაგან უგრძნობლად გახდომა, სხეულის ნაწილების გამაგრება ხესავით (სახოკია, 1950: 52);

დამუნჯება, დუმილი: Manger des pois chauds-სირცხვილისგან დამუნჯდა, ენა გადაყლაპა (ქადეიშვილი,... 2000: 127), *ენა მუცელში ჩაუვარდა; Entendre pousser l'herbe (ან l'herbe pousser)*- ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდი (ბიბილეიშვილი,... 2010: 269). ხოლო ქართულში - *ხავსის მოკიდება პირზე*-სიჩუმე, დუმილი დიდი ხნის განმავლობაში (სახოკია, 1955: 190).

მსგავსი, შესაფერისი: Il est du bois dont on les fait-(პრდ. იმ ხისაა, რომლისგანაც აკეთებენ) ერთნაირი ბუნების, მსგავსი ტიპის, ერთი ცომისგან მოზედილი (Rey,... 2015: 88); *A fleur de femme, fleur de vin*¹⁹³-(პრდ. ქალის ყვავილს, ღვინის ყვავილი) შესაფერისი ქორწილი, ანუ ერთმანეთისთვის შესაფერისი ახალგაზრდა კაცი და ქალი. ქათულში იმავე შინაარსს შემდეგი ანდაზებით გამოვხატავთ: ალხანას ჩალხანაც უნდაო; ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო; ფერი ფერს შეხვდაო, მადლი ღმერთსაო; წყალი, წყლისკენ მიდის; როგორც გამთხოვი, ისეთი მომყვანიო. ხოლო ქართულში: *ერთი ხის ანაჭერნი*¹⁹⁴-ერთნაირები; *გაჭრილი ვაშლივით ჰგავს*¹⁹⁵-მალიან ჰგავს; *ვაშლი რომ გასჭრა (ისე ჰგავს მავანი მავანს)*-საოცარი მსგავსება (სახოკია, 1979: 198).

¹⁹¹ https://idioms_fr_ru.academic.ru/38547/rester_comme_une_b%C3%BBche (მოძიებულია 13.01.19)

¹⁹² <http://idioms.tsu.ge/?p=3504> (მოძიებულია 27.01.19)

¹⁹³ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/2837-a-fleur-de-femme-fleur-de-vin.html> (მოძიებულია 09.01.19)

¹⁹⁴ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 27.01.19)

¹⁹⁵ <http://idioms.tsu.ge/?p=2790> (მოძიებულია 26.01.19)

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი:

მრვალწლიანი, ბალახოვანი, ბუჩქოვანი მცენარეები შემდეგი ფიტონიმებითაა შემდგარი: *Figuier ruminal*¹⁹⁶-(პრდ. ფაშვის ლეღვის ხე) მითოლოგიური ლეღვის ხე; *L'asperge du pauvre*-(პრდ. გაჭირვებულის სატაცური) საუბ. პრასი (Rey,... 2015: 36); *Bois béni*-(პრდ. დალოცვილი ხე) ბზა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *Le bois tortu*-(პრდ. მრუდე ხე) ვაზი, ვენახი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *Arbre d'Apollon*-(პრდ. აპოლონის ხე) მით. 1. დაფნა 2. პალმა; *Arbre de Minerve*-(პრდ. მინერვას ხე) მით. ზეთისხილი, *Arbre de Jupiter*-(პრდ. იუპიტერის ხე) მით. მუხა, *Arbre de Pluton*-(პრდ. პლუტონის ხე) მით. კვიპაროსი, *Arbre d'amour*-(პრდ. სიყვარულის ხე) იუდას ხე (ქადეიშვილი,... 1998: 153); *Arbre de Bacchus*-(პრდ. ბახუსის ხე) პოეტ. ვაზი, *Arbre de Cybèle*-(პრდ. კიბელეს ხე) პოეტ. ფიჭვი, *Arbre des Euménides*-(პრდ. ევმენიდების ხე) პოეტ. კედარი, *Arbre d'Hercule*-(პრდ. ჰერკულესის ხე) პოეტ. ალვა, *Arbre de la paix*-(პრდ. მშვიდობის ხე) ზეთისხილის ხე, *Arbre de Vénus*-(პრდ. ვენერას ხე) პოეტ. 1. მირტი; 2. ცაცხვი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 30); *Pomme d'amour*-(პრდ. სიყვარულის ვაშლი) პომიდორი (ქადეიშვილი,... 2000: 133); *Oranges à cochons (an de Limousin)*-(პრდ. ღორების ან ლიმუზენის ფორთოხლები) მდაბ. კარტოფილი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 381); *Avoine de curé*-(პრდ. მღვდლის შვრია) საუბ. წიწაკა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 39); *Raisin de Carême*-(პრდ. მარხვის (კორინთის) ყურძენი) ქიშმიში. (Rey,... 2015: 789); *Du bois d'arbre*-(პრდ. ხიდან ხე) საუბ. ნამდვილი ხე, ბუნებრივი მასალა (Rey, ... 2015: 87); *Bois mort*-(პრდ. მკვდარი ხე-ტყე) ხეცეული, ჩინჩხვარი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *Bois sec*-(პრდ. ხმელი ხე) ფიჩხი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60). ხოლო ქართულში - *მინდვრის ვარდი*¹⁹⁷-ასკილი; *სამოთხის ვაშლი*¹⁹⁸-წვრილი, გრძელყუნწებიანი ვაშლი, იხმარება სამურაბედ. სამოთხისეული ნეტარების ნაყოფს განასახიერებს; *ნესვის ხე*¹⁹⁹-ტროპიკული ხეხილი; *იღლიის კვირტი*²⁰⁰-ვაზის ფოთოლთან გამოსული უნაყოფო კვირტი; *პრასა ბალახი*²⁰¹-ხახვის გარეული სახეობა; *წიდან ვაზი*²⁰²-

¹⁹⁶ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/16571/figuier-ruminal/> (მოძიებულია 13.11.18)

¹⁹⁷ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 24.01.19)

¹⁹⁸ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 26.01.19)

¹⁹⁹ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 27.01.19)

²⁰⁰ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 28.01.19)

²⁰¹ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 29.01.19)

გადაწიდვნით ამოსული ახალშენი ვაზი; *შაქარა თუთა*²⁰³-კუთხ. (ქართლ.) წვრილი, ძალიან, ტკბილი თუთა; *შაქარა (შაქრა) ვაშლი*²⁰⁴-კუთხ. (იმერ.) იგივეა რაც შაქარვაშლა. შაქარა ბალახია ერთგვარი. შაქარვაშლა კი ვაშლის ჯიშია; *ცოფის ბალახი*²⁰⁵-იგივეა, რაც შხამა.

საკვები, სასმელი: Sirop de bois tortu-(პრდ. მრუდე ხის სიროფი) ჟარგ. წითელი ღვინო (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *Tisane de bois tortu*-(პრდ. მრუდე ხის ნაყენი) ხუმრ. ღვინო, ვაზის ნაჟური (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *Bois de campêche*²⁰⁶-(პრდ. კამპეშის ხე-ტყე) არგ. ცუდი შამპანური; *ყვავს დააჩხავლებს (ღვინო) ისეთია; Manger avec les chevaux de bois*²⁰⁷-(პრდ. ხის ცხენებთან ერთად ჭამა) უჭმელი, მშიერი, საჭმელად არაფრის ქონა; *Manger la pomme jusqu'au trognon*²⁰⁸-(პრდ. ვაშლის გულამდე შეჭმა) საუბ. ულუფის ბოლომდე შეჭმა, თევზის მოსუფთავება, ნამცეცის არ დატოვება; ქართულში კი - *პურად დაჯდომა*-ჭამა-სმის დაწყება (სახოკია, 1954: 101); *პური შია (პური მოშვიდება)*²⁰⁹-იგივეა, რაც შია (მოშვიდება); *პურის (ლუკმის, ხემსის...) გატეხა*²¹⁰-(ვინმესთან ერთად) პურის ჭამა; *ნოეს ვაზის ღვინო*-საუკეთესო ღირსების ღვინო. „დაბადებაში“ ღვინო დაკავშირებულია ნოეს სახელთან. მსოფლიოს ე.წ. წარღვნის დამთავრებისა და კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ, ნოემ თანახმად დაბადებისა, მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი და მევენახეობა დაიწყო. როველზე ყურძენი რომ დაწურა, ღვინო იგემა და დათვრა. აქედან წამოვიდა ღვინის ქება და დღეს, როცა ღვინოს კარგი ღირსების გამოხატვა სურთ, ამბობენ: ეგ ღვინო ნოეს ვაზისააო ე.ი. სულ თავარაა, უკეთესი არ შეიძლებაო (სახოკია, 1954: 73-74).

განზომილებითი კონცეპტების ჯგუფი:

²⁰² <http://ena.ge/explanatory-online> (მომიებულია 29.01.19)

²⁰³ <http://ena.ge/explanatory-online> (მომიებულია 30.01.19)

²⁰⁴ <http://ena.ge/explanatory-online> (მომიებულია 30.01.19)

²⁰⁵ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 20.01.19)

²⁰⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/6279/bois_de_camp%C3%AAche (მომიებულია 17.01.19)

²⁰⁷ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-m/1332-manger-avec-les-chevaux-de-bois.html?highlight=WyJib2lzIIQ=> (მომიებულია 18.11.18)

²⁰⁸ https://idioms_fr_ru.academic.ru/29042/manger_la_pomme_jusqu'au_trognon (მომიებულია 07.01.19)

²⁰⁹ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 25.01.19)

²¹⁰ <http://ena.ge/explanatory-online> (მომიებულია 14.02.19)

სიდიდე, რაოდენობა, სიხშირე, დონე, თანმიმდევრობა: *Grappe humaine*²¹¹-(პრდ. ადამიანთა კუნწულა) ბევრი ხალხი; *Année de noisettes, année de mariage*²¹²-(პრდ. თხილების, ქორწილების წლები) ქორწილებითა და ახალშობილთა სიმრავლით გამორჩეული წელი; *Purée de pois*²¹³-(პრდ. ბარდის პიურე) საუბ. ხშირი ნისლი; *Brin à brin*-(პრდ. ყლორტიდან ყლორტზე) ერთი ბეწოთი (ქადეიშვილი,... 1998: 327); *Mangeur de choux*²¹⁴-(პრდ. კომბოსტოს მჭამელი) არგ. მარტოხელა ქურდი; *À toi, à moi la paille de fer!*-(პრდ. მე, შენ რკინის ჩალა!) ხალხ. ყველას თავისი რიგის მიხედვით, რიგრიგობით: ჯერ მე, მერე შენ (რადაც არასაიამოვნოზე) (Rey,... 2015: 668). ზემოხსენებული კონცეპტების გადმოსაცემად ქართულში ფრანგული ენის მსგავსად მცენარეები საკმაოდ ხშირად გამოიყენება იდიომებში: *საკუთარ ქერქში გამოეხვევა*²¹⁵-კარჩაკეტილად იქნება; *კაკალი კაცი*²¹⁶-(ერთი, მარტოხელა) კაცი; *კაკლის ყურ*²¹⁷-(კუთხ.ქიზ) კაკლის გულის მეოთხედი; *თხმელასაც, მურყანსაც მოუსხამს*-იტყვიან (ლაზურში), როდესაც მცენარე უხვად მოისხამს (ცეცხლაძე, 2018: 73); *მინდორს აბნელებს*-(პრდ. მინდორს გადაჰფარებია და დაუბნელებია) (საქონელი) ბევრია, მრავალია (სახოკია, 1954: 25); *ტყე ისე დაბურულია, შიგ მზის სხივი არ ჩავარდება*-(პრდ. ტყეში მზის სხივი ვერ ჩაეტევა) მეტად ხშირი ტყეა (სახოკია, 1954: 167); *ხე და ხე*²¹⁸-აქა იქ, ზოგ ხეს ასხია.

*დრო, წლები: Aux fraises*²¹⁹-(პრდ. მარწყვებზე) საუბ. გაზაფხულზე, ზაფხულის დასაწყისში; *Avoir ... ans aux prunes*-(პრდ. ქლიავეებზე ... წლის შესრულება) საუბ. ზაფხულში ... წელი შეუსრულდება (ბიბილეიშვილი,.. 2010: 27); *Avoir ... ans aux pommes (ან aux châtaignes, aux noix)*²²⁰-(პრდ. (წაბლებზე, კაკლებზე) ვაშლებზე ... წლის შესრულება) შემოდგომაზე ... წელი შეუსრულდება; *Avoir ... ans aux cerises (asperges, lilas)*-(პრდ. ალუბლებზე (სატაცურებზე, იასამნებზე) ... წლის შესრულება) საუბ.

²¹¹ https://idioms_fr_ru.academic.ru/23240/grappe_humaine (მოძიებულია 17.01.19)

²¹² <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/3333-annee-de-noisettes-annee-de-mariage.html> (მოძიებულია 11.01.19)

²¹³ https://idioms_fr_ru.academic.ru/36846/pur%C3%A9e_de_pois (მოძიებულია 09.01.19)

²¹⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/29086/mangeur_de_choux (მოძიებულია 09.01.19)

²¹⁵ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 30.01.19)

²¹⁶ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

²¹⁷ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 23.01.19)

²¹⁸ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 26.01.19)

²¹⁹ https://idioms_fr_ru.academic.ru/3113/aux_fraises (მოძიებულია 17.01.19)

²²⁰ https://idioms_fr_ru.academic.ru/3278/avoir...ans_au_x_pommes (მოძიებულია 07.01.19)

გაზაფხულზე ... წელი შეუსრულდება (ბიბლიეიშვილი,... 2010: 27); *Le temps des cerises*²²¹-(პრდ. ალუბლების დრო) ცხოვრების საუკეთესო პერიოდი, ცხოვრების გაზაფხული; *Dans sa fleur*-(პრდ. მის ყვავილში) გაფურჩქვნის ხანაში (ბიბლიეიშვილი,... 2010: 233). ხოლო ქართულში - *უხანო ენძელაა*-ხანმოკლე, დიდხანს რომ არ ცოცხლობს, მალე კვდება. ენძელა (ლათ. Merendera) ადრეული ყვავილია. ზამთარში თოვლი დნობას რომ დაიწყებს და მზე ოდნავ დახედავს, ყვავილი გაიშლება. მერე გაზაფხულამდე თუ ზამთრის სუსხმა კიდევ დაჰკრა, ხელად დაჭკნება, ასე რომ, სხვა ყვავილთა შორის ენძელა ყველაზე ხანმოკლე სიცოცხლის ყვავილად ითვლება (სახოკია, 1954: 188); *ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია*-ჩემი ცხოვრება გამივლია, ცხოვრებისაგან მეტს არას მოველი (სახოკია, 1955: 96).

საგნობრივ კონცეპტთა ჯგუფი:

თავშესაფარი, შენობა: Forêt de Bondy-(პრდ. ბონდის ტყე) მოძვ. ყაჩაღების, ქურდების ბუნაგი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 237); *Batôn de perroquet*-(პრდ. თუთიყუშის ჯოხი) საუბ. ვიწრო, მრავალსართულიანი სახლი (ბიბლიეიშვილი,... 2010: 48); *Mine à poivre*-(პრდ. წიწაკის მადარო) ხალხ. დუქანი (ქადეიშვილი,... 2000: 128); *La paille humide (des cachots)*-(პრდ. (საპყრობილის) ნესტიანი ჩალა) ციხე (Rey, ... 2015: 668). ქართულში მხოლოდ ორი თქმა მოვიძიეთ - *თავს მისცემს ტყეს*²²²-თავს შეაფარებს (ტყეს...); *ტყეს აძლევს თავს*²²³-იმალე, მიდის ყაჩაღად.

3.2. არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომები ორივე ენაში

„ფიტონიმია, როგორც ერთ-ერთი ფრაგმენტი სამყაროს ენობრივი სურათისა მოიცავს ეთნოკულტურულ ინფორმაციას მცენარეულ რეალიათა ხალხური გაგების შესახებ, მათ აქსიოლოგიურ და სტერეოტიპულ გააზრებასაც. რადგან სახელდება-არა მხოლოდ აღნიშვნის, ამასთანავე შემეცნების პროცესიცაა, ამიტომაც ამა თუ იმ საგნის ათვისების პროცესში, ადამიანი ჯერ მას შეიმეცნებს და შემდეგ ასახელებს

²²¹ https://idioms_fr_ru.academic.ru/27836/le_temps_des_cerises (მოძიებულია 12.01.19)

²²² <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 27.01.19)

²²³ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 27.01.19)

(Гарифуллина,... 2004). საგნის სახელდებას განაპირობებს არა მხოლოდ მისდამი ადამიანის დამოკიდებულება, არამედ ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და სხვა ფაქტორებიც (Фаткулина, 2002). მცენარეთა ლექსიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ როგორ ხდება ჩვენს გარშემო არსებული რეალობის, ადამიანის ცნობიერებაში სხვადასხვა თვისებების მატარებელ ხატებად გარდაქმნა, ამ ხატებისა კი-ენობრივ ფორმებში გადატანა. ნებისმიერი ენობრივი საზოგადოება არსებობს და ვითარდება მოცემულ ობიექტურ პირობებში, რაც სიტყვათა წარმოქმნისა და სახელდებისას განსხვავებულ მახასიათებელთა არჩევაში გამოიხატება“ (Фаткулина, ... 2016: 93).

ფიტონიმური იდიომების კვლევისას, ორივე ენაში გამოიკვეთა *არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომები*. შესაბამისად მოვახდინეთ არსებული მასალის კონცეპტუალური კლასიფიკაცია. დავიწყეთ *მხოლოდ ქართული ენისთვის* დამახასიათებელი ფიტონიმური გამოთქმებით. მათგან ყველაზე თვალშისაცემი და ხაზგასასმელია ფიტონიმების შემცველი *ქართული წყევლისა და დალოცვის ფორმულები*, რაც ფრანგულში არ შეინიშნება.

წყევლისა და დალოცვის კონცეპტთა ჯგუფი:

„წყევლა, ანუ დარისხვა, დაკრულვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია. იგი სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე აგებული ფორმულაა და ანიმისტური მსოფლმხედველობიდან მოყოლებული დღემდე მავნე ქმედების აღსაკვეთად, მტრისა და მოშურნის შესაჩვენებლად, ბოროტების დასათრგუნავად ან ჯადოქრობის გასაუვნებლად გამოიყენება“ (შიოშვილი, 2016: 162). უძველესი დროიდან მოყოლებული ადამიანებს სწამდათ სიტყვის მაგიური ძალისა და სჯეროდათ, რომ მათ მიერ წარმოთქმულ წყევლას შესაბამისი შედეგიც ექნებოდა. მცენარეთა სახელებით მოტივირებული წყევლის ფორმულები ძირითადად საყოფაცხოვრებო ხასიათისაა და გაჯერებულია სულიერი და მატერიალური ცხოვრების ელემენტებით.

წყევლა - ამოწყვეტა, მოუსვლელში გაგ ზავნა: შენს ერდოზე ბალახიმც ამოსულაო!- შენი ოჯახი დაქცეულიყოს, ამოწყვეტილიყოს, ცოცხალი არავინ დაგრჩენოდეს,

ყველანი დახოცილიყვეთ (სახოკია, 1955: 67). ეს გამონათქვამი დიდი წყევლის ფორმულაა. ძველად აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში, გლეხები ერდოიან (დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი) მიწურებში ცხოვრობდნენ. მიწაზე ამოსულ ბალახს, მაშინვე წყვეტდნენ, თორემ ფესვი რომ გაედგა, წვიმა ადვილად შეაღწევდა სახლებში. ასეთი რამ მხოლოდ მიტოვებულ ან უყურადღებოდ დარჩენილ ერდოს შეიძლებოდა დამართნოდა, როცა ოჯახი ამოწყვეტილი იყო, არც კერაზე ცეცხლი არ ენთო; *ბზედ და ბრედ წაუგა*²²⁴-საქმე უკულმა დაუტრიალდება; *შენს თონეში ჭინჭარიმც ამოსულაო!*-შენი ოჯახი ამოწყვეტილიყოს, შიგ ცოცხალი არავინ დარჩენილიყოს (სახოკია, 1955: 67). წყევლის ეს ფორმულაც ქართლშია გავრცელებული. ჭინჭარი სწორედ უპატრონოდ დარჩენილ, გადაშენებულ და დედაბუდიანად ამოძირკვულ ოჯახში დარჩენილ თონეში თუ გაიზრდება; ამრიგად, აბსოლუტურად ლოგიკურია გამონათქვამის შინაარსიც; *საბრინჯე*-(პრდ. ვისთვისაც ბრინჯი უნდა მოიხარშოს) ქელეხგადასახდელიო, სასიკვდილე! (სახოკია, 1954: 119). აღმოსავლეთ საქართველოში წესი ყოფილა, ქელეხში სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ბრინჯისაგან და ცხვრის ხორცისაგან მომზადებული შილაფლავი. მართალია ეს თქმა წყევლის ფორმულაა, მაგრამ მას ხშირად ხუმრობით და დაცინვით იყენებენ. თუმცა შე, საბრინჯეო ვისაც ეტყვიან, გულისხმობენ ისეთ დღეში ჩასაგდებო, რომ შენთვის ბრინჯის მოხარშვა იყოს საჭიროო ანუ შენ სასიკვდილეო; *ლობიო მოხარშულიყოს შენს სახლში აღდგომა დღეს*-საშინელ სიღარიბეში ჩავარდნილიყავ (სახოკია, 1979: 360). ცნობილია, რომ ქრისტიანულ რელიგიაში ყველაზე დიდი დღესასწაული-აღდგომაა, რომელსაც წინ უსწრებს შვიდ კვირიანი მარხვა. მარხვისას ადამიანი მხოლოდ მცენარეული საკვებით საზრდოობს, ხსნილზე კი ყველაფრის მირთმევა შეუძლია, ამიტომაც ცდილობს მაქსიმალურად მოემზადოს. მაგრამ ადამიანი ძალიან გაჭირვებული უნდა იყოს, რომ აღდგომისთვის ისევე ლობიო ჰქონდეს საჭმელად. მაშასადამე, ზემოხსენებული სიტყვები საშინელი წყევლაა, რომელიც ადამიანს უკიდურეს გაჭირვებას უქადის.

„დალოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია და, შელოცვისა და წყევლის მსგავსად, სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზეა დაფუძნებული“ (შიოშვილი,

²²⁴ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

2016: 171). ზოგადად ქართულ კულტურაში უხვადაა დალოცვის ფორმულები, რომლებიც ენაში საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ხალხური მეტყველებიდან მკვიდრდება და ქმნიან რა ერთგვარ ფე-ბს, ენის ლექსიკურ ფონდსაც ამდიდრებენ.

დალოცვა: ია-ვარდი გიფენია-(პრდ. ია და ვარდი დაგეფინოს წინ) ხელი მოგემართოს, როგორც შენი ნება იყოს, ისე წავიდეს შენი საქმე, ლამაზად განვლე დღენი შენნი, უსიამოვნება არაფერი შეგხვდეს, სიამ-ტკბილობით იყავ; მიბრძანდით, არავინ გაკავებთ! ძველად სადმე წამსვლელს გზის დასალოცად ეტყოდნენ: ია-ვარდი გიფენიაო! ე.ი. იისა და ვარდის, ამ საუკეთესო ყვავილების, მეტი არაფერი ეყაროს შენს გასასვლელ გზაზე, არაფერი გაბრკოლებდეს, მშვიდობით გაგველოს გზაო! მოგვიანებით ამ თქმამ დაცინვითი ხასიათიც მიიღო. როცა ვინმე განაწყენებული მუქარით იტყვის-თქვენთან არ დავრჩებიო, ეტყვიან: წაბრძანდი, შენი ჭირიმე, ია-ვარდი გიფენიაო! ამით აგრძნობინებენ: თუ წახვედი, შავებს არ ჩავიცვამთ, ხვეწნით კალთებს არ დაგაგლეჯთო (სახოკია, 1950: 183).

სოციალური კონცეპტების ჯგუფი:

ა) საქმის, მოქმედების გამომხატველი კონცეპტები:

*ცეცხლის დანთება: ცეცხლს (შემას) უკეთებს*²²⁵-ცეცხლში საწვავს (შემას...) უმატებს, ცეცხლს აძლიერებს; *შემამ მოილხინა ბუხარში*-ბუხარში შემას კარგად მოეკიდა, აგიზგიზდა (სახოკია, 1955: 73). თუ შემას ცეცხლი კარგად მოეკიდა, ბუხარშიც ცეცხლი აგიზგიზდება. შესაბამისად, შემამ ბუხარში მოილხინაო იტყვიან.

ბ) ინტერპერსონალური ურთიერთობის მაჩვენებელი კონცეპტები:

მუქარა: კიდევ შეხვალ ლობიოში?-კიდევ გაბედავ ქურდობას? მეორეჯერ არ გნახოთ, თორემ... ეს თქმა ნიშნის მოგებისაა, თან მუქარაც აქვს დართული. ეტყვიან დანაშაულის ჩამდენს და ცდილობენ ამით ჩააგონონ: მეორეჯერ არ დაგემართოს, თორემ უარესი დღე დაგადგებაო (სახოკია, 1979: 335); *ლუკმა-პურს გაუწყვეტს*²²⁶-საზრდოს წაართმევს, აშიმშილებს; *მინამ პურს ნუ ჰსჭამ!*-(პრდ. მანამდის (სანამ რამე

²²⁵ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 31.01.19)

²²⁶ <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 25.01.19)

საქმე არ იქნება) პური ნუ გექნება საჭმელად) მუქარა : საწადელს ვერ ეწევი, სურვილი არ აგისრულდება (სახოკია, 1954: 25).

გ) *მორალურ-ეთიკური კონცეპტები:*

დამადლება: პილპილმოყრილი მადლი - დაყვედრებული, ლანძვადატანებული სიკეთე (სახოკია, 1954: 86); *პილპილს მოყრის*²²⁷-მწარე-მწარე, საწყენ სიტყვებს ეტყვის.

სიბუნწე: პურშავი-პურამვირი, უპურმარილო, სხვისთვის პური რომ არ ემეტება (სახოკია, 1954: 103).

მოზოდიშება: პირი ხისკენ მიქნია²²⁸-მოსაზოდიშებელი თქმაა, მსმენელმა რომ თავის თავზე არ მიიღოს ნათქვამი. იგულისხმება ცუდი ამბავი ან ვინმეს აუგად მოხსენიება. აჭარაში ამ თქმას მსმენელისთვის ცუდის არიდების კონოტაცია აქვს.

ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი:

ა) *ემოციის გამომხატველი კონცეპტები:*

შეშინება: ტანზე ეკლის ასხმა-შეშინება, საზარელობა, გულის გახეთქვა (სახოკია, 1954: 162); *ეკლად დაესვა*-შეშინდა, შერცხვა (ცეცხლაძე, 2018: 80); *აჭინჭვრა ტანისა*-გამწარება, შეშინება, შეკრთომა (სახოკია, 1979: 37).

ბ) *მენტალური კონცეპტები:*

სიბრძნე, გამოცდილება: გაუჭრელი ნესვია-(პრდ. ნესვი გაჭრილი არ არის, ე.ი. არ ჩანს, მწიფეა თუ არა) ვისამე ან რისამე თვისების შინაარსის შეტყობა გარეგნულად, შორიდან შეუძლებელია, გამოსაცნობად უცხოსთან მიახლოებაა საჭირო (სახოკია, 1950: 52); *დამპალი კომშია*-გარეგნულად ვითომ ცუდი, შიგნით კი-კარგი. ახალ მოკრეფილ პანტას ბზეში შეჰყრიან ხოლმე, შიგნიდან მოშავო ფერს გადაიკრავს, თითქო დამპალაო და საჭმელად კარგი ხდება. ასეთივე ამბავი ემართება კომშს. შესახედავად თითქოს დამპალია, უვარგისს ჰგავს, შიგნიდან კი ყავისფერი ხდება და

²²⁷ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 29.01.19)

²²⁸ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 09.02.19)

საჭმელადაც კარგია. ხატოვნად იტყვიან ყმაწვილზე, რომელიც ცუდი ჰგონიათ, მისი სიკეთის იმედი არა აქვთ. ის კი არა, ბოლოს, კარგი გამოდგება და იტყვიან კიდევ: სწორედ რომ დამპალი კომშიაო! (სახოკია, 1950: 86).

დავიწყება: პურის სახელის დავიწყება-გამძევევა, მოუცლელობა, მეტისმეტად გართულ მდგომარეობაში ყოფნა (სახოკია, 1954: 102).

ნათლად გამოიკვეთა მცენარეთა სახელების შემცველი ისეთი ფიტონიმური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მხოლოდ ფრანგული ენისთვისაა დამახასიათებელი:

ფიზიოლოგიური საჭიროების გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი:

ძილი: Coucher dans le lit aux pois verts-(პრდ. მწვანე ბარდების საწოლში წოლა) არგ. ძილი ღია ცის ქვეშ (ქადეიშვილი,... 2000: 127); *Manger une (ან la) soupe aux herbes (ან à l'herbe)*²²⁹-(პრდ. ბალახების (ბალახის) წვნიანის ჭამა) საუბ. 1.ღია ცის ქვეშ ძილი; 2.სიყვარულით ტკბობა ჰაერზე; *Dormir comme une bûche*-(პრდ. ნაპობივით ძილი) ბანგიანივით ძილი (ქადეიშვილი,... 1998: 336); *Dormir à batôns rompus*-(პრდ. გაწყვეტილი ჯოხებით ძილი) მოუსვენრად ძილი, შფოთიანი ძილი (ქადეიშვილი,... 1998: 262).

*დაღლა, ძალის გამოცლა: Avoir les pinceaux en bouquets (de violettes) (ან en fleurs)*²³⁰-(პრდ. (იების) თაიგულში (ან ყვავილებში) ფუნჯების ქონა) 1. დიდი სიამოვნების განცდა (ინტიმური), ტკბობა; 2. ძალიან დაღლილი, ლამისაა დაეცეს; *Avoir les jambes en cannelle*²³¹-შვეიც. სიქაგაცილი, ქანცაწყვეტილი; *Avoir la tête comme une citrouille*²³²-(პრდ. გოგრასავით აქვს თავი) დაღლილობა გონებრივი დამაბულობის შედეგად.

აქაც გამოიკვეთა ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი განსხვავებული კონცეპტებით:

²²⁹ https://idioms_fr_ru.academic.ru/29078/manger_une_soupe_aux_herbes (მოძიებულია 10.01.19)

²³⁰ https://idioms_fr_ru.academic.ru/4581/avoir_les_pinceaux_en_bouquets (მოძიებულია 17.01.19)

²³¹ https://idioms_fr_ru.academic.ru/4530/avoir_les_jambes_en_cannelle (მოძიებულია 09.01.19)

²³² <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/1426-avoir-la-tete-comme-une-citrouille.html> (მოძიებულია 12.01.19)

ა) ემოციის გამომხატველი კონცეპტები:

სიყვარულის, პატივისცემის დამსახურება: *Chanter la pomme*²³³-(პრდ. ვაშლის მღერა) კანად. ქალის გულის მოგება, გულის მონადირება; *Dites-le avec des fleurs*-(პრდ. თქვით ყვავილებით) გამოხატეთ თქვენი სურვილები, მაღლობა გადაიხადეთ ყვავილების მირთმევით (Rey,... 2015: 423). ეს კალკირებული ფრაზა ფრანგულში შემოსულია ინგლისურიდან.

მიმართვა, მოფერებითი სახელები: *Ma vieille branche!*-(პრდ. ჩემო ძველო ტოტო!) საუბ. ძველო მეგობარო! (ბიბილეიშვილი,... 2010: 71); *Bout de chou*-(პრდ. კომბოსტოს ძირი) პატარა ბავშვი (Rey,... 2015: 194) (ძველი ამბის მოგონებისას იტყვიან ხოლმე ბავშვი იყო); *Mon chou, mon petit chou, ma choute*-(პრდ. ჩემო კომბოსტო, ჩემო პატარა კომბოსტო) საუბ. ჩემო ძვირფასო (ქადეიშვილი,... 1998: 430); *Graine de bois de lit*-(პრდ. საწოლის ხის თესლი) მოძვ. ბავშვები (Rey,... 2015: 474); *Mon petit coco*-(პრდ. ჩემო პატარა ქოქოსო!) საუბ. ჩემო პაწიავ! (ქადეიშვილი,... 1998: 457); *Vieux melon*²³⁴-(პრდ. ძველი ნესვი) ბებრუხანა, ბებერი, მოხუცი.

ქება (კომპლიმენტი): *Couvrir qn des fleurs*-(პრდ. ყვავილებით დაფარვა) ქება (ვინმესი) (ქადეიშვილი,... 1999: 256); *Jeter des fleurs à quelqu'un*-(პრდ. ვინმეზე ყვავილების სროლა) კომპლიმენტებით ავსება (Rey,... 2015: 423); *Chanter fleurette*-(პრდ. პატარა ყვავილების მღერა) ქათინაურებით შემკობა (ქადეიშვილი,... 1999: 257).

საფრთხე: *Serpent caché sous des fleurs*²³⁵-(პრდ. ყვავილების ქვეშ დამალული გველი) მოძვ. ფარული საფრთხე; *Passer à l'orange bien mûre*-(პრდ. კარგად დამწიფებულ ფორთოხალზე გავლა) შუქნიშნის ყვითელ შუქზე გავლა წითელზე გადასვლის მომენტში, რაც აკრძალულია (Rey,... 2015: 658).

მგრძნობიარე: *N'être pas de bois*-(პრდ. არ იყო ხისგან) მგრძნობიარე ადამიანი (Rey,... 2015: 88).

²³³ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-c/1230-chanter-la-pomme.html?highlight=WyJwb21tZSJd> (მოძიებულია 13.11.18)

²³⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/45788/vieux_melon (მოძიებულია 13.01.19)

²³⁵ https://idioms_fr_ru.academic.ru/41593/serpent_cach%C3%A9_sous_des_fleurs (მოძიებულია 09.01.19)

არასასიამოვნო: *Bouffer des pois cassés*²³⁶-(პრდ. გატეხილი ბარდების ჭამა) არგ. პირი უყარს, პირიდან ცუდი სუნი ამოსდის; *Avoir ses épines*-(პრდ. საკუთარი ეკლების ქონა) საუბ. უსიამოვნო მხარე აქვს (ბიბლიეიშვილი,... 2010: 205); *C'est un plat d'épinard*-(პრდ. ისპანახის კერძია) არგ. ცუდად დახატული პეიზაჟი, რომელზეც მწვანე ფერი ჭარბობს (ქაღვიშვილი,... 1999: 106); *Être tout en un fagot*-(პრდ. ყველაფერი ერთი ფიჩხის კონაში) საუბ. შევიწროებულია, შეზღუდულია (ბიბლიეიშვილი,... 2010: 217), იგულისხმება მცირე ადგილის დაკავებით გამოწვეული დისკომფორტი.

საეჭვო, არასანდო: *Pousser comme de la mauvaise herbe*²³⁷-(პრდ. სარეველა ბალახივით გაზრდა) ძალიან სწრაფი განვითარება, თუმცა საეჭვო; *Comme si je lui avais vendu des petits pois qui ne veulent pas cuire*²³⁸-(პრდ. თითქოს მივყიდე ბარდა, რომელსაც მოხარშვა არ სურს) საუბ. არამეგობრული, საეჭვო (მზერა); *Explication à la noix*²³⁹-(პრდ. კაკალივით ახსნა) ნაკლებად სანდო, საიმედო განმარტება; *Venir au monde sous un chou*²⁴⁰-(პრდ. მოველინო ქვეყანას კომბოსტოს ქვეშ) შავბნელი წარმომავლობა.

ბ) მენტალური კონცეპტები:

იდენტიფიკაცია: *Ma (ta, sa...) pomme*-(პრდ. ჩემი (შენი, მისი...) ვაშლი) არგო. საუბ. მე (შენ, ის) (Rey,... 2015: 749-750); *Ma (ta, sa) poire*-(პრდ. ჩემი (შენი, მისი) მსხალი) მდაბ. მე თვითონ, მე უფრო (ბიბლიეიშვილი,... 2010: 428).

ორიენტაცია: *Sentir l'ail, taper l'ail, manger de l'ail*-(პრდ. ნიორის ჭამა, დარტყმა, სუნის გრძნობა) არგ. ლესბოსელი, ან ლესბოსელად თავის მოჩვენება (Caradec, 2005: 4).

გ) ხასიათის გამომხატველი კონცეპტები:

მფლანგველი, უყაირათო: *Jeter ses choux gras*²⁴¹-(პრდ. ცხიმის კომბოსტოს გადაყრა) ჯერ კიდევ საჭირო ნივთების გადაყრა, არაეკონომიურობა, ხარჯვა,

²³⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/6630/bouffer_des_pois_cass%C3%A9s (მოძიებულია 09.01.19)

²³⁷ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/18841/pousser-comme-de-la-mauvaise-herbe/>

(მოძიებულია 24.12.18)

²³⁸ https://idioms_fr_ru.academic.ru/10315/comme_si_je_lui_avais_vendu_des_petits_pois_qui_ne_veulent_pas_cuire (მოძიებულია 09.01.19)

²³⁹ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/10626/explication-a-la-noix/> (მოძიებულია 10.01.19)

²⁴⁰ https://idioms_fr_ru.academic.ru/45544/venir_au_monde_sous_un_chou (მოძიებულია 09.01.19)

²⁴¹ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-j/3196-jeter-ses-choux-gras.html> (მოძიებულია 08.01.19)

ფლანგვა, არ დაზოგვა; *Avaleur des pois gris*-(პრდ. ნაცრისფერი ბარდების მყლაპავი) 1. უძღები; 2. მფლანგველი (ქადეიშვილი, ... 2000: 127);

შემართება, მონდომება: Aux petits oignons-ირონ. 1. უხეშად, მკვეთრად; 2. გულმოდგინედ, მონდომებით; 3. გაჩარხულია, კარგად მიდის (საქმე) (ბიბილეიშვილი, ... 2010: 379); *C'est gigot pomme à l'huile*²⁴²-(პრდ. ეს ცხვრის უკანა ბარკალი ვაშლი ზეთში) არგ. ყველაფერი კარგად მიდის; *La fleur au fusil*-(პრდ. ყვავილი თოფზე) ენთუზიამით, სიხარულით, შემართებით (Rey, ... 2015: 423).

*უგუნურება: Aller à travers choux*²⁴³-(პრდ. კომბოსტოების გავლით სვლა) საუბ. განუსჯელად, თავქარიანად მოქცევა; *Se casser le chou*²⁴⁴-(პრდ. კომბოსტოს გატეხვა) ზიანის მიყენება საკუთარი თავისთვის, ასევე მღელვარება, წუხილი; *Semer la folle avoine*-(პრდ. გადარეული შვრიის დათესვა) ახალგაზრდობაში ჩადენილი უგუნურების განმეორება (ქადეიშვილი, ... 1998: 230); *Manger son blé en herbe*-(პრდ. ჯეჯილობის ხანაში მყოფი ხორბლის ჭამა) სარგებლის ნახვამდე ქონების დახარჯვა (Rey, ... 2015: 83-84).

განზრახვა, მიზანი: მაკიაველის სიტყვების იდეა „მიზანი ამართლებს საშუალებას“ ფიტონიმური კონცეპტებითაც გადმოიცემა. მაგალითად: *Prendre, reprendre son bâton de pèlerin*-(პრდ. მისი მომლოცველის ჯოხის აღება, ხელახლა აღება) გამგზავრება რალაცის მიღწევის მიზნით. აქ ძიების ხანგრძლივობაზეა საუბარი (Rey, ... 2015: 64); *Donner un pois pour une fève*²⁴⁵-(პრდ. ბარდის მიცემა ცერცვის ნაცვლად) გადატ. რაიმეს მიცემა მეტის მიღების მიზნით; *Sucrer la moutarde*²⁴⁶-(პრდ. მღოვვის დაშაქრვა) გადატ. ნათქვამის შელამაზება, შერბილება; *Semer de fleurs de bord du précipice*-(პრდ. ყვავილების დარგვა უფსკრულის პირზე) საშიშროების დამალვის მცდელობა, ვითარების შელამაზება (ბიბილეიშვილი, ... 2010: 233). *S'accrocher à toutes les branches*²⁴⁷-(პრდ. ყველა ტოტზე ჩაბლაუჭება) გასაჭირიდან თავის დასახსნელად

²⁴² https://idioms_fr_ru.academic.ru/7378/c'est_gigot_pomme_%C3%A0_l'huile (მოძიებულია 07.01.19)

²⁴³ <http://www.cnrtl.fr/definition/chou> (მოძიებულია 27.11.18)

²⁴⁴ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-s/1420-se-casser-le-chou.html> (მოძიებულია 03.12.18)

²⁴⁵ <https://www.littre.org/definition/f%C3%A8ve> (მოძიებულია 16.01.19)

²⁴⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/42374/sucrer_la_moutarde (მოძიებულია 17.01.19)

²⁴⁷ <https://www.littre.org/definition/branche> (მოძიებულია 05.01.19)

ყველა საშუალების გამოყენება; *La course à l'échalote*²⁴⁸-(პრდ. წვრილი ხახვით რბოლა) მოქმედება, რომელიც შარვლის ყელსა და ბოლოზე ხელჩავლებული, ვინმეს სირბილს ან წასვლას აიძულებს; ამჟამად ითქმება შეჯიბრზე, მეტოქეობაზე (საარჩევნო, იერარარქიული და ა.შ.), ზოგჯერ ბავშვურზეც, სადაც მოსაგებად ყველა საშუალების გამოყენება გამართლებულია; *Faire flèche de tout bois* (Rey,... 2015: 87), *faire feu de tout bois*-(პრდ. ყველა ხისგან ისრის გაკეთება, ცეცხლის დანთება) მიზნის მისაღწევად ყველანაირი საშუალების გამოყენება (Rey,... 2015: 87). *ეკლის თვალით შემოხედვა*-ცუდად, ბოროტის განზრახვით ყურება (ცეცხლაძე, 2018: 80).

ერთგული: *Sûr comme la prunelle de l'oeil*-(პრდ. კვრინჩხვით, თვალის გუგასავით საიმედო) საიმედო, სანდო, ერთგული (ბიბილეიშვილი,... 2010: 442).

საზიზღარი: *Batôn merdeux*-(პრდ. საძაგელი ჯოხი) რაღაც ან ვიღაც განსაკუთრებით უსიამოვნო, საზიზღარი (Rey,... 2015: 64); *Bâton épineux*-(პრდ. ეკლიანი ჯოხი) ხალხ. უცხვირპირო, ჯაჯღანა ადამიანი (ქადეიშვილი,... 1999: 107); *Avoir un esprit épineux*-(პრდ. ეკლიანი გონების ქონა) კირკიტა ადამიანი (ქადეიშვილი, ... 1999: 107); *Un fagot d' épine*-(პრდ. ეკლის კონა) გადატ. ბრაზიანი, უვარგისი, უკარება; ანჩხლი, კაპასი (ქადეიშვილი,... 1999: 107, 189); *Un vilain coco*²⁴⁹-(პრდ. საზიზღარი ქოქოსი) ხალხ. საძაგელი ტიპი.

მსუნაგი: *Trou aux pommes de terre (ან trou à soupe)*²⁵⁰-(პრდ. ნახვრეტი კარტოფილებში (ან წვნიანში) ხალხ. პირი, მჭამელი; *C'est un coffre à avoine*²⁵¹-საუბ. ლანძღ. გაუმადლარი, მსუნაგი, ღორმუცელა (იტყვიან ცხენზე). ქართულად იტყვიან *გაღორებული*.

თავმდაბალი, მოკრძალებული, გაუბედავი: *Être d'une discrétion de violette*²⁵²-(პრდ. იასავით მორცხვი) თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანი; ყველაფრის გაკეთება იმისთვის რომ *თავი დაავიწყონ*; *Bâton flottant*-(პრდ. მოტივტივე ჯოხი) 1. ტივტივა;

²⁴⁸ <http://www.expressio.fr/expressions/la-course-a-l-echalote.php> (მომიებულია 17.01.19)

²⁴⁹ https://idioms_fr_ru.academic.ru/45155/un_vilain_coco (მომიებულია 13.01.19)

²⁵⁰ https://idioms_fr_ru.academic.ru/44656/trou_%C3%A0_soupe (მომიებულია 14.01.19)

²⁵¹ https://idioms_fr_ru.academic.ru/7724/c'est_un_coffre_%C3%A0_avoine (მომიებულია 15.01.19)

²⁵² <http://www.expressions-francaises.fr/expressions-e/3338-etre-d-une-discretion-de-violette.html> (მომიებულია 14.02.19)

2. გაუბედავი ადამიანი (ბიბლიეიშვილი, ... 2010: 48); *Il a du sang de navet*²⁵³-(პრდ. თალგამის სისხლისა) გაუბედავი, მხდალი ადამიანი, რომელსაც გამბედაობა და სიმამაცე აკლია.

მოუსვენარი, მღელვარე: Faire le poirier-(პრდ. მსხლის ხის გაკეთება) საუბ. თავდაყირა მდგომი ადამიანი (ქადეიშვილი, ... 2000: 126-127); *Mener une vie de batôn de chaise*-(პრდ. სკამის ჯოხებით ცხოვრების წარმართვა) მღელვარედ ცხოვრება (ქადეიშვილი, ... 1998: 262); *Être comme l'oiseau sur la branche*-(პრდ. ტოტზე ჩიტივით ყოფნა) მოუსვენრობა (ქადეიშვილი, ... 1998: 321).

ქარაფშუტა: Être dans les pommes-(პრდ. ვაშლებში ყოფნა) მდაბ. აღფრთოვანება, აცუნდრუკება (ბიბლიეიშვილი, ... 2010: 429); *Bonbon rose*-(პრდ. ვარდის კამფეტი) ნორჩი, თავქარიანი პიროვნება (ქადეიშვილი, ... 2000: 365); *Mauvaise herbe*²⁵⁴-(პრდ. სარეველა ბალახი) 1. თავქარიანი, ქარაფშუტა ახალგაზრდა, უსაქმური; 2. რაღაცის ცუდი მხარე; *Coeur d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის გული) თავქარიანი, ქარაფშუტა ადამიანი (ბიბლიეიშვილი, ... 2010: 111).

ასევე გვხვდება ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი კონცეპტების ჯგუფი განსხვავებული კონცეპტებით:

*გარეგნობა, შესახედაობა: N'avoir plus de mousse sur le caillou*²⁵⁵-(პრდ. კენჭზე ხავსის არ ქონა) ხალხ. მელოტი, უთმო ადამიანი; *N'avoir plus de mouron sur la cage*-(პრდ. გალიაზე ნამისქია, ჟუნჟრუკიც აღარაა) მდაბ. მელოტია (ბიბლიეიშვილი, ... 2010: 356); *Avoir le melon déplumé*²⁵⁶-(პრდ. ბუმბულგაცლილი ნესვის ქონა) ხალხ. მელოტი; *Jambes en forme des haricots vêts*-(პრდ. მწვანე ლობიოს ფორმის ფეხები) გაღუნული ფეხები (ქადეიშვილი, ... 1999: 440); *Poil de carotte*-(პრდ. სტაფილოს ბეწვი) საუბ. ჟღალი, წითური (ქადეიშვილი, ... 1998: 378); *(Comme) une pomme cuite*-(პრდ. როგორც შემწვარი ვაშლი) დაჩამიჩებული (სახე) (ბიბლიეიშვილი, ... 2010: 430); *Avoir les oreilles en feuilles*

²⁵³ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-i/823-il-a-du-sang-de-navet.html> (მოძიებულია 11.01.19)

²⁵⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/29596/mauvaise_herbe (მოძიებულია 10.01.19)

²⁵⁵ https://idioms_fr_ru.academic.ru/4240/avoir_le_caillou_d%C3%A9plum%C3%A9 (მოძიებულია 17.01.19)

²⁵⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/4376/avoir_le_melon_d%C3%A9plum%C3%A9 (მოძიებულია 12.01.19)

*de chou*²⁵⁷-(პრდ. კომბოსტოს ფოთლების მსგავსი ყურების ქონა) დიდი გამოშვერილი ყურების ქონა, პანტურა ყურების ქონა; *Yeux à fleur de tête*-(პრდ. თვალები თავის ყვავილზე) გადმოკარკლული თვალები (ქადეიშვილი,... 1999: 256); *Nez en pomme de terre*²⁵⁸-(პრდ. კარტოფილით ცხვირი) დიდი, მრგვალი ცხვირი; *Être élevé au jus de concombre*²⁵⁹-(პრდ. კიტრის წვენიზე გაზრდილი) ანემიური, ავადმყოფური იერის ქონა; *Avoir la patate*²⁶⁰-(პრდ. კარტოფილის ქონა) კარგ ფორმაში ყოფნა, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად;

*სტილი, ტანსაცმელი: Vêtu comme un oignon*²⁶¹-(პრდ. ხახვივით ჩაცმული) ცუდად ჩაცმული (რამდენიმე ფენა ტანსაცმლის ჩაცმა); *Avoir de la branche*-(პრდ. ტოტის ნაწილის ქონა) საუბ. 1. ცნობილი გვარისაა; 2. პეწიანია, ელეგანტურად გამოიყურება (ბიბილეიშვილი,... 2010: 71); *Ficelé comme une carotte*²⁶²-(პრდ. სტაფილოსავით შეკრული) ძალიან მჭიდროდ ჩაცმული, უგემოვნოდ გამოპრანჭული; *Porter un chapeau melon*²⁶³-(პრდ. ხტვ.) ქვაბქუდას (ნესვის ფორმის ქუდის) ტარება; *Beau comme un melon*²⁶⁴-(პრდ. ნესვივით ლამაზი) კარგად ჩაცმული, ელეგანტური; *S'habiller (à se mettre) comme un fagot*-(პრდ. ფიჩხის კონასავით ჩაცმა) საუბ. საფრთხობელასავით აცვია, აჯაჯულ-დაჯაჯულია (ბიბილეიშვილი,... 2010: 217); *Pelure d'oignon*-(პრდ. ხახვის გარსი) ძალიან თხელი აბრეშუმის ქსოვილი (ქადეიშვილი,... 2000: 59). ქართულში კი-მხოლოდ ერთი იდიომი მოვიძიეთ: *ბანანი-ჟარგ*. შარვალი, რომელსაც ბანანის ნაყოფის მსგავსი ტოტები აქვს (ბრეგაძე, 2013: 24).

*ბინძური/სუფთა: Avoir des grains de plomb dans les nougats*²⁶⁵-(პრდ. ნუგაში მძიმე მარცვლების ქონა) არგ. ბინძური, დაუბანელი ფეხებით სიარული; *Avoir du persil (dans les oreilles, entre les doigts de pieds)*-(პრდ. (ყურებში, ფეხის თითებს შორის) ოხრახუმის

²⁵⁷ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/1271-avoir-les-oreilles-en-feuilles-de-chou.html> (მომიებულია 08.01.19)

²⁵⁸ <http://www.cnrtl.fr/definition/pomme%20de%20terre> (მომიებულია 25.11.18)

²⁵⁹ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-e/1427-etre-eleve-au-jus-de-concombre.html> (მომიებულია 11.01.19)

²⁶⁰ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/6652/avoir-la-patate/> (მომიებულია 25.12.18)

²⁶¹ <http://www.expressions-francaises.fr/expressions-v/1636-vetu-comme-un-oignon.html> (მომიებულია 17.01.19)

²⁶² https://idioms_fr_ru.academic.ru/21734/ficel%C3%A9_comme_une_carotte (მომიებულია 05.01.19)

²⁶³ <https://www.bonjourdefrance.com/exercices/contenu/les-expressions-avec-les-fruits-et-les-legumes.html> (მომიებულია 02.11.18)

²⁶⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/5782/beau_comme_un_melon (მომიებულია 12.01.19)

²⁶⁵ https://idioms_fr_ru.academic.ru/3573/avoir_des_grains_de_plomb_dans_les_nougats (მომიებულია 12.01.19)

ქონა) მოძვ. ბინძური, ჭუჭყიანი, საზიზღარი (Rey,... 2015: 704); *Ne pas fleurir (sentir) la rose*-(პრდ. ვარდის სურნელის არქონა) ცუდი სუნი ასდის, ყარს (Rey,... 2015: 810); *Blancheur persil*-(პრდ. ოხრახუმის სითეთრე) საუბ. ქათქათა თეთრი (ბიბილეიშვილი,... 2010: 408).

სოციალური კონცეპტების ჯგუფი:

ა) საქმის, მოქმედების გამომხატველი კონცეპტები:

წილი, სარგო: Toucher une fleur-(პრდ. ყვავილის მიღება) ჟარგ. თავისი წილის მიღება (ბიბილეიშვილი,... 2010: 233); *À chacun ses oignons*²⁶⁶-(პრდ. ყველას თავისი ხახვები) ყველას თავისი საქმე, მოვალეობა, საზრუნავი აქვს.

კენჭისყრა: Tirer au (court) bâton avec quelqu'un-(პრდ. ვინმესთან ერთად ჯოხის (მოკლედ) სროლა) გადატ. 1. კენჭის, წილის ყრა; 2. ჯიუტად კამათი, ჯორზე შეჯდომა, თავისაზე დგომა (ბიბილეიშვილი,... 2010: 48); *Tirer à la courte paille*-(პრდ. მოკლე ჩალის დაქაჩვა) წილის ყრა (ქადეიშვილი,... 2000: 7); *Tirer au court fétu*-მოძვ. კენჭის ამოღება, წილის ყრა, წილის გდება (ბიბილეიშვილი,... 2010: 225).

კულინარიული ხელოვნება: Fatiguer une salade-(პრდ. სალათის დაღლა) სალათის კარგად არევა (ბიბილეიშვილი,... 2010: 469); *En salade*²⁶⁷-(პრდ. სალათივით) შერეულად (კულინარიული ხელოვნება), არეულ-დარეულად, დომხალი; *Pomme de terre en chemise (ან en robe de chambre)*-(პრდ. კარტოფილი პერანგში (ხალათში) კანიანად მოხარშული კარტოფილი (ბიბილეიშვილი,... 2010: 429); *Aux patates!*²⁶⁸-(პრდ. კარტოფილებზე!) სამხ. არგ. განაწესით კარტოფილის გასაფცქენელად ყოფნა.

ბ) ინტერპერსონალური ურთიერთობის მაჩვენებელი კონცეპტები:

*ძალაუფლების, ღირსების სიმბოლოები: Épaulettes à graine d'épinard*²⁶⁹-(პრდ. ისპანახის თესლის სამხრეები) ოფიცრის ეპოლეტები; *Être dans les légumes*²⁷⁰-(პრდ. ბოსტნეულებ-ში ყოფნა) მოძვ. მნიშვნელოვანი თანამდებობის ქონა; *Aubergine*

²⁶⁶ https://idioms_fr_ru.academic.ru/91/%C3%A0_chacun_ses_oignons (მოძიებულია 17.01.19)

²⁶⁷ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/16753/en-salade/> (მოძიებულია 10.01.19)

²⁶⁸ <http://www.cnrtl.fr/definition/patate> (მოძიებულია 25.12.18)

²⁶⁹ https://idioms_fr_ru.academic.ru/16548/%C3%A9paulettes_%C3%A0_graine_d%C3%A9pinard

(მოძიებულია 06.01.19)

²⁷⁰ <http://www.cnrtl.fr/definition/1/%C3%A9gume> (მოძიებულია 27.11.18)

blanche-(პრდ. თეთრი ბადრიჯანი) არგ. პოლიციელების თეთრი ჯოხი, რომლითაც არეგულირებენ მოძრაობას (Caradec, 2005: 11); *Palmes académiques*-(პრდ. აკადემიური პალმები) საპატიო ნიშანი (განათლების სფეროში დამსახურებისთვის) (ბიბლიეიშვილი,... 2010: 390);

სილის გაწნა, ალიყური: Il va te flanquer une pêche-(პრდ. ახლავე გაგარტყამს ატამს) ახლავე გაგაწვნის სილას (ქადეიშვილი,... 2000: 53); *Donner une pêche à qqn; recevoir une pêche*²⁷¹-მუმტის დარტყმა, *სილის გაწნა, ალიყურის ჭმევა, ალიყურით გამსპინძლება; Faire saigner la pastèque*²⁷²-(პრდ. სისხლი ადინო საზამთროს) მოძვ. არგ. სახეში გარტყმა, ალიყურის ჭმევა;

გ) *მორალურ-ეთიკური კონცეპტები:*

ღირსება: C'est la plus belle rose de son chapeau-(პრდ. ეს მისი ქუდის ყველაზე ლამაზი ვარდია) ეს მისი ყველაზე დიდი ღირსებაა, მისი უპირატესობაა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 463).

სიტყვის, პირის გატეხა: Il lui a poussé du bois-(პრდ. ხე-ტყე ამოუყვანა) რქები დაადგეს (ბიბლიეიშვილი,... 2010: 60); *Cette femme fait porter du bois à son mari*²⁷³-(პრდ. ამ ქალმა ქმრისთვის ხე-ტყე მოატანინა) გადატ. ხალხ. ეს ქალი ქმარს რქებს ასხამს, დალატობს; *Faire des pailles (des des paillons) à ...*²⁷⁴-(ცოლის, ქმრის) დალატი, რქების გამობმა, რქების დაასხმა.

ცდუნება: Marcher à la carotte-(პრდ. სტაფილოზე სიარული) მოგების საცდურით წამოწყებული მოქმედება (Rey,... 2015: 140); *Croquer la pomme*²⁷⁵-(პრდ. ვაშლის ჩაკბეჩა) ცდუნებას აყოლა;

დ) *რელიგიური კონცეპტები: Arbre de vie*-(პრდ. ხტვ.) ბიბლ. სიცოცხლის ხე (ბიბლიეიშვილი,... 2010: 30); *Buisson ardent*-(პრდ. ცეცხლოვანი ბუჩქი) ბიბლ. უწვი მაცვლოვანი (ქადეიშვილი,... 1998: 337); *La vigne de l'abbé*-1. მსხმოიარე ვაზი; 2. ღვთის წყალობა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 543); *Vigne du Seigneur*-რელ. მწიგნ.

²⁷¹ <http://www.cnrtl.fr/definition/peche> (მოძიებულია 29.11.18)

²⁷² <http://www.cnrtl.fr/definition/pasteque> (მოძიებულია 27.11.18)

²⁷³ <https://www.littre.org/definition/bois> (მოძიებულია 04.12.18)

²⁷⁴ https://idioms_fr_ru.academic.ru/19457/faire_des_pailles_%C3%A0... (მოძიებულია 14.01.19)

²⁷⁵ <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/13946/croquer-la-pomme/> (მოძიებულია 22.12.18)

ქრისტიანული ეკლესია (ბიბლიეიშვილი,... 2010: 543); *Travailler à la vigne du Seigneur*- (პრდ. თავადის ვენახში მუშაობა) მწიგნ. ხალხის ქრისტიანობაზე მოქცევა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 543); *Le dimanche des Palmes*²⁷⁶-(პრდ. პალმების კვირადღე) ბზობა; *Faire de la poire de curé*-(პრდ. კიურეს მსხლისაგან გაკეთება) მდაბ. ცოდვის დამალვა; საყვარელზე დაქორწინება (ბიბლიეიშვილი,... 2010: 428); *Arbre de la science du bien et du mal*-(პრდ. კეთილისა და ბოროტების ცოდნის ხე) ბიბლ. ხე ცნობადისა, ხე კეთილისა და ბოროტისა. მიწიერი სამოთხის ხე, რომლის ხილის ჭამაც ეკრძალებოდა ადამიანს (Rey,... 2015: 29), ეს იდიომი ქართულ ენაშიცაა-*ხე ცნობადისა*²⁷⁷-ბიბლიური თქმულების მიხედვით-ხე, რომლის ნაყოფის ჭამამ პირველ ადამიანებს მისცა კარგისა და ავის გაგების უნარი.

356. *Mi-figue, mi-raisin* (ან *moitié figue, moitié raisin*; *ni figue, ni raisin*)-(პრდ. ნახევრად ლედვი, ნახევრად ყურძენი (არც ყურძენი, არც ლედვი) არც წყალია და არც ღვინო; არც ძმარია, არც წყალი;

357. *Faire la figue à quelqu'un* -(პრდ. ვინმესთვის ლედვის გაკეთება) ბრანწის ჩვენება, დაცინვა, მასხრად აგდება;

358. *Figuier ruminal*-(პრდ. ფაშვის ლედვის ხე) ხტვ.მითოლოგიური ლედვის ხე;

359. *Tuer un âne à coups de figues (molles)*-(პრდ. მოკლა ვირი (რბილი) ლედვების დარტყმით) ხტვ. შეეჭიდო რაიმე ძალიან ხანგრძლივს ან შეუძლებელს;

Un raisin (ყურძნი)

360. *Raisin de Carême*-(პრდ. მარხვის (კორინთის) ყურძენი) ხტვ. ქიშმიში;

361. *Les raisins sont trop verts*-(პრდ. ყურძნები ძალიან მწვანეა) რაღაც არც ისე კარგია;

Une cacahuète (მიწის თხილი)

362. *Ne pas valoir une cacahuète*-(პრდ. მიწის თხილადაც არ ღირს) ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული, უმნიშვნელო რამ;

Une fraise (მარწყვი)

363. *Aller aux fraises*-(პრდ. მარწყვებში წასვლა) 1. მარწყვის დასაკრეფად წასვლა; 2. ხუმრ. ტყეში განმარტოება (სასიყვ. ურთიერთობისთვის); 3. გზიდან გადახვევა, დაჯახება, შეჭრა, შევარდნა; 4. ძალიან მოკლე შარვლის ტარება;

364. *Aux fraises*-(პრდ. მარწყვებზე) საუბ. გაზაფხულზე, ზაფხულის დასაწყისში;

365. *Sucrer les fraises*-(პრდ. მარწყვების დაშაქრვა) საუბ. ა) აღელვებისაგან აკანკალება; ბ) *il commence à sucrer les fraises*-იგი ბავშვობაში ჩავარდა ;

366. *Ramener sa fraise*-(პრდ. მისი მარწყვის მოყვანა) 1. უადგილო ადგილას თავის გამოჩენა; 2. მედიდურობა; 3. მოსვლა, გამოჩენა; 4. აღშფოთება, ხმაური;

367. *Se faire... comme un pot de fraises*-(პრდ. მარწყვების ქილასავით.... გაკეთება) ხალხ. 1. სიამოვნებით შეჭმა; 2. ვინმესთან ერთად ღამის გატარება;

368. *Envoyer aux (ან sur les) fraises*-(პრდ. მარწყვებში (ან -ზე) გაგზავნა) ხალხ. ჯანდაბაში გაგზავნა;

369. *Se magner (ან se manier) la fraise*-ხალხ. დაფაცურება, აჩქარება;

Une prune (ქლიავი)

370. *Pour des prunes*-(პრდ. ქლიავებისთვის) მდაბ. არაფრისთვის, ხელცარიელი, ტყუილად, მუქთად, ჩალის ფასად;

371. *Aux prunes*-(პრდ. ქლიავებზე) ზაფხული (მომავალი ან გასული);

372. *Prendre une prune*-(პრდ. ქლიავის აღება) ჯარიმის აკიდება, ჯარიმის გადახდა;

373. *Compter pour des prunes*-(პრდ. ქლიავებად მიჩნევა) რაღაცის კაპიკებად ან მუქთად, ამაოდ გაკეთება;

374. *Secouer comme un prunier/Secouer les prunes*-(პრდ. ქლიავის ხესავით შექანება/ქლიავის შენჯღრევა) მაგრად შენჯღრევა, შექანება; უხეშად მოშორება, შეჩერება, მწვავე შენიშვნების მიცემა;

375. *Mangeur de prunes*-(პრდ. ქლიავების მჭამელი) არგ. თერძი, მკერავი;

376. *Avoir ... ans aux prunes*-(პრდ. ქლიავებზე ... წლის შესრულება) საუბ. ზაფხულში ... წელი შეუსრულდება ;

377. *Avoir sa prune*-(პრდ. საკუთარი ქლიავის ქონა) საუბ. გამოთრობა, გამობრუჟვა, გამოტყვრომა ;

Une banane (ბანანი)

378. *Avoir la banane*-(პრდ. ბანანის ქონა) ბედნიერი, კმაყოფილი ადამიანი;

379. *Glisser sur peau de banane*-(პრდ. ბანანის ქერქზე მოსრიალება) უმნიშვნელო დაბრკოლებით გამოწვეული მარცხი;

380. *Glisser une peau de banane*-(პრდ. ბანანის ქერქის შეცურება) უკანონო, მზაკვრული მეთოდების გამოყენება სხვის მიმართ ხელის შეშლის, დამარცხების მიზნით;

381. *Peau de banane*-(პრდ. ბანანის ქერქი) მზაკვრული მეთოდი, რომლის მიზანია ვინმეს წაქცევა;

382. *Ras la banane*-(პრდ. სწორი ბანანი) საუბ. საკმარისი, ყელში ამოსვლა, დაღლა;

383. *...Et des bananes*-(პრდ. ...და ბანანები) საუბ. არაფერი (აქ ბანანი „არაფრის“ მნიშვნელობით გვხვდება) ;

384. *Quelle banane!* -(პრდ. რა ბანანია!) როგორი ბრიყვია;

385. *République bananière*-(პრდ. ბანანის რესპუბლიკა) კორუმპირებული მთავრობის მიერ მართული ქვეყანა;

Un marron, une châtaigne (წაბლი)

386. *Tirer les marrons du feu pour qn*-(პრდ. ვინმესთვის ცეცხლიდან წაბლების გამოღება) ვინმესთვის წყალში გადავარდნა, ცეცხლში ჩადგომა (ლაფონტენის იგავიდან „მაიმუნი და კატა“);

387. *Tirer les marrons du feu avec la patte du chat* ან უბრალოდ *tirer les marrons du feu*-(პრდ. კატის თათით ცეცხლიდან წაბლების გამოღება, ან უბრალოდ ცეცხლიდან წაბლების გამოღება)-სხვისი ხელით ნარის გლეჯა ;

388. *Se servir de la patte du chat pour tirer les marrons du feu* (*ახვევ* *Tirer les marrons de la patte du chat*)-(პრდ. კატის თათის მომსახურება ცეცხლიდან წაბლების გამოსაღებად) სხვისი ხელით ნარის გლეჯა ;

389. *Être marron*-(პრდ. იყო წაბლი) საქმეში წაგებული, დამარცხებული, მოტყუებული;

390. *Être marron, fait ou paumé marron*-(პრდ. იყო წაბლი, გაკეთებული ან დარტყმული წაბლი) არგ. ფაქტზე დაიჭირეს, მოატყუეს, ხელთ იგდეს, ბადეში გააბეს;

391. *Marron sculpté*-(პრდ. ამოკვეთილი წაბლი) ჟარგ. სასაცილო, უშნო სიფათი, მაიმახი;

392. *Il est allé rôtir les marrons*-(პრდ. წაბლების შესაწვავად წავიდა) გადატ. იტყვიან იმაზე ვისაც ფული აღარ აქვს, ყველაფერი წააგო, გადის თამაშიდან;

393. *Secouer la poêle à marrons*-(პრდ. წაბლის ტაფის ნჯღრევა) არგ. მიტყეპა, გვერდების დაზელვა;

394. *Attraper des marrons*-(პრდ. წაბლების დაჭერა) საუბ. (მუშტები) მოხვდა, გვერდები დაუზილეს;

395. *Coller des marrons*-(პრდ. წაბლების მიწებება) საუბ. მიბეგვა, დაჟეჟვა (მუშტებით);

396. *Se prendre une châtaigne*-(პრდ. წაბლის მიღება) ელექტრო შოკის დარტყმა, დარტყმის მიღება;

397. *Aller à la châtaigne*-(პრდ. წაბლში წასვლა) არგ. შეხლა-შემოხლა, აურზაური, დარტყმა;
398. *Recevoir une châtaigne*-(პრდ. წაბლის მიღება) დარტყმის მიღება;
399. *Il lui a flanqué une châtaigne*-(პრდ. მან მას წაბლი უთავაზა) მუშტი სთხლიმა;
- Une pomme* (ვაშლი)
400. *Tomber dans les pommes*-(პრდ. ვაშლებში დაცემა) გულის წასვლა, გონების დაკარგვა;
401. *Être dans les pommes cuites*-(პრდ. შემწვარ ვაშლებში ყოფნა) დაუძლურებულ, დასუსტებულ, დაღლილ მდგომარეობაში ყოფნა, ქანც გამოცლილი;
402. *Être dans les pommes*-(პრდ. ვაშლებში ყოფნა) მდაბ. აღფრთოვანება, აცუნდრუკება;
403. *Ne pas être dans les pommes*-(პრდ. ვაშლებში არ ყოფნა) ჭკუაზე, გონებაზე არ არის (გონზე არ არის);
404. *Bonne pomme*-(პრდ. კარგი ვაშლი) საუბ. კეთილი, გულუბრყვილო, გულკეთილი, შემწყნარებელი ;
405. *Pomme à l'eau*-(პრდ. წვნიანი ვაშლი) საუბ. ყეყეჩი, სულელი, ჩერჩეტი ;
406. *Pomme à eau*-(პრდ. წვნიანი ვაშლი) საუბ. ბრიყვი ;
407. *Pomme d'eau*-(პრდ. წყლის ვაშლი) მდაბ. ბრიყვი, ჭკუათხელი, ჭკუასთან მწყრალი ;
408. *Ma (ta, sa...) pomme*-(პრდ. ჩემი (შენი, მისი...) ვაშლი) არგო. საუბ. მე (შენ, ის);
409. *Pomme de discorde*-(პრდ. ხტვ.) განხეთქილების ვაშლი;
410. *Haut comme trois pommes*-(პრდ. სამი ვაშლივით მაღალი) ციცქნა, ერთი გოჯი, ცეროდენა ;
411. *Une vraie pomme!*-(პრდ. ნამდვილი ვაშლი!) არგ. მიაშიტი ;
412. *Croquer la pomme*- (პრდ. ვაშლის ჩაკბეჩა) ცდუნებას აყოლა;
413. *Pomme d'Adam*-(პრდ. ადამის ვაშლი) ანატ. ხვანჩი, ყანყრატო;
414. *Pomme d'amour*-(პრდ. სიყვარულის ვაშლი) პომიდორი;
415. *En avoir gros sur la pomme*-(პრდ. ვაშლზე მძიმედ ქონა) დანადვლიანებული, იმედგაცრუებული;
416. *Se payer la pomme de qqn*-(პრდ. ვიღაცის ვაშლის გადახდა) დაცინვა, აბუება;
417. *Bath aux pommes*-(პრდ. ჩინებული ვაშლებით) საუბ. შესანიშნავია, თითებს ჩაიკვნეტ;
418. *Aux pommes*- (პრდ. ვაშლებით) მდაბ. შესანიშნავი, ჩინებული ;
419. *Décerner la pomme*-(პრდ. ვაშლის მინიჭება) სილამაზის პრიზის მიკუთვნება (ქალისტვის);
420. *Jeter des pommes cuites à qn*-(პრდ. ვინმესთვის შემწვარი ვაშლების სროლა) ვინმეს გამასხარავება, აგდება, ლაყე კვერცხების დაშენა ;
421. *Se sucer la pomme*-(პრდ. ვაშლის წოვა) ხალხ. კოცნა-პროშტნა;

422. *Donner la pomme*-(პრდ. ვაშლის მიცემა) უპირატესობის მინიჭება ვინმესთვის, გამორჩევა; უპირატესობის მიცემა (აძლევს);
423. *Chanter la pomme*-(პრდ. ვაშლის მღერა) კანად. ქალის გულის მოგება, გულის მონადირება;
424. *L'autre pomme*-(პრდ. სხვა ვაშლი) ხტვ. ეს რეგვენი, ხეპრე, ბოთე;
425. *Une bonne petite vie aux pommes*-(პრდ. ერთი კარგი პატარა სიცოცხლე ვაშლებში) შესანიშნავი, მშვენიერი არსებობა;
426. *Pour des pommes*-(პრდ. ვაშლებისთვის) ხალხ. არაფრისთვის, ტყუილად, ხელცარიელი ;
427. *Manger la pomme jusqu'au trognon*-(პრდ. ვაშლის გულამდე შეჭმა) საუბ. ულუფის ბოლომდე შეჭმა, თეფშის მოსუფთავება, ნამცეცის არ დატოვება;
428. *Ravaler la pomme*-(პრდ. ვაშლის ჩამოფხეკა) ხალხ. ფერ-უმარილის წასმა, შეღებვა;
429. *(Comme) une pomme cuite*-(პრდ. (როგორც) შემწვარი ვაშლი) დაჩამიჩებული (სახე);
430. *Plus qu'il n'y a de pommes à Normandie*-(პრდ. მეტი ვიდრე ვაშლი ნორმანდიაში) ძალიან ბევრი, ბარაქიანი, რამდენიც გინდა, თავზე საყრელი;
431. *Avoir ... ans aux pommes (ან aux châtaignes, aux noix)*-(პრდ. (წაბლებზე, კაკლებზე) ვაშლებზე ... წლის შესრულება) შემოდგომაზე ... წელი შეუსრულდება;
432. *C'est comme des pommes*-(პრდ. ვაშლებივითაა) ვერ მოგართვეს!
433. *Être fait en cueilleur de pommes*-(პრდ. ვაშლის მკრეფავივით გამოწყობილი) საუბ. მოძვ. ცუდად, უგემოვნოდ ჩაცმული;
434. *Écraseur de pommes*-(პრდ. ვინც ვაშლებს ჭყლეტს) თავზეხელაღებული მძღოლი;
435. *Pomme d'api*-(პრდ. ვაშლი, რომელსაც ცალი გვერდი წითელი აქვს) ცალმხარეს წითელი ვაშლი, ლოყაწითელი ვაშლი;
436. *Rouge comme une pomme d'api*-(პრდ. ლოყაწითელა ვაშლივით წითელი) ვაშლივით წითელი;
437. *Fraîche comme une pomme d'api*-(პრდ. ლოყაწითელა ვაშლივით ქორფა) ვარდივით ქორფა, ნორჩი;
438. *C'est gigot pomme à l'huile*-(პრდ. ეს ბარკალი ვაშლი ზეთში) არგ. ყველაფერი კარგად მიდის;
439. *Mangeur de pommes*-(პრდ. ვაშლების მჭამელი) ესე ეძახიან ნორმანდიელებს;
440. *Depuis les oeufs jusqu'aux pommes*-(პრდ. კვერცხებიდან ვაშლებამდე) თავიდან ბოლომდე;
441. *La reine des pommes*-(პრდ. ვაშლების დედოფალი) სულელი, რეგვენი, შტერი, გამოთაყვანებული;

442. *Ridé comme une pomme cuite (ან une vieille pomme)*-(პრდ. შემწვარი (ან ძველი) ვაშლივით დაჭმუქნული) შემწვარი ვაშლივით შეჭმუხნული, დაჭმუქნილი, დანაოჭებული;
443. *Rond comme une pomme*-(პრდ. ხტვ.) ვაშლივით მრგვალი;
Une poire (მსხალი)
444. *Une poire molle*-(პრდ. რბილი მსხალი) საუბ. უნებისყოფო ადამიანი;
445. *Ne pas promettre (des) poires molles*-(პრდ. რბილი მსხლების არ დაპირება) საუბ. სეირს აჩვენებს ;
446. *Poire blette*-(პრდ. გადამწიფებული მსხალი) არგ. არაშორსმჭვრეტელი, გონებაშეზღუდული ადამიანი;
447. *Être poire*-(პრდ. იყო მსხალი) გაბრიყვება, გასულელება, მშრალზე დარჩენა;
448. *Ma (ta, sa) poire*-(პრდ. ჩემი (შენი, მისი) მსხალი) მდაბ. მე თვითონ, მე უფრო ;
449. *Poire pierreuse*-(პრდ. ქვიანი მსხალი) 1. ღვიძლის კენჭოვანი დაავადების მქონე ადამიანი; 2. უზნეო, ქუჩის ქალი;
450. *Quelle poire, ce type!*-(პრდ. რა მსხალია, ეს ტიპი!) რა მიამიტია ეს ტიპი!
451. *Couper la poire en deux*-(პრდ. მსხლის ორად გაჭრა) რაღაცის თანაბრად, ძმურად გაყოფა; კომპრომისზე წასვლა;
452. *Faire sa poire*-(პრდ. მსხლის გაკეთება) საუბ. ცხვირის აზრება, უკარებად თავის მოჩვენება;
453. *Faire de sa poire*-(პრდ. მსხლისგან გაკეთება) (ბელგ.) დიდი წარმოდგენის ქონა, ქედმაღლური იერის მიღება;
454. *Faire de la poire de curé*-(პრდ. კიურეს მსხლისაგან გაკეთება) მდაბ. ცოდვის დამალვა; საყვარელზე დაქორწინება;
455. *La poire est mûre*-(პრდ. მსხალი მწიფეა) მომენტი ხელიდან არ გაუშვა, ისარგებლე შემთხვევით!
456. *Laisser mûrir la poire*-(პრდ. აცადო მსხალს დამწიფება) ხელსაყრელი მომენტისთვის დალოდება;
457. *Quelle bonne poire*-(პრდ. რა კარგი მსხალია) მდაბ. რა კარგი სიფათი აქვს;
458. *Poire d'angoisse*-(პრდ. მახრჩობელა მსხალი) ალიკაპი, ჩვარი;
459. *Avaler des poires d'angoisse*-(პრდ. მახრჩობელა მსხლის გადაყლაპვა) მძიმე, მტანჯველ სიტუაციაში ყოფნა;
460. *Entre la poire et le fromage*-(პრდ. მსხალსა და ყველს შორის) ორ მომენტს შორის, სადილის ბოლოს, ტკბილეულის წინ;
461. *Garder une poire pour la soif*-(პრდ. მსხლის გადანახვა წყურვილისთვის) საუბ. მომჭირნეობა, შავი დღისთვის შენახვა, გადადება;
462. *Se fendre la poire*-(პრდ. მსხლის გაპობა) ხარხარი, გულწრფელი სიცილი;
463. *Se payer la poire de qqn*-(პრდ. ვიღაცის მსხლის გადახდა) საუბ. დაცინვა, მასხარად აგდება, სიცილის დაყრა ;

464. *Se sucer la poire*-(პრდ. მსხლის წოვა) საუბ. კოცნა-პროშტნა ;
 465. *Bonne poire*-(პრდ. კარგი მსხალი) დოყლაპია;
 466. *Faire le poirier*-(პრდ. მსხლის ხის გაკეთება) საუბ. თავდაყირა მდგომი ადამიანი;

Une noix (კაკალი)

467. *À la noix*-(პრდ. კაკალზე) 1. ცუდი, უხარისხო; ცუდად, უხარისხოდ; 2. სულელი; სულელური; სულელურად;
 468. *Quelle noix!*-(პრდ. რა კაკალია!) საუბ. რა სისულელეა!
 469. *Une vieille noix*-(პრდ. მოხუცი კაკალი) ჩერჩეტი, სულელი;
 470. *Coque de noix*-(პრდ. კაკლის ნაჭუჭი) გადატ. პატარა გემი;
 471. *Explication à la noix*-(პრდ. კაკალივით ახსნა) ნაკლებად სანდო, საიმედო განმარტება;
 472. *Noix confite*-(პრდ. დაშაქრული კაკალი) საუბ. სასიყვარულო თამაშები;
 473. *Noix dure à briser*-(პრდ. ძნელად გასატეხი კაკალი) კერკეტი კაკალი;
 474. *En avoir noix*-(პრდ. კაკალივით ქონა) მდაბ. ბევრი სამკაულის, ძვირფასეულობის ქონა ;
 475. *Marcher sur des noix*-(პრდ. კაკლებზე სიარული) საუბ. ძლივს დადის;
 476. *Ce sont des noix*-(პრდ. ეს კაკლებია) საუბ. სისულელეა, ტყუილი, ფუჭი დაპირებებია;
 477. *Abatteur de noix*-(პრდ. კაკლის მტეხველი) საუბ. მათხოვარი.
 478. *Goût de la noix*-(პრდ. კაკლის გემო) სატყუარა გულუბრყვილობისთვის;
 479. *Bobards à la noix*-(პრდ. მონაჩმახი კაკლით) საუბ. ზღაპრები, მონაგონი;
 480. *Y aller comme une corneille qui abat des noix*-(პრდ. იქ წასვლა კაკლის ჩამომგდები ყვავივით) ხალხ. მოუქნელი, ტლანქი, მოუხერხებელი, ლეღვია;

Une noisette (თხილი)

481. *Donner (ან offrir) des noisettes à ceux qui n'ont plus de dents*-(პრდ. მისცე (ან შესთავაზო) თხილი მათ, ვისაც კბილები აღარ აქვს) ფლავი ვის უდგას და იშტა ვისა აქვს;
 482. *Aller cueillir la noisette*-(პრდ. თხილის საკრეფად წასვლა) (შეყვარებულების) ტყეში განმარტობა ;
 483. *Année de noisettes, année de mariage*-(პრდ. თხილების, ქორწილების წლები) ქორწილებითა და ახალშობილთა სიმრავლით გამორჩეული წელი;

Un fruit (ხილი)

484. *Le fruit défendu*-(პრდ. ხტვ.) აკრძალული ხილი ;
 485. *Fruit amer*-(პრდ. მწარე ხილი) მწარე ნაყოფი, შედეგი;
 486. *Fruit sec*-(პრდ. გამხმარი ხილი) 1.გამოცდაზე ჩაჭრილი; 2. სკოლის უდიპლომო კურსდამთავრებული; 3. უნიჭო, უიღბლო, ბედუკუდმართი ადამიანი;

487. *Fruit vert*-(პრდ. მწვანე ხილი) ნორჩი, ქორჯა (ძალიან ახალგაზრდა) ქალიშვილი, გოგონა;
488. *Avec fruit*-(პრდ. ხილთან ერთად) საჭიროდ, ნაყოფიერად;
489. *Sans fruit*-(პრდ. ხილის გარეშე) ამაოდ, უნაყოფოდ, უშედეგოდ;
490. *Porter (ses) fruits*-(პრდ. ხილის მოტანა) ნაყოფის გამოღება, ნაყოფის მოტანა, იმედის გამართლება;
491. *C'est du fruit nouveau*-(პრდ. ახალი ხილია) ეს რაღაც სიახლეა, *ახალი ხილია*.
492. *C'est du fruit nouveau de vous voir*-(პრდ. თქვენი ნახვა ახალი ხილია) საუბ. ამბობენ დიდი ხნის უნახავ ადამიანზე ;
493. *Tomber comme un fruit mûr*-(პრდ. ხტვ.) მწიფე ხილივით ძირს დავარდნა;
494. *Le ver est dans le fruit*-(პრდ. ჭიაყელა ხილშია) ვითარება, საქმე საფუძვლიანად უარესდება, ფუჭდება ;
495. *C'est au fruit que l'on reconnaît l'arbre*-(პრდ. ხტვ.) ხე ნაყოფით იცნობაო ;
Une cerise (ალუბალი)
496. *La cerise sur le gâteau*-(პრდ. ალუბალი ნამცხვარზე) რაც ლამაზად მთავრდება, თვალი, მშვენება, წამყვანი რამ (ხშირად ირონიულად) ;
497. *Se faire la cerise*-(პრდ. გაიკეთო ალუბალი) საუბ. წასვლა, გაპარვა, ნიორივით გაპარვა ;
498. *Flanquer la cerise*-(პრდ. ალუბლის ტყორცნა) საუბ. უბედურების მოტანა ;
499. *Avoir la cerise*-(პრდ. ალუბლის ქონა) ბედი არ წყალობს ;
500. *Rouge comme une cerise*-(პრდ. ალუბალივით წითელი) გაწითლება ;
501. *Au temps des cerises, aux cerices*-(პრდ. ალუბლების დროს, ალუბლებზე) გაზაფხულზე, მომავალ გაზაფხულზე ;
502. *Aller aux cerises*-(პრდ. ალუბლებში წასვლა) მარცხის განცდა ; ხელის მოცარვა, ფეხის გადაბრუნება, კისრის წატეხა;
503. *Tomber sur la cerise*-(პრდ. ბალზე დაცემა) მოულოდნელად თავს დაცემა, მეხივით თავს დატყდომა;
504. *S'en moquer comme d'une cerise*-(პრდ. ალუბალივით დაცინვა) ფეხებზე დაკიდება, ყურადღების არ მიქცევა, არად ჩაგდება;
505. *Se taper la cerise*-(პრდ. ალუბლის ჭამა) ხალხ. დანაყრება, მსუყედ ჭამა; პურის ჭამა;
506. *Se ficher comme d'une cerise (comme de colin-tampon (s'en comme d'une guigne, comme de sa première chemise))*-(პრდ. ალუბალივით (მომგ. შვეიცარიული დოლის ხმის მეტსახელივით (ან ბალივით, პირველი პერანგივით) დაცინვა) საუბ. არაფრად აგდებს, არარაობად მიაჩნია, აბუჩად იგდებს;
507. *Des queues de cerise (s'en de poire)*-(პრდ. ალუბლის (ან მსხლის) ყუნწები) არაფერი, უმნიშვნელო, წვრილმანები;

508. *C'est un panier de cerises*-(პრდ. ეს ალუბლების კალათა) საუბ. ნაკლს ვერ უპოვი, წუნს ვერ დასდებ;

509. *Le temps des cerises*-(პრდ. ალუბლების დრო) ცხოვრების საუკეთესო პერიოდი, ცხოვრების გაზაფხული;

510. *Avoir ... ans aux cerises (asperges, lilas)*-(პრდ. ალუბლებზე (სატაცურებზე, იასამნებზე) ... წლის შესრულება) საუბ. გაზაფხულზე ... წელი შეუსრულდება ;

511. *Se refaire la cerise*-(პრდ. ალუბლის გადაკეთება) არგ. გამოჯანმრთელება, ჯანმრთელობის აღდგენა ;

Une guigne (ბალი)

512. *Se soucier de qn, de qch comme d'une guigne*-(პრდ. რაღაცაზე ან ვიღაცაზე ბალივით ზრუნვა) საუბ. ფეხებზე ჰკიდია რაღაც, ვიღაც ;

513. *Avoir la guigne*-(პრდ. ბლის ქონა) დანავსულია;

514. *Porter la guigne à qn*-(პრდ. ვინმესთვის ბლის მოტანა) ვიღაც დანავსა;

515. *Une guigne noire*-(პრდ. შავი ბალი) საშინელი მარცხი, უბედობა;

516. *Être tenu par la guigne*-(პრდ. დაკავებული ბლის მიერ) უიღბლოა, ბედუკუდმართია, მარცხიანია, ქვა აღმართში ეწევა;

Une pastèque (საზამთრო)

517. *Faire saigner la pastèque*-(პრდ. სისხლი ადინო საზამთროს) მოძვ. არგ. სახეში გარტყმა, ალიყურის ჭმევა;

518. *Mettre la tête comme une pastèque à qn*-(პრდ. ვინმეს თავი დაადო საზამთროსავით) ვიღაცის გალახვა, ცხვირ-პირის დაღეწვა;

Un melon (ნესვი)

519. *Avoir le melon*-(პრდ. ნესვის ქონა) სიამაყისგან გაბერილი, ქედმაღალი;

520. *Porter un chapeau melon*-(პრდ. ხტვ.) ქვაბქუდას (ნესვის ფორმის ქუდის) ტარება;

521. *Fait comme un melon*-(პრდ. ნესვივით გაკეთებული) გასულელებული; უიღბლობით დაჩაგრული;

522. *Beau comme un melon*-(პრდ. ნესვივით ლამაზი) კარგად ჩაცმული, ელეგანტური;

523. *Flairer le melon à la queue*-(პრდ. ნესვის ყუნწში დაყნოსვა) გადატ. საიდუმლოს არსში ჩაწვდომის, გაგების, ამოხსნის მცდელობა, თქმევიწინება, გამოტეხა;

524. *Avoir le melon déplumé*-(პრდ. ბუმბულგაცლილი ნესვის ქონა) ხალხ. მელოტი;

525. *C'est un melon*-(პრდ. ეს ნესვია) არგ. 1. (რასისტული, დამამცირებელი) არაბი; 2. სენ-სირის სპეციალური სამხედრო სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტი ;

526. *Avoir les pieds en cosses de melon*-(პრდ. ნესვის პარკში ფეხების ქონა) არგ. სიზარმაცე, მუშაობისგან თავის დაძვრენა ;

527. *Rouler dans les cloches à melons*-(პრდ. ნესვის ფორმის ზარებში გორვა) საუბ. მიბეგვა, მიტყეპა ;

528. *Vieux melon*-(პრდ. ძველი ნესვი) ბებრუხანა, ბებერი, მოხუცი;

Un potiron , une courge, une citrouille (გოგრა)

529. *Venir comme un potiron*-(პრდ. გოგრასავით მოსვლა) სწრაფი ზრდა (ზავშვისა) ;
530. *Être une courge*-(პრდ. იყო გოგრა) სულელი, ბრიყვი;
531. *Avoir la tête comme une citrouille*-(პრდ. გოგრასავით აქვს თავი) დაღლილობა გონებრივი დაძაბულობის შედეგად ;

Un citron (ლიმონი), un coing (კომში)

532. *Être jaune comme un citron ou comme un coing*-(პრდ. ლიმონით ან კომშივით გაყვითლებული) ჩაყვითლებული, ავადმყოფური ფერი;
533. *Presser qn comme un citron*-(პრდ. ვინმეს ლიმონით გამოწურვა) ვინმეს არ დაზოგვა ;
534. *Presser, se presser le citron*-(პრდ. ლიმონის გამოწურვა, შევიწროება) თავის მტვრევა, ტვინის ჭყლეტა (ლიმონით გამოწურვა) ;
535. *En avoir dans le citron*-(პრდ. ლიმონში ქონა) საუბ. განათლებული, ნასწავლი, ჭკვიანი;
536. *Il se croit pétri d'un autre limon que le reste des hommes*-(პრდ. ფიქრობს რომ დანარჩენთაგან განსხვავებით სხვა ლიმონითაა მოზელილი) ფიქრობს განსხვავებული ცომითაა მოზელილი;
537. *Se mettre dans le citron*-(პრდ. ლიმონში ჩადება) დაჩემება, აკვიატება;
538. *Se lécher le citron*-(პრდ. ლიმონის ლოკვა) არგ. კოცნა ;
539. *Se creuser le citron*-(პრდ. ლიმონის ჭყლეტა, მტვრევა) არგ. ფიქრი, იდეის ძებნა, თავის მტვრევა;

Un coco (ქოქოსი)

540. *Avoir le coco déplumé*-(პრდ. ზუმბულგაცლილი ქოქოსის ქონა) საუბ. მელოტი თავის ქონა ;
541. *Avoir le coco félé*-(პრდ. დაზარალი ქოქოსის ქონა) საუბ. სრულ ჭკუაზე არ არის ;
542. *Monter le coco à qn*-(პრდ. ვინმესთვის ქოქოსის ატანა) ვინმესთვის თავბრუს დახვევა ;
543. *Redresser le coco*-(პრდ. ქოქოსის გასწორება) არგ. ცხვირის მაღლა აწევა, გაბღენმა, თავს ძალის დატანება ;
544. *En avoir plein le coco*-(პრდ. ამით სავსე ქოქოსი) არგ. მუცლის ამოვსება ;
545. *Se mettre qch dans le coco*-(პრდ. ქოქოსში რაიმეს ჩადება) კანად. გაგება, მიხვედრა, დაჩემება, დაჟინება, ახირება;
546. *S'enfiler (ან se fourrer, se mettre) qch dans le coco*-(პრდ. ქოქოსში რაღაცის გადასანსვლა (ან დამალვა, ჩამახება) მუცლის ამოვსება, მუცლის (კუჭის) ამოყორვა;
547. *Se passer qch par le coco*-(პრდ. ქოქოსის გავლით რაღაცის გატარება) რაიმეს გადასანსვლა, შეჭმა, დაღევა, მოუკუპრავში ჩამახება;

548. *Un fameux (s'en jolir) coco!*-(პრდ. განთქმული (ან ლამაზი) ქოქოსი!) საუბ. კარგი ჩიტია;
549. *N'avoir rien dans le coco*-(პრდ. ქოქოსში არაფრის ქონა) მშიერი; შიმშილით კუჭი ეწვის, უდნება, უხმება;
550. *Dévisser le coco*-(პრდ. ქოქოსის მოშორება) ქურდ. ჟარგ. დახრჩობა;
551. *Un vilain coco*-(პრდ. საზიზღარი ქოქოსი) ხალხ. საძაგელი ტიპი ;
552. *Des boniments à la noix de coco (s'en à la graisse de chevaux de bois, à la manque)* - (პრდ. ქოქოსის კაკლით (ან ხის ცხენების ქონით, ნაკლულად) მყიდველის მოზიდვა, მოტყუება, საქონლის გადამეტებული ქება; არგ. ჩმახვა, როშვა, ლაყბობა;
553. *N'écluser que du lait de coco*-(პრდ. მხოლოს ქოქოსის რძის დაღვევა) არგ. თავშეუკავებელია;
554. *Mon petit coco*-(პრდ. ჩემო პატარა ქოქოსო!) საუბ. ჩემო პაწიავ!
555. *Un drôle de coco*-(პრდ. სასაცილო ქოქოსი) უცნაური ვინმეა ;
556. *S'accrocher (s'en s'agripper) au cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმაზე ჩაბლაუჭება (ან ხელის მოჭიდება) საკუთარ ადგილს ჩაბლაუჭება ;
557. *Décrocher le cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმის ჩამოხსნა) საუბ. წარმატების მიღწევა ;
558. *Grimper au cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმაზე აცოცება) საუბ. გაბრაზება, გულის მოყვანა ;
559. *Secouer qn du cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმაზე მყოფის შენჯღრევა) ვისიმე თავიდან მოშორება; ვისიმე ბედის ანაბარა მიგდება ;
560. *Monter au cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმაზე ასვლა) საუბ. მოტყუებული, გაცურებული, დოყლაპია ;
561. *Secouer le cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმის შენჯღრევა) ასაკოვანი, არაპროდუქტიული, შრომისუუნარო ხალხის თავიდან მოშორება ;
562. *Gagner le cocotier*-(პრდ. ქოქოსის პალმის მოგება) საუბ. მსხვილი მონაგების მიღება (ხშირად ირონიულად) ;
563. *T'as gagné le cocotier*-(პრდ. შენ ქოქოსის პალმა მოიგე) საუბ. თავად მოგიწევს ამის გაკეთება;

Un pépin (კურკა)

564. *Avoir un pépin*-(პრდ. კურკის ქონა) გართულების, სიძნელეების ქონა ;
565. *Avoir le pépin pour...*-(პრდ. ვიღაცისთვის კურკის ქონა) მდაბ. ვინმეს გულში ჩავარდნა, შეყვარება ;
566. *Avoir avalé un pépin*-(პრდ. კურკის, თესლის გადაყლაპვა) ხალხ. ფეხმძიმედაა;
567. *Avoir des pépins*-(პრდ. კურკების ქონა) მდაბ. უსიამოვნებაში გახვევა ;
568. *Tomber sur un pépin*-(პრდ. კურკაზე დაცემა) მდაბ. შარში გახვევა ;

Une baie (კენკრა)

569. *Donner des baies à quelqu'un*-(პრდ. ვინმესთვის კენკრის მიცემა) ვინმეს მოტყუება, თვალში ნაცრის შეყრა, პირში ჩალის გამოვლება;

Un coing (კომში)

570. *Gelée de coing*-(პრდ. კომშის ჟელე) ხალხ. დიდი უსიამოვნება;

Une oranges (ფორთოხალი)

571. *Apporter des oranges à quelqu'un*-(პრდ. ვინმესთვის ფორთოხლების მიტანა) ვინმეს მონახულება ციხეში ან საავადმყოფოში ;

572. *Passer à l'orange bien mûre*-(პრდ. კარგად დამწიფებულ ფორთოხალზე გავლა) შუქნიშნის ყვითელ შუქზე გავლა წითელზე გადასვლის მომენტში, რაც აკრძალულია ;

573. *Presser l'orange (et jeter l'écorce)*-(პრდ. ფორთოხლის გამოწურვა (და კანის გადაგდება) ვინმეს უსირცხვილოდ გამოყენება, ექსპლუატაცია (ფრედერიკ II-ის მიერ ვოლტერის მისამართით ნათქვამი ცნობილი სიტყვების მიხედვით);

574. *Glisser sur une pelure d'orange*-(პრდ. ფორთოხლის კანზე გასრიალება) გადატ. საუბ. მცირე უბედური შემთხვევის გამო დამარცხება, ჩაფლავება;

575. *Oranges à cochons (ან de Limousin)*-(პრდ. ღორების (ან ლიმუზენის) ფორთოხლები) მდაბ. კარტოფილი ;

576. *Payer des oranges*-(პრდ. ფორთოხლების გადახდა) ჟარგ. ხელჩართული ბრძოლა, მუშტი-კრივი;

Une pistache (ფსტა)

577. *Avoir une pistache*-(პრდ. ფსტის ქონა) მთვრალი, გაღეშილი, გამობრუჭული;

578. *Prendre, ramasser une pistache*-(პრდ. ფსტის აღება, შეგროვება) დათრობა, შეზარხოშება ;

Une datte (ფინიკი)

579. *Ne pas en ficher une datte*-(პრდ. ფინიკის არ გაკეთება) საუბ. თითსაც არ გაანძრევს, თავს არ შეიწუხებს ;

580. *Oh, des dattes*-(პრდ. ო, ფინიკები!) მდაბ. კი, როგორ არა! აბა კი! მაშ! რა სისულელეა! ვერ მოგართვეს! ეგღა მაკლია! მოხარშული წაბლი ხომ არ გინდა! აპრუწუწუნ!

581. *C'est comme des dattes*-(პრდ. ეს ფინიკებივითაა) ეს შეუძლებელია, არასოდეს მოხდება, მეტი არ აგიდგა გვერდები!

582. *(Si cela se fait) je te paie (ან paierai) des dattes*-(პრდ. (თუ ეს მოხდება) ფინიკებს გადაგიხდი) ეს შეუძლებელია, ეს არ მოხდება; ეს ხრიკი, ეს ნომერი არ გაგივა;

583. *Gagner des dattes*-(პრდ. ფინიკების მოგება) ხალხ. ბოლოკი და ხბოს თავი;

V. კატეგორია ბოსტნეული:

Un haricot (ლობიო)

584. *C'est la fin des haricots*-(პრდ. ეს ლობიოების დასასრულია) ამით ყველაფერი დამთავრდა, მთლიანი კრახია;
585. *Courir, taper sur le haricot*-(პრდ. ლობიოზე სირბილი, დარტყმა) თავის შეწყენა, თავის მობეზრება;
586. *Des haricots*-(პრდ. ლობიოები) მორჩა! აღარაფერი დაგრჩებათ!
587. *Haricots verts*-(პრდ. მწვანე ლობიოები) არგ. ა) გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები; ბ) ქურდები;
588. *Jambes en forme des haricots vets*-(პრდ. მწვანე ლობიოს ფორმის ფეხები) გაღუნული ფეხები;
589. *Pour des haricots*-(პრდ. ლობიოებისთვის) არაფრისთვის, ხელცარიელი;
590. *Aller manger des haricots*-(პრდ. ლობიოების საჭმელად წასვლა) არგ. ციხეში მოხვედრა;
591. *Cavaler (s'en courir, taper) sur l'haricot (s'en le haricot) à qn*-(პრდ. ლობიოზე გაქცევა (ან სირბილი, დარტყმა), თავის მობეზრება, გულის გაწყალება, გულის გაწვრილება, გაღიზიანება (ვისიმე);

Une échalote (წვრილი ხახვი)

592. *La course à l'échalote*-(პრდ. წვრილი ხახვით რბოლა) მოქმედება, რომელიც შარვლის ყელსა და ბოლოზე ხელჩავლებული, ვინმეს სირბილს ან წასვლას აიძულებს; ამჟამად ითქმება შეჯიბრზე, მეტოქეობაზე (საარჩევნო, იერარარქიული და ა.შ.), ზოგჯერ ბავშვურზეც, სადაც მოსაგებად ყველა საშუალების გამოყენება გამართლებულია;
593. *Se faire dévisser les échalotes*-(პრდ. წვრილი ხახვების მოცილება) არგ. ოვარიექტომია, საკვერცხის მოკვეთა;

Un oignon (ხახვი)

594. *Aux petits oignons*-(პრდ. პატარა ხახვებით) ირონ. 1. უხეშად, მკვეთრად; 2. გულმოდგინედ, მონდომებით; 3. გაჩარხულია, კარგად მიდის (საქმე);
595. *Aux oignons*-(პრდ. ხახვებით) ზუსტად, შესანიშნავად, ჩინებულად;
596. *Occupe-toi de tes oignons*-(პრდ. შენი ხახვებით დაკავდი) შენს საქმეს მიხედ, სხვის საქმეში ნუ ერევი;
597. *Il y aura de l'oignon*-(პრდ. იქ ხახვი იქნება) ჩხუბი მოხდება ;
598. *Regretter les oignons d' Egypte*-(პრდ. ეგვიპტის ხახვებზე სინანული) დაკარგულ მდგომარეობაზე, ყოფაზე ტირილი, გოდება;
599. *Pleurer sans oignon*-(პრდ. უხახვოდ ტირილი) გადატ. ხალხ. ცრემლისთვის მნიშვნელოვანი მიზეზის ქონა (მაგალითად: ხახვის გარჩევა), ხშირად ტირილი;

600. *C'est pas nos oignons*-(პრდ. ეს ჩვენი ხახვები არაა) ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ არ გვუხება;
601. *Vêtu comme un oignon*-(პრდ. ხახვივით ჩაცმული) ცუდად ჩაცმული (რამდენიმე ფენა ტანსაცმლის ჩაცმა);
602. *Se nourrir d'un oignon*-(პრდ. ხახვით კვება) გასაჭირში, სიღარიბეში ყოფნა, მწირად კვება;
603. *Pelure d'oignon*-(პრდ. ხახვის გარსი) ძალიან თხელი აბრეშუმის ქსოვილი;
604. *En rang d'oignon*-(პრდ. ხახვის რიგით) ერთ ზოლზე, სწორ ხაზზე ჩამწკრივებული, თანმიმდევრობით;
605. *Champ d'oignons (an de navets)*-(პრდ. ხახვების (თაღამების) მინდორი) არგ. სასაფლაო;
606. *Mince comme une pelure d'oignon*-(პრდ. ხახვის გარსივით თხელი) ძალიან მსუბუქი, ძალიან თხელი;
607. *Il a de l'oignon*-(პრდ. ხახვი აქვს) ხალხ. ფული ჩეჩქად აქვს;
608. *Être couvert comme un oignon*-(პრდ. ხახვივით დაფარული) საუბ. ზედმეტად თბილად ჩაცმული (ფენა-ფენა);
609. *Tu peux te le carrer à l'oignon*-(პრდ. შეგიძლია ხახვში მოათავსო) არგ. ვერ მიიღებ, ვერ ეღირსები, როცა ვირი ხეზე ავა, როდინობის კვირაში, ვერ მოგართვეს ბადრიჯანი;
610. *Avoir de l'oignon an Avoir l'oignon qui décalotte*-(პრდ. ხახვის ქონა ან გასახსნელი ხახვის ქონა) არგ. იღბლიანია, ბედი სწყალობს;
611. *À chacun ses oignons*-(პრდ. ყველას თავისი ხახვები) ყველას თავისი საქმე, მოვალეობა, საზრუნავი აქვს ;
612. *Piler des oignons*-(პრდ. ხახვების დანაყვა) არგ. გამოლანძვით, გაჯავრებით ვინმეს ცრემლებამდე მიყვანა ;
613. *C'est mes (tes ...) oignons*-(პრდ. ეს ჩემი (შენი...) ხახვებია) მდაბ. მხოლოდ მე (შენ..) მეხება, ჩემი (შენი..) საზრუნავია, ჩემი (შენი..) საქმეა ;
614. *Il y a de l'oignon*-(პრდ. ხახვია) ხალხ. რაღაც ცუდი საქმეა, ხმაური, სირთულე და ინტრიგაა;

Une tomate (პომიდორი)

615. *Être rouge comme une tomate*-(პრდ. პომიდორივით წითელი) ჭარხალივით წითელი;
616. *Envoyer des tomates (pourries) à qqn*-(პრდ. ვინმესთვის (გაფუჭებული) პომიდვრების გაგზავნა) გადატ. სტვენა, მასხარად აგდება, დაცინვა;
617. *Recevoir des tomates*-(პრდ. პომიდვრების მიღება) მასხარად აგებული, გამასხარავებული;
618. *Se manier, se dégrouiller la tomate*-(პრდ. პომიდვრის მართვა, განძრევა) ხალხ. ან არგ. აჩქარება;

619. *Avoir l'air tomate*-(პრდ. პომიდვრის იერის ქონა) სულელი, ყეყეჩი;
620. *Être tomate, en rester comme une tomate*-(პრდ. პომიდორით დარჩენა, ყოფნა) გაოცებული, გაოგნებული; გაშეშებული, განადგურებული ;
621. *Être comme une tomate*-(პრდ. პომიდორით ყოფნა) 1. დარცხვნილი, დაბნეული; 2. ჭარხალივით წითელი, ყურებამდე გაწითლება, თმის ძირებამდე გაწითლება;
622. *Elle écrase ses tomates*-(პრდ. თავის პომიდვრებს ჭყლეტს) ხალხ. მედ. მენსტრუაცია აქვს;
623. *En être comme une tomate*-(პრდ. რაღაცაში პომიდორით ყოფნა) საუბ. მოულოდნელობისგან გაწითლდა, აღმური მოეკიდა ;
624. *Rougir comme une tomate*-(პრდ. პომიდორით გაწითლება) ჭარხალივით გაწითლება;

Un radis (ბოლოკი)

625. *N'avoir pas (plus) un radis*-(პრდ. ბოლოკიც კი არ აქვს) საუბ. უკაპიკოდ ყოფნა ;
626. *Pas un radis (ზმნებთან avoir, donner) / Sans un radis*-(პრდ. უბოლოკოდ (ზმნებთან ქონა, მიცემა) უფულოდ ;
627. *(Être) creux comme un radis*-(პრდ. (იყო) ბოლოკივით ფუყე) უმეცარი, გაუნათლებელი, უბირი;

Une asperge (სატაცური)

628. *Allez (être) aux asperges*-(პრდ. სატაცურებში წასვლა) არგ. პროსტიტუციას მისდევს, მეძავია;
629. *Quelle asperge!*-(პრდ. როგორი სატაცურია) გადატ. რა აწოწილი ვიღაცაა! აყლაყუდაა;
630. *L'asperge du pauvre*-(პრდ. გაჭირვებულის სატაცური) საუბ. პრასი;
631. *C'est une asperge (montée)*-(პრდ. ეს (გაზრდილი) სატაცურია) სწრაფად გაზრდილი, გამაღლებული და გამხდარი მოზარდი; მდაბ. აყლაყუდა, ახმახი;

Une carotte (სტაფილო)

632. *Tirer une carotte à quelqu'un*-(პრდ. ვინმესთვის სტაფილოს გამოგლეჯა) საუბ. ეშმაკურად რაღაცის გამოძალვა; ვიღაცის მოტყუება, გაცურება (ვალად აღების დაპირებით);
633. *Tirer les carottes à qn*-(პრდ. ვინმესთვის სტაფილოების გამოგლეჯა) პოლიც. არგ. ვიღაცის გამოტეხვა, ძალით თქმევინება;
634. *Ficelé comme une carotte*-(პრდ. სტაფილოსავით შეკრული) ძალიან მჭიდროდ ჩაცმული, უგემოვნოდ გამოპრანჭული;
635. *Avoir ses carottes cuites*-(პრდ. შემწვარი სტაფილოების ქონა) მომაკვდავია, სულს დაფავს, სულთმოზრმავია;
636. *Poil de carotte*-(პრდ. სტაფილოს ბეწვი) საუბ. ჟღალი, წითური ;

637. *Marcher à la carotte*-(პრდ. სტაფილოზე სიარული) მოგების საცდურით წამოწყებული მოქმედება ;
638. *Chier des carottes*-(პრდ. სტაფილოების მონელება (კუჭის მოქმედებით) მოძვ. შეწუხებული, შეცბუნებული;
639. *La carotte ou le bâton*-(პრდ. ან სტაფილო ან ჯოხი) ან გასამრჯელო ან სასჯელი, აირჩიე ამ ერთი ან მეორე, ან სიცოცხლე ან სიკვდილი;
640. *Les boeufs-carottes*-(პრდ. დიდი სტაფილოები) გენერალური ინსპექცია, პოლიციელთა პოლიცია;
641. *Carotte de longueur*-(პრდ. სიგრძის სტაფილო) საუბ. თითიდან გამოწოვილი, ყურით მოთრეული ამბავი ;
642. *Ne vivre que de carottes*-(პრდ. მხოლოდ სტაფილოებზე ცხოვრება) ხმელ პურზეა, ხელმომჭირნედ ცხოვრობს, ნახევრად მშიერია;
643. *Tirer une carotte de longueur à qn*-(პრდ. სტაფილოს სიგრძეში გამოგლეჯა) საუბ. სიტყვის ბანზე აგდება, საუბრის სხვა კალაპოტში გადაგდება ;
644. *Les carottes sont cuites*-(პრდ. სტაფილოები შემწვარია) საქმე დასრულებულია, საქმეს წერტილი დაესვა, მორჩა და გათავდა;
645. *Jouer la carotte*-(პრდ. სტაფილოს თამაში) საუბ. ფრთხილად, რისკის გაუწევლად თამაში;
646. *Tirer une carotte*-(პრდ. სტაფილოს გამოგლეჯა) საუბ. გამოსტყუა, დასტყუა, გამოსცინცლა, თვალსა და ხელს შუა გამოაცალა;
- Un poivre* (წიწაკა)
647. *Cela est cher comme poivre*-(პრდ.ეს წიწაკასავით ძვირია) ცეცხლის ფასი აქვს, ძალზე ძვირია;
648. *Cheveux poivre et sel*-(პრდ. თმები წიწაკა და მარილი) საუბ. ჭადარაგარეული მუქი თმა;
649. *Compter pour du poivre et du sel*-(პრდ. წიწაკად და მარილად დათვლა) 1. ჭკუის წაგება; 2. ანგარიშის არ გაწევა (ერთ-ერთ მოთამაშეზეა საუბარი);
650. *Moudre du poivre*-(პრდ. წიწაკის დაფრქვევა) გადატ. ლასლასი, ფეხების ძლივს თრევა (ფეხებს ძლივს დაათრევს), მიხისფეხება;
651. *Boîte à poivre*-(პრდ. წიწაკის ყუთი) არგ. სამიკიტნო ;
652. *Mine à poivre*-(პრდ. წიწაკის მაღარო) ხალხ. დუქანი ;
653. *Avoir l'air poivre*-(პრდ. წიწაკის იერის ქონა) უგონოდ მთვრალი ;
654. *Chier du poivre (à qqn)*-(პრდ. წიწაკის მონელება (კუჭის მოქმედებით) დანაპირების, ვალდებულებების დარღვევა, სიტყვის გატეხა ;
655. *Piler du poivre*-(პრდ. წიწაკის ნაყვა) საუბ. 1. ადგილის ტკეპნა; 2. ცხენზე უხეიროდ ჯდომა ;
656. *Goupiner le poivre*-(პრდ. წიწაკის დამუშავება) მოძვ. არგ. მთვრალების გამარცვა;

657. *Poivre et sel*-(პრდ. წიწაკა და მარილი) 1. შეჭალარავებული; 2. არც ისეთი, არც ასეთი ;

658. *Une réponse poivre et sel*-(პრდ. წიწაკიანი და მარილიანი პასუხი) არც თუ თავაზიანი პასუხი;

Un épinars (ისპანახი)

659. *Mettre du beurre dans les épinards*-(პრდ. ისპანახში კარაქის ჩადება) გამოკეთება, გაუმჯობესება (საქმის, ცხოვრების);

660. *C'est un plat d'épinard*-(პრდ. ისპანახის კერძია) არგ. ცუდად დახატული პეიზაჟი, რომელზეც მწვანე ფერი ჭარბობს ;

661. *Aller aux épinards*-(პრდ. ისპანახებში წასვლა) ხალხ. უზრუნველი ცხოვრება; არგ. თავის რჩენა პროსტიტუციის გზით ;

662. *Graine d'épinard*-(პრდ. ისპანახის თესლი) მოძვ. ოფიცრების სამხრეებზე მიმაგრებული ყაითანი, რომელიც მის მიერ დაკავებულ მაღალ სამხედრო რანგზე მიუთითებს ;

663. *Épaulettes à graine d'épinard*-(პრდ. ისპანახის თესლის სამხრეები) ოფიცრის ეპოლეტები;

664. *Accomoder les épinards*-(პრდ. ისპანახების შეკაზმვა, მორგება) მოძვ. ერთმანეთის შერიგება;

665. *C'est du beurre sur ses épinards*-(პრდ. ეს კარაქია მის ისპანახებზე) ეს მის წისქვილზე ასხამს წყალს;

666. *Avoir du beurre dans ses épinards*-(პრდ. მის ისპანახებში კარაქის ქონა) მდიდრულად, მსუყედ ცხოვრება, ერბოში ცურვა;

*Un chou (კომბოსტო), un trognons (ბოსტნეულის ან ხილის გული), un chou-fleur-
(ყვავილოვანი კომბოსტო)*

667. *Ménager la chèvre et le chou*-(პრდ. გაუფრთხილდე თხასა და კომბოსტოს) არც მწვადი დაწვა, არც შამფური;

668. *Mi chèvre-mi chou*-(პრდ. ნახევრად თხა, ნახევრად კომბოსტო) პიროვნება, რომელიც ნათლად არ ამბობს თავის გადაწყვეტილებას, რათა ყველა კმაყოფილი დარჩეს. თქმას ამჟამად იყენებენ პოლიტიკაში თავშეკავებული, მოკრძალებული კრიტიკისთვის;

669. *Faire chou blanc*-(პრდ. თეთრი კომბოსტოს გაკეთება) სრული წარუმატებლობის განცდა; *მარცხის განცდა, ხელის მოცარვა*;

670. *Faire ses choux gras de...*-(პრდ. კომბოსტოების ცხიმით მომზადება) საუბ. სარგებლის ნახვა, ხელის მოთბობა, ქერის ორმოში ჩავარდნა;

671. *Se prendre le chou*-(პრდ. კომბოსტოს ტვირთვა) ზრუნვა, შეწუხება;

672. *Feuille de chou*-(პრდ. კომბოსტოს ფოთოლი) უმნიშვნელო, უინტერესო, იაფფასიანი ნაწერი, გაზეთი;

673. *Faire bien valoir ses choux*-(პრდ. საკუთარი კომბოსტოების კარგად გამოყენება) საუბ. თავის გამოჩენა, თავის წარმოჩენა;
674. *Tête de chou*-(პრდ. კომბოსტოს თავი) საუბ. ბრიყვი, სულელი;
675. *Entrer (საუბ. Rentrer) dans le chou*-(პრდ. კომბოსტოში შესვლა (ხელახლა შესვლა)) იერიშის მიტანა, გასალახად მივარდნა, დატაკება ;
676. *Être dans les choux*-(პრდ. კომბოსტოებში ყოფნა) გასაჭირში ყოფნა, დამარცხება, გარიყვა, მეჩეჩზე დაჯდომა, ჩაჭრა (გამოცდაზე) ;
677. *Bête comme chou*-(პრდ. კომბოსტოსავით სულელი) ბრიყვი, სულელი ადამიანი; მარტივად გასაგები ან გასაკეთებელი რამ (ნივთი) ;
678. *Chou pour chou*-(პრდ. კომბოსტო კომბოსტოსთვის) სამაგიეროს გადახდა, ვალში არ დარჩენა (ვალს არ შეარჩენს), ანგარიშის გასწორება, შურისძიება (შური იძია) ;
679. *Répondre à qn chou pour chou*-(პრდ. კომბოტოზე კომბოსტოთი პასუხი) საუბ. პასუხი მზად აქვს, ენაზე ჭალი არ მოედება, სიტყვა არ დაელევა, სიტყვაზე უკან არ დაიხევს ;
680. *Planter ses choux*-(პრდ. კომბოსტოების დარგვა) 1. ბალის გამწვანება, საქმეს მოშორება; 2. უფრო მარტივი საქმით დაკავება;
681. *Aller planter ses choux*-(პრდ. კომბოსტოების დასარგავად წასვლა) სოფლად დამკვიდრება, გადასახლება;
682. *Envoyer qqn planter ses choux*-(პრდ. ვინმეს გაგზავნა კომბოსტოების დასარგავად) გათავისუფლება, სამსახურიდან გაგდება, გაშვება ან გამგზავრება, საუბ. გაცილება;
683. *Avoir été trouvé (ან être né) sous un chou*-(პრდ. კომბოსტოს ქვეშ ნაპოვნი (ან დაბადებული) გამრავლების, წარმომავლობის ვერსია, რომელსაც სთავაზობენ გულუბრყვილო ბაშვებს ;
684. *Bout de chou*-(პრდ. კომბოსტოს ძირი) პატარა ბავშვი;
685. *Travailler du chou*-(პრდ. კომბოსტოს დამუშავება) საუბ. ლამის გაგიჟდეს;
686. *Ne rien avoir dans le chou*-(პრდ. კომბოსტოში არაფრის ქონა) ძალიან სულელი, ბრიყვი;
687. *Avoir les oreilles en feuilles de chou*-(პრდ. კომბოსტოს ფოთლების მსგავსი ყურების ქონა) დიდი გამოშვერილი ყურების ქონა, პანტურა ყურების ქონა;
688. *Jeter ses choux gras*-(პრდ. ცხიმიანი კომბოსტოს გადაყრა) ჯერ კიდევ საჭირო ნივთების გადაყრა, არაეკონომიურობა, ხარჯვა, ფლანგვა, არ დაზოგვა;
689. *Il s'y entend comme à ramer des choux*-(პრდ. ამის ისე გაეგება, როგორც კომბოსტოსათვის საბრჯენების დაყენება) ამ საქმეში არაფერი გაეგება;
690. *Mon chou, mon petit chou, ma choute*-(პრდ. ჩემო კომბოსტო, ჩემო პატარა კომბოსტო) საუბ. ჩემო ძვირფასო;

691. *Aller à travers choux*-(პრდ. კომბოსტოების გავლით სვლა) საუბ. განუსჯელად, თავპარიანად მოქცევა;
692. *Tonner sur les choux*-(პრდ. კომბოსტოებზე გრგვინვა) საუბ. სუსტის დაჩაგვრა, დაბალი ღობის ნახვა;
693. *En faire des choux (et des raves)*-(პრდ. მისგან კომბოსტოების (და ფესვების) გაკეთება) თავნებობს; რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს, თავის ჭკუაზე დადის;
694. *Ça ne vaut pas un trognon de chou*-(პრდ. კომბოსტოს მურკადაც არ ღირს) კაპიკად არ ღირს; კაპიკია იმის ფასი;
695. *Chou (ან chouchou) de ses parents*-(პრდ. მშობლების კომბოსტო) საყვარელი შვილი, ნებიერა ბავშვი, დედის ნებიერა;
696. *Manger les choux par les trognons*-(პრდ. კომბოსტოების მურკებით ჭამა) საუბ. იმ ქვეყანას გამგზავრება ;
697. *Se gourer jusqu'au trognon*-(პრდ. ბოსტნეულის გულამდე შეცდომის ჩადენა) ჟარგ. მარცხის მოსვლა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა, ჩაფლავება, სირცხვილის ჭამა, თავის მოჭრა, თავის შერცხვენა (თავს შეირცხვენს);
698. *Jusqu'au trognon*-(პრდ. გულამდე) საუბ. ბოლომდე, მთლიანად;
699. *Se casser le chou*-(პრდ. კომბოსტოს გატეხვა) ზიანის მიყენება საკუთარი თავისთვის, ასევე მღელვარება, წუხილი;
700. *Ce qu'elle est chou!*-(პრდ. როგორი კომბოსტოა!) რა ლამაზია!
701. *En avoir dans le chou*-(პრდ. კომბოსტოში მისი ქონა) ჟარგ. გონიერი, ჭკვიანი;
702. *Oreille en chou-fleur*-(პრდ. ყვავილოვანი კომბოსტოსნაირი ყური) საუბ. დეფორმირებული, შემუპებული, გასივებული ყურები (დარტყმებისგან);
703. *Mangeur de choux*-(პრდ. კომბოსტოს მჭამელი) არგ. მარტოხელა ქურდი;
704. *Venir au monde sous un chou*-(პრდ. მოველინო ქვეყანას კომბოსტოს ქვეშ) შავზნელი წარმომავლობა;
- Un pois (ბარდა), un pois chiche, un petit pois (მუხუდო, მწვანე ბარდა)*
705. *Coucher dans le lit aux pois verts*-(პრდ. მწვანე ბარდების საწოლში წოლა) არგ. ძილი ღია ცის ქვეშ;
706. *Aller et venir comme pois en pot*-(პრდ. ქოთანში ბარდასავით გორვა) ბევრი მისვლა-მოსვლა; ტყუილად ყიალი;
707. *Manger des pois chauds*-(პრდ. ცხელ-ცხელი ბარდების ჭამა) სირცხვილისგან დამუნჯდა, ენა გადაყლაპა
708. *Avoir un pois chiche, un petit pois dans la tête*-(პრდ. თავში მუხუდოს, მწვანე ბარდის ქონა) პატარა ტვინი აქვს, იდიოტია;
709. *Avaleur des pois gris*-(პრდ. ნაცრისფერი ბარდების მყლაპავი) 1. უძღები; 2.მფლანგველი;

710. *Avaler des pois gris*-(პრდ. ნაცრისფერი ბარდების ყლაპვა) 1. მსუნაგი, ღორმუცელა, გაღორებული; 2. მფლანგველი, უთავბოლოდ მხარჯველი, ზედმეტად ხელგაშლილი;

711. *La fin des petits pois*-(პრდ. მწვანე ბარდების დასასრული) მორჩა და გათავდა, საქმე წასულია, ამაზე უარესი რაღა იქნება, სრული მარცხია;

712. *Bouffer des pois cassés*-(პრდ. გატეხილი ბარდების ჭამა) არგ. პირი უყარს, პირიდან ცუდი სუნი ამოსდის;

713. *Souffler des pois*-(პრდ. ბარდების ბერვა) საუბ.1. ფშვინვა (ძილში); 2. თავი მოაქვს, ცხვირს მაღლა სწევს ;

714. *Je ne lui ai pas vendu de pois qui ne veulent pas cuire*-(პრდ. მისთვის არ მიმიყიდია ბარდა, რომელსაც არ სურს მოხარშვა) საუბ. არანაირი საფუძველი არ აქვს რომ გამიბრაზდეს; საუბ. მე რა შუაში ვარ;

715. *Comme si je lui avais vendu des petits pois qui ne veulent pas cuire*-(პრდ. თითქოს მივყიდე ბარდა, რომელსაც მოხარშვა არ სურს) საუბ. არამეგობრული, საეჭვო (შხერა);

716. *Rendre fève pour pois (ახვევ rendre un pois pour une fève)*-(პრდ. ცერცვის ნაცვლად ბარდის დაბრუნება) სამაგიეროს გადახდა, ვალში არ დარჩენა, შურისძიება;

717. *Fleur des pois*-(პრდ. ბარდის ყვავილი) საუბ. 1. ფრანტი, კოპწია; 2. საუკეთესო ნაწილი, რჩეული საზოგადოება;

718. *Purée de pois*-(პრდ. ბარდის პიურე) საუბ. ხშირი ნისლი;

719. *Venir comme lard aux pois*-(პრდ. ბარდებზე ქონივით მოსვლა) სწორედ დროზე, დროულად გამოჩენა, სწორედ საჭირო მომენტში;

Une légume (ბოსტნეული)

720. *Gros(se) légume, une légume*-(პრდ. დიდი ბოსტნეული) დიდი ვინმე, ბობოლა;

721. *Être dans les légumes*-(პრდ. ბოსტნეულებში ყოფნა) მოძვ. მნიშვნელოვანი თანამდებობის ქონა;

722. *Chiquer les légumes, la légume*-(პრდ. ბოსტნეულების, ბოსტნეულის გაუმადლად ჭამა) მოძვ. არგ. ჭამა, შესანსვლა, მუცელში ჩაძახება;

723. *Faire ses légumes*-(პრდ. საკუთარი ბოსტნეულის კეთება) ბოსტნეულის მოყვანა საკუთარი მოხმარებისთვის;

Une salade (სალათი)

724. *Panier à salade*-(პრდ. სალათის კალათა) არგ. პოლიციის მანქანა;

725. *Raconter des salades*-(პრდ. სალათების მოყოლა) ტყუილების, ზღაპრების მოყოლა;

726. *Vendre sa salade*-(პრდ. მისი სალათის გაყიდვა) ლაქლაქი, ყბედობა, ენის ტარტარი, ენის ფხანა, ენის გაბრტყელება ;

727. *En salade*-(პრდ. სალათივით) შერეულად (კულინარული ხელოვნება), არეულ-დარეულად, დომხალი;

728. *Passer une salade à...*-(პრდ. სალათის გადაწოდება) დატუქსვა, შავი ღლის დაყენება ;
729. *Fatiguer une salade*-(პრდ. სალათის დაღლა) სალათის კარგად არევა ;
730. *Ne pas se manger en salade*-(პრდ. სალათადაც არ გამოდგომა) მატერიალური სარგებლის ვერ მომტანი, ვერ შემცვლელი ;
731. *La beauté ne se mange pas en salade*-(პრდ. სილამაზე არ იჭმება სალათის ნაცვლად) სილამაზეს რა ჭკუა აქვსო ;
732. *Salade russe*-(პრდ. რუსული სალათა) 1. ვინეგრეტი; 2. გაუგებრობა, დომხალი; 3. ჩხუბი, აყალმაყალი, ორომტრიალი, მეორედ მოსვლა ;
733. *Encaisser des salades*-(პრდ. სალათების ჩაწყობა) საუბ. ტყუილების მოსმენა ;
734. *Faire une salade de diverses choses*-(პრდ. სხვადასხვა ნივთებისგან სალათის გაკეთება) გაუგებრობის, ქაოსის გამოწვევა ;
735. *Faire sa salade à qn*-(პრდ. ვინმესთვის სალათის მომზადება) საუბ. ჭკუის სწავლება (ვინმესთვის) ;
736. *Être dans une salade*-(პრდ. სალათაში ყოფნა) ხათაბალაში გაბმა, რთულ მდგომარეობაში აღმოჩენა;

Un navet (თალგამი)

737. *Des navets!*-(პრდ. თალგამები) აბა კი! ელოდე!
738. *Un navet!*-(პრდ. თალგამი) უგემური, მოსაწყენი, ცუდი ტილო (მოძვ), სპექტაკლი, კინო.
739. *Il a du sang de navet*-(პრდ. თალგამის სისხლისაა) ადამიანი რომელსაც აკლია გამბედაობა და სიმამაცე, გაუბედავი, მხდალი;

Un poireau (პრასი)

740. *Rester planté comme un poireau*-(პრდ. პრასივით დარგული) საუბ. დიდხანს ლოდინი;
741. *Faire le poireau*-(პრდ. პრასის გაკეთება) საუბ. დიდხანს ლოდინი;
742. *Avoir le poireau*-(პრდ. პრასის ქონა) სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებისათვის განმასხვავებელი ნიშნის მიღება ;
743. *Faire manger à qn la soupe aux poireaux*-(პრდ. ვიღაცისთვის პრასის წვნიანის ჭმევა) ალოდინა;

Un concombre (კიტრი)

744. *Être élevé au jus de concombre*-(პრდ. კიტრის წვენიზე გაზრდილი) ანემიური, ავადმყოფური იერის ქონა;

Un artichaut (არტიშოკი)

745. *Avoir un coeur d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის გულის ქონა) ადამიანი, რომელსაც ადვილად და ხშირად უყვარდება ვინმე, მუდმივად შეყვარებულია; დღეს ერთი უყვარს, ხვალ-მეორე ;

746. (*Fond d'*) *artichaut ou artich-*(პრდ. არტიშოკის ან საფულის (ძირი) არგ. საფულე, ფართო გაგებით-ფული;

747. *Tête d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის თავი) საუბ. სულელი, ჩერჩეტი ;

748. *Coeur d'artichaut*-(პრდ. არტიშოკის გული) თავქარიანი, ქარაფშუტა ადამიანი;

Une pomme de terre, une patate (კარტოფილი)

749. *Pomme de terre en chemise* (ან *en robe de chambre*)-(პრდ. კარტოფილი პერანგში (ხალათში) კანიანად მოხარშული კარტოფილი ;

750. *Nez en pomme de terre*-(პრდ. კარტოფილივით ცხვირი) დიდი, მრგვალი ცხვირი;

751. *C'est un sac de pommes de terre*-(პრდ. ეს კარტოფილის ტომარაა) მსუქანი, უმწო, ულაზათო მოყვანილობის ქალი;

752. *Trou aux pommes de terre* (ან *trou à soupe*) -(პრდ. ნახვრეტი კარტოფილებში (ან წვნიანში) ხალხ. პირი, მჭამელი;

753. *Rafistoleur de pommes de terre*-(პრდ. კარტოფილის შემკეთებელი) არგ. თაღლითი გამყიდველი, ვინც ატყუებს მყიდველებს;

754. *En avoir gros sur la patate*-(პრდ. კარტოფილზე მძიმედ ქონა) დანადვლიანებული, იმედგაცრუებული, გულგატეხილი, სულით დაცემული ;

755. *Avoir la patate*-(პრდ. კარტოფილის ქონა) კარგ ფორმაში ყოფნა, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად;

756. *Se renvoyer (refiler) la patate chaude*-(პრდ. ცხელი კარტოფილის უკან გაგზავნა (მოტყუებით შეჩერება) ხალხ. საჩოთირო, რთული საქმის სხვაზე გადაცემა, თავიდან მოშორება, აცილება, უკან გაგზავნა. ასევე თავის არიდება არასასურველი ადამიანისთვის, საქმისთვის, თავის დამძრენა, თავის დაღწევა;

757. *Chaud patate*-(პრდ. ცხელი კარტოფილი) ძნელი, რთული რამ ;

758. *Être dans les patates*-(პრდ. კარტოფილებში ყოფნა) შეცდომაში მყოფი, მოტყუებული;

759. *Jouer comme une patate*-(პრდ. კარტოფილივით თამაში) ცუდად თამაში;

760. *Aux patates!*-(პრდ. კარტოფილებზე!) სამხ. არგ. განაწესით კარტოფილის გასაფრცქვნელად ყოფნა ;

761. *Quelle patate!* -(პრდ. რა კარტოფილია!) რა სულელია!

762. *Des patates!* -(პრდ. კარტოფილები) ირონ. როგორ არა, კი აბა! (კანად. არაფერი, უარის თქმის ფორმულა);

763. *Espèce de patate*-(პრდ. კარტოფილის სახეობა) შეურაცხყოფა: სულელი ადამიანი;

Un champignon (სოკო)

764. *Appuyer sur le champignon*-(პრდ. სოკოზე დაჭერა) საუბ. აჩქარება (მანქანის), სიჩქარის მომატება ;

765. *Conduire le champignon au plancher*-(პრდ. იატაკზე სოკოს წაყვანა) აჩქარება (მანქანის);

766. *Pousser (venir) comme un champignon*-(პრდ. სოკოსავით ზრდა (მოსვლა) სწრაფი განვითარება ;

767. *Un champignon d'une nuit*-(პრდ. ერთი ღამის სოკო) სწრაფად, სოკოსავით გაზრდილი ქალაქი;

Une fève (ცერცვი)

768. *Trouver la fève (au gâteau)*-(პრდ. ცერცვის პოვნა (ნამცხვარში) 1. მიაგნო (სასურველ რამეს); ზედმა გაუღიმა; 2. საქმის გახსნა ;

769. *Des fèves!*-(პრდ. ცერცვები) სრულიად არაფერი!

770. *Donner un pois pour une fève*-(პრდ. ბარდის მიცემა ცერცვის ნაცვლად) გადატ. რაიმეს მიცემა მეტის მიღების მიზნით;

771. *Rendre pois pour fèves*-(პრდ. ცერცვის ნაცვლად ბარდის დაბრუნება) მიღებული რაოდენობის არ დაბრუნება, დაკლება ;

772. *Roi de (la) fève*-(პრდ. ხტვ.) ცერცვის მეფე (ის, ვისაც, ნათლისღების საღამოს, ნამცხვარში შეხვდება ცერცვის მარცვალი) ;

773. *Gagner, avoir la fève*-(პრდ. ცერცვის ქონა, მოგება) უპირატესობის ქონა, მიღწევა, გამარჯვება ;

774. *Trouver la fève (du gâteau)*-(პრდ. (ნამცხვრის) ცერცვის მარცვლის პოვნა) მოძვ. პოვნა; იღბლიანი, ხელსაყრელი, მომგებიანი აღმოჩენა ;

775. *Il est passé par un champ de fèves en fleur*-(პრდ. აყვავილებული ცერცვის მინდორში გაიარა) გიჟია, შეშლილია, ჩერჩეტია;

776. *Fève des Rois*-(პრდ. მეფეების ცერცვი) ნამცხვარში ჩადებული ცერცვის მარცვალი (ფრანგული ტრადიციის ნათლისღების დღესასწაულის საღამოდან) ;

777. *Ne savoir pas dire fève*-(პრდ. ცერცვის თქმის არ ცოდნა) ორ სიტყვას ვერ გადააბამს;

778. *Compter les fèves*-(პრდ. ცერცვის მარცვლების თვლა) უსაქმურობა, ბუზების თვლა ჭერში;

779. *Attraper la fève (ან le haricot, l'oignon)*-(პრდ. ცერცვის (ან ლობიოს, ხახვის) დაჭერა) მკერდით გადაფარება;

Une aubergine (ბადრიჯანი)

780. *Monter l'aubergine*-(პრდ. ბადრიჯნის ატანა) არგ. სახეში გაართყმა ;

781. *Aubergine blanche*-(პრდ. თეთრი ბადრიჯანი) არგ. პოლიციელების თეთრი ჯოხი, რომლითაც არეგულირებენ მოძრაობას ;

Un ail (ნიორი)

782. *Puer l'ail, être à l'ail*-(პრდ. ნიორის სუნით ამყრალება, ნიორზე ყოფნა) მდაბ. მადის აღმძვრელი, გემრიელი, პიკანტური (ვულგ. ნივთზე ან ქცევაზე, პოზაზე საუბრისას);

783. *Sentir l'ail, taper l'ail, manger de l'ail*-(პრდ. ნიორის ჭამა, დართყმა, სუნის გრძნობა) არგ. ლესბოსელი, ან ლესბოსელად თავის მოჩვენება ;

VI. კატეგორია მარცვლეული და მისი ნაწილები:

Un blé (ხორბალი, პურის მარცვალი)

784. *Blond comme les blés*-(პრდ. ხორბალივით ქერა) ძალიან ღია ქერა ;
785. *Fauché comme les blés*-(პრდ. ხორბალივით მოცელილი) უფულო, ძალიან ღარიბი ;
786. *Manger son blé en herbe*-(პრდ. ჯეჯილობის ხანაში მყოფი ხორბლის ჭამა) სარგებლის ნახვამდე ქონების დახარჯვა;
787. *Manger son blé en vert*-(პრდ. სიმწვანეში შესული ხორბლის ჭამა) მოძვ. ფულის, ქონების წინასწარ შემოხარჯვა;
788. *Manger blé en verdure*-(პრდ. სიმწვანეში შესული ხორბლის ჭამა) მოძვ. სარგებლის ნახვამდე ქონების დახარჯვა ;
789. *Acheter blé en herbe*-(პრდ. ჯეჯილობის ხანაში მყოფი ხორბლის ყიდვა) ძალიან მოძვ. სარგებლის ნახვამდე ქონების დახარჯვა;
790. *Crier famine sur un tas de blé*-(პრდ. ხორბლის გროვაზე გაჭირვებაზე ჩივილი) დოვლათიანობის დროს თავის მოსაწყვლეა;
791. *C'est du blé en grenier*-(პრდ. ეს სხვენში ხორბალია) ეს უტყუარი საქმეა;
792. *Avoir du blé en poche*-(პრდ. ჯიბეში ხორბლის ქონა) არგ. ფულის ქონა; სქელი ჯიბე აქვს;
793. *Avoir du blé*-(პრდ. ხორბლის ქონა) იყო მდიდარი;
794. *Battre qn comme blé (ასევე battre (ან frapper, taper) comme un sourd)*-(პრდ. ვინმეს ხორბალივით (ყრუსავით) ცემა, ცეხვა) გვერდების დაზელა, ცხვირ-პირის ამონაყვა, ბღღვირის ადენა;
795. *Être pris comme dans un blé*-(პრდ. ხორბალში დაჭერილივით) გადატ. დაჭერა ისე, რომ გაქცევა შეუძლებელი იყოს; მახეში გაბმა; ისე გაება, როგორც ჩიტი კაკანათშიო;

Un grain (მარცვალი)

796. *Avoir un grain (de folie dans la tête) (ასევე être léger d'un grain)*-(პრდ. (თავში სიგიჟის) მარცვლის ქონა (ასევე იყო ერთი მარცვლით მსუბუქი) მდაბ. მთლად ჭკუაზე ვერ არის, ცოტა აფრაკადაა, შექანებულია, უქრის ;
797. *Avoir du grain à moudre*-(პრდ. დასაფრქვევი მარცვლის ქონა) დასაფიქრებელი, საკამათოდ საინტერესო თემა, სიუჟეტი ;
798. *Mettre (fourrer, ajouter) son grain de sel*-(პრდ. მისი მარილის მარცვლის ჩადება (ჩატენვა, დამატება), ხტვ. საქმეში, საუბარში ცუდად ჩარევა, ჩაჩხირვა ;
799. *Mêler son grain de sel*-(პრდ. მისი მარილის მარცვლის შერევა) ჩარევა საუბარში (უდროოდ დროს) ;
800. *Mettre un grain de sel sur la queue (d'un oiseau, d'un moineau)*-(პრდ. მარილის მარცვლის დადება (ჩიტის, ბედურის) კუდზე) შეუძლებლის შეძლება ;

801. *Grain de sel*-(პრდ. მარილის მარცვალი) მარილი (ანეკლოტის, სასაცილო ამბის), მახვილგონიერება, გონებამხვილობა;
802. *Je te mangerais avec un grain de sel*-(პრდ. ერთი მარილის მარცვალთან ერთად შეგჭამდი) ხალხ. მე უფრო ძლიერი ვარ, გაჯობებ, მოგიგებ ბრძოლაში;
803. *Un grain d'encens*-(პრდ. საკმევლის მარცვალი) გადატ. გუნდრუკის კმევა, მცირედი პირფერობა, პირში ქება, მლიქვნელობა;
804. *Séparer le bon grain de l'ivraie*-(პრდ. ღვარძლისა და კარგი მარცვლის გარჩევა) კეთილისა და ბოროტის, ავისა და კარგის გარჩევა, თეთრისა და შავის გარჩევა ;
805. *Grain de beauté*-(პრდ. სილამაზის მარცვალი) ხალი;
806. *Grain d'orge*-(პრდ. ქერის მარცვალი) ჯიბლიბო;
807. *Veiller au grain*-(პრდ. მარცვალზე თვალყურის დევნება) 1. ამინდის თვალყურის დევნება (ქარიშხლის შიშით); 2. მდაბ. სიფრთხილეს იჩენს, ფხიზლად არის, უკან-უკან იხედება, წინდახედულად მოქმედებს;
808. *Grain de folie*-(პრდ. სიგიჟის მარცვალი) სულ ცოტა სიგიჟე;
809. *Être dans le grain*-(პრდ. მარცვალში ყოფნა) გადატ. 1. გამდიდრება, ქონების შეძენა, გასუქება; 2, არხეინად, უდარდელად ცხოვრება;
810. *Ne pas peser un grain*-(პრდ. მარცვლის წონისაც არაა) საუბ. 1. მარდია, დაუზარელია, ცქვიტია; 2. უმნიშვნელო, არად მისაჩნვეი, ბეწვისოდენა;
811. *À gros grain*-(პრდ. მსხვილმარცვლოვანი) საუბ. დაბალი ხარისხის, უხეში, არასრულყოფილი;
812. *Catholique à gros grains*-(პრდ. მსხვილმარცვლოვანი კათოლიკე) საუბ. მკაცრი წესების ნაკლებად დამცველი ადამიანი;
813. *Il est léger de deux grains*-(პრდ. ორი მარცვლით მსუბუქია) მოძვ. (ხუმრობით იტყვიან) კასტრირებულია, საჭურისია;
814. *Avoir son grain*-(პრდ. მისი მარცვლის ქონა) საუბ. გადაკრულშია, შეზარხოშებულია, ნასვამია;
815. *Voir venir le grain*-(პრდ. მარცვლის მოსვლის ყურება) უბედურების, საშიშროების წინასწარ განჭვრეტა, წინათგრძნობა;
816. *N'avoir pas un grain de bon sens*-(პრდ. ხტვ.) გონიერების ნატამალიც არ გააჩნია;
817. *Avoir des grains de plomb dans les nougats*-(პრდ. ნუგაში მძიმე მარცვლების ქონა) არგ. ბინძური, დაუბანელი ფეხებით სიარული;
818. *Le grain de sable (de Pascal)*-(პრდ. ხტვ.) პასკალის ქვიშის მარცვალი (ითქმის მნიშვნელოვანი შედეგების გამომწვევ უმნიშვნელო მიზეზზე);
- Une graine (თესლი)*
819. *Graine de bois de lit*-(პრდ. საწოლის ხის თესლი) მოძვ. ბავშვები ;
820. *Mauvaise graine*-(პრდ. ცუდი თესლი) მდაბ. 1. უჯიშო; 2. ბიწიერი, უზნეო ადამიანი, არაფრის მაქნისი ;

821. *En prendre de la graine*-(პრდ. თესლის იქედან აღება) კარგად დაიხსომე, საგანგებოდ დაიმახსოვრე, გულის ფიცარზე დაიწერე, ტვინში ჩაიბეჭდე ;
822. *Monter en graine*-(პრდ. თესლამდე ასვლა) 1. სათესლედ დატოვება (მცენარისა); 2. უკიდურესობამდე მისვლა, გამძვინვარება, გააფთორება, გაგულქვავება; 3. შინ ჩაბერება (გაუთხოვრად) ;
823. *Casser la graine*-(პრდ. თესლის გატეხვა) წახემსება, პურის გატეხა ;
824. *C'est de la graine de niais*-(პრდ. ეს სულელის თესლისაა) საუბ. სულელი უნდა იყო, რომ ეს დაიჯერო ;
825. *Graine de con*-(პრდ. სულელის თესლი) არგ. სულელი, უჭკუო ;
826. *Graine de crapule*-(პრდ. არამზადის თესლი) ნაძირლები, ვიგინდარები;
- Une paille (ჩალა)*
827. *Feu de paille*-(პრდ. ჩალის ცეცხლი) წამიერი გაცხარება ;
828. *Homme de paille*-(პრდ. ჩალის კაცი) შემცვლელი პირი, წარმომადგენელი ;
829. *La paille et le grain*-(პრდ. ჩალა და მარცვალი) რეალური ღირებულების, სასარგებლოს საწინააღმდეგო მეტნაკლებად მოჩვენებითი, ყალბი გარეგნობა ;
830. *La paille des mots et le grain des choses*-(პრდ. ჩალის სიტყვები და მარცვლის ნივთები) ნათქვამიდან შექმნილი მცდარი შთაბეჭდილებები, გარეგნული ნიშნები და ქცევის ნამდვილი მიზეზი ;
831. *La paille et la poutre*-(პრდ. ჩალა და ძელი) (მრავალნაკლიანი ადამიანის მიერ სხვისი ნაკლის გაკრიტიკება) თავის თვალში ძელს (ან დირეს) ვერ ამჩნევს, სხვისაში ბეწვსა ხედავს ;
832. *La paille humide (des cachots)*-(პრდ. (საპყრობილის) ნესტიანი ჩალა) ციხე ;
833. *Coucher, être sur la paille*-(პრდ. ჩალაზე ყოფნა, წოლა) სიდუხჭირეში ცხოვრება; გაჭირვებაში ყოფნა ;
834. *Mettre qn sur la paille*-(პრდ. ვინმეს ჩალაზე დადება) ვისიმე გაკოტრება, ცარიელზე დასმა, პირში ჩალა გამოავლო, მშრალზე დარჩა;
835. *Se mettre sur la paille*-(პრდ. ჩალაზე დარჩენა) საუბ. ცარიელ-ტარიელი დარჩა, ღვთის ანაბარა დარჩა, ღმერთის იმედზე დარჩა, დედიშობილა ;
836. *Emporter (lever, enlever) la paille*-(პრდ. ჩალის თან წაღება (მოხსნა, იერიშით აღება) მოძვ. მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა, წარმატებით სარგებლობა; განსაკუთრებული თვისებების მქონე, გამოჩენილი, ცნობილი ადამიანი ;
837. *Cela emporte (ან cela enlève) la paille!*-(პრდ. ჩალას ის წაიღებს (მოხსნის) საუბ. ვერაფრით ვაჯობებ!
838. *Rompre la paille (le fétu)*-(პრდ. ჩალის (ჩალის ღეროს) გაწყვეტა) მოძვ. თანხმობის ანუღირება; მეგობრული კავშირის გაწყვეტა, ჩვენში ჩალა გაწყვეტილია, ჩვენს შორის ჯოხი გატყდა, ჩვენს შორის ჩხირი გატყდა;
839. *Une paille dans un diamant*-(პრდ. ჩალა ბრილიანტში) ბრილიანტის თვალის ლაქა, წუნი;

840. *Tirer à la courte paille*-(პრდ. მოკლე ჩალის დაქაჩვა) წილის ყრა ;
841. *Faire barbe de paille*-(პრდ. ჩალის წვერის გაკეთება) მოტყუება, გაბრიყვება, გაცურება;
842. *Faire des pailles (ან des paillons) à ...* -(ცოლის, ქმრის) ღალატი, რქების გამობმა, რქების დაასხმა ;
843. *À toi, à moi la paille de fer!*-(პრდ. მე, შენ რკინის ჩალა!) ხალხ. ყველას თავისი რიგის მიხედვით, რიგრიგობით: ჯერ მე, მერე შენ (რალაც არასაიამოვნოზე) ;
844. *Il a bien mis de la paille dans ses souliers*-(პრდ. ფეხსაცმელებში ჩალა კარგად ჩაუგია) ამბობენ დაბალი ფენიდან მოსულ ადამიანზე, რომელმაც დიდძალი ქონება იშოვა ;
845. *Être comme un rat en paille*-(პრდ. როგორც ვირთხა ჩალაში) თავს ისე გრძნობს, როგორც თავი სოროშიო, როგორც თევზი წყალშიო; არხეინად, უდარდელად ცხოვრება;
846. *Avoir de la paille dans ses sabots*-(პრდ. საბოებში ჩალის ქონა) საუბ. არიფია;
847. *Avoir la paille aux fesses*-(პრდ. დუნდულებში ჩალის ქონა) საუბ. მარცხის მოსვლა, ფეხის გადაბრუნება ;
848. *Chercher des pailles à qn*-(პრდ. ვიღაცას ჩალები უძებნო) საუბ. შარზე ყოფნა ;
849. *Être à la paille jusqu'au ventre*-(პრდ. მუცლამდე ჩალაში ყოფნა) საუბ. ერბოში ცურავს, მეფურად ცხოვრობს, ფუფუნებით ცხოვრობს ;
850. *Hacher de la paille*-(პრდ. ჩალის ცეხვა) საუბ. 1. უხეშად ლაპარაკი; 2. გერმანული აქცენტით ლაპარაკი;
851. *Mourir sur la paille*-(პრდ. ჩალაზე სიკვდილი) საუბ. სული სილატაკეში ამოსძვრა ;
852. *Ôter la paille de l'oeil de qn*-(პრდ. ვიღაცის თვალიდან ჩალის მოშორება) თვალი აუხილა, თვალზე ლიბრი ჩამოაცილა ; თვალი გაახილა;
853. *Une paille! (c'est) une paille!*-(პრდ. ჩალა! (ეს ჩალაა) ირონ. უბრალო, უმნიშვნელო რამ, წვრილმანებია! (მსხვილ რაღაცაზე საუბრისას) სისულელეა!
854. *Ce n'est pas une paille!*-(პრდ. ეს ჩალა არაა!) ეს არც ისე უმნიშვნელოა; არც ისე ადვილია ;
855. *Houste à la paille!*-(პრდ. ცოცხლად ჩალაში!) საუბ. თავიდან მომწყდი!
856. *Il en a pour une paille*-(პრდ. ჩალისთვის აქვს გადადებული) საუბ. ეს გრძელი ამბავია ;
857. *Il s'en faut d'une paille*-(პრდ. ჩალა ესაჭიროება) ერთი ბეწო, ცოტა დააკლდა ;
858. *Tout y va, la paille et le blé*-(პრდ. ყველაფერი იქ მიდის, ჩალა და ხორბალი) საუბ. რას არ მივცემდი, რომ....

Une avoine (შვრია)

859. *Moteur à avoine (ან à crottin)* -(პრდ. შვრიის (ან ნეხვის) ძრავა) ხუმრ. ცხენი ;

860. *Semer la folle avoine*-(პრდ. გადარეული შვრიის დათესვა) ახალგაზრდობაში ჩადენილი უგუნურების განმეორება;
861. *Gagner son avoine*-საუბ. ლუკმაპურის შოვნა, თავის გატანა, თავის შენახვა, თავის რჩენა ;
862. *Filer (ან foutre, passer) une avoine à qn*-(პრდ. ვინმესთვის შვრიის მიცემა (ან გადაყრა, გადაცემა) ცემა, გალახვა, ნიორწყალივით გახდის, ცხვირ-პირს დაუჩქევს);
863. *Avoine de cocher*-(პრდ. მეეტლის შვრია) მოძვ. ცხენისთვის გადაკრული მათრახი;
864. *Avoine de curé*-(პრდ. მღვდლის შვრია) საუბ. წიწაკა ;
865. *Manger de l'avoine*-(პრდ. შვრიის ჭამა) კანად. მეტოქეზე ეჭვიანობა;
866. *Faire manger de l'avoine à qn*-(პრდ. შვრიის ჭმევინება) 1. დამამცირებელი დამარცხება; 2. გასწრება, რაღაცით ჯობნა; 3. თაყვანისმცემლის ჩამოშორება, წართმევა; 4. კანად. საყვარელი ადამიანის ეჭვიანობა (აეჭვიანებს) ;
867. *Prendre ses (ან des) avoines*-(პრდ. მისი შვრიების აღება) დარტყმა, მუშტის წაკვრა, ცემა-ტყეპა;
868. *C'est un coffre à avoine*-(პრდ. ეს შვრიის სკივრია) საუბ. ლანძღ. გაუმაძღარი, ღორმუცელა, გაღორებული;
869. *Être entre l'orge et l'avoine*-(პრდ. ქერსა და შვრიას შორის ყოფნა) მერყეობა, ყოყმანი; ორ წყალს შუა დგას; ორ ცეცხლს შუა დგას;
- Un foin (თივა)*
870. *Faire du foin*-(პრდ. თივის გაკეთება) ჩხუბის, აყალმყალის ატეხა ;
871. *Faire un foin du diable*-(პრდ. ეშმაკის თივის გაკეთება) ხალხ. აყალმყალის ატეხა;
872. *Bête à manger du foin*-(პრდ. თივის მჭამელი პირუტყვი) ბრიყვი ადამიანი ;
873. *Avoir du foin dans ses bottes (ან dans ses sabots)*-(პრდ. ჩექმებში (ან საბოებში) თივის ქონა) ფული ჩეჩქად აქვს; ფული ეშოვება, დულს და გადმოდის ;
874. *Mettre du foin dans ses bottes*-(პრდ. ჩექმებში თივის ჩადება) გადატ. საუბ. ფულის დაგროვება, შეგროვება;
875. *C'est chercher une aiguille dans une botte de foin*-პრდ. ხტვ. თივის ზვინში ნემსის ძებნა, დიოგენეს ფანრით ძებნა;
876. *Il a du foin aux cornes*-(პრდ. რქებში თივა აქვს) შემაწუხებელი და ძლიერი ადამიანი, რომელთანაც სახიფათოა საქმის დაჭერა, მისგან თავის შორს დაჭერა უკეთესია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო;
877. *Faire ses foins*-(პრდ. მისი თივების გაკეთება) გადატ. დიდი სარგებლის მიღება, სარფის ნახვა;
878. *Bailler foin en corne*-(პრდ. თივის რქად მიცემა) მოტყუება, გაცურება, გაბრიყვება;
879. *Foin de ...*-(პრდ. ...ის თივა) მიწა გაგისკდეს! ფუი შენ!

880. *Tourner la truie au foin*-(პრდ. ნეზვი ღორის მობრუნება თივისკენ) მოძვ. საუბრის თემის შეცვლა, სხვა თემაზე გადასვლა ;
881. *Faire foin de ...*-(პრდ. ...ის თივის გაკეთება) ... გადავლა, გარეშე ჩავლა; რაღაცის არაფრად მიჩნევა, აბუჩად აგდება;
882. *Foin de ménagements*-(პრდ. სიფრთხილის თივა) ჯანდაბას ცერემონიები;
Un fétu (ჩალის ღერი)
883. *Cogner un fétu*-(პრდ. ჩალის ღერის მიხეთქება) ღობე-ყორეს ედება; ამაოდ შვრება ;
884. *Ne pas donner (ან ne pas laisser tomber) un fétu pour qch*-(პრდ. რაღაცაში ჩალის ღეროს არ მიცემა (ან ვერ გაგდებინება) გრომ-კაპიკსაც არ მისცემს, არაფრად აგდება ;
885. *Tirer au court fétu*-(პრდ. მოკლე ჩალის ღეროს სროლა) მოძვ. კენჭის ამოღება, წილის ყრა, წილის გდება ;
886. *Ne pas peser un fétu*-(პრდ. ჩალის ღეროს წონისაც არაა) უღირალი, კაპიკია იმის ფასი, გრომად, ჩალად, კიტრად, ჩირად არ ღირს;
887. *Se soucier de qn autant que (ან comme) d'un fétu*-(პრდ. ვიღაცაზე ჩალის ღერივით ზრუნვა) საუბ. ფეხებზე ჰკიდია, არაფრად აგდება;

VII. კატეგორია მწვანელი:

Un persil (ობრახუში)

888. *Aller au persil*-(პრდ. ობრახუში წასვლა) 1. ბულონის ტყეში სეირნობა; მოდურ, მდიდრულ ადგილას სეირნობა; 2. არგ. კლიენტის გამოჭერა (მეძავზე, ქურდზე); 3. სამსახურში წასვლა;
889. *Avoir du persil (dans les oreilles, entre les doigts de pieds)*-(პრდ. (ყურებში, ფეხის თითებს შორის) ობრახუშის ქონა) მოძვ. ბინძური, ჭუჭყიანი, საზიზღარი ;
890. *Faire son persil*-(პრდ. მისი ობრახუშის გაკეთება) 1. წინ და უკან სიარული, ფუსფუსი, ფაცი-ფუცი, წრიალი; 2. პროსტიტუციით დაკავებული ;
891. *Grêler sur le persil*-(პრდ. ობრახუშზე დასეტყვა) 1. დაბალი ღობის პოვნა, სუსტების დაჩაგვრით საკუთარი ძლიერების ჩვენება; 2. დაწვრილმანება;
892. *Blancheur persil*-(პრდ. ობრახუშის სითეთრე) საუბ. ქათქათა თეთრი ;
893. *Vouloir faire son persil*-(პრდ. მისი ობრახუშის წარმოჩენის სურვილი) ხალხ. შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი, თავის წარმოჩენა;

Une oseille (მჟაუნა)

894. *Avoir de l'oseille*-(პრდ. მჟაუნას ქონა) ფული აქვს, მდიდარია;
895. *Faire de l'oseille à qn*-(პრდ. ვიღაცისთვის მჟაუნას მომზადება) ოინის მოწყობა;
896. *La faire à l'oseille*-(პრდ. მჟაუნასავით მომზადება) ვიღაცის მოტყუება დაცინვით, თვალის ახვევით;
897. *Envoyer cueillir de l'oseille*-(პრდ. მჟაუნას დასაკრეფად გაგზავნა) სასეირნოდ გაგზავნა ;

898. *Ce n'est pas aussi sûr que de l'oseille*-(პრდ. მჟაუნასავით საიმედო არაა) ეს მცდარია ;

899. *Avoir mangé de l'oseille*-(პრდ. მჟაუნა ნაჭამი) მდაბ. გაღიზიანებულია, გაბოროტებულია;

ქართული ფიტონიმური იდიომები

I. კატეგორია ყვავილები:

ია-ვარდი

1. *ია-ვარდი გიფენია*-1. ხელი მოგემართოს, როგორც შენი ნება იყოს, ისე წავიდეს შენი საქმე, ლამაზად განვლუ დღენი შენნი, უსიამოვნება არაფერი შეგხვდეს, სიამ-ტკბილობით იყავ; 2. მიბრძანდით არავინ გაკავებთ!

2. *ია-ვარდს დაუფენს*-ტკბილად, ალერსით მოეპყრობა, თავს შემოევლება ;

3. *გულზე ვარდის გადაფენა*-უსაზღვროდ გახარება, ნეტარება, დაუსრულებელი სიხარული, სიამოვნება;

4. *კოკობი ვარდი*-გაუშლელი ვარდი (იხმარება ახალგაზრდა ქალის მიმართ);

5. *მინდვრის ვარდი*-ასკილი;

6. *გულის ვარდი*-სატრფო, სათაყვანებელი არსება, საყვარელი;

7. *მეყოლე ვარდივით*-ჟარგ. ეუბნებიან თანამოსაუბრეს, როდესაც მესამე პირს ავ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ან უქადიან. გულისხმობენ: შენ კარგად იყავი (ვარდივით მეყოლე), იმას კი ყოფა ეტირებაო (ეს არაა ნათქვამი, მაგრამ იგულისხმება);

8. *ვარდის მკრეფობა*-მხიარულება, მოღხენა, უდარდელობა, შვება;

ენძელა

9. *უხანო ენძელა*-ხანმოკლე, დიდხანს რომ არ ცოცხლობს, მალე კვდება ;

II. კატეგორია ხე და მისი ნაწილები:

ინა

10. *აი, ინა დავადე იმათ ჭკუას!*-უმომრად გამიჩერებია მათი ჭკუა, მათთვის ჭკუისა და მიხვედრილობის უნარი წამირთმევია, უჭკუოდ დამიტოვებია;

11. *რა ფეხზე ჰინი დაიდევია?!*-რა ერთ ადგილას გაჩერებულხარ, რატომ აღარ იძვრი?

12. *ფეხზე ინის დადება*-მოუცლელობა, სიარულისთვის თავის არიდება, ნაცნობ-მეგობრების სანახავად წაუსვლელობა, გაუნძრევლობა

13. *რა ენაზე ინა დაგიდვიაო*-იტყვიან როდესაც ადამიანს ლაპარაკი ეზარება;

ლერწამი

14. *ლერწამტანი*-ტანწერწეტი, წვრილი, მოხდენილი ტანი (ქალისა) ;

15. *ლერწამტანობა*-ტანადობა, ტანწერწეტობა ;

ბორჯი (ფესვი)

16. *ბორჯგადგმული-მაგარი, საფუძვლიანი, ფეხებმოკიდებული ;
ასკილი, ფშატი*
17. *ასკილი რომ თავს დაიქნევს-ჭირნახულის შემოლევის დროს, გაჭირვება ;*
18. *რა ასკილივით თავს იქნევს!-ტყუილსა თუ მართალზე თანხმობას აცხადებ, ორჭოფობ ;*
19. *ასკილის ყვავილობა-ჭირნახულის შემოლევის დროს, გაჭირვება ;*
20. *ფშატის ყვავილობას-იხილეთ ასკილის ყვავილობა;
დაფნა*
21. *დაფნის გვირგვინი-სამხედრო ან პოეტური დიდება, სახელი, თავის გამოჩენა;*
22. *დაფნის გვირგვინის დადგმა-დიდებით, შარავადედით შემოსვა ;
ეკალი, ეკალ-ბარდი*
23. *ეკალზე ვზივარ (ეკალზე ვიჯექი)-მეტად აღელვებული ვარ, ვწუხვარ უსიამოვნების მოლოდინში;*
24. *თვალის ეკალი-შემაწუხებელი, მტანჯველი, მოუთმენელი, პირში სიმართლის მთქმელი;*
25. *ეკალი-მწუხარება, გაჭირვება, სიძნელე, ტანჯვა, დარდი, ვარამი;*
26. *ეკალ-ბარდში გახლართვა-გამოუვალ, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნა, ბადეში გაბმა;*
27. *ეკლად დასმა-სიმწარის, ტკივილის განცდა, მწუხარება, დარდ-ნალველი, უზომო წყენა;*
28. *ეკლიანი გზა-გაჭირვება, სიძნელე ცხოვრებაში, მწუხარება ;*
29. *ეკლით მოფენა (რისამე)-(პრდ. ბევრი ეკლის დაყრა) დიდი გაჭირვება, დიდი დაბრკოლება, ხელის მოცარვა;*
30. *ტანზე ეკლის ასხმა-შეშინება, საზარელობა, გულის გახეთქვა;*
31. *ტანზე ეკალს აყრის-ბურძღლავს ;*
32. *ეკალს აუშვებს-რაიმე ზნეობრივი ან ფიზიკური უსიამოვნო განცდის გამო სახეს აილეწავს;*
33. *ეკალი დაასხა (ეკალი (ეკლები) დაასხდება)-ტანი აებურძგნა შიშისა ან სიცივისგან;*
34. *გულში ეკლად ესობა, ეცემა-ემწარება, აღელვებს, აწყენინებს, ცუდ გუნებაზე აყენებს, მწვავე შთაბეჭდილებას ტოვებს ;*
35. *რა ეკალმა უჩხვლიტა! - რამ გაამწარა, რამ ააღელვა, რამ შეაშფოთა, რამ გააწიწმატა?!*
36. *ბარდები - გაუვალი, გაუგებარი, მიუწვდომელი აზრი, მსჯელობა;*
37. *ეკლის გვირგვინი - წამება, ტანჯვა, მწუხარება, უსაზღვრო დარდი, გაჭირვება ;*
38. *ეკლად დაესვა - შეშინდა, შერცხვა;*
39. *ეკლის გაყრა თვალეებში - დაბრმავება, დაჩაგვრა, დაზარალება, გაუბედურება, მოსპობა ;*

40. *ეკლის თვალით შემოხედვა* - ცუდად, ბოროტის განზრახვით ყურება;
41. *ნარეკლიანი გზა*-დიდი გასაჭირი, დაბრკოლებაა დასაძლევნი და გადასალახავნი ;

ტყე

42. *ტყის ნადირი*-ადამიანი, რომელსაც შეგნებულ ხალხში არ უცხოვრია, ან გაურბის ასეთ ხალხს ;
43. *ტყის დედოფალი*-ავი, ზღაპრული არსება, ულამაზესი ქალის სახით-ალი ;
44. *ტყის ძმა* -საყაჩაღოდ გასული, ტყეში გავარდნილი, ყაჩაღი ;
45. *ტყის შეკვრა*-აკრძალვა ტყეში ხის მოჭრისა, შიგ არავის შეშვება რამე მასალის გამოსატანად;
46. *თავს მისცემს ტყეს*-თავს შეაფარებს (ტყეს...);
47. *ტყეს აძლევს თავს*-იმალეობა, მიდის ყაჩაღად ;
48. *ღურღუთი ტყე*-ხშირი ტყე;
49. *შავი ტყე*-უღრანი ტყე;
50. *ტყე ისე დაბურულია, შიგ მზის სხივი არ ჩავარდება*-მეტად ხშირი ტყეა;

მინდორი

51. *მინდორს აბნელებს*- (საქონელი) ბევრია, მრავალია;
ხე, ფიჩხი, ჩინჩხვარი
52. *გახევება*-გაკერპება, გაუჯიათება, გაჯიუტება, გაჯიქება, გამოსულელება;
53. *გულის გახევება*-გულქვა, შეუბრალებელი გახდომა;
54. *გაფიჩხება*-სიცივისაგან უგრძობლად გახდომა, სხეულის ნაწილების გამაგრება ხესავით ;
55. *ჩინჩხვრების ძებნა*-მიზეზების ძებნა ჩხუბისა და უსიამოვნების ასატეხად;
56. *ჩინჩხვრის კრეფა*-იხილეთ ჩინჩხვრების ძებნა;
57. *ჩხიმალის კრეფა* -იხილეთ ჩინჩხვრის კრეფა;
58. *ჩინჩხვრის კაცები*-გამოუსადეგარი, უქნარა, უმსგავსი;
59. *ხეკაცი*-შეუსმენელი, რეგვენი ბრიყვი, გაუთლელი, კომბალა;
60. *ხიდან ყვავს ჩამოაგდებს, ისეთი ენა აქვს*-მეტად მოქარგული ლაპარაკი იცის, ვის არ შეაცდენს მაგისი ენა, ყველას მოატყუებს, მეტად ეშმაკია;
61. *ერთი ხის ანაჭერნი*-ერთნაირები;
62. *ხეში წყალი ჩადგება*-მცენარე გაიღვიძებს (გაზაფხულზე);
63. *ხეს და მიწას ედება*-როცა ადამიანი ბევრი რამის კეთებას იწყებს, მაგრამ არაფერი გამოსდის;
64. *პირი ხისკენ მიქნია*-მოსაბოდიშებელი თქმაა, მსმენელმა რომ თავის თავზე არ მიიღოს ნათქვამი ;
65. *ხისთავა/ხისთავიანი*-ჟარგ. რეგვენი (ვისაც თითქოს ხისგან გამოთლილი თავი ადგას მხრებზე);

66. *ხე და ხე-აქა იქ, ზოგ ხეს ასხია ;*
 67. *ხე ცნობადისა-ბიბლიური თქმულების მიხედვით-ხე, რომლის ნაყოფის ჭამამ პირველ ადამიანებს მისცა კარგისა და ავის გაგების უნარი ;*
 68. *მთლიანად გაფიჩხება-სიცივისაგან უგრძნობლად გახდომა, სხეულის ნაწილების გამაგრება ხესავით;*
 69. *მიხისფეხება-(პრდ. ხის ფეხით მისვლა) თრევით მისვლა, წვალებით, დიდის გაჭირვებით ფეხების გადადგმა;*

თხმელა

70. *თხმელასაც, მურყანსაც მოუსხამს-იტყვიან (ლაზურში), როდესაც მცენარე უხვად მოისხამს ;*
 71. *ჩაოს თხმელა-(აჭარულში) ადამიანი, რომელსაც სიმაღლე აქვს, მაგრამ უუნაროა, სუსტია ისევე როგორც ჩაოში, უმზეურ ადგილას ამოსული ხე;*

ფოთოლი

72. *ენა ფოთლად ექცა-ბევრი, ამასთან, ამაო, უშედეგო ლაპარაკი;*

ნაფოტი

73. *დიდი ნაფოტი მიცვივა სახლში-შეძლებული, მდიდარი ვარ;*

ჯოხი, ჩხირი, წვირი, წკეპლა, კეტი

74. *ჩვენს შორის ჯოხი გატყდა-ჩვენს შორის ურთიერთობა შეწყდა, მეგობრობა მოისპო, ერთმანეთის მოკეთენი აღარ ვართ, ერთმანეთის მტრებად გადავიქცეთ;*
 75. *ჩვენს შორის ჩხირი გატყდა - იხილეთ ჩვენს შორის ჯოხი გატყდა.*
 76. *ცარიელი ჩხირებია-იტყვიან მეტისმეტად გამხდარ ადამიანზე;*
 77. *ჩხირს გატეხს (ჩხირს ბოლოზე გატეხს, ჩხირს მიატეხს)-თავის განზრახვას გაამხელს, გამოუტყდება;*
 78. *ჩხირსაც არ გათლის-ზარმაცია, არაფრის გამკეთებელი, გამოუსადეგარი ;*
 79. *ჩხირი არ გამითლია-სრულებით არაფერი გამიკეთებია;*
 80. *ჩხირის გადამბრუნებელი არ არის-არაფრის გამკეთებელია, უქნარაა;*
 81. *ჩხირს არ გადააბრუნებს-ზარმაცია, ადვილ საქმესაც არ აკეთებს, არაფერს აკეთებს ;*
 82. *ჩხირის გვერდად ქცევა -იხილეთ ჩხირს არ გადააბრუნებს.*
 83. *ჩხირკედელაობა-ნამდვილი საქმის არკეთება. საქმიანად ჩათვლა უსაქმურობისა.*
 84. *ჩხირს გაუტეხს-კუთხ.გურ. თავის განზრახვას გაუმხელს, გამოუტყდება.*
 85. *ჩხირი კედელს!-ძლივს, დაიხსომეთ ეს ამბავი, აღნიშნეთ, არ დაგავიწყდეთ! რისამე დასახსომებლად.*
 86. *ჩხირს მიატეხს (ჯოხს მიატეხს)-რამეს მიატოვებს, არ დაამთავრებს ;*
 87. *კბილის გამოსაჩიჩქნი ჩხირის უქონლობა-უზომოდ ღარიბი, არაფრის მქონე, საწყალი;*

88. ცხრა ჩხირი გამიხდა-(რამე საქმე) მეტად გამიჭირდა ან სულაც ვერ შევძელი რისამე გაკეთება ;
89. წამოჩხირება-გარევა რამე საქმეში, სადაც არ უნდა გაერიო, სადაც ღირსი არა ხარ გარევისა;
90. გაჯობვა-დასჯა, წამება, ტანჯვა, შეურაცხოვა, გალანძღვა ;
91. ჯობი-საცემი იარაღი, უფროსობის, სხვისი დასამორჩილებელი ნიშანი;
92. ჯობის აკიდება-ჯობის მოხვედრება, ცემა ;
93. ჯობის მიყუდება (ვიზედმე ან რაზედმე)-(პრდ. ჯობის მიბჯენა) დაყრდნობა ვიზედმე ან რაზედმე, იმედი და მოლოდინი შველა-დახმარებისა, გაჭირვებისაგან ხსნისა;
94. ჯობი ჩემზე გატყდაო-სხვის მაგივრად მე მომხვდა ჯობიო, სხვისი დანაშაული მე დამაბრალდაო;
95. ჯობი სხვაზე გადატყდება-ერთის დანაშაულისათვის მეორე აგებს პასუხს, მეორე დაისჯება ;
96. ჯობს ქვეშ გატარებული-ჯობით ნაცემი ;
97. მთელი დღე ჯობის ცხენზედა ვზივარ-მოუცლელი ვარ, პურის ჭამის დროც კი არ მაქვს;
98. ყველა ჯობი იმაზე უნდა გატყდეს!-ყველას დასაჩაგრავი და დაბალი ღობე ის არის, უბედურია, ყველამ ის უნდა შეიწიროს მსხვერპლად ;
99. წვირისათვის ხელი არ უხლია-ერთი ბეწო რამ არ მიუთვისებია, არ აუღია, არ დაუსაკუთრებია;
100. გაწკეპვლა-იგივე გაჯობვა, შერცხვენა, თავზე ლაფის დასმა ;
101. კეტით გადაუბრუნებელი სიტყვა-საფუძვლიანი, მძიმე, მართალი, ჭკვიანური ლაპარაკი ;
102. კეტი კაცია-ურჩი, მოუდრეკელი, გახვევებული, ტლანქი, მოუხეშავი, ყინჩი;

ვაზი

103. ნოეს ვაზის ღვინო-საუკეთესო ღვინოს ღვინო.
104. ვაზის წიღვა-იგივეა, რაც ვაზის გადაწიდვნა, ვაზის გადაწვენა. მცენარის ტოტის, რქის გადააწვენა, მიწაში ჩაფლვა გასამრავლებლად;
105. ვაზი დასხდა (ვაზი დასხდება)-კუთხ. (ქიზ.) ვაზმა კარგად გაიხარა (სავენახედ დამუშავებულ მიწაში) ;
106. ვაზის დამარხვა-ზამთრობით ვაზის დაფლვა მიწაში ყინვისგან დასაცავად;
107. წიდნა ვაზი-გადაწიდვით ამოსული ახალშენი ვაზი;

უსურვაზი

108. უსურვაზივით გადაბმა-მჭიდროდ დაბმა, ჩაგრება, შექსოვა, მოხვევა ;
109. უსურვაზების მოჭერა-ძალზე გაჭირება საქმისა, ხსნის მიუცემლობა, შეპყრობა, გზის შეკვრა, ხელში ჩაგდება, ყოველივე ინიციატივის წართმევა;

კვირტი

110. კვირტის გაუზრდელობა-მეურნეობის მოსპობა, ხელის აღება რაიმე მცენარეულობის მოყვანაზე, გაუზრდელობა, რაც პატარაა, კვირტის ოდენაა;
111. ილღობის კვირტი-ვაზის ფოთოლთან გამოსული უნაყოფო კვირტი;
112. ვერ წაიკვირტა-საშველი არ დაადგა; წელში ვერ გაიმართა;
113. კვირტების გაღვიძება-კვირტების ამოსვლა, ამოყრა, კვირტების გაკეთება;

ქერქი, კანი

114. შენს ქერქში იყავ!-რაც გაქვს, ამას დასჯერდი, ბევრს ნუ ნდომულობ. განდიდება დაიშალე, ნუ ჰკადნიერდები, მოკრძალებული იყავ;
115. შენს ქერქში დაეტე-იხილეთ შენს ქერქში იყავ !
116. თავის ქერქში დადგება-თავის კანში დაეტევა, სხვის საქმეში არ ჩაერევა, თავისთვის გაჩერდება ;
117. თავის ქერქში ჩავარდება (თავის ქერქში ვერ ჩავარდება)-დამშვიდდება, (ვერ) დაწყნარდება ;
118. თავის ქერქში აღარ არის (თავის ქერქში არ ეტევა (არ არის))-თავისთვის არ ჩერდება;
119. თავის კანში, ქერქში არ ეტევა-საზღვარს სცილდება, ზომიერება არ იცის, ამპარტავნობს; მსუქანია უზომოდ;
120. საკუთარ ქერქში გამოეხვევა-კარჩაკეტილად იქნება;
121. ქერქს იძრობს-სახეს იცვლის ;

ხავსი

122. ხავსის მოკიდება პირზე-სიჩუმე, დუმილი დიდი ხნის განმავლობაში;
123. ხავსის ჭიდილი-უიმედო, სუსტი იარაღის დაჭერა გაჭირვებისათვის თავის დასაღწევად;
124. ხავსმოკიდებული-ძალზე დაძველებული, უხმარი, უსარგებლო, ზედმეტი, გამოფიტული ;
125. ხავსს ეჭიდება-ნაკლებად სანდო რამეზე იმედის დამყარება;

გუნდრუკი

126. გუნდრუკის კმევა-გამორჩენის აზრით ვისიმე ქება-დიდება, მლიქვნელობა, პირმოთნეობა, მაცდურობა ;

წნელი

127. წნელების გრება-მიკიბ-მოკიბვა, ღობე-ყორეს მოდება, უკუღმართად მოქცევა, ტყუილების ლაპარაკი ;
128. თავზე წნელი მოუჭირეთ!-იტყვიან, როცა ადამიანი ლოგიკურად ვერ აზროვნებს ;
129. წნელებს ხლართავს-საუბ. ყოყმანით, მიკიბ-მოკიბვით უარს ამბობს;
130. გვერდის წნელი-იგივე ნეკნი ;

ვერხვიფოთელა

131. ვერხვიფოთელა-ცვალებადი შეხედულების, არამყარი ხასიათის ადამიანზე იტყვიან სამხრულ მეტყველებაში ;

შემის ღერი

132. ერთი ღერი ბიჭი ვარ-ცარიელ-ტარიელი, უნათესავო ;

133. ცეცხლს (შემას) უკეთებს-ცეცხლში საწვავს (შემას...) უმატებს, ცეცხლს აძლიერებს;

134. გამეშება-უგრძნობლობა, უსიცოცხლობა, დრეკადობის წართმევა ;

135. შემამ მოილხინა ბუხარში-ბუხარში შემას კარგად მოეკიდა, აგიზგიზდა ;

ჯონჯოლი

136. ჯონჯოლი-ჟარგ. ბობოლა, დიდი ვინმე (დაცინვით) ;

III. კატეგორია ბალახოვანი მცენარეები:

ბალახი

137. განა ბალახსა ვძოვთ-საქონელივით მოუხერხებელი და შეუგნებელი ნუ გგონივართ!

138. ცოფის ბალახი-იგივეა, რაც შხამა ;

139. ლენცოფა ხომ არ გიჭამია?-ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე?

140. არც ჩვენ გვიძოვია ბალახი-არც ჩვენ ვართ უმეცრები, დასაბრიყვებლები, თქვენი დასაცინი არ გახლავართ ;

141. გზის აბალახება-(პრდ. სავლელ გზაზე ბალახის ამოსვლა) გზაზე სიარულის შეწყვეტა, ერთთავად შინ ჯდომა, აღარსად წასვლა, უსაქმურობა ;

142. თევდორეს ბალახისა სცხია-მეტად ტკბილი სიტყვა-პასუხის კაცია, გულკეთილი, მოალერსე, ყველას საყვარელი, სათნო, მიმზიდველი, ყველას გულშემატკივარი, ყველა რომ იმას ეტანება;

143. შენს ერდოზე ბალახიმც ამოსულაო!-შენი ოჯახი დაქცეულიყოს, ამოწყვეტილიყოს, ცოცხალი არავინ დაგრჩენოდეს, ყველანი დახოცილიყვეთ ;

144. მყრალა ამოსდის პირიდან-შურიანია, ცუდი სიტყვების თქმადა ემარჯვება, კარგი სიტყვა არავისათვის ემეტება ;

145. ქარქვეტა-უგზო-უკვლოდ მავალი, მოხეტიალე ;

146. გიჟანა ხომ არ გიჭამია!?-ხომ არ გაგიჟდი, ხო არ გადაირიე?

ნარი

147. ნასახლარის რყევა ნარივით - მერყეობა, სიმტკიცის უქონლობა, ორგულობა ;

148. სხვისი ხელით ნარის გლეჯა - სხვისი გამოყენება ცუდი, უკეთური საქმის საკეთებლად;

149. შიშველი ხელებით ნარის გლეჯა - უნაყოფოდ დიდი შრომის გაწევა, ძნელი საქმის კეთება;

150. *მონარეკლება*-მიწიდან ამოთხრა ყველაფრისა, შიგ ჩაუტოვებლობა, ძირიან-ფესვიანად მოგლეჯა, მოსპობა, გაქრობა; დაქანცვა, დაღალვა ;

ბაღბა

151. *ბაღბა არ მომიხარშო*-ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი მჭრელი იარაღით;

152. *ბაღბასებ ფესვის გადგმა*-მაგრად დამკვიდრება სადმე, მდკიცედ მომაგრება ფეხებისა, მყარი საძირკვლების ჩაყრა ;

153. *თავზე ბაღბა დავადე*-გაბრაზებული დავამშვიდე, დავაწყნარე, მოვარბილე;

ჩადი

154. *ჩადის გემო აქვს*-ვითომ არ ვარგა!

ჭინჭარი

155. *ჭინჭარს არ მოგიხარშავ*-შენი გულისთვის თითსაც არ შეეხრი, შენთვის სულ მცირედადაც კი არ გავირჯები;

156. *შენს თონეში ჭინჭარიმც ამოსულაო!*-შენი ოჯახი ამოწყვეტილიყოს, შიგ ცოცხალი არავინ დარჩენილიყოს;

157. *ჭინჭრის ციება*-ალერგიული ხასიათის მწვავე დაავადება. ავადმყოფს ტანზე წითლად გამოაყრის ხოლმე (ჭინჭრით დასუსხულივით) და ექავება;

158. *აჭინჭვრა ტანისა*-გამწარება, შეშინება, შეკროთომა;

ლილიფარა

159. *ლილიფარაობა*-პირფერობა, პირმოთნეობა, ორგულობა;

პიტნა

160. *პიტნავება*-მოწონება, სიამოვნება, რადმე ჩაგდება ;

კუდვარდა

161. *კუდვარდა*-ძალზე მორთული, ვინც გარეგნობაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე საქმის გაკეთებაზე ;

პური

162. *ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია*-ჩემი ცხოვრება გამივლია, ცხოვრებისაგან მეტს არას მოველი ;

163. *პურად დაჯდომა*-ჭამა-სმის დაწყება ;

164. *პური აღარ მიჭამია!*-ირონ. დავიღუპები, რაღა მეშველება. ნიშნის მოგებით გამოყენებული გამონათქვამია. იყენებენ გაკეთებული სიკეთის ან დახმარების დაყვედრებისას პასუხად ;

165. *პური არსობისა*-საჭირო, აუცილებელი საზრდო ჩვენი ცხოვრებისთვის ;

166. *პური აღარ იჭმების შენთან*-უსვინიდიისო ხარ, აუგიანი, შერცხვენილი ;

167. *პური დაჯდა*-(პრდ.პურის ნატეხმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო) სტუმარი მოვა ;

168. *პური ერთად გაგვიტეხია*-პური ერთად გვიჭამია; ერთად გვიცხოვრია, ერთმანეთის მახლობელნი, მეგობარნი ვართ ;

169. *პურით გავსება ბელლისა-სამსახური*, ნაოფლარის მიცემა ვისთვისმე ;
170. *პურის კუტი ენატრება-ძალზე გაჭირვებულია*, ნახევრად მშიერია ;
171. *პურის სახელის დავიწყება-გამძებვება*, მოუცლელიობა, მეტისმეტად გართულ მდგომარეობაში ყოფნა ;
172. *პურის წილ ქვის მიცემა-ბოროტება*, გულქვაობა, შეუბრალებლობა, უღმობელობა ;
173. *პურის ჭამა-დანაყრება*;
174. *პურსა და წყალზე ყოფნა-სხვის კმაყოფაზე ცხოვრება*, სხვისი ხარჯით არსებობა, სამოწყალოდ დარჩენა, სხვისი შესანახი;
175. *პურს მაჭმევს-მარჩენს*, შემინახავს, მაცხოვრებს;
176. *პურშავი-პურაძვირი*, უპურმარილო, სხვისთვის პური რომ არ ემეტება;
177. *ლოკმა-პურს გაუწყვეტს-საზრდოს წაართმევს*, ამიმშილებს;
178. *პური შია (პური მოშივდება)-იგივეა*, რაც შია (მოშივდება);
179. *პურის ცომი-საფუარი*, ხაში. საფუარი ნივთიერებაა, რომლის წყალობითაც ცომი ფუვდება.
180. *პურს აჭმევს-სუფრას უშლის*, უმასპინძლდება ;
181. *ცარიელ პურზე ზის (ცარიელ პურზე იჯდა, გადადის)-სიღარიბის გამო* ცარიელი პურით საზრდოობს;
182. *ცეცხლის პურის ჭამ-ტანჯვა*, გამწარებული ცხოვრება;
183. *ჭირის პური-აღაპი*, ქელეხი.
184. *გასხვაპურება-კარი-კარს* სიარული, ოჯახისთვის თავის მინებება, გაგარეულება;
185. *დიდი ხნის პურს ვერა სჭამს!*-დიდხანს ვერ გასძლებს, დიდხანს ვერ იცოცხლებს;
186. *თბილი პური მეგონა-რაიმე* გასაკეთებელი საქმე იოლად ჩავაგდე, მძიმე არ მეგონა;
187. *უიმისოდ პურსაც კი არ სჭამდა-ძალიან უყვარდა*, დიდი მეგობარი იყო;
188. *პურის (ლოკმის, ხემსის...) გატება-(ვინმესთან ერთად) პურის ჭამა* ;
189. *მინამ პურს ნუ ჰსჭამ!*-პური ნუ გექნება საჭმელად) მუქარა : საწადელს ვერ ეწევი, სურვილი არ აგისრულდება;

ჯეჯილი

190. *გაჯეჯილება-ჟარგ.* გაფურჩქვნა, აყვავება; გათამამება ;
191. *გაჯეჯილებული-ჟარგ.* გაღალღებული, თავგასული ;

IV. კატეგორია ხილი და მისი ნაწილები:

გოგრა, ხაპი

192. *გოგრა-ვითომ ჭკუიანი!*

193. გოგრიანი-ჭკვიანი;

194. ხაპია-ღვინის ძალიან მსმელი, ლოთი;

ხილი

195. ახალი ხილია-უცნობი, მაგრამ სასურველი, ბევრის მქადებელი, ახლად დაწყებული;

196. რა ხილია!-დაცინვ. რა კარგია, რა ღირსებისაა!

197. ხილი აკრძალული-ყოველივე, რის გაკეთება აკრძალულია, არ არის ნებადართული;

კაკალი

198. თავზე კაკალის მტვრევა-არაფრად მიჩნევა, აბუჩად აგდება, დაჩაგვრა, დამცირება; გვხვდება სხვა ვარიანტებიც-თავზე კაკალს ამტვრევს (თავზე კაკალს დაამტვრევს)-ძალიან უჯავრდება, რისხვას ატეხს თავზე;

199. ბროლა კაკალია-სუფთა, უმწიკვლო, უდანაშაულო, უზადო, ისეთი, ვისაც ხელიდან ხელში ატარებენ, ყველა ეფერება, ვისი ნახვაც ყველას ესიამოვნება;

200. კაკალი კაცი-(ერთი, მარტოხელა) კაცი;

201. მარტო კაკ(ა)ლად-(გურ.იმერ) მარტოდმარტო, ცალად;

202. თითო კაკლად-კუთხ. (იმერ. გურულ) თითო-თითოდ;

203. კაკლის ყური-(კუთხ.ქიზ) კაკლის გულის მეოთხედი;

204. ქვაცა აქვს და კაკალიც-ყველაფერი აქვს, არაფერი აკლია;

205. მერე მიდი და უყარე კაკალი-ვერაფერს ვეღარ იზამ, მერე, რაც გინდა, ის უყავი, ის გააკეთე;

206. უყარე კაკალი-რამდენიც გინდა ეცადე, ვეღარას გააწყობ, გვიანდა იქნება;

207. კაკალ გულში-საუბ. შიგ შუა გულში;

208. თვალის კაკალი ადამიანის, ცხოველის...-თვალის ბურთისებრი სხეული; იგივეა, რაც თვალი;

209. ყვავს კაკალს გააგდებინებს, გამოსტაცებს-გადატ. აიძულებს ვისმე გაიღოს თუნდაც მცირე რაიმე, გამოსტაცებს ვისმე მცირე რასმე;

210. კერკეტი ნიგოზი (კერკეტი კაკალი)-მაგარი კაკალი, რომლის ნაჭუჭში ისეა ჩაჭედილი გული, რომ ძნელად გამოსარჩევია. ძლიერი ხასიათის მქონე ადამიანი;

ბალი, ალუბალი

211. ბალზე ზის და ტყემალს ჭამს-ვერაფერს ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა, ჰგონია ყველაფერი კარგადაა;

212. ბალის ხიდზე განარები (გავლილი)-შორეულ ნათესავს ნიშნავს;

ტყემალი

213. ტყემალზე ზის-უვიცია, ქვეყნიერებისა არა გაეგება რა, ტყუილი და მართალი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია;

214. ტყემლად არ შევეპუები-ზედაც არ შევხედავ, სრულებით არ მოვერიდები, თავაზას არ შევუნახავ, ადამიანად არ ვაგდებ;

- 215. კაი ბიჭი ხარ მწიფე ტყემლის ძირას-მზამზარეულზე ყველა ყოჩაღია;
- 216. ტყემლის ჩირად მიჩნევა-უფასური, ძალზე მდარე, სულ უბრალო;
- 217. ჭიან ტყემლადაც არ გაგდებ-სრულებით არაფრად მიმაჩნიხარ, ჩემს თვალში არაფრის ფასი გაქვს;

მსხალი

- 218. მწიფე მსხალივით ჩაუვარდა ხელში-უმრომელად მოუვიდა ;
- 219. პანტასავით ჩამოსვლა-მრავლად, ისე როგორც დარხეული პანტის ხიდან ცვივა ხოლმე ;

ვაშლი

- 220. სამოთხის ვაშლი-წვრილი, გრძელყუნწებიანი ვაშლი, იხმარება სამურაბედ. სამოთხისეული ნეტარების ნაყოფს განასახიერებს;
- 221. განხეთქილების ვაშლი-სადავო, საკამათო ;
- 222. ლოყაწითელი ვაშლი-საუბ. ვაშლი, რომელსაც ცალი გვერდი წითელი აქვს;
- 223. შაქრა (შაქრა) ვაშლი-კუთხ. (იმერ.) იგივეა რაც შაქარვაშლა. შაქრა ბალახია ერთგვარი. შაქარვაშლა კი ვაშლის ჯიშია;
- 224. გაჭრილი ვაშლივით ჰგავს-ძალიან ჰგავს;
- 225. ვაშლი რომ გასჭრა (ისე ჰგავს მავანი მავანს)-საოცარი მსგავსება ;

ნესვი

- 226. გაუჭრელი ნესვია-ვისამე ან რისამე თვისების შინაარსის შეტყობა გარეგნულად, შორიდან შეუძლებელია, გამოსაცნობად უცხოთან მიახლოებაა საჭირო;
- 227. ნესვის ხე-ტროპიკული ხეხილი;

ლელვი

- 228. ლელვია-ზღაზღია, უწადინო, უშნო, დონდლო, გაუბედავი.
- 229. მოლელვილი კაცი-ლელვს დამსგავსებული, ანუ მოდუნებული;
- 230. მოლელვა-ნიშნავს სირბილით, მოდუნებით ლელვისათვის მიბაძვას ;
- 231. ლელვის ფოთოლი-ეშმაკის მიერ ცდუნებული ადამისა და ევას პირველი სამოსელია, რომელმაც ნიღბის, ყალბი საფარველის მნიშვნელობა მიიღო;

ჩირი

- 232. მისთვის (ეს) ჩირი და ჩამიჩია-არაფრად მიაჩნია, ადვილია, დარდი არა აქვს ;
- 233. პანტის ჩირი-მდარე, ყოველსავე ფასს მოკლებული ;
- 234. ჩირად უღირს (ჩირად არ უღირს)-არაფრად მიაჩნია, არაფრად თვლის;
- 235. ჩირადაც არ ღირს-უვარგისია, ფასი არა აქვს ;

კომში

- 236. დამპალი კომშია-გარეგნულად ვითომ ცუდი, შიგნით კი-კარგი;

წყავი

- 237. წყავზე ზის-არაფერი გაეგება, არაფერი იცის (რისამე შესახებ);
- 238. წყავის მუგუზალიაო-(აჭარულში) მეტისმეტად შავვრემან ქალზე იტყვიან;

თუთა

239. *შაქარა თუთა-კუთხ.* (ქართლ.) წვრილი, ძალიან, ტკბილი თუთა;

ნაჭუჭი

240. *საკუთარი ნაჭუჭი, საკუთარ გრძნობათა ნაჭუჭი-ვიწრო,* პირადული ფარგლები;

241. *ნაყოფს მოიტანს (შედეგს მოიტანს)-*ნაყოფს გამოიღებს, შედეგი ექნება;

ნაყოფი

242. *ნაყოფს მოუტანს-ნაყოფს* გამოიღებს;

243. *უნაყოფო ოცნება (ფუჭი, ცრუ ოცნება)-*რეალურ საფუძველს მოკლებული, განუხორციელებელი ოცნება;

244. *ცუდ ნაყოფს გამოიღებს-უარყოფითი* შედეგი ექნება;

ზეთისხილი

245. *მწვანე შტო (ზეთისხილისა) ნოეს მტრედისა-ნიშანი* იმედისა, სასოებისა, ნუგეშინისა, მშვიდობისა ;

მაყვალი

246. *მაყვალსავით შავი-ძალიან შავი;*

ბანანი

247. *ბანანი-ჟარგ.* შარვალი, რომელსაც ბანანის ნაყოფის მსგავსი ტოტები აქვს ;

ქლიავი

248. *ქლიავი (შე, ქლიავო)-ჟარგ.* შტერი (შდრ. გამოქლიავდა და დაქლიავდა), დამამცირებელი შინაარსისა;

249. *გამოაქლიავა-ჟარგ.* გამოათაყვანა, გამოაშტერა (შდრ."ქლიავი") ;

250. *დაქლიავდა-ჟარგ.* გამოშტერდა, გაოგნდა (შდრ. „ქლიავი“) ;

ლიმონი

251. *ლიმონი-ჟარგ.* მილიონი. ერთი სიტყვის მეორე, მსგავსი ჟღერადობის სიტყვით ჩანაცვლება კონსპირაციის მიზნით ;

წაბლი

252. *მოხარშული წაბლი არ გინდა?* -ჟარგ. იტყვიან დამცინავი ტონით, როდესაც ვინმე არარეალურ სურვილს გამოთქვამს.

253. *მოხარშული წაბლი არ გიყვართ?*-ჟარგ. იტყვიან დამცინავი ტონით, როდესაც ვინმე არარეალურ სურვილს გამოთქვამს. გამოთქმა ოდნავ შეცლილი სახით გვხვდება ნოდარ დუმბაძესთან ;

V. კატეგორია ბოსტნეული:

ბოლოკი

254. *ბოლოკი და ხბოს თავი-არაფერი;*

255. *მათ ჭკუას ბოლოკი დავაწურე-ადამიანის უჭკუობის* გასაკილად იხმარება;

ნიორი, ბადრიჯანი

- 256. დანივრული ხაშლამა–ვერ მოგართვეს კარგი რამ, ვერ ეღირსები სიკეთეს;
- 257. რა ნიორივით გაიპარაო!-ვინმეს მოულოდნელად, შეუმჩნევლად საიდანმე გაპარვა, გაუჩინარება;
- 258. დამრჩა ნიორის ნაქურჩალი - ყველაფერი წამერთვა;
- 259. ნიორი დანაყა-საჯდომზე დაეცა;
- 260. ნივრის ფასად-მეტად იაფად, თითქმის მუქთად ;
- 261. ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი, იგივე ვერ მიაართვეს ბადრიჯანი - ცარიელზე დაგსვი, ვერას გამომრჩი, თავი არ მოგატყუებინე, დამარცხდი, გააწბილეს, მიზანს არ მიაღწევინეს;
- 262. განიორწყლება, ნიორწყალი –უნიათობა, გაჩანაგება, უყუათობა;
- 263. ნიორწყალივით გადაესხა ყველას-ყველა წააჩხუბა, გადაჰკიდა ერთმანეთს, მშვიდობიანობა დაარღვია;
- 264. ნიორწყალივით გახდის (ნიორწყლად აქცევს)-ძალიან სცემს, ცხვირ-პირს დაუჩიქქავს;

ცერცვი

- 265. კედელს ცერცვი შეაყარე-ამაოდ ჩაივლის, უშედეგოდ დარჩება;
- 266. ცერცვივით წააყრის-სხაპასხუპით იტყვის;

ლობიო

- 267. ლობიო-ყველაფერში უშნო ადამიანი, უგერგილო, ყოველსავე უნარს მოკლებული, მძიმე, თავის ინიციატივით არაფრის გამკეთებელი;
- 268. ლობიო არ მოგვიხარშა-პატივი არ გვცა, კარგად არ დაგვიხვდა, შესაფერად არ გაგვიმასპინძლდა;
- 269. ცარიელ ლობიოზე გადაივლის-მხოლოდ ლობიო ექნება საჭმელად;
- 270. თავი ლობიოსავით სარჩო ჰგონია-მედიდურობას გადმოგვცემს ;
- 271. კიდევ შეხვალ ლობიოში?-კიდევ გაბედავ ქურდობას? მეორეჯერ არ გნახოთ, თორემ...
- 272. ლობიო მოხარშულიყოს შენს სახლში აღდგომა დღეს-საშინელ სიღარიბეში ჩავარდნილიყავ;

კიტრი

- 273. მწვანე კიტრივით თავი მოაქვს-უსაფუძვლო ტრაბახი, ბაქი-ბუქი, თავის განდიდება, ცუდმედიდობა;
- 274. დამპალი კიტრის ფასი–უღირალი, სრულიად უვარგისი, სრულიად უფასური;
- 275. კიტრის ფასი-მეტად მცირე ფასი, უფასურობის სადარი;
- 276. კიტრად ღირს (კიტრის ფასად იყიდება)-ძალიან იაფია, არაფრად ღირს;
- 277. კიტრის მოკრეფა ბერად-უვარგისის, საზარელო საქმის კეთება, უვიცობა, მიუხვედრელობა;

ხახვი

278. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა-ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე, ყმად ვერ გამიხდი ;
279. ყურებზე ხახვი არ დამათალო-იგივეა, რაც ყურებზე ხახვი არ დამაჭრა;
280. ყურებზე ხახვი არ გადააჭრას (ყურებზე ხახვი არ დააჭრას)-ზედმეტი არ ილაპარაკოს, ვერაფერს დააკლებს;
281. ხახვიით შემრჩა-იოლად გადავრჩი პასუხისგებას;
282. ხახვიით შერჩება-პასუხს არ აგებინებენ, პასუხს არ მოსთხოვენ ;
283. ხახვიით მოსრესა თვალებისა-განგებ ჩვენება იმ გრძნობისა, რომელსაც ნადვილად არ განვიცდით ;
284. ხახვება-სიამოვნება, კმაყოფილება, მოწონება, გახარება;
285. ხახვის ფრანტი-უქნარა ახალგაზრდა, რომელიც ცდილობდა ფრანტებისთვის მიებაძა;
286. ხახვის ფურცელი-ცრემლიანი გზა;
287. ხახვის დაღობა-(ვისიმე) მომადლიერება, მოსყიდვა, გულის მოგება, მოქრთამვა;

წიწმატი

288. გაწიწმატება-გაჯავრება, გაცხარება;

პრასი

289. ნეტავი პრასი მეჭამა და ეს (რამე) არ მექნაო-სასირცხვილო, დასანანი საქციელი;
290. პრასი მეჭამნა, მერჩივნა ამის ქმნას თუ თქმას-პრასის ჭამა სჯობია ამის ქმნას თუ თქმას; ასე ამბობენ სინანულით როცა საკუთარ თავს საყვედურობენ;
291. საპრასე არ მომიჯგუნო!-ვერას დამაკლებ, ბუზსაც ვერ ამიფრენ;
292. პრასა ბალახი-ხახვის გარეული სახეობა;
293. პრასა ქუდს მოიხდის-კუთხ. (აჭარ.) აყვავდება;
294. პრასი-ნიახურია-არაფერია, უმნიშვნელოა, სალაპარაკოდ არ ღირს ;

პილპილი

295. პილპილიმოყრილი მადლი-დაყვედრებული, ლანძღვადატა-ნებული სიკეთე ;
296. პილპილს მოაყრის-მწარე-მწარე, საწყენ სიტყვებს ეტყვის ;
297. აპილპილება-ერთბაშად, უცბად გამწარება, გაცხარება, გულის მოყვანა, გაბრაზება;

წიწაკა

298. რა წიწაკა გიჭამია?!-გამწარება, გაცეცხლება, გულის მოსვლა, სიანჩხლე ;

ჭარხალი

299. წამოჭარხლება-ბრაზისა ან სირცხვილისაგან წამოწითლება სახისა ;

ხვიტი

300. დაგრჩა ხვიტი-ცარიელზე დარჩი, პირჩალაგამოვლებული დაგტოვეს;

მხალი

301. *მხალივით ჭამს-არ მომჭირნობს ;*

ისპანახი

302. *ისპანახი დაძვირებულაო - ამის დარდსაც გავუძლებთ, დიდი არაფერი ამბავია, სამაგისო არაფერი მომხდარა ;*

ოსპი

303. *ოსპის შეჭამანდისათვის მიცემა (რისამე) - იაფად, თითქმის მუქთად მიცემა რაიმე ღირებულებისა;*

304.

VI. კატეგორია მარცვლეული და მისი ნაწილები:

ბზე

305. *თავში ბზე უყრია-ტვინი არა აქვს, უჭკუოა, სულელია, ბრიყვია, მიუხვედრელია;*

306. *ბზესავით არის (ბზესავით აქვს)-თავზე საყრელად აქვს, ბევრი რამ აქვს;*

307. *ბზის ფასად-ჩალის ფასად, ძალიან იაფად;*

308. *ბზედ და ბრედ წაუვა-საქმე უკუღმა დაუტრიალდება;*

309. *ბზე ხომ არ მიჭამია!-პირუტყვი ხომ არა ვარ ბზის მჭამელი, შეუსმენელი, გაუგებარი, არაფრის მნახველი ხომ არა გგონივარ;*

ჩალა

310. *ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული! - უპატრონოდ ხომ არ არის დატოვებული ხალხი, ნუთუ პასუხისმგებლობა არ არის რაიმე დანაშაულისთვის;*

311. *პირში ჩალის გამოვლება-მოტყუება, წართმევა, ცარიელზე დასმა, დაუკმაყოფილებლობა ;*

312. *პირში ჩალა გამოველება-გაწბილდება, მოლოდინი, იმედი გაუცრუვდება;*

313. *პირში ჩალაგამოვლებული-მოტყუებული, ცარიელზე დატოვებული;*

314. *პირში ჩალას ავლებს-იმედს უცრუებს;*

315. *პირში ჩალას გამოავლებს (პირში ჩალას გამოუსვამს; პირში ჩალას გამოივლებს, გამოველება, გამოუსვამს)-გააწბილებს, მოლოდინს გაუცრუებს, მოატყუებს;*

316. *პირში ჩალას გამოივლებს-იმედი გაუცრუვდება;*

317. *ქვეყანა ჩალად არ უჩანს-რადაცის იმედი აქვს;*

318. *აპრილებულ ჩალასავით ჩაქრობა-დიდი ხნით თავის ვერ დაჭერა;*

319. *ჩალად არ ღირს-ძალიან იაფია;*

320. *ჩალად უჩანს (ჩალად არ უჩანს)-არაფრად მიაჩნია, არაფრად აგდებს;*

321. *ჩალად მიჩნევა-არაფრად მიჩნევა, გაუფასურება, ყოველისავე ღირსების აცილება ;*

322. *ჩალაში მკერავს-არაფრად აგდებს, უბრალო ვინმედ მთვლის, ყოველსავე ღირსებას მართმევს ;*

323. ჩალაში მახვევს-იხილეთ ჩალაში მკერავს ;
324. ჩალის ფასადაა-ძალზე იაფია, ყველასათვის ხელმისაწვდომია ;
325. ჩალის წონა-ყოველსავე წონას მოკლებული, უფასური, უღირალი ;
326. ჩვენში ჩალა გაწყვეტილია-ჩალის სისუსტის კავშირი, რომელიც ჩვენში შეიძლება კიდევ არსებობდა, უკვე აღარ არის, ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს ;
327. პირჩალაგამოვლებული-მოტყუებული, დარბეული, დაუკმაყოფილებელი, ცარიელზე დასმული ;
328. ჩალის ფასად გაყიდვა-იაფად გაყიდვა ;
329. ჩალისოდენაც ვერა მიუმატა-ვერაფერი მიუმატა ;
330. ჩალას ეჭიდებოდა-გაჭირვების ჟამს სუსტ იარაღს ეჭიდებოდა ;
331. ჩალა და ბუჩია-არაფერია, ყოველს ღირსებასა და ფასს მოკლებულია ;
332. კაი ხალიჩაზე ვიწექ და ახლა ჩალაზედაც ველარ ვწევარო-ერთ დროს მდიდრად ვიყავ, კარგად ვცხოვრობდი და ახლა ყოველივე ხელიდან გამომეცალა, გავღარიბდი, პურის ყუა მენატრება ;

თივა

333. მოკლას ხარი თივამო!-იტყვიან მაშინ, როდესაც ვინმე ისეთ რამეს აძალებს, რაც მასაც უნდა და უყვარს ;

ბრინჯი

334. საბრინჯე-ქელეხგადასახდელი, სასიკვდილე!
335. ბრინჯივით (ფეტვივით...) დაიბნევა-ძალიან აირევა, მთლად დაიბნევა ;
336. წამობრინჯული-ჟარგ. გაბლენძით მჯდარი (ბრინჯი ხარშვისას მოცულობაში მატულობს, იბერება). შდრ. განმარტებით ლექსიკონში „გაიბრინჯება“-ჭამით გაიბერება ;

ქერი

337. ქერის ორმოში ჩავარდნა-გაკეთება, რამე სიკეთე მოულოდნელად კარზე რომ მიადგება ვისმე, დიდ ბედს რომ ეწევა ;
338. ქერის ორმოში ზის-სარფიან ადგილას მუშაობს ;
339. საქერე კბილი ჯერ არ ამოსვლია-საუბ. ჯერ არ მომწიფებულა, ჯერ არ დავაჟკაცებულა ;

ქატო

340. ულუფაში ქატო არ ამირიოს-ვერაფერს დამაკლებს, ვერაფერს მიზამს მტერი, ყურზე ხახვს ვერ დამაჭრის ;

ფურჩი

341. მიფურჩეება-რაიმე კითხვაზე პირდაპირი, სათანადო პასუხის მიუცემლობა, სისწორით საქმის ვითარების გამომჟღავნების მაგიერ, ტყუილი სიტყვებით ახსნა-განმარტება მისი ;
342. ფურჩა აზნაური-უყუათო, უქონელი, უშნო, მსუბუქი ჭკუის, ყულია აზნაური ;

VII. კატეგორია მწვანილი:

343. *მწვანილივით ყველგან ერევა*-სხვის საქმეში ერევა, არამკითხე მოამბეა;

344. *მომწვანილება-მოზეზრება*, გულის აცრუება, დარდის გადავლა (დარდმა გადაუარა), დავიწყება მწუხარებისა;

ქინძარა, ქინძი

345. *ვინც არა-ქინძარა-ვინც* არ გააკეთოს რაიმე, იმას შერცხვენა ერგოს, სახელგატეხილი იარებოდეს, უარაფროდ დარჩესო;

346. *ქინძზე მკიდია-ჟარგ.* არ მაინტერესებს, არ ვნაღვლობ, ჩემთვის სულერთია. იგივეა რაც ფეხებზე მკიდია;

ნიახური

347. *რა თავი მოგაქვს ნიახურის ფოჩივითა?!-თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს და მაინც თავს იწონებ!*

348. *ნიახური ხომ არა ხარ, მეორედ მოხვიდე-ნიახური ქოლგოსანთა ოჯახის ერთ, ორ- და მრავალწლოვანი მცენარეა, სწორედ ამ თვისებასთან არის დაკავშირებული ეს გამოთქმა;*

349. *... არა, ნიახური-წარმოთქვამენ აგდებული ინტონაციით, როცა უნდათ თანამოსაუბრეს აგრძნობინონ სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო;*

დანართი 2

ჟან დომინიკ ეტიენ კანიუს მიერ შექმნილი სურათი, რომელზეც ჩანს ნაპოლეონ I, მისი მეუღლე მარი-ლუიზა და მისი ვაჟი ფრანსუა შარლ ჟოზეფი

